ვახტანგ გურული

ილია

ვახტანგ გურული ილია

ISBN 978-9941-445-49-1
9 789941 445491

გამომცემლობა
არტანუჯი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ვახტანგ გურული

ი ლ ი ა

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი 2014

მონოგრაფიის მიზანია წარმოაჩინოს ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართველობისა და საქართველოს გადარჩენაში, ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის მნიშვნელობა მისი თანამედროვე საქართველოსა და მომავალი თაობებისათვის.

რედაქტორი **სერგო ვარდოსანიძე**

© ვახტანგ გურული, 2014
ISBN 978-9941-445-49-1

ეძღვნება დის –

დალის ნათელ ხსოვნას

წინასიტყვა

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობა წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას, მის ცალკეულ მიმდინარეობებს და ამ პოლიტიკის განმახორციელებელ კონკრეტულ პიროვნებებს. ერთი შეხედვითვე ნათელი იყო: უთანასწორო ბრძოლა იმდენად კარგად იყო გააზრებული და ორგანიზებული, რომ სერიოზული სირთულეები შეუქმნა რუსეთის საიმპერატორო კარსა და კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას:

პირველი. ქართული ენის დევნას თერგდალეულებმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაუპირისპირეს;

მეორე. განათლების სისტემის რუსიფიკაციას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აღუდგა წინ;

მესამე. ცენტრალურ და ადგილობრივ რუსულ პრესას მკითხველი წაართვა ქართულმა პრესამ („დროება“, „ივერია“, „კვალი“);

მეოთხე. რუსული წიგნის მონოპოლია შეზღუდა ქართულმა წიგნმა;

მეხუთე. საქართველოში რუსული და სხვა უცხოური თეატრების გაბატონება არ დაუშვა თბილისისა და ქუთაისის თეატრებმა;

მეექვსე. რუსულ იმპერიულ ფულად-საკრედიტო დაწესებულებებს სერიოზული კონკურენცია გაუწია ეროვნულმა ფულად-საკრედიტო დაწესებულებებმა – თბილისისა და

ქუთაისის საგუბერნიო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკებმა;

მეშვიდე. საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და ქართველთა ეროვნული ღირსების შელახვის მცდელობას მოჰყვა ბრწყინვალე პოლემიკური წერილები და საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით დაწერილი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები;

მერვე. ქართველი ერის შეურაცხყოფას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა დიდი პროტესტითა და საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით უპასუხეს;

მეცხრე. ქართველი ერის გარუსების პოლიტიკამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო – გაძლიერდა ეროვნული ცნობიერება;

მეათე. საქართველოს ცალკეულ კუთხეებად და ხალხებად დანაწილების მცდელობას მოჰყვა საპირისპირო შედეგი – „ქართველისა“ და „საქართველოს“ წმიდათაწმიდა ცნებებად გადაქცევა.

დიდ ეროვნულ მოძრაობას ჰყავდა ერთი წინამძღოლი, ღვთიური მისიით მოვლენილი ადამიანი, რომლის სახელი იყო **ილია.**

თავი I. ილიამდელი საქართველო

ვიცი, რამეთუ მესია მოვალს...
***იოანე,** 4, 25.*

საქართველოს დაშლას სამეფო სამთავროებად (XV საუკუნის მეორე ნახევარი) თან დაერთო მეორე საბედისწერო მოვლენა – ირანისა და ოსმალეთის სწრაფვა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) და კერძოდ, საქართველოში გაბატონებისათვის. ორი ძლიერი ისლამური სახელმწიფოს დაპირისპირება უწყვეტად გრძელდებოდა XVI-XVII საუკუნეებში. ამასიის ზავიდან (1555 წ.) დაწყებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია რამდენჯერმე გადანაწილდა ირანსა და ოსმალეთს შორის. XVIII საუკუნის დამდეგიდან სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისათვის ბრძოლას იწყებს რუსეთი. ირანისა და ოსმალეთის ბრძოლა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ხელში ჩაგდებისათვის ძვირად დაუჯდა ქართველ ერს: ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანს ერგო, იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები – ოსმალეთს. კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა ისტორიული ჰერეთის (ჭარ-ბელაქნის), სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ხვედრი. ჭარ-ბელაქანი დედასამშობლოს მოსწყვიტეს და უშუალოდ ირანს შეუერთეს. ოსმალეთს შეუერთეს სამცხე-საათაბაგო და აჭარა.[1]

ირანისა და ოსმალეთის მიერ დაპყრობილ, სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში დაიწყო გაუცხოების

[1] დაწვრილებით იხილე: **ვახტანგ გურული**, საქართველო და გარე სამყარო, თბ., 2011.

პროცესი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ქართულ სამეფო-სამთავროებს საგარეო საფრთხის აღქმაც კი განსხვავებული ჰქონდათ. ერთიან ქართულ ცნობიერებას, ქართულ ფსიქიკას ძლიერად ურტყამდა სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე დაპირისპირება, ხშირად ომებიც კი. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პროცესი შეუქცევადი გახდა ცალკეულ სამეფოში – ქართლში, კახეთსა და იმერეთში. სათავადოები იქცნენ „სახელმწიფოდ სახელმწიფოში". იგივე მდგომარეობა იყო გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებში.

ქართულ სამეფო-სამთავროებში დაწყებული გაუცხოების პროცესს, ერთიანი ქართული პოლიტიკური ცენტრის არარსებობის პირობებში წარმოშობილ დამღუპველ ტენდენციებს წინ აღუდგა **ქართული ენა** და **საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია**. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგაც კი ქართული ენა ყველა ქართველისათვის დედაენად დარჩა, ქართულმა ენამ სამწერლობო და სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა საქართველოს მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე – ყველა სამეფოსა და სამთავროში. ყველა ქართველისათვის „დედაეკლესია" იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია.[1]

* * *

შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფოებრივი კრიზისი XIX საუკუნის დამდეგს (1801-1810 წწ.) ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით დასრულდა: ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მო-

[1] დაწვრილებით იხილე: **ვახტანგ გურული**, ეროვნული ცნობიერება. სახელმწიფოებრიობა. პოლიტიკური ორიენტაცია, თბ., 2008, გვ. 32-37.

ჰყვა ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვაც – გაუქმდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (1811-1814 წწ.).[1] რუსეთის საიმპერატორო კარმა XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაიწყო კარგად გააზრებული კოლონიური პოლიტიკის გატარება, რომლის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად.

ილიამდელი საქართველო, ანუ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო, მართალია, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, მაგრამ ქართველი ერი იდეურად ჯერ არ იყო დამორჩილებული. საქართველოში რუსეთის ბატონობის პირველსავე წლებში ნათელი გახდა ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია: **პრორუსული ორიენტაციის ძალებში იმედგაცრუებამ დაისადგურა.** რუსეთმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა და მის მომხრეებს ცივი წყალი გადაასხა. დაიწყო ანტირუსული ძალების გაძლიერება. ეს ტენდენცია აშკარა გახდა ბაგრატიონთა სამეფო სახლში (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლებში), ქართველ არისტოკრატიაში (თავადებსა და აზნაურებში) და ქართველ სამღვდელოებაში (თეთრ და შავ სამღვდელოებაში). 1871 წელს დაწერილ ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ ილია ჭავჭავაძე ამ მოვლენას ასე წარმოადგენდა:

„მერე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში...“

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სუსხი, „ყელში თოკის წაჭერა“ ერთდროულად იგძნეს როგორც ბაგრატიონთა

[1] დაწვრილებით იხილე: **ვახტანგ გურული**, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), თბ., 2011; **ვახტანგ გურული**, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814), თბ., 2010.

სამეფო სახლის წარმომადგენლებმა, ისე არისტოკრატიამ და სამღვდელოებამ. ცოტა მოგვიანებით კოლონიური რეჟიმის აუტანელი სიმძიმე დააწვა გლეხობასაც. **სამეფო სახლი, არისტოკრატია და სამღვდელოება იქცა ანტირუსული ეროვნული მოძრაობის იდეურ და პრაქტიკულ წინამძღოლად.** ქართველი ერის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა – გლეხობა (საბატონო, სამეფო და საეკლესიო გლეხები) სამეფო სახლის, არისტოკრატიისა და სამღვდელოების მისწრაფებებს იზიარებდა. რუსეთის ბატონობის პირობებში გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გლეხობაში ანტირუსულ განწყობილებას აძლიერებდა.

ანტირუსული ეროვნული მოძრაობის გამოვლინებას წარმოადგენდა კახეთის პოლიტიკური გამოსვლა (1802 წ.), ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804 წ.), იმერეთის აჯანყება (1810 წ.), კახეთის აჯანყება (1812 წ.), იმერეთისა და გურიის აჯანყება (1819-1820 წწ.) ამ აჯანყებებში, პრაქტიკულად ომებში, რუსეთის რეგულარულ არმიასთან სამეფო სახლი, არისტოკრატია, სამღვდელოება და გლეხობა ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდა. ეროვნული აჯანყებები დამარცხდა, თუმცა მას უკვალოდ არ ჩაუვლია. XIX საუკუნის დამდეგის აჯანყებებმა მოამზადეს ეროვნული მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი – 1832 წლის შეთქმულება.

1832 წლის შეთქმულებამ ცხადი გახადა ბაგრატიონთა სამეფო სახლის, არისტოკრატიისა და სამღვდელოების ძლიერი ანტირუსული განწყობილება. სამი ათეული წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიამ დათრგუნა 1802-1820 წლების ქართული ეროვნული მოძრაობა, 1804-1829 წლებში ომების გზით აღკვეთა ირანისა და ოსმალეთის მხრიდან საქართველოში პოზიციების აღდგენის მისწრაფება, მაგრამ საქართველო ვერ აქცია რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად, ქართველ ერში ვერ დამკვიდრდა რუსული მოქალაქეობა.

1832 წლის შეთქმულებამ დაადასტურა, რომ ბრძოლა ქართველობისა და საქართველოს გადასარჩენად გრძელდებოდა, ოღონდ სხვა ვითარებასა და სხვა ფორმით.

1832 წლის შეთქმულება დამარცხდა. ეს იყო ძლიერი დარტყმა ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე. მარცხს ბუნებრივად მოჰყვა იმედგაცრუება. კიდევ უფრო სავალალო იყო შეთქმულთა საქმის ძიების შედეგი. 1832 წლის შეთქმულების მასალების შესწავლა გვარწმუნებს მეტად სამწუხარო ჭეშმარიტებაში: **მოხდა მთელი ანტირუსული ეროვნული ძალების ლუსტრაცია.** გამოძიებამ დაადგინა შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე ბაგრატიონთა სახლიდან, არისტოკრატიიდან და სამღვდელოებიდან. ანტირუსული ეროვნული მოძრაობის მონაწილეებსა და მათი ოჯახების წევრებზე დაწესდა სასტიკი კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ცხადი პოლიტიკური მოსაზრებით რუსეთის ხელისუფლებას შეთქმულთაგან სიკვდილით არავინ დაუსჯია და სხვადასხვა სახის სასჯელიც მოსალოდნელზე ბევრად მსუბუქი იყო, ეროვნულმა მოძრაობამ ძლიერი დარტყმა განიცადა. შეთქმულების მონაწილეების რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში გადასახლებით მოიშალა ერთიანი ცენტრი. საქართველოში დარჩენილი თუ რუსეთში გადასახლებული შეთქმულების მონაწილენი და მათი თანამგრძნობები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცნენ. მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა მთელი ქართული ელიტა, განათლებული და ეროვნულად მოაზროვნე საქართველო. ამდენად, უახლოეს პერიოდში ანტირუსული ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყება შეუძლებელი იქნებოდა.

1832 წლის შეთქმულების დამარცხება და ანტირუსული ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა ლუსტრაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები კიდევ უფრო სავალალო ხდებოდა იმ საფრთხის პირობებში, რომელიც ობიექტურად მომწიფდა საქართველოში. რუსეთის მიერ საქართველოს

დაპყრობის დროისათვის (1801-1810 წწ.) ბაგრატიონთა სამეფო სახლის, არისტოკრატიისა და სამღვდელოების მსოფლმხედველობას განსაზღვრავდნენ ის ადამიანები, რომლებიც 1801 წლამდე ანუ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე დაიბადნენ, სწავლა-განათლება ქართულად მიიღეს, მოქალაქეობრივი და ეკლესიური მრწამსი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის პერიოდში ჩამოუყალიბდათ. ეს ადამიანები მონაწილეობდნენ 1802-1820 წლების ანტირუსულ ეროვნულ მოძრაობაში და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც ისინი წარმოადგენდნენ. მათი ნაწილი 1802-1820 წლების ანტირუსულ ეროვნულ მოძრაობას შეეწირა, ნაწილი ციხეებსა და გადასახლებაში გარდაიცვალა, ნაწილი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა. 1820-1832 წლების პერიოდშიც გრძელდებოდა თავისუფალ საქართველოში დაბადებულ ეროვნულ მოღვაწეთა ბუნებრივი გზით შემცირების პროცესი. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა 1832 წლის შემდეგ. სამაგიეროდ, სამეფო სახლში, არისტოკრატიასა და სამღვდელოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა 1801 წლის შემდეგ დაბადებულთა ხვედრითი წილი. ამ ადამიანებს თავისუფალი საქართველო არ უნახავთ, მათ დაწყებითი განათლება რუსულად მიიღეს, რუსულად სწავლობდნენ გიმნაზიაში, სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სემინარიაში, სამხედრო სასწავლებელსა და უნივერსიტეტში. რუსეთის საიმპერატორო კარი და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია XIX საუკუნის დამდეგიდან ხელოვნურად აფერხებდა ქართული არისტოკრატიის (თავადების, აზნაურების) დასაქმებას სამოქალაქო და სამხედრო უწყებაში, რითაც ეკონომიკურ სახსარს, შემოსავლის წყაროს უსპობდა მას. მოგვიანებით ვითარება შეიცვალა. რუსეთის იმპერიის სამხედრო სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში) აღზრდილმა ქართველი ინტელიგენციის

წარმომადგენლებმა მასობრივად მიიღეს სამსახური სამოქალაქო და სამხედრო უწყებებში. ქართველი არისტოკრატიის ეს თაობა ნაწილობრივ აღარ იყო მატარებელი იმ იდეების, რომლებიც განსაზღვრავდა წინა თაობების მოღვაწეობას. ახალგაზრდობაში ნელ-ნელა დაიწყო დამკვიდრება რუსულმა მოქალაქეობამ. ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ ილია ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას ასე წარმოგვიდგენს:

„მერე, როცა მაგ ბეზღობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდან ავიცდინეთ“.

რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო უწყებაში სამსახურის შოვნის ანუ დამპყრობელთან შერიგების მზარდი ტენდენცია კი ილია ჭავჭავაძემ იმავე ლექსში ასე დახატა:

„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
– „Наплечо“-ბა გვასწავლეო, –
მთავრობას ვეხვეწებოდით“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ არისტოკრატიაში რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას საყოველთაო და შეუქცევადი ხასიათი არ მიუღია.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ბაგრატიონთა სამეფოს სახლის წარმომადგენელთა როლი ეროვნულ მოძრაობაში თანდათან უმნიშვნელო ხდებოდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია და საქართველოს საეგზარქოსო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგიდან (1802-1803 წლებიდან) შეუდგა ქართველი სამღვდელოების შევიწროებას, მის ჩანაცვლებას რუსი ეროვნების ღვთისმსახურებით. ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811-1814 წწ.) შემდეგ. მალე თბილისისა და სხვა ქალაქების ეკლესიები რუსი სამღვდელოების ხელში აღმოჩნდა. ქართულ ენაზე ღვთისმსახურება მხოლოდ სოფლად მდებარე ეკლესიებში მიმდინარეობდა. რუსი სამღდელოების ხელში აღმოჩნდა მთელი სასულიერო განათლება (თბილისის სასულიერო სემინარია და ყველა სასულიერო სასწავლებელი).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული მოძრაობა შენელდა, შესუსტდა. შენელების, შესუსტების პერიოდი სამი ათეული წელი – XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგამდე – გაგრძელდა. ეროვნული მოძრაობის შენელების, შესუსტების პროცესი იყო თუ არა კანონზომიერი მოვლენა? ილია თვლიდა, რომ იყო: „მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლების წეწვა-გლეჯვამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაყუჩდა, და თითქმის ხმაამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას... ხანგრძლივ შფოთის შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისე მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს“.[1]

1832 წლის შემდგომ ათწლეულებში ისე ჩანდა, რომ რუსეთის იმპერიის სამოცწლიანმა კოლონიურმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: ქართველობასა და საქართველოს სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

რატომ აღმოჩნდა საქართველო ასეთ მძიმე მდგომარეობაში, რა იყო ამისი მიზეზი? მიზეზები შინაგანი და

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურაზე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 77.

გარეგანი ფაქტორების ერთობლიობაში უნდა ვეძებოთ. საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად მხოლოდ ქვეყნის დასუსტება არ გამოუწვევია. სამეფო-სამთავროებს შორის დაიწყო გაუცხოების დამღუპველი პროცესი. ირანისა და ოსმალეთის სამასწლიანმა ბრძოლამ საქართველოში გაბატონებისათვის, რასაც თან სდევდა ეკონომიკის ნგრევა და სოციალურ ურთიერთობათა მოშლა, სწავლა-განათლების კერების განადგურება, უცხო ძალის გააზრებული ბრძოლა ყოველგვარი ტრადიციული ქართულის წინააღმდეგ, შეცვალა ქართველის ფსიქიკა. ეს ცვლილება შეეხო ყველა სოციალურ ფენას. ფსიქიკის შეცვლამ გამოიწვია ტრადიციული ქართული ღირებულებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და შემდეგ – ამ ღირებულებების გადაფასება, დავიწყება.

საქართველოში ირანისა და ოსმალეთის სამასწლიანმა ბატონობამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას. XIX საუკუნის დამდეგიდან ექვსი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კარგად ორგანიზებული შეტევა ტრადიციული ქართული ღირებულებების საბოლოოდ მოსპობის მიზნით. ირანისა და ოსმალეთის შემდეგ უკვე რუსეთი ცდილობდა ქართველის ცნობიერების შეცვლას, რუსეთისადმი მორჩილების დანერგვას და ჩვენში რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას. ქართველი ერი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. XVI-XVIII საუკუნეებისაგან განსხვავებით, ამჯერად ქართველი ერი გადარჩენისთვის იბრძოდა გაუქმებული სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ვითარებას. ქართველებისა და საქართველოს არსებობას საფრთხეს უქმნიდა შემდეგი ფაქტორები:

– სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი;
– ეკლესიური აზროვნების შესუსტება;
– სწავლა-განათლების კერების მოშლა;

– გაუცხოების ნიადაგზე აღმოცენებული კუთხურობა;

– ეროვნული ცნობიერების დაკნინება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მარადიული ეროვნული ღირებულებების შესუსტებასა და ქართველის ფსიქიკის შეცვლაში გამოიხატა.

ირან-ოსმალეთის სამასწლიანი და რუსეთის სამოცწლიანი ბატონობის პირობებში ქართველის შინაგან სამყაროში მომხდარი ცვლილებები, ტრადიციული ქართული ღირებულებების დათმობა და ქართული სინამდვილისათვის მიუღებელი მენტალიტეტის (უპირველს ყოვლისა, ბედთან შერიგების) დამკვიდრება ძალზე მწვავე ფორმით წარმოაჩინა ილია ჭავჭავაძემ 1871 წელს დაწერილ ლექსში „ბედნიერი ერი“:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ლექსი არ ეხება არც ერთ კონკრეტულ პიროვნებას, არც ერთ სოციალურ ფენას, ცხადი გახდება: „ბედნიერი ერი“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ვითარების დრამატიზების მცდელობად. ლექსში საერთო ტენდენცია თითქმის ისტორიული სიზუსტითაა წარმოდგენილი, შეფასებები მკაცრი (ზოგჯერ უმკაცრესიც!), მაგრამ ობიექტურია. ილია რომ არ აჭარბებდა, ამის დასტურად მო-

ვიყვანთ ერთ მაგალითს. „ბედნიერი ერის“ დაწერამდე ცხრა წლით ადრე, 1862 წელს, ილია წერდა:

– „მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გძნობა არ ჩავარდნია გულში. თუნდ რომ თავი გამოედოს ვისმე და აზრი და გრძნობა აღედგინოს, შენივე შვილები მიწასთან გაასწორებდნენ“.[1]

– „საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერს დედა-მიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმად სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმადა ტირის იმიტომ, რომ შენ შვილებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი მდუღარე ცრემლი, – შენი კეთილი შვილები თითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან“.[2]

– „ჩვენმა ცხოვრებამ დააჩვია ქართველი კაცი შურსა და მტრობასა. მაგ ორ დასაღუპავ თვისებათაგან ყოველ ქართველის გული შეშინებულია ასე, რომ სიკეთე რო გინდოდეს კაცისა, მაშინაც არ გენდობა, თითქო შიშობსო, რომ ეგ სიკეთე ჩემი დასაღუპავი საფრთხე არ იყოსო. ქართველს თითქმის ყოველი კაცი გველი ჰგონია, რომელიც ჯერ გულში ჩაეკვრება, რომ ბოლოს დრო იხელთოს და დაშხამოს. ჩვენ არ ვამტყუნებთ იმისთანა პირს, – ყველგან ჩვენ გარშემო იგი ხედავს მხოლოდ მტრობასა, შურსა, ღალატობასა, მოდი აქ და ნუ შეგიშინდება გული“.[3]

– „ამას გარდა ჩვენ საწყალ ქართველებს ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულისშემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 621.

[2] იქვე, გვ. 621.

[3] იქვე, გვ. 622.

რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა“.[1]

– „ჩვენი თავის მტრები ჩვენ თითონვე უფრო ვართ, ვიდრე სხვანი. ამის აღიარება ჩვენ სირცხვილად მიგვაჩნია და ამიტომაც ყველაფერს ბრმა ბედს ვაბრალებთ“.[2]

ასეთი იყო ქართველი საზოგადოება, ასეთი საქართველო დახვდა ილიას.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 622.

[2] იქვე, გვ. 626.

თავი II. ილიას თანამედროვე საქართველო

და მათ ჰკითხეს მას: და უკუე
ვინ ხარ შენ? ელია ხარ?
***იოანე,** 1, 21*

§1. „რათა ვართ ესე?“ (ქართველობაში ფეხგადგმული სენი)

საწყალო ქვეყანავ!
ილია

ილიას პირველი ნაწერებიდანვე აშკარად ჩანდა, რომ მას ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა გააზრებული ყოველივე ის, რაც დამღუპველი იყო ქართული ცნობიერებისათვის. დიდი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეების მანძილზე, საქართველოში მოსული ყველა დამპყრობელი, აშკარად თუ ფარულად, გვიტოვებდა რაღაც ცუდს, ქართული სულისათვის უცხოსა და მიუღებელს. ერთიანი საქართველოს დაშლამ, ძნელბედობის, მუდმივი ომებისა და რბევა-დაწიოკების, ფიზიკური გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლის ხანგრძლივმა პერიოდმა ქართული ცნობიერება ძლიერ შეცვალა. 1862 წლით დათარიღებულ წერილში **„ცისკარი“ 1857 წლიდან-1862 წლამდინა“** ილია წერდა: „საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარის თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კეთილ-სვინდისიანი

საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო“.[1] ბუნებრივია, რომ ილიას აინტერესებს, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი: „რათ უყვარს ქართველს ამისთანა სულის კლაკვნა? მრავალი რამ არის ამისი მიზეზი, ჩემო მკითხველო, სხვათა შორის ისიცა, რომ სიკეთეს ყველანი გადავჩვეულვართ, კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია“.[2] ვინც სიკეთის ქმნას გადაეჩვევა, მას სხვის მიერ უანგაროდ ჩადენილი სიკეთისაც არა სწამს: „კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი ჩვენგანი იმ კაცის ალაგას თავის თავსა დააყენებდა და იტყოდა: მე უანგაროდ ამას ვიქმოდი? ამის პირდაპირი პასუხი „არა“ იქნებოდა, რასაკვირველია... „მაშ, არც ის იქმოდა“ – დაასკვნის გონიერი ქართველი“.[3] ილია ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს იხსენებს იმდროინდელი ქართული სინამდვილიდან: „მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელმაც სიმართლისათვის სამსახური დაჰკარგა, მაგრამ არც ერთმა ქართველმა ეს არ დაიჯერა, და იგი, სიმართლისათვის გამოგდებული სამსახურიდამ, საზოგადოებაში არამც თუ ნუგეშსა, შეურაცხყოფას პოულობდა“.[4] სიკეთის ქმნის დავიწყება, მოყვასის ქმნილი სიკეთის დაუნახაობა და არდაჯერება, უსამართლოდ დაჩაგრულის შეურაცხყოფა და გარიყვა, ნუგეშის ცემის ქრისტიანული მოვალეობის მივიწყება ერის ტრაგედიად მიაჩნია ილიას: „ქართვლის შეუსყიდებელი გული ეხლა შეისყიდება ხოლმე. თვითონ რომ სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისგანაც სიკეთე აღარ სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 619

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ სხვა მისი მსგავსი, აღარ სჯერა – რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალა აქვს, რომ თუ გასჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს. ქართველი როგორც თვითონ არის, ისე თავის მოძმეც ჰგონია; ამიტომაც ყოველი პატიოსანი საქმე პატიოსნობის სიყვარულისაგან კი არა ჰგონია წარმომდგარი, არამედ რომელიმე დაბალი და სამარცხვინო გრძნობისა და წადილისაგან".[1] ქრისტიანული ზნეობის უგულვებელყოფამ მთელი ქართველი ერი, მთელი საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა. სამშობლოსათვის თავდადება, სიკეთის ქმნა, სიმართლის დაცვა შეუძლებელ და საშიშ საქმედ იქცა: „მრავალი წელიწადია, ჩვენო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში".[2] ილია ხაზს უსვამს იმას, რომ კეთილ საქმეს, სიყვარულს, თავდადებას საქართველოში მარტო მტერი კი არ დევნიდა, არამედ თვით ქართველი: „პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი".[3] ქრისტიანულ ღირებულებათა გადაფასება ძვირად დაუჯდა ქართველ ერს. ილია სვამს საჭირბოროტო კითხვას: „რათა ვართ ესე?" და იქვე პასუხობს: „იმიტომ, რომ ჩვენ აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვევივართ. მერე ასე გადავჩვევივართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით".[4] ილია სანუგეშოს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ქართველთა

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 619-620.

[2] იქვე, გვ. 621.

[3] იქვე.

[4] იქვე.

შორის ერთ ან ორ კაცს სამშობლოს სატკივარი აწუხებდეს: „საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერს დედამიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმად სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმადა ტირის იმიტომ, რომ შენ შვილებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი, მდუღარე ცრემლი, – შენი კეთილი შვილები თითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან“[1]. ერის ცნობიერების ასეთი დაქვეითება, ცხადია, ქართველი ერის გაუსაძლისი ცხოვრების, ათასი ჯურის მტერთან იძულებითი თანაცხოვრების შედეგი იყო: „ჩვენმა ცხოვრებამ დააჩვია ქართველი კაცი შურსა და მტრობასა. მაგ ორ დასაღუპავ თვისებათაგან ყოველ ქართველის გული შეშინებულია ასე, რომ სიკეთე რო გინდოდეს კაცისა, მაშინაც არ გენდობა, თითქო შიშობსო, რომ ეგ სიკეთე ჩემი დასაღუპავი საფრთხე არ იყოსო. ქართველს თითქმის ყველა კაცი გველი ჰგონია, რომელიც ჯერ გულში ჩაეკვრება, რომ ბოლოს დრო იხელთოს და დაშხამოს“[2]. მტრისაგან დატოვებულ ერთ საშინელ სენზეც ამახვილებს ყურადღებას ილია: „ამას გარდა ჩვენ საწყალ ქართველებს ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა. ისე უყვარს ქართველს ეს გამრყვნელი და წამხდენელი სენი, რომ თუ არ მიეფერე, პირიდამ თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია“.[3]

ქართველ ერს ყველაზე დიდი საშიშროება მაინც ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენისა-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 621.

[2] იქვე, გვ. 622.

[3] იქვე, გვ. 622-623.

გან ელოდა. ქართულ ეროვნულ ცნობიერებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს დაშლამ სამეფო-სამთავროებად (XV საუკუნის მეორე ნახევარი). პოლიტიკურ დაშლილობას სამეფო-სამთავროებს შორის დაპირისპირება და სამხედრო კონფრონტაციაც კი მოჰყვა. დაიღვარა სისხლი. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას მეორე დიდი უბედურებაც დაერთო – საქართველოს ტერიტორია სპარსეთსა და ოსმალეთს შორის გადანაწილდა. მართალია, ქართულ სამეფო-სამთავროებში ქართველ მეფეთა და მთავართა ხელისუფლება შენარჩუნდა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი (ჭარ-ბელაქანი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა) უცხო ქვეყნების (სპარსეთისა და ოსმალეთის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემაში გაერთიანდა და საერთოდ მოსწყდა ქართულ სინამდვილეს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს ძალდატანებით მიაღებინეს ისლამი. **ქართული ენა და საქართველოს ეკლესია იყო ის ფენომენი, რითაც სამეფო-სამთავროებში ქართული ცნობიერების ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელი ხდებოდა.** პოლიტიკურმა დაშლილობამ გამოიწვია ის, რომ დაიკარგა საქართველოს, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის, აღქმის ტრადიცია. დიდი ეროვნული საფრთხის გაცნობიერება ხდებოდა ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების ინტერესებიდან გამომდინარე. ხსნის გზას სამეფო-სამთავროები დამოუკიდებლად, ხშირ შემთხვევაში კი ერთმანეთის უსაფრთხოების უგულებელყოფის ხარჯზე ეძიებდნენ. ასეთმა ვითარებამ სერიოზული საშიშროება შეუქმნა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, ქართული სამეფო-სამთავროების ერთმანეთისაგან გაუცხოების საფრთხე სულ უფრო ძლიერდებოდა. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ

ერთიანი ქართული ცნობიერების ნგრევისაკენ იყო მიმართული. ოფიციალურ დოკუმენტებში **„ქართველი“** მხოლოდ ქართლელისა და კახელის აღსანიშნავად იხმარებოდა. **„ქართველის“** გვერდით „ეროვნულის“ აღმნიშვნელ ცნებებად იხმარებოდა: **„მეგრელი“, „სვანი“, „ხევსური“, „თუში“, „გურული“, „იმერელი“, „აჭარელი“**. სამცხე-საათაბაგოს ისლამის აღმსარებელ ქართველებს **„თურქებს“** უწოდებდნენ, ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) მოსახლეობას ასევე არ მიიჩნევდნენ ქართველებად. აფხაზეთის მეგრელი (ე. ი. ქართველი) მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების გამომხატველ ცნებად **„სამურზაყანოელი“** დაამკვიდრეს. ამ დიდი საფრთხის გაცნობიერებას ეძღვნება ილია ჭავჭავაძის 1866 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი **„ზოგიერთი რამ“** (დაიბეჭდა 1876 წელს). ამ წერილში ილიამ მთელი სიცხადით მიანიშნა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენის, ქართველთა გაუცხოების საშიშროებაზე. ილიამ დასვა კითხვები: „ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს?“ „სად არის ქართველი და ქართველობა?“ „ვართ-ღა სადმე?“ ილია იქვე აღნიშნავს: „თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს“.[1] ამ შესავლით ილიამ მკითხველი მოამზადა იმის მოსასმენად, რაც ყველა შეგნებულ ქართველს მწარედ დააფიქრებდა. აკი აფრთხილებდა კიდეც მკითხველს ილია: „ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა“[2]. და სანამ სათქმელს იტყოდა, შექმნილი სავალალო მდგომარეობის სრულად აღქმისათვის ილია კიდევ ერთხელ ამზა-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 52.

[2] იქვე.

დებდა მკითხველს: „რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!..“[1]

ის მწარე სიმართლე, რომლის მოსმენაც ილიასაგან უწევდა ქართველ მკითხველს ასეთი იყო: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“[2]. შექმნილი ვითარების, დიდი ეროვნული საფრთხის სრულად გააზრების მიზნით ილია დაასკვნის: „ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოიშალა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებია, საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლხორცებულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად ძმურად უწევია“.[3] ილია ამძაფრებს შექმნილ ვითარებას. მისი აზრით, ძველად ქართველთა ერთობის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების საფუძველი ქართული ენა იყო. ქართველობას „ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია“.[4] თუმცა ეკლესიურ აზროვნებაზე დაფუძნებული ზნეობის დაცემის პირობებში ენის ერთობაც ვეღარ შველის საქმეს. ტრადიციული მორალური ნორმების უარმყოფელი ქართველის ზნეობა ისეა დაცემული, რომ ქართველობა „დღესაც

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 52

[2] იქვე, გვ. 53.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ერთისა და იგივე ენით – თუ არაფერს აკეთებს – თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა“.[1] ძალზე საინტერესო დასკვნაა: **ზნეობაშერყეული ქართველი ენობრივ ერთობას ერთიანი ქართული ცნობიერების გადასარჩენად და გასაძლიერებლად ვეღარ გამოიყენებდა.**

ილიას არც ის ამშვიდებს, რომ კუთხურობა ყველა ერისათვის არის დამახასიათებელი. ქართველ ერში ამ დამღუპველ მოვლენას მეტი სიმძაფრე შეუძენია, უფრო ღრმა კვალი დაუმჩნევია ქართველის ცნობიერებისათვის: „მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსავე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში – ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა – ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე – ჩემი ხალხის საიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან – ჩემი ხალხის წყენაააო, და ჩემი ხალხის წყენა – ჩემი საკუთარი წყენაააო“.[2] ილია ამ შემთხვევაში ორი ერის – ქართველებისა და ფრანგების –

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 53.
[2] იქვე.

შედარებას იმიტომ მიმართავს, რომ მავანსა და მავანს დამშვიდებულად არ ეგრძნო თავი: ეგ უბედურება მარტო ჩვენ, ქართველობას, არა გვჭირსო. ილია ქართველობას აფრთხილებდა: საფრანგეთისა და საქართველოს სინამდვილე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს წარმოქმნისა და გაძლიერების პროცესში საფრანგეთის კუთხეები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, საერთოეროვნულმა შთანთქა ვიწრო-კუთხური, კუთხურობიდან მომდინარე საფრთხე საფრანგეთმა ერთხელ და სამუდამოდ დაძლია. ერთიანი ქართული ეროვნული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესში საქართველოს კუთხეებს (სამეფო-სამთავროებს) შორის დაიწყო გაუცხოების პროცესი, რომელსაც აჩქარებდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უცხო სახელმწიფოებს (ირანსა და ოსმალეთს) შორის გადანაწილება, ხოლო შემდეგ – რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა. საერთო-ქართული ნელ-ნელა დაჩრდილა კუთხურმა. ასე რომ, საფრანგეთში პროცესი **კუთხურობიდან საერთო-ფრანგულისაკენ,** ხოლო საქართველოში – **საერთო-ქართულიდან კუთხურობისაკენ** ვითარდებოდა. ქართველი ერისათვის ეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა ქართულ სინამდვილეში პირველად ილიამ გააკეთა. ილიამ საფრანგეთის სინამდვილეში ცნებების „მარსელელისა“ და „ფრანგის“ დაპირისპირების ფონზე ქართული სინამდვილე ასე დაახასიათა: „ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა, მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“.[1] სწორედ ამიტომ საქართველოში

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 53-54.

შედეგიც საფრანგეთისაგან სრულებით განსხვავებული, საპირისპიროა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა – თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი“![1]

უბედურება იყო ის, რომ „დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა“, მაგრამ პროცესი აქ არ შეჩერებულა. ილია აღნიშნავს, რომ დაკნინდა ცნებები: **„ქართველი“** და **„ქართული“**: „ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა“. კიდევ უფრო დაკნინდა „მამულის“ ცნება. წინათ სიტყვა **„საქართველოს“** და **„მამულს“** ქართველი ერისა და იმავე ცნების – **სამშობლოს** – გამოსახატავად იყენებდა, რადგან, ილიას აზრით, „მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“. ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების შერყევის, კუთხურობის გაძლიერების, საერთო-ქართულის დავიწყების პირობებში სიტყვა „მამულმა“ ძველი მნიშვნელობა დაკარგა. ამ შემთხვევაშიც ილიამ პირველმა მიანიშნა ქართული სინამდვილის კიდევ ერთ დამღუპველ მოვლენაზე: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე“.[2] ზნეობის დაცემა ამით არ მთავრდებოდა, დამღუპველი შედეგები კიდევ უფრო სავალალო იყო: „მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილება – მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტყრუ-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 53-54.

[2] იქვე, გვ. 55.

შული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი – ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულისშვილობა – მხვნელისა და მთესველის სახელიღაა“[1]. ზნეობის დაცემის საბოლოო შედეგი კი ასეთი იყო: „თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა ააშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: „თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედ ნუ იქნებაო“. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“.[2]

ქართული ენა ქართველთა გაუცხოების დამღუპველი პროცესის შეჩერების, თავიდან აცილების ძლიერ ფენომენს წარმოადგენდა. ენა იყო უკანასკნელი იმედი: „ქართველი ვეღარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ“[3]. კუთხურობის გაძლიერებამ და გაუცხოების პროცესმა ქართულ ენაზეც მოახდინა უარყოფითი გავლენა. ილიას ეს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია: „ჩვენ ყოველ-სფეროში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავ-თავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომ ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა. ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? **მიირთვიც** რომ გითხრა, ამ კარგს დარბაის-

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 55.

[2] იქვე, გვ. 55-56.

[3] იქვე, გვ. 56.

ლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია. **შემობრძანდი** რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზე ჰკიდია, საწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ „ჰკიდია“ ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმემ თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს“[1].

ილია აშკარად მიანიშნებს დიდ ეროვნულ საფრთხეზე: ქართველთა გაუცხოების, კუთხურობის გაძლიერების, საერთო-ქართულის დაჩრდილვის და ზნეობის დაცემის პროცესი თუ შეუქცევადად გაგრძელდა, საფრთხე დაემუქრებოდა ქართულ ენას: „სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდაც რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თვითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი **ქართველი** კერძოობად გავხადეთ, **მამული** დანეხვილ ნაფუძვრად გადავაქციეთ, **პატივი** – ნეხვად, **თავი** – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ **კაცური** არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გვინდა, რომ ენა გვქონდეს“?[2]

კუთხურობის გაძლიერებისა და გაუცხოების პროცე-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 56-57.

[2] იქვე.

სის დაწყება, ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენა, ქრისტიანული ზნეობის დაცემა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლისა და დამპყრობთა (სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის) ხანგძლივი ბატონობის შედეგი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ქართველ ერს კიდევ ერთი დიდი საფრთხე დაემუქრა. ეკონომიკის განვითარებამ და მისმა თანამდევმა სოციალურმა პროცესებმა ერის შიგნით არსებული სოციალური ფენების დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა. სოციალურ ფენათა შორის ქონების გადანაწილების პროცესი ამ დაპირისპირებას ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. ცხადია, სოციალური დაპირისპირების შეუქცევადი პროცესი ძლიერ დარტყმას მიაყენებდა ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. ეს საფრთხეც ქართულ სინამდვილეში პირველად ილიამ გააცნობიერა, გააცნობიერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს: „ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხს – ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი – სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა – თავადსა, ორივესი – გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?“[1] ამ დაპირისპირების მწარე ნაყოფი საქართველომ გაცილებით გვიან, XX საუკუნის დამდეგიდან და შემდგომ ათწლეულებში მოიმკო. **ილიამ**

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ზოგიერთი რამ. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 52.

შეძლო ქართველთა გაუცხოების საშიშროების დაძლევა, საერთო-ქართულმა გაიმარჯვა კუთხურობაზე, მაგრამ სოციალურ ნიადაგზე ქართველთა დაპირისპირების თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული ეპოქა ილიას აღარ უნახავს, იგი მხოლოდ ამ სისხლიანი ისტორიის პროლოგს მოესწრო.

§ 2. „საკვირველი კაცია ქართველი“ (ახალი ქართული სალიტერატურო ენის მოწინააღმდეგენი)

და აღივსნეს ყოველნი გულისწყრომითა,
რომელნი-იგი იყვნეს შესაკრებელსა
მას შინა, ესმოდა რაჲ ესე.
***ლუკა,** 4, 28.*

ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“.** სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის, ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამასაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას.[1]“ ილიამ მოღვაწეობა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლით დაიწყო. არაფერი გაუგონარი და მიუღებელი არ უთქვამს. ენა ვითარდება და განვითარება თავისთავად გულისხმობს ცვლილებას – ძველ ქართულ სამწერლო ენას ადგილი უნდა დაეთმო ახალი ქართული სამ-

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას რედაქციით, სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1941, გვ. 17.

წერლო ენისათვის. ამასთან ერთად, ილია აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო ქართული ენის სიწმინდის დაცვა სხვა ენების (კერძოდ, რუსულის) გავლენისაგან. რევაზ ერისთავის პატრიოტობაში ილიას ეჭვი არ შეჰპარვია, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნისას რევაზ ერისთავი უხეშად არღვევდა ქართული სინტაქსის ნორმებს და, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართულ ენაში რუსული სინტაქსური კონსტრუქციები შემოჰქონდა. ილიას აზრით, ქართული ენის განვითარება აუცილებელს ხდიდა ქართული ანბანიდან რამდენიმე ასოს *(ჲ, ჳ, ჴ, ჶ,ჷ)* ამოღებას. მავანს და მავანს ილია ჭავჭავაძის წერილის დედააზრი არ მოეწონა, თუმცა, ტაქტიკური მოსაზრებით, მთელი აქცენტი ანბანიდან ასოების ამოღებაზე გადაიტანეს. ასეთი პოზიცია, ცხადია, მომგებიანი იყო: ქართული ანბანიდან ასოების ამოღება ერთი ხელის დაკვრით გადასაწყვეტი საკითხი არ გახლდათ. ქართველი მწერლებისა და, საერთოდ, განათლებული საზოგადოების ილიასთან დასაპირისპირებლად ანბანიდან ასოების ამოღების საკითხის წინა პლანზე წამოწევა ხელსაყრელი იყო.

ილიას წერილმა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ დიდი აურზაური გამოიწვია. ჟურნალ „ციკრის“ 1861 წლის მაისისა და ივნისის ნომრებში ილიას წინააღმდეგ წერილები გამოაქვეყნეს **ბარბარე ჯორჯაძემ** („თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“),[1] **გიორგი ბარათოვმა** („წერილი რედაკტორთან“)[2], **სარდიონ ალექსიევ-მესხიევმა** („უსტარი ანტიკრიტიკული“)[3] და თვით **რევაზ ერისთავმა** („პასუხი

---

[1] **ბარბარე ჯორჯაძე**, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, ჟურნალი **„ცისკარი“,** 1861, მაისი, გვ. 33-35.

[2] **გიორგი ბარათოვი**, წერილი რედაკტორთან, ჟურნალი **„ცისკარი“,** 1861, ივნისი, გვ. 147-166.

[3] **სარდიონ ალექსიევ-მესხიევი**, უსტარი ანტიკრიტიკული, ჟურნალი **„ცისკარი“,** 1861, ივნისი, გვ. 254-268.

თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“).[1] ილიას წერილის სერიოზულად განხილვა არც ერთ მათგანს არ უცდია (იქნებ ზედმეტად და საკუთარი ღირსების დამამცირებლადაც კი მიიჩნევდნენ ჭაბუკ კრიტიკოსთან პოლემიკას?!). ყველანი ერთხმად ჭკუას არიგებდნენ ილიას, მორალს უკითხავდნენ, ზემოდან დაჰყურებდნენ და დასცინოდნენ კიდეც! იმავე გზას დაადგა **ეფთვიმე წერეთელიც** (გიორგი წერეთლის მამა), რომელმაც ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის თებერვლის ნომერში მოთავსებული წერილი („უფალო რედაკტორო“![2]) ასევე ილიასთვის მორალის კითხვით დაიწყო და დაასრულა.

ნებსით თუ უნებლიეთ, ისმის კითხვა: ნუთუ იმდროინდელმა მოღვაწეებმა მართლა ვერ გაიგეს, რატომ არ მოსწონდა ილია ჭავჭავაძეს რევაზ ერისთავის თარგმანი, რატომ იყო ასეთი მკაცრი სათარგმნი მასალის შერჩევისას, რატომ ითხოვდა ქართული ანბანიდან რამდენიმე ასოს ამოღებას? თვით ილიას არაფერი უკვირდა. იგი სწორედ ასეთი შემთხვევის გამო იტყოდა: „საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვისი თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავისი საკუთარის თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კეთილ-სვინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო“.[3]

---

[1] **რევაზ ერისთავი**, პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, ჟურნალი **„ცისკარი“**, 1861, მაისი, გვ. 81-89.

[2] **ეფთვიმე წერეთელი,** უფალო რედაკტორო! ჟურნალი **„ცისკარი“,** 1862, თებერვალი, გვ. 201-207.

[3] **ილია ჭავჭავაძე,** ცისკარი 1857-1862 წლამდინა, **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას რედაქციით, სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., 1941, გვ. 619.

§ 3. „პირველი ქვა ... ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი“ („საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ არაკეთილმოსურნენი)

... მოხუედ წარწყმედად ჩუენდა.
***ლუკა,** 4, 34.*

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ყოველთვიური ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**. ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილმა მოღვაწეებმა „საქართველოს მოამბის“ გამოცემა „ცისკრის“ მონოპოლიის შეზღუდვად მიიჩნიეს. „საქართველოს მოამბის“, ესე იგი ილია ჭავჭავაძის, წინააღმდეგ გალაშქრება ცისკრელებმა **ლავრენტი არდაზიანს** მიანდეს. ჟურნალ „ცისკრის“ 1863 წლის ივნისის ნომერში ლავრენტი არდაზიანმა **„ალექსი ელბაკიძის“** ფსევდონიმით მოათავსა წერილი **„ორიოდე სიტყუა შესახებ თერგ-დალეულის სტატიისა“.**[1] ლავრენტი არდაზიანი აგრძელებს ცისკრელთა ტრადიციას – მორალს უკითხავს, ზემოდან უყურებს ილიას! სერიოზულ, დასაბუთებულ კრიტიკას „ცისკარმა“ ამჯერადაც თავი აარიდა.

* * *

1863 წლის ბოლოს გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მეთორმეტე ნომერი. 1864 წელს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალის გამოცემა ვეღარ გააგრძელა. ცისკრელებმა ტაში დაჰკრეს, „საქართველოს მოამბე“ კიდევ ერთხელ განაქიქეს. 1864 წლის მარტის ნომერში „საქართველოს მოამბის“ დახურვასთან დაკავშირებით დაიბეჭდა „ცისკრის“ რედაქციის განცხადება: „დიდის ჭექა-ქუხილით დაიბადა („საქართველოს მოამბე“ – ვ. გ.) ქვეყანაში და იმ წამსვე გაპენტა

[1] **ალექსი ელბაკიძე [ლავრენტი არდაზიანი]**, ორიოდე სიტყვა შესახებ თერგ-დალეულის სტატიისა, ჟურნალი **„ცისკარი“,** 1863, ივნისი, გვ. 214-250.

„ცისკარი“, მიწასთან გავასწოროვო, ჩუᲩნ კი სრულებით ხმაც არ გაგვიცია, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ის ჭექაქუხილი ქარი იყო და ქარივე წაიღებდა“.[1] განცხადება მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „დიდადა ვწუხვართ, რომ ასე უდროოდ გამოაკლდა „მოამბე“ ამ ჩუᲩნს დაუდგრომელს წუთი სოფელს“.[2]

რატომ უნდა გახარებოდა ერთი ქართული ჟურნალის („ცისკრის“) რედაქციას მეორე ქართული ჟურნალის („საქართველოს მოამბის“) დახურვა? განა რამდენი ჟურნალი და გაზეთი არსებობდა 1864 წელს? ქართული პერიოდული გამოცემები, ქართული ჟურნალისტიკა, ქართული პუბლიცისტიკა, ნუთუ ისე ძლიერი, ისე წელში გამართული იყო, რომ ერთი ჟურნალის დახურვა არად ჩაგვეგდო, გაგვხარებოდა?! ნუთუ ცისკრელებმა ვერ გაიგეს, რომ „საქართველოს მოამბის“ დახურვა ილიას პირადი სატკივარი სულაც არ იყო? **„საქართველოს მოამბე“ დააკლდა ქართველ ერს, საქართველოს, ქართულ მწერლობას, ქართულ პუბლიცისტიკას!**

საინტერესოა, რას მოიმოქმედებდნენ ცისკრელები, „საქართველოს მოამბე“ ხელისუფლებას რომ დაეხურა, განგაშს ატეხდნენ, თუ გახარებულნი ტაშს დაუკრავდნენ?

* * *

ჟურნალი „ცისკარი“ და მის გარშემო შემოკრებილი მოღვაწენი ილია ჭავჭავაძეს მარტო ენის განახლების პროგრამას კი არ უწუნებდნენ, არამედ პოეტურ ნიჭსაც. 1863 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მარტის ნომერში **ანტონ ფურცელაძე** წერდა: „ჩვენ ზემოთვე წარმოვსთქვით და ახლაც ვამბობთ, რომ ის პოეტი პოეტი არ არის, რომელიც აძალებს ნიჭსა, ატანს თავს ძალას, ამღვრევს გრძნობას და პირველ ჩანჩალათ თავის თავი ჰყავს. ერთიც ეს უნდა შევნიშნოთ, რომ ჭავჭავაძეზედ

---

[1] ცისკრის რედაქციისაგან, ჟურნალი **„ცისკარი“**, 1864, მარტი, გვ. 177.
[2] იქვე, გვ. 178.

დიდი გავლენა აქვს ყოველ რიგის თხზულებას, და ამათ გაუვლენელად არ შეუძლიან წერა“.[1] 1863 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მაისის ნომერში ანტონ ფურცელაძე კიდევ უფრო კატეგორიულ დასკვნას აკეთებს: „რაც შეეხება ჭავჭავაძის ნიჭს ლექსებში, ის, როგორც უმყოფელია და არის მხოლოდ ხელოვნება, როგორც ზემოთა ვსთქვით, არ არის იმედი, რომ მაგაზედ წინღა წავიდეს“.[2] არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ანტონ ფურცელაძემ თექვსმეტი წლის შემდეგ აზრი ნაწილობრივ შეიცვალა და გაზეთ „დროების“ 1879 წლის 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი წერეთელს“ მოინანია: „დღეს რომ ჭავჭავაძეზედ წერა შემხვდეს, საზოგადოთ შეუდარებლად კი არა, – შემხვდეს წერა შედარებითა, მაშინ ბევრად უფრო სხვა კილოზე ვილაპარაკებდი, ესე იგი, იმას შედარებით სხვებთან, მეტადრე როგორც პოეტს, არავისზედ, თუ არა წინ, უკან არ დავაყენებდი“.[3] ანტონ ფურცელაძემ ღიად დატოვა საკითხი, რა აზრისა იქნებოდა ილიაზე, როგორც პოეტზე, თუ ილიას ლექსებს შეაფასებდა „საზოგადოთ შეუდარებლად“ და არა „შედარებით“. წერილის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ ანტონ ფურცელაძის შეფასება ამ შემთხვევაში უარყოფითი იქნებოდა.

* * *

1866 წელს გიორგი წერეთელმა გამოსცა შესანიშნავი ქართული გაზეთი **„დროება“**. დიდია „დროების“ დამსახურება ქართული ჟურნალისტიკის, ქართული პუბლიცისტიკის, ქართული მწერლობის, ქართული ეროვნული მოძრაობის წინაშე. გავიდა ათი წელი. 1876 წელს ცნობილი გახდა,

---

[1] **ანტონ ფორცელაძე,** აკაკი წერეთელს, გაზეთი „**დროება“,** 1879, №249, 1 დეკემბერი, გვ. 3.

[2] იქვე.

[3] იქვე.

რომ 1877 წლიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდოდა ახალი ქართული გაზეთი **„ივერია“**. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პროცესში ახალი ქართული გაზეთის გამოცემა სრულიად ბუნებრივი და მისასალმებელი მოვლენა იყო. ცნობას გაზეთ „ივერიის“ გამოცემის თაობაზე დაუფარავი წყენით შეხვდა გაზეთი „დროება“. 1876 წლის 25 ივნისს გაზეთ „დროებაში“, ხელმოწერით **„ს. მ“.,** დაიბეჭდა **სერგეი მესხის** წერილი – **„ახალი ქართული გაზეთი“.**[1] წერილში ვკითხულობთ: „რედაქტორობა ამ გაზეთისა თ. ილ. გ. ჭავჭავაძეს უკისრნია. თანამშრომლებს ურიცხვს ამბობენ: პეტერბურღის ქართული ენის პროფესორს უფ. ალ. ცაგარელს, ოდესის ქიმიის პროფესორს უფ. ვ. პეტრიაშვილს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგებელს უფ. ბეს. ღოღობერიძეს, უფ. ნ. ქანანოვს, ი. გოგებაშვილს, ბეს. ჯაფარიძეს, დავ. ჩქოტუას და ბევრს კიდევ სხვა მცნობ და უცნობ პირსა“.[2] განცხადება რომ აქ დასრულებულიყო, „ივერიის“ დაარსების მოთავეთ, პირადად ილია ჭავჭავაძესაც მადლობის მეტი არაფერი ეთქმოდათ. მაგრამ სერგეი მესხმა თავი ვერ შეიკავა, წყენა ვერ დამალა. განცხადებაში ვკითხულობთ: „კეთილი იყოს იმის (გაზეთ „ივერიის“ დაარსების იდეის – **ვ. გ.**) ჩასახვა ილ. ჭავჭავაძისა და ბეს. ღოღობერიძის აზრში. კეთილი იყოს იმის დაბადება! კეთილი იყოს, თუ ამ მომავალ ჩვენს მოძმეს მარტო და მხოლოდ ლიტერატურული ინტერესები ექნება მხედველობაში და არა სხვა რაიმე. კეთილი იყოს, თუ ის საზოგადო სარგებლობისათვის მოღვაწეობას გამოიჩენს და არა კერძო პირების, კერძო ინტერესებისათვის“.[3] რატომ დაეჭვდა გაზეთ „დროების“ რედაქცია და პირადად სერგეი მესხი ილია ჭავჭავაძის კეთილ

---

[1] **ს. მ. [სერგეი მესხი],** ახალი ქართული გაზეთი, გაზეთი **„დროება“,** 1876, №64, 25 თიბათვე, გვ. 1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

განზრახვაში? საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის (1876 წ.) უკვე სერიოზულად იყო დაძაბული ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის ურთიერთობები. ამის მიზეზი ეროვნული მოძრაობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი საკითხების სხვადასხვაგვარი გაგება იყო. იყო პირადულიც ... სერგეი მესხს ეს არც დაუმალავს. წერილის მეორე ნაწილში ის პირდაპირ აცხადებდა: „მაგრამ, რა ვქნათ? ეჭვი ვერ მოგვიშორებია თავიდამ. ის გარემოება, რომელმანც დაბადა ეს ახალი გაზეთი, რომელმანც უფ. ბეს. ღოღობერიძე და ილ. ჭავჭავაძე „აიძულა“, რომ ქართული გაზეთის გამოცემისათვის ხელი მოეკიდნათ, ის გარემოება სულ სხვას გვიჩურჩულებს ყურებში, სულ სხვას გვეუბნება, ცდილობს სულ სხვაში დაგვარწმუნოს“.[1] შემდეგ სერგეი მესხი მკითხველს აცნობს ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „ივერიის“ დაარსების დროებისეულ ვერსიას: „თქვენც იცით ეს გარემოება: ბეს. ღოღობერიძემ და ი. ჭავჭავაძემ მხოლოდ მაშინ გაივლეს გულში ახალი გაზეთის გამოცემა, როდესაც ძველმა, ე. ი. „დროებამ“, იმათ წინააღმდეგ სიტყვის თქმა გაბედა; მხოლოდ მაშინ, როდესაც „დროების“ ერთმა თანამშრომელთაგანმა გაბედა იმათს მოქმედებაზე ცოტაოდენი ეჭვის შემოტანა“.[2] შემდეგ სერგეი მესხი უფრო შორს მიდის და მკითხველს კიდევ ერთ საიდუმლოსაც გაანდობს: „ამ პირებმა (ე. ი. ბესარიონ ღოღობერიძემ და ილია ჭავჭავაძემ – ვ. გ.) წინადადება მისცეს „დროების“ ახლანდელ პატრონებს, რომ თუ აკ. წერეთელსა და ნიკ. ნიკოლაძეს გამოაგდებთ რედაქციიდამ და მათ ნაცვლად უუ. ბეს. ჯაფარიძესა და დ. ჩქოტუას მიიღებთ, მატერიალურ და სხვა ყოველ გვარ შემწეობას მოელოდეთ ჩვენგანო.

---

[1] **ს. მ. [სერგეი მესხი],** ახალი ქართული გაზეთი, გაზეთი **„დროება“,** 1876, №64, 25 თიბათვე, გვ. 1.

[2] იქვე.

და თუ არა... თუ არა ჩვენ ახალს გაზეთს გამოვცემთო!“[1] ძალზე დაინტერესებულ მკითხველსაც კი როგორ უნდა გაეგო, სიმართლე იყო ეს თუ ჭორი? ვერ გაიგებდა და დაეჭვდებოდა. „დროების“ რედაქციასაც ეს უნდოდა! დაბნეულ და დაეჭვებულ საზოგადოებას სერგეი მესხი კითხვით მიმართავს: „რომელიმე გაზეთი რომ ამისთანა გარემოებაში დაიბადება, როგორ არ შეგივა კაცს ტვინში ეჭვი, რომ ეს გაზეთი მიუდგომელი და „ლიტერატურის დროშის მაღლა დამჭერი“ ვერ იქნება? როგორ არ გაივლებს საზოგადოება გულში იმ ჰაზრს, რომ ამ გაზეთს ზოგი კერძო ინტერესებისა და კერძო პირების სამსახური ექნება მხედველობაში?“[2] ცხადია, სერგეი მესხი ამ კითხვაზე საზოგადოების პასუხს ვერ მოისმენდა, არც აინტერესებდა! სერგეი მესხი თავდაჯერებული დასძენდა: „ჩვენ ამას ვამბობთ, ამ ეჭვს ვაცხადებთ“.[3] დანარჩენი დროებამ სამომავლოდ გადადო. ეს მომავალი არც ისე შორეული აღმოჩნდა. 1877 წელს გაზეთი „ივერია“ გამოვიდა. **ნიკო ნიკოლაძემ** აღარ დააყოვნა და თავისი აზრი გამოთქვა ახალ გაზეთზე. 1877 წლის 6 მარტს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის წერილი **„ივერიის“ პირველი ნომერი“.** ნიკო ნიკოლაძეს შეფასება რამდენიმე პუნქტად დაუყვია:

პირველი. ილია ჭავჭავაძემ ძველი, მკვდარი „მწიგნობრული ენის“ ნაცვლად დაამკვიდრა „სახალხო ენა“, მაგრამ გაზეთ „ივერიის“ პირველ ნომერში ილია ისევ ძველ „მწიგნობრულ ენას“ დაუბრუნდა. ნიკო ნიკოლაძემ ეს ფაქტი დამტკიცებულად ჩათვალა და ილია ძველი „მწიგნობრული ენის“ აღდგენის მცდელობაში დაადანაშაულა. ამიტომ იყო, რომ ილიას ასეთ დარიგებას აძლევდა: „ნიჭიერი მწერალია უფ.

---

[1] **ს. მ. [სერგეი მესხი],** ახალი ქართული გაზეთი, გაზეთი **„დროება“,** 1876, №64, 25 თიბათვე, გვ. 1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მისი ნიჭი ვერ დაარღვევს ამ საყოველთაო და საზოგადო კანონს. ბევრათ უფრო ნიჭიერნი იყვნენ რუსეთში აქსაკოვები და შიშკოვი, როცა იმათ სცადეს ძველი მწერლური ენის აღდგინება, მაგრამ ვერა გაარიგეს რა. და რადგანაც ჩვენში ნიჭი იშვიათი საქონელია, სჯობს და სასურველიც არის, რომ უფ. ჭავჭავაძემ თავისი ღონე და მეცადინეობა სხვა, უფრო სახეირო და მომავლიან შრომას მოახმაროს".[1] იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისა არ ვიცით, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას, ალბათ, გაუჩნდება კითხვები: 1) გაზეთ „ივერიის" პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალით როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ ილია ჭავჭავაძემ „სახალხო ენა" უარყო და ძველი, მკვდარი „მწიგნობრული ენა" აირჩია? ნიკო ნიკოლაძემ ეს ნამდვილად ვერ დაამტკიცა. 2) რატომ იყვნენ ილია ჭავჭავაძეზე ბევრად უფრო ნიჭიერები აქსაკოვები და შიშკოვი? ამის დამტკიცება ნიკო ნიკლაძეს არც კი უცდია. 3) ვის ეხება ნიკო ნიკოლაძის სიტყვები: „ჩვენში ნიჭი იშვიათი საქონელიაო".[2] წერილის იმ აბზაცის მიხედვით, რომელშიც მკითხველი ამ სიტყვებს ამოიკითხავდა, ეჭვი არ შეეპარებოდა, რომ სიტყვები ილიას მიმართ იყო ნათქვამი.

მეორე. წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ „ივერიის პირველ ნომერს მიუღია „Неделя" ჩვეულება – „ბრტყლად და დამჯერად სრულიად უმნიშვნელო და ყველასთვის ნაცნობი აზრისა".[3] ნათქვამს ნიკო ნიკოლაძე ასე ამტკიცებს: „იწყებ კითხვას, გგონია აი, ესეც არის გამოთქმენ იმ აზრს, რომლის გამოთქმამდი ამდენს ცერემონიას ხმარობენ, ძლივს ინელებ სიტყვების ტკაცა-ტკუცს, გადახვევ-გადმოხვევას, და ათავებ ისე, რომ აზრი ვერც კი გიპოვნია".[4] ამ საკითხზე საუბარს

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე,** „ივერიის" პირველი ნომერი, გაზეთი „**დროება**", 1877, №26, 6 მარტი, გვ. 1-2.

[2] იქვე. გვ. 1.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ნიკო ნიკოლაძე ისე ამთავრებს, რომ ერთი კონკრეტული მაგალითიც კი არ მოჰყავს ნათქვამის დასამტკიცებლად.

მესამე. გაზეთი „ივერია“ მიზნად ისახავდა სამეცნიერო ცოდნის (მეცნიერების მიღწევების) პროპაგანდას საზოგადოებაში. იდეას, ცხადია, ნიკო ნიკოლაძე ვერ დაიწუნებდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ „ივერია“ ამას ვერ შეძლებდა.[1]

მთავარი სათქმელი ნიკო ნიკოლაძემ წერილის ბოლოს ამცნო მკითხველს: „ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი რჩევა მივსცე უფ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია, იმას სრული უფლება აქვს მიიღოს ან უკუაგდოს ეს რჩევა. მისი პირველი ნომრის გასინჯვა მარწმუნებს, რომ თითქმის მთელი ეს ნომერი, ორი სუსტი სტატიის გარდა, მისი დაწერილია, თავიდამ ბოლომდი კარგათ დარწმუნდეს რომ „ივერიის“ რედაქციაში ლიტერატურული ძალა არ მოიძიება, გარდა თვითონ ილ. ჭავჭავაძის ძალისა, და იმედი იქონიოს მარტო თავის თავის. ნუ დააძალებს თავის თავის ნიჭს, ნუ მოთხოვს იმას იმისთანა რასმე, რისი მოცემაც მის ნიჭს არ შეუძლია. მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა: ამაებში უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვცემს“.[2]

ასე „გულითადად“ შეხვდა გაზეთ „ივერიის“ გამოცემას გაზეთი „დროება“ და მისი ორი წამყვანი თანამშრომელი, ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ორი გამოჩენილი წარმომადგენელი – ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი.

* * *

1885 წელს ყოველდღიური გაზეთი **„დროება“** ხელისუფლებამ დახურა. 1886 წლიდან ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე,** „ივერიის“ პირველი ნომერი, გაზეთი „**დროება**“, 1877, №26, 6 მარტი, გვ. 1.

[2] იქვე, გვ. 2.

„ივერიის“ ნაცვლად იმავე სახელწოდების ყოველდღიური გაზეთის გამოცემა დაიწყო. „დროების“ დახურვაში რედაქტორი, თანამშრომლები და მათი თანამოაზრენი ხელისუფლებას კი არა, ილია ჭავჭავაძეს ადანაშაულებდნენ. განმეორდა ძველი ისტორია. ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის“ გამოცემას დაუფარავი აღშფოთებით შეხვდნენ ილიას უარმყოფელნი. ამჯერად **დავით სოსლანმა (კეზელმა)** გამოიჩინა თავი. გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის 2 მარტის ნომერში დაიბეჭდა **„ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“**[1] დავით კეზელი ილია ჭავჭავაძისა და გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თაობაზე წერდა: „სჩანს რომ ეს ვაჟ-ბატონები მხოლოდ იმიტომ იღწვიან და მოქმედობენ საზოგადო ასპარეზზე, რომ „საცოხნელი“ არ გამოელიოთ. ჩვენ ამისთანა საზოგადო მოღვაწეობა არ გვესმის და თვით წარმოდგენაც კი გვეზიზღება. ყველაფერს წარმოვიდგენდით და იმას კი ვერა, რომ ყველაფერში ფრთხილი და წინდახედული ილ. ჭავჭავაძე თავის თავს საკუთარის ხელით ესრე უწყალოდ გაშოლტავდა საჯაროდ. ის მწერალი, რომელიც ღრმა ფილოსოფიის და საზოგადო პრინციპების სახელით წვრილმან ანგარიშებს მისდევს და ჯამბაზობს, ყოველთვის ამ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდება“.[2] ქვემოთ დავით კეზელი ილია ჭავჭავაძეს კიდევ უფრო დიდ ბრალდებას უყენებს. „დროების“ დახურვითა და „ივერიის“ გამოცემით გაღიზიანებული დავით კეზელი წერდა: „მეკობრეობა ყველა სახელმწიფოთა კანონდებულებით აკრძალულია, მაგრამ ფათერაკის თავიდან ასაცილებლად მეკობარნი თავიანთ ხომალდზედ იმ ქვეყნის ალამს ააფრიალებენ ხოლმე, რომლის გემებსაც სრული უფლება აქვთ იმ ზღვაზედ სიარულისა. ბ. ილ. ჭავჭავაძემ ამ შემთხვევაში ლიტერატურული მეკობრობა დაამტკიცა: ე. ი. რაღაც გაცვეთილი ფი-

---

[1] **დავით სოსლანი [დავით კეზელი]**, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, გაზეთი „**თეატრი“,** 1886, №9, 2 მარტი, გვ. 85-87.

[2] იქვე. გვ. 85.

ლოსოფიის ალმით ხელში, ვიღაცა კერძო პიროვნების საბრძოლველად გამოვიდა და ეს არის მიზეზი, რომ ლოგიკამაც უღალატა და უბრალო საღმა ჭკუამაც“.[1]

ასე „იგლოვა“ „საქართველოს მოამბის“ დახურვა, ასე „დაულოცა“ ორჯერ გზა „ივერიას“ ქართული ჟურნალისტიკის, ქართული პუბლიცისტიკისა და მწერლობის ზოგიერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა. სწორედ ასეთი შემთხვევის გამო იტყოდა ილია: **„პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისგანვე არის გამოტყორცნილი“.**

§ 4. „კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია“ (დიდი იდეის მესაფლავენი)

და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა
და ილოცევდით მათთჳს,
რომელნი გმძლავრობდენ თქუენ.
***ლუკა,** 6, 28.*

კეთილ არს მარილი. უკუეთუ მარილი
იგი განქარდეს, რაჲთა დაიმარილოს?
***ლუკა,** 14, 34.*

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მორიგი შეტევა 1888 წელს წამოიწყეს. ამჯერად „ოთარაანთ ქვრივი“ დაუწუნეს ილიას. 1888 წელს ფსევდონიმით **„მკითხველი“** დაიბეჭდა **შიო დავითაშვილის** ბროშურა **„ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვრივი“-ს. ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ**

[1] **დავით სოსლანი [დავით კეზელი]**, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, გაზეთი „**თეატრი“,** 1886, №9, 2 მარტი, გვ. 85-86.

მკითხველის შენიშვნები“.[1] შიო დავითაშვილი „ოთარაანთ ქვრივს“ მთლიანად უარყოფითად აფასებს, მწერალს ერთბაშად ყველაფერს უწუნებს, ერთგან კი ასეთ დასკვნასაც აკეთებს: „მთელ მოთხრობაში არ არის არც ერთი დასრულებული სახე: ერთისა ენა გვაჩვენეს, მეორისა მკლავი, მესამისა ფეხი და მეოთხისა ჩრდილი. ამასთან მთელი მოთხრობა ჩვენს ნიადაგზედ არ არის აშენებული. ერთი ჩვენი ნაცნობი სახეც ვერ დავინახეთ, ჩვენი აღმაშფოთებელი, ან დამატკბობელი სიტყვაც ვერ გავიგონეთ, ის სიტყვა, რომელიც მაღლა ცაში კი არ იკარგება, არამედ გულსა ჰხვდება. აბა რა იყო ოთარაანთ ქვრივი? ვის გინახავთ ჩვენში მაგისთანა დედაკაცი?“[2]

ილიასეული „ჩატეხილი ხიდის“ იდეა, როგორც თავად აღნიშნავს, შეუცნობელი დარჩა შიო დავითაშვილისათვის. გაუგებარია, თავს ისულელებდა, თუ მართლა ასე უწიგნური იყო ილიას ოპონენტი. შიო დავითაშვილს, ეტყობა, სერიოზულად აინტერესებდა პასუხი მის მიერვე დასმულ კითხვაზე: „რა ხიდებს ეძებს ჩვენი მწერლობა, ბ. ჭავჭავაძის მოთავეობით? ნუ თუ მართლა ჩვენ ხალხში წოდებათა შორის ასეთი განხეთქილება სუფევს, რომ მათ შორის ხიდი ჩატეხილა და მის აღსადგენად მრავალთაგან-მრავალი ცრემლი იყოს საჭირო? რა უნახავსთ, რა გაჰკვირვებიათ, რომელ ხიდის ჩატეხვაზედ გვესაუბრებიან?“[3]

ამ კითხვაზე „ოთარაანთ ქვრივში“ რომ პასუხი ვერ უპოვია, შიო დავითაშვილს უფიქრია, უფიქრია და ასეთი დასკვნა გაუკეთებია: „რა ვიცი, არა ერთი სოფელი მომივლია, არა ერთს თავადს, აზნაურს ვიცნობ, არა ერთ გლეხთან მილაპარაკნია და ჩატეხილ ხიდზედ ხსენებაც არსად

---

[1] **მკითხველი [შიო დავითაშვილი]**, „ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვირვი“-ს. ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები, ტიფლისი, 1888.

[2] იქვე, გვ. 31-32.

[3] იქვე, გვ. 37-38.

არის. მართალია, ყველა თავისთვის სცხოვრობს და სხვისი დარდი არა აქვს, მაგრამ არჩილსა და კესოსაც არა ჰქონდათ გიორგისა და სოსიას დარდი. ეს მაინც არ უშლის არც ერთ მხარეს მიმართოს მეორეს, დაუკითხავად ესტუმრონ სახლში ერთმანეთს, როცა რაიმე მოუნდებათ“.[1] ავტორმა უკონტაქტობისა და სოციალური გათიშულობის პრობლემა ერთმანეთთან დაუკითხავად სტუმრობაზე დაიყვანა. ერთი სიტყვით, შიო დავითაშვილმა „ჩატეხილი ხიდის“ არსებობა უარყო და ამ აღმოჩენით კმაყოფილმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „აქ ჩატეხილ ხიდზედ ლაპარაკიც არ შეიძლება და არ ვიცი, საითგან რა გამოუგონია ბ. ჭავჭავაძეს“.[2]

1888 წელსვე გამოიცა დავით სოსლანის (დავით კეზელის) ბროშურა **„კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძის)“.**[3] შიო დავითაშვილის მსგავსად, დავით კეზელიც მთლიანად უარყოფითად აფასებს „ოთარაანთ ქვრივს“. დავით კეზელის აზრით: „მთელი მოთხრობა აშენებულია იმ წინა აგებულს აზრზედ (ტენდენციაზედ), რომ თავად-აზნაურობასა და გლეხ-კაცობას შორის ხიდია ჩატეხილი. ამ ხიდის გასამთელებლად ავტორს აუღია გლეხის ბიჭი გიორგი, მაგრამ, როგორც მკითხველს ახსოვს, მასალა ფარსაგი არ გამოდგა და უფრო ჩაიმშხვია უამისოდაც ჩატეხილი ხიდი. რისთვის მოკვდა ესრე უდროვოდ ეს ჯანსაღი და სოფლის თვალი ბიჭი? – იმისთვის, რომ თავადის ქალი შეიყვარა“.[4] ნაწარმოების მთავარ იდეას დავით კეზელი ასე აფასებს: „თვით ის აზრი, რომ სიყვარული, მიჯნურობა გაიდოს „გზად და ხიდად“ ამ ორს, გრძელი ისტორიული წეს-

---

[1] **მკითხველი [შიო დავითაშვილი]**, „ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვირვი“-ს. ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები, ტიფლისი, 1888.

[2] იქვე, გვ. 42.

[3] **დავით სოსლანი [დავით კეზელი]**, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა), ტფილისი, 1888.

[4] იქვე, გვ. 19.

წყობილებით ერთი-ერთმანეთზე დაშორებულ წოდებათა შორის, სათავეშივე ყალბი და შემცდარია. თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შერიგება და შეერთება ქალის სიყვარულით, გლეხის თავადთან დასიძებით არ მოხერხდება“.[1] აი, ასე მარტივად გაიგო სტატიის ავტორმა ის დიდი იდეა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ქართველი საზოგადოების განსასჯელად გამოიტანა.

ზოგადი დასკვნების გვერდით დავით კეზელი კონკრეტულ დასკვნებსაც აკეთებს. ილია ჭავჭავაძის ოპონენტი წერს: „ეხლა თქვენი ბედნიერი თვალით ჰხედავთ, რომ ბ. ჭავჭავაძე დაშორებულია გლეხობასთან არშიყობაზედ. პირიქით ჩვენ წინა სდგას თავადის სისხლის შეუბღალავობის დარაჯი გლეხის მყრალი სისხლით“.[2] აი, თურმე რატომ კვდება გიორგი, რატომ არ აცოცხლა იგი ილიამ! როგორც ჩანს, ილიასადმი ზიზღი დავით კეზელს გიორგისადმი ზიზღში გადაეზარდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება დავით კეზელის დასკვნა იმის თაობაზე, რომ გიორგის სიყვარული „სულის ავადმყოფობის ნიშანია. მისი სიყვარული შტოა ფსიხიატრიაში ესრედ წოდებული ეროტომანიისა“.[3] იმავეს იმეორებს ავტორი ცოტა ქვემოთ: „გიორგი სულით ავადმყოფია და, მაშასადამე, საგანია ფსიხიატრიისა და არა გმირი მოთხრობისა“.[4]

დავით კეზელი ერთმანეთს ადარებს ლევ ტოლსტოის გმირის, ანა კარენინას, და ილია ჭავჭავაძის გიორგის სიცოცხლის ფინალს – პირველმა თავი შეგნებულად მოიკლა, მეორე კი შემთხვევით დაიღუპა. ილიას განსაქიქებლად დავით კეზელი ამჯერადაც შემთხვევას არ უშვებს და წერს: „ანა კარენინა რომ მატარებელს შემთხვევით მოჰყოლოდა

---

[1] **დავით სოსლანი [დავით კეზელი]**, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა), ტფილისი, 1888, გვ. 19.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 20.

[4] იქვე.

და მომკვდარიყო, მაშინ ტოლსტოი ლიტერატურის ფინაჩი იქნებოდა და არა პირველხარისხოვანი რომანისტი“.[1] დავით კეზელი არ გათავხედებულა და არ დაუწერია, თუ ვინ იყო ამგვარი ლოგიკით ილია ჭავჭავაძე. ილიას მოშურნემ კარგად იცოდა, რომ მისი სტატიის მკითხველი დასკვნას ილიას სასარგებლოდ ისეც არ გააკეთებდა.

არც შიო დავითაშვილი და არც დავით კეზელი არ განეკუთვნებოდნენ იმ ადამიანების რიცხვს, „ჩატეხილი ხიდის“ იდეას ასე მარტივად რომ უყურებდნენ. ასეთ ადამიანებზე იტყოდა ილია: „კეთილი არ გვწამს, სული და გული ამოგვშრობია“.

§ 5 „ქართული პროგრესი“ (პარტიებად დაშლის სენი)

მაშ, რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი
ბ-ნი გ. წერეთელი და დაასკუპა
მუმიასავით მესამე დასის თავზედა?
ილია

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მზარდ გავლენას იძენდა ახალი ფენომენი – **პოლიტიკური პარტია.** პოლიტიკური პარტია გარკვეული სოციალური ფენის (ფენების) ინტერესების გამომხატველი იყო. ცოტა მოგვიანებით, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, პოლიტიკური პარტიების აღმოცენება იწყება რუსეთსა და საქართველოში. ამ პერიოდისათვის XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაწყებული დიდი ეროვნული მოძრაობა უკვე დაშლილი იყო, სულ მცირე, სამ მიმდინარეობად: **გაზეთ „ივ-**

[1] **დავით სოსლანი [დავით კეზელი]**, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა), ტფილისი, 1888, გვ. 20.

ერიის“ მიმდინარეობა (ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზ-რეები) საერთო-ქართული ეროვნული მოძრაობის იდეების ერთგული იყო და ეროვნული მოძრაობის ერთიანობის შენარ-ჩუნებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ; **გაზეთ „კვალის“ მიმდინარეობა** (გიორგი წერეთელი და მისი თანამოაზრეე-ბი) „ივერიის“ მიმდინარეობასთან თანამშრომლობას გამორ-იცხავდა და ქართულ სინამდვილეში ახალი იდეოლოგიის – ნაციონალ-სოციალიზმის დანერგვას ესწრაფოდა; **ჟურნალ „მოამბის“ მიმდინარეობა** (ნიკო ნიკოლაძე და მისი თანა-მოაზრეები) ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებით იყვნენ გატაცებულნი და საქართველოს მომავალს ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრებაში ხედავდნენ. ყოველივე ეს ძალზე აფიქრებდა ილიას. იგი კარგად ხედავდა, რომ დაშლის პრო-ცესი ამით არ დამთავრდებოდა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა ევროპის ქვეყნების გამოცდილება და, რაც მთავარია, ქართულ სინამდვილეში შექმნილი ვითარება.

პოლიტიკური პარტიების აღმოცენებით არავითარი სა-შიშროება არ ემუქრებოდა იმ ერებს, რომელთაც დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოებრიობა და შესაბამისი პოლიტიკური კულტურაც გააჩნდათ. სულ სხვა ვითარება იყო საქართ-ველოში. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართველ ერს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სოციალური გათიშულობა, სოციალურ ფენათა დაპირისპირება. წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იყო ერის დარაზმვა ერთი მიზნისათვის – დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ამჯერად კი სოციალური დაპირისპირები-დან მომდინარე საფრთხესთან ერთად ქართველ ერს პარტი-ული გათიშულობის, პარტიული დაპირისპირების საფრთხეც დაემუქრა.

ილია სერიოზულად იყო შეშფოთებული ქართველი ერის პარტიული ნიშნით გათიშვის საშიშროებით. 1895 წელს ილიამ საზღვარგარეთ მყოფ ნოე ჟორდანიას შეუკვეთა წერილების

სერია გერმანიაში პოლიტიკური პარტიების აღმოცენებისა და მოღვაწეობის შესახებ. ჩანს, ილიას სურდა, ღრმად და საფუძვლიანად გაეაზრებინა პოლიტიკური პარტიების ადგილი ერის (სახელმწიფოს) ცხოვრებაში. ნოე ჟორდანიამ შეკვეთა შეასრულა. „ივერიაში“ დაიწყო მისი წერილების ბეჭდვა გერმანიის პოლიტიკური პარტიების შესახებ. ილიამ მალე წერილების ბეჭდვა შეწყვიტა. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი ნოე ჟორდანიას მიერ სოციალურ პრობლემატიკაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება იყო. ნოე ჟორდანიამ ან ვერ აჩვენა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ან არ აჩვენა (რაც უფრო საფიქრებელია), რა იყო პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობაში **საერთო-ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი.**

ილიას ამ პერიოდშიც (XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანები), გაცილებით უფრო ადრეც და მომდევნო წლებშიც ურყევად სწამდა: **პოლიტიკური პარტიების აღმოცენება სოციალური დაპირისპირების ახალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავდა. პოლიტიკურ პარტიათა აღმოცენება გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე სოციალური დაპირისპირება, რადგან ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესების დაცვის უკან იმალებოდა ვიწრო პარტიული, კლანური, უფრო მეტიც, სექტანტური ინტერესებიც კი. პოლიტიკური პარტიის აღმოცენება თავისთავად უკვე ნიშნავდა საერთო-ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვებელყოფას.** ილია იმასაც კარგად ხედავდა, რომ დგებოდა დრო, როდესაც პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელ ფენომენად იქცეოდა. ეს ილიამ ნოე ჟორდანიას წერილებამდეც იცოდა, ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ კი საბოლოოდ დარწმუნდა: საქართველო ამ სენს თავს ვერ დააღწევდა.

ქართველი ერის პოლიტიკურ პარტიებად გათიშვის დასაწყისის მაუწყებელი იყო პირველი ქართული სოციალ-დე-

მოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ შექმნა (1892-1893 წწ.) და გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში“ (დაარსდა 1893 წ.) სოციალისტური იდეების პროპაგანდა. „მესამე დასისა“ და გაზეთ „კვალის“ სოციალისტურ გატაცებებს ილიამ მხოლოდ 1896 წელს უპასუხა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილით **„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“**. ეს იყო პირველი პუბლიცისტური წერილი, რომელშიც ილიამ პირდაპირ მიანიშნა პოლიტიკური პარტიების აღმოცენებიდან მომდინარე დიდ ეროვნულ საფრთხეზე. ამ დროიდან ილია ღიად დაუპირისპირდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამავე დროს ილიამ ეროვნული მოძრაობის ცნობილ მოღვაწეს, გიორგი წერეთელს, საჯაროდ დასდო ბრალი სოციალ-დემოკრატების მფარველობასა და წახალისებაში, ხოლო გიორგი წერეთლის „კვალი“ უშვერსიტყვაობით განთქმულ გაზეთად მონათლა. **აშკარაა, რომ ილიამ გიორგი წერეთელს ვერ აპატია სოციალისტური იდეებით გატაცება, სოციალ-დემოკრატების („მესამე დასის“) მფარველობა, ხოლო „კვალს“ – სოციალისტური იდეების პოპულარიზაცია, „ივერიასთან“ დაპირისპირება, ქართულ სინამდვილეში „ივერიის“ ადგილის დაკავების მცდელობა.**

წერილის დასაწყისში ილია, როდესაც მკითხველს მთავარი სათქმელის მოსასმენად ამზადებდა, ვითომდა შემთხვევით, სიტყვებს „ბოყინსა“ და „ზაფრას“ ახსენებს და ამ სიტყვებისათვის იქვე ბოდიშს იხდის: „კიდევ მოგახსენებთ, უკაცრაოდა ვარ-მეთქი“[1]. შემდეგ კი მოდის მთავარი სათქმელი: „მე ვხედავ, ბატონებო, რომ ჩემმა უკაცრაობამ თქვენ გაგაკვირვათ. ნუთუ ამ სიტყვას თქვენში ლილახანა წაუხდა და ხმარებისაგან განდევნილ იქმნა? არც საკვირველია. მე მგონია, ერთი დიდი საბუთი უნდა გქონდეთ, ეს უკაცრაო-

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 276.

ბა ჯვარს აცვათ და საიქიოს გაისტუმროთ. თუ ბოყინი და ზაფრა საბოდიშოა, თუ ამისთანა უმანკო სიტყვებისათვის უკაცრაობას მოვითხოვთ, მაშინ ხომ ჩვენმა სასიქადულო „კვალის“ რედაქციამ თავისი დუქან-ბაზარი უნდა აალაგოს, რადგანაც წლითი-წლობამდე, ყოველს საათს, წამ-და-უწუმ ამ უკაცრაობის თქმას მოუნდება. როდისღა მოიცლის იმ მშვენიერ და ტკბილ უშვერსიტყვაობისათვის, რომლითაც ასე სამართლიანად იტაცებს ჩვენს სულსა და გულს...“[1] ამის შემდეგ ილია მკითხველს შეახსენებს, რომ „კვალის“ იდეური მიმართულების განმსაზღვრელი გიორგი წერეთელია: „მე მესმის, ბატონებო, თქვენი საბუთიანი შიში, რომ ამ უკაცრაობას არ გადააყოლოს ბ-ნმა გ. წერეთელმა იგი ლაზათი, რომელიც ასე ამშვენებს „კვალსა“ და მით არ მოგაკლდეთ დიდი სიამოვნება „კვალის“ კითხვისა“.[2] ამის შემდეგ ილია ისევ „კვალის“ იდეურ ღირებულებაზე აგრძელებს საუბარს: „მართლაცდა, უკაცრაობის ცხრილში რომ გაატაროთ „კვალი“, რაღა დარჩება ძირს, რომ ვიკითხოთ, ვისწავლოთ და ვისიამოვნოთ ისე, როგორც დღეს ვკითხულობთ, ვსწავლობთ და ვსიამოვნებთ“.[3]

ყოველივე ზემოთქმული ილიას იმისათვის სჭირდება, რომ მკითხველს დაანახოს მთავარი, პოლიტიკურ პარტიათა აღმოცენებიდან მომდინარე დიდი ეროვნული საფრთხე: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II., თბ., 1941, გვ. 276-277.

[2] იქვე, გვ. 277.

[3] იქვე.

წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა-კი რა მოგახსენოთ“.[1] ამ შეუნიღბავი ირონიის მიზანი ნათელია: მკითხველმა გაიცნობიეროს, რა საშიშროება მოაქვს პარტიული ნიშნით ერის დაყოფას.

ილიამ ისიც შენიშნა, რომ პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური მიმდინარეობის ლიდერობა, რომელიმე პარტიული იდეოლოგიის მიზანდასახული პროპაგანდა ამბიციურობის დიდ დოზასაც შეიცავდა. ილიას აზრით, სწორედ ამბიციურობა ამოძრავებდა გიორგი წერეთელს: „ვიღაცამ წამოროშა, რომ თავის-თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჰღირსო. სტყუის, თქვენმა მზემ. მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი ბ-ნი გ. წერეთელი და დაასკუპა მუმიასავით „მესამე დასის“ თავზე?“[2]

ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ **პარტიული ინტერესების ერთგულებიდან სამშობლოს ღალატამდე ერთი ნაბიჯი იყო.** ილიამ „მესამე დასსა“ და მის ნათლიას გიორგი წერეთელს სწორედ სამშობლოს მოღალატის ბედი უწინასწარმეტყველა. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ირგვლივ ატეხილი დავის დასასრულს გიორგი წერეთლის თანამოაზრეთა ძალისხმევით მიღებული ანტიქართული დადგენილების კრიტიკისას ილია აღნიშნავდა: „ასეა თუ ისე, ბ-ნმა გ. წერეთელმა სიხარულით მაშინვე დეპეშა გაუგზავნა საიქიოს ნეტარხსენებულ კატკოვს და მიულოცა, რომ თუმც მოჰკვდი, შენის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობ მკვდარიო. ჩვენ,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 277.

[2] იქვე.

ქართველები, ძლივს მივწვდით შენს სიბრძნე-სიცრუესო. გიხაროდენ, მიხეილ ნიკიფოროვიჩ, შენ მანდ, ვითარცა მიხარიან აქ მე, გიორგი ექვთიმესძესაო. არ ვიცით-კი, ეს სასახელო დეპეშა მარტო თავისის სახელით გაუგზავნა ჩვენმა ღვთით ბედნიერად ბრძანებულმა გ. წერეთელმა, თუ მესამე დასის სახელითაც".[1]

პარტიობის სენი სულ უფრო სერიოზულად ღრღნიდა ქართველი ერის სხეულს. პარტიული ინტერესები ნთქავდა ეროვნულ იდეალებს.

§ 6. „მე ბევრი რამ კარგი მჭირს" (უარმყოფლობა საქართველოში)

ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში,
ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში,
რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო!
ილია

ღვთისაგან დაკისრებული მისიის აღსრულებას რომ იწყებდა, ილიამ კარგად იცოდა, რომ მოწამის გზით უნდა ევლო. ვისთვისაც უნდა წამებულიყო, „პირველ ქვას" სწორედ ის ესროდა, ის უარყოფდა. უარმყოფელთაგან შეურაცხყოფილი ილია ირონიული ღიმილით შეჰყურებდა ცოდვით დაცემულთა ნამოქმედარს, ხსნის გზას სთავაზობდა და როცა სამაგიეროდ კვლავ შეურაცხყოფდნენ, ისევ ირონიულად მიმართავდა: „მე, ბატონებო, ასეც მჩვარში ნუ გამხვევთ. მე ბევრი რამ კარგი მჭირს".[2] ყურად არავინ იღო. ილიას უარმყოფლების გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა. ცხადია,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 284.
[2] იქვე, გვ. 277.

ილია ყველას ვერ უპასუხებდა. ერთი შემთხვევის გამო კი ოთხ მათგანს (გიორგი წერეთელს, მიხეილ მაჩაბელს, ივანე მაჩაბელსა და ილია ხონელს) მისთვის ჩვეული ირონიით ასე უპასუხა: „ეხლა რაკი გამომეცნაურეთ, მე აღარაფრის შიში მაქვს. უსათუოდ ჩემთან ერთად იტყვით, რომ მე, ესე იგი თქვენს ყურმოჭრილს მოსამსახურეს, ყოველი ის სიკეთე მჭირს, რაც საჭიროა მეოთხე დასის მეთაურობისათვის. ხუმრობაა, ერთს კაცს წილად ჰრგებოდეს უშვერსიტყვაობა გ. წერეთლისა, ყბედსიტყვაობა თ. მ. მაჩაბლისა, ფუღურსიტყვაობა თ. ი. მაჩაბლისა! მართალია, ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სამივე ერთად დომხალსავით რომ აურიო, კარგად დაზილო და ერთს კეცზედ გამოაცხო, ის გამოვაო, რასაც რუსები „ნულს“ ეძახიან, ფრანგები „ზეროს“ და ქართველები ილია ხონელს“.[1]

ილიას პირველობას ვერ იტანდნენ, მისი პოპულარობა შურდათ. ერთ-ერთ წერილში ილიამ სიტყვა „არაკის“ წარმომავლობა განმარტა, რის შემდეგაც თავისი „აღმოჩენის“ დაცვის მიზნით მკითხველს ასე მიმართა: „აქაც გთხოვთ, მემოწმენით, თორემ ამასაც ხელიდამ გამომგლეჯს ჩვენი გ. წერეთელი, ეგ სიტყვა პირველად მე ავხსენიო და დავიღუპე ხომ კაკალი კაცი. მესამე დასი ხომ დაუჯერებს და დაუჯერებს და ერთ ადლზე კიდევ მაღლა აასკუპებს თავისს მეთაურს“.[2] მეორეგან ილიამ მკითხველს „სიბრძნე-სიცრუის“ არსი განუმარტა და იქვე დასძინა: „გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩემებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ესეთია მისი საქე-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე, **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 279.

[2] იქვე, გვ. 281.

ბარი ზნე-ჩვეულება“.[1] ილიასათვის დამახასიათებელი იუმორით ნათქვამი სიტყვების უკან რა დიდი მწარე სიმართლე, მოყვასისაგან მიყენებული რამდენი წყენა იმალებოდა!

ილიას უარყოფა, მისი ღვთიური მისიის დაუნახაობა ძველი თაობიდან უცვლელად მიიღო ახალმა თაობამ. თავად ილიას ცნებები „ძველი თაობა“ და „ახალი თაობა“ ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებულად ესმოდა. ამ საკითხს ილია ეხება 1892 წელს დაწერილ ნაშრომში **„წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“.** ილია სვამს კითხვას: „მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა – და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება, – მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა და მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი“.[2] ქვემოთ ილია საკითხს ამარტივებს, უფრო კონკრეტულ დასკვნას აკეთებს: „ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკუათმყოფელი მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 280.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 73.

მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?“[1] პირველი დასკვნა, რომელსაც ილია აკეთებს, ასეთია: „ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ“.[2] აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს მორიგი, მთავარი, დასკვნა: „დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ; რას ითხოვდა წინადღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა“.[3] აი, ამ კრიტერიუმით აფასებდა ილია როგორც ძველ, ისე ახალ თაობას.

თერგდალეულთა (სამოციანელთა) მომდევნო თაობას 1883 წელს ილია ასე ახასიათებდა: „ეს ათი-თორმეტი წელიწადია, რაც ჩვენს მწერლებს ერთი საკვირველი ჩვეულება დასჩემდათ: გამოსდგამს ფეხს თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ, ყველაზედ უწინარეს ამას დაიძახებს ხოლმე: ვინც ჩემზე წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნიო; ჩვენ წინ-მიმავალნი ვართ და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო და თუ გინდათ, „ბოლოზედ ჩასჭიდეთ ხელიო“ და სხვანი“.[4] იქვე ილია ერთ კიდევ უფრო მეტად უარყოფით მოვლენაზე მიანიშნებს: „ამას კიდევ კაცი, როგორც იქნება, აიტანდა, მაგრამ ვაი ეს არის, რომ ამ ბოლოს დროს ამ ჩვეულებამ იბარტყა და ერთი სხვა ჭირიც გააჩინა: გინდათ თუ არა, მიცანით, რომ გენიოსი ვარო და წინამორბედი ახლის დროისა, ახლის მოძღვრებისაო, სუფრაზე პირველი სადღეგრძელო

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] იქვე.

[4] **ილია ჭავჭავაძე**, მითამ და „ახალი რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 161.

ჩემი დალიეთო...“[1] ილია ზემოთ ხსენებულ სენს საზოგადო სენად თვლის, თუმცა მთლიანად ახალ თაობას არ უარყოფს: „ჩვენ საზოგადოდ ახალ თაობას კი არ ვყოფთ უარს, არამედ იმას, ვინც მაგ სახელს ფართი-ფურთობისათვის ტყუილად იჩემებს. – ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო“.[2]

ილიას შესანიშნავად ესმოდა, რომ ახალგაზრდა მოღვაწის, მწერალი იქნებოდა ის, თუ პოლიტიკოსი, საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამ სირთულის შესახებ წერდა ილია 1886 წელს: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახლის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია...“[3]

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მატულობდა სამოციანელთა (თერგდალეულთა) იდეების, და, პირველ რიგში, ილიას ღვაწლის უარყოფა. ამით შეშფოთებული ილია 1888 წელს წერდა: „თერგ-დალეულმა მოგვცა, რისიც მოცემა შეძლო, და გზა დაუთმო ახალს თაობას, რომელიც დღეს ჰმოქმედებს მწერლობასა და საზოგადოებაში. აქ იწყება ახალი ხანა ჩვენის ვითარებისა; სამწერლო თუ საზოგადო სარბიელზე გამოვიდა სულით და გულით ფუჭი და უღონო, გონებით

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, მითამ და „ახალი რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 170

[3] **ილია ჭავჭავაძე**, ახალი დასის მოლოდინში. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 172.

გაუხსნელი და დროის შესაფერად მოუმზადებელი თაობა, რომლის შუბლის ბეჭედი „გულგრილობა და მლიქვნელობაა“. ამ თაობამ კარგად და საფუძვლიანად არ იცის არც უცხო მწერლობა და მეცნიერება და არც საკუთარი ვითარება“.[1] ეს იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი. საქართველოში სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან და 90-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო ეროვნული ღირებულებების უარყოფა, ილიას გზის გმობა, ერის დაყოფა პარტიებად. ყოველივე ამან ქართველი ერი 1905-1907 წლების სასაკლაოს გავლით 1921 წლის კატასტროფამდე მიიყვანა, იმ კატასტროფამდე, რომლის თავიდან აცილება ილიას მკვლელობის შემდეგ აღარ შეიძლებოდა.

ახალ თაობაზე ზოგადად საუბრიდან 1900 წელს ილია კონკრეტული ადამიანების მხილებაზე გადავიდა. უფრო ზუსტად, ამ წელს იგი პოლემიკაში ახალგაზრდა თაობის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ გამოიწვია. ნოე ჟორდანიამ სამიზნედ ილიას „ივერია“, მისი იდეური მიმართულება აირჩია და „ივერია“ ბნელეთის მოციქულად წარმოადგინა. ეს, ცხადია, მხოლოდ „ივერიის“ ღვაწლის უარყოფა არ იყო, ეს იყო სამოციანელთა (თერგდალეულთა) ღვაწლის უარყოფა, ილიას გზის გმობა. ილიამ გამოწვევა მიიღო. ნოე ჟორდანიას საპასუხოდ დაწერილი ოთხი წერილი ილიამ ასე დაასათაურა: **„უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნი ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი“.** წერილები ილიამ „ივერიაში“ **„ახალ-მოსულის“** ფსევდონიმით დაბეჭდა.[2] ილია ნოე ჟორდანიას

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, „თერგ-დალეულნი“ და ახალი თაობა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 175.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 241-295.

თვისებათაგან გამოყოფს ისეთ უარყოფით მხარეებს, როგორიცაა: ქედმაღლობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა, ტრაბახი, თვალთმაქცობა. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ილიას წერილებიდან: „ბ-ნი ნოე ჟორდანია თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკით და ნაღარით იქადის: რაცა ვარ მე ვარო. დეე იძახოს, ამით არავის არც არაფერი დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებით თავმოწონებულს პუბლიცისტსა, მით უფრო, რომ რუსული ანდაზისა არ იყოს, – დეე ბალღებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენ";[1] „ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-მა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა-კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულა თავისი-თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებისა და ნებისაებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა";[2] „ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისნაირები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალსავით ხეზე შემჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ და თქვენ ძირს იყეფეთ და სოფელი აშენდებაო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუღარ დამიდებენ, არ დავემდურები".[3] ილიამ ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს ასეთი განაჩენი გამოუტანა: „ბაქიაობა, კვეხნა, თავის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავისს ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, უმეცრების ფართი-ფურთი. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 243.

[2] იქვე, გვ. 242

[3] იქვე, გვ, 243.

მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამის დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა".[1]

ილიას გზის უარყოფით თავი მარტო სოციალ-დემოკრატებს არ გამოუჩენიათ. ეს საერთო სენი იყო. 1901 წელს დაწერილ ნაშრომში „პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე" არჩილ ჯორჯაძემ ილიას აშკარად დაუწუნა ეკონომიკური და სოციალური პროგრამა, ასევე ეჭვქვეშ დააყენა მისი დემოკრატიზმი. ხსენებული ნაშრომი იმ ხანებში არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, ილიას შეუმჩნეველი არ დარჩენია ის, რომ არჩილ ჯორჯაძე ვერ გადაურჩა ახალგაზრდა თაობისათვის დამახასიათებელ სენს – **უარმყოფლობას**. ცხადია, ილიას ისიც ეცოდინებოდა, რომ, მიუხედავად უარმყოფლობით გატაცებისა, ახალგაზრდა თაობაში არჩილ ჯორჯაძე ილიას ყველაზე დიდი დამფასებელი იყო. ილიამ საზოგადოებისათვის სახიფათოდ ჩათვალა არჩილ ჯორჯაძის სოციალური შეხედულებანი. ილიას მიუღებლად მიაჩნდა ახალგაზრდა თაობის მეორე წარმომადგენლის – ივანე გომართელის – სოციალური შეხედულებანიც. ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება ილიამ გამოხატა 1902 წელს გამოქვეყნებულ წერილში – **„ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია".** ილია ასე ახასიათებს არჩილ ჯორჯაძეს: „ხომ იცით, ვინა ბრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც

---

[1]**ილია ჭავჭავაძე**, უმეცრების ფართი-ფურთი. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ, 243-244.

ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანაებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო; მიხვედრა ძველებისაა, გაჩხრეკაკი ახლებისაო".[1] კიდევ უფრო დიდი ირონიაა ილიას შემდეგ სიტყვებში: „აი, ღმერთმა აცოცხლოს არჩილ ჯორჯაძე, მისი ახალი მიმართულება, მისი ახალი მეცნიერება და მისი ახალი ფსიხოლოგია. ვერ წარმოიდგენ, ქვეყანას რა დოვანი დასცემია, რა იღბალი ჰქონია და დღეს-აქამომდე-კი არა სცოდნია".[2] საბოლოო შეფასებაც ილიასეული მწარე იუმორითაა შეზავებული: „ეხლა სწორედ გითხრა, არ ვიცი, – რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მირბის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ" – ბ-ნი გომართელი, თუ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს-კი ვიცი, რომ ეს მეოცე საუკუნე ჩვენ, ქართველებს, კარგს ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებედა: ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვევლინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგი – ჯორჯაძე"[3].

სხვა სენთა მსგავსად უარმყოფლობის სენიც უკურნებელი აღმოჩნდა.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 300.

[2] იქვე, გვ. 302-303.

[3] იქვე, გვ. 304.

§7. „ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (სოციალიზმის ბუნება)

„ეხლანდელი დრო დროა სიბრძნე-სიცრუისა, მე ვამბობ ჩვენი, ესე იგი ქართველების, დროა-მეთქი“.
ილია

ილიამ თავისი ცნობილი პუბლიცისტური წერილი **„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“** 1896 წელს გამოაქვეყნა. წერილი სამი ლექციის სახით არის წარმოდგენილი (ვითომ ავტორი ლექციით გამოდის აუდიტორიის წინაშე). ამ დროისათვის პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ რამდენიმე წლის შექმნილი იყო. საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი „მესამე დასის“ პროგრამა და ამ ორგანიზაციის ლიდერის (ნოე ჟორდანიას), ასევე სხვა სოციალ-დემოკრატების (სილიბისტრო ჯიბლაძის, ეგნატე ნინოშვილის, ფილიპე მახარაძის, პეტრე გელეიშვილის) საპროგრამო ხასიათის პუბლიკაციები. მესამედასელთა საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრებას აშკარად უწყობდა ხელს გიორგი წერეთელი, რომელიც გაზეთ „კვალში“ სისტემატურად ბეჭდავდა სოციალისტური ხასიათის პუბლიკაციებს. ილიას „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ სწორედ გიორგი წერეთლის, „მესამე დასისა“ და გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. პრაქტიკულად, ილია ებრძოდა სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) იდეოლოგიის დამკვიდრებას ქართულ სინამდვილეში. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებისათვის ცხადი იყო, რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სოციალისტური იდეოლოგია უქმნიდა.

ერთი შეხედვით, უცნაურია: რატომ არაფერს ამბობს ილია სოციალიზმის ბუნების შესახებ მაშინ, როცა ქართველ სოციალისტებს მიწასთან ასწორებს? ამას შეიძლება ერთადერთი ახსნა ჰქონდეს: ილიამ კარგად იცოდა, თუ რა დიდ

ძალას წარმოადგენდნენ სოციალისტები ევროპასა და რუსეთში, ამ მოძრაობასთან ღიად დაპირისპირება საშიში იყო. აღსანიშნავია, რომ წერილი ილიამ „ივერიაში“ **„ჯიბრაელის“** ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ილია არა მარტო არ აკრიტიკებს სოციალიზმს, არამედ არც კი ახსენებს მას, მკითხველს არ განუმარტავს სოციალიზმის ბუნებას. თუ ღრმად ჩავუკვირდებით ილიას პუბლიცისტურ წერილს „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, აშკარა გახდება, რომ **სოციალიზმის** ნაცვლად ილია ხმარობს **„სიბრძნე-სიცრუეს“**. შემთხვევითი არ არის, რომ „სიბრძნე-სიცრუის“ მნიშვნელობა ილიას წერილის დასაწყისში არ განუმარტავს. მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთლის, გაზეთ „კვალისა“ და „მესამე დასის“ საფუძვლიან კრიტიკას მორჩა, ილია, თითქოს უადგილოდ, ასე მიმართავს მკითხველს: „ეხლა დროა შევუდგეთ ჩემის ლექციის საგანს. სმენა და გაგონება!..“[1] როგორც ვხედავთ, ილია საგანგებოდ ამზადებს აუდიტორიას (სინამდვილეში მკითხველს) და მხოლოდ ამის შემდეგ აცხადებს: „საგანი ჩემის ლექციებისა არის ეხლანდელი ჩვენი სიბრძნე-სიცრუე“.[2] სიბრძნე-სიცრუის თემა, მისი არსი და დანიშნულება ქართველი მკითხველისათვის შესანიშნავად იყო ცნობილი, მაგრამ ილია „სიბრძნე-სიცრუეს“ სულხან-საბა ორბელიანისეული გაგებით არ იყენებს. ასე რომ ნდომოდა, წერილის სათაურში არ იქნებოდა სიტყვები „ჩვენი“ და „ეხლანდელი“. ცხადია, ილია უკვე სათაურიდანვე ამცნობს მკითხველს, რომ საუბარი იქნებოდა არა „სიბრძნე-სიცრუის“ ტრადიციულ (სულხან-საბა ორბელიანისეულ) გაგებაზე, არამედ სხვა „სიბრძნე-სიცრუეზე“ – „ეხლანდელ“ (XIX საუკუნის 90-იანი წლების) „სიბრძნე-სიცრუეზე“. ილია იმთავითვე გრძნობ-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 279.

[2] იქვე.

და, წერილის სათაურს შეიძლებოდა მკითხველი დაებნია, რადგან ქართველ მკითხველს „ძველი“ „სიბრძნე-სიცრუის“ არსი და დანიშნულება კარგად ესმოდა, „ახლისა“ კი – არა. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ილია წერს: „იქნება ამ სათაურმა გაგაოცათ. მე იმდენი თქვენი გაოცება არ მინდა, რამდენიც ის, რომ ამ უთავბოლო დრო-ჟამს, როცა ჩვენში დავთრები აირია, როცა ძაღლს, უკაცრავად არ ვიყო, პატრონი ვერ უცვნია და პატრონს – ძაღლი, შესაფერი სახელი რამ დაერქვას. მე ვამტკიცებ, რომ ეხლანდელი დრო დროა სიბრძნე-სიცრუისა, მე ვამბობ ჩვენი, ესე იგი ქართველების დროა-მეთქი ასეთი. სხვებთან მე საქმე არა მაქვს. ყველა ერს ეხლანდელს დროში იმდენი თავისი საკუთარი თავში საცემი აქვს, რომ ძნელია სხვისთვის მოიცალოს ვინმემ. მაინც-და-მაინც, დეე სხვამ თავისი იცოდეს, ჩვენ ჩვენი უნდა შევიტყოთ“.[1] „ეხლანდელი“ „სიბრძნე-სიცრუის“ განმარტების შემდეგ ილია მისთვის დამახასიათებელი ირონიით მოულოდნელად ისევ გიორგი წერეთელს ახსენებს: „გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს (ე. ი. „ეხლანდელ „სიბრძნე-სიცრუეს“ – **ვ. გ.**) პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩემებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ასეთია მისი საქებარი ზნე-ჩვეულება“[2].

ილია აღნიშნავს: გიორგი წერეთელს პირველობის დაჩემება სჩვევიაო („სახელს პირველობისას ის დაიჩემებს“). გიორგი წერეთელი, მართლაც, იჩემებდა, რომ მან პირველმა დაინახა სოციალიზმის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის აუცილებლობა და კიდეც მიაღწია მიზანს.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 279-280.

[2] იქვე, გვ. 280.

ზემოთ მოტანილი მასალა და მისი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ **„ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ ილია სწორედ სოციალიზმს უწოდებს, სოციალიზმს მიიჩნევს ახალი დროის სიბრძნე-სიცრუედ.**

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ილიას წერილის კიდევ ერთი ადგილი, სადაც იგი უკვე აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეს“ და „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“ ილიას ასე აქვს წარმოდგენილი: „საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“[1]. „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ ილია ასეა ახასიათებს: „მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს სასიქადულო „მესამე დასის“ ჟურნალში, ბ-ნი გ. წერეთლის თავმოსაწონებელ კვალში, და რომელშიაც იგივე ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 280.

ტყუილების წიწილებს და ყოველ-კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად“.[1]

„მესამე დასი“ და „კვალი“ სოციალიზმის იდეების ერთგული მიმდევრები და აქტიური პროპაგანდისტები იყვნენ, მესამედასელები – თავგადაკლული სოციალისტები (სოციალ-დემოკრატები). თუ ილია პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ (სოციალისტურ) ორგანიზაციას – „მესამე დასს“ – ისეთ ორგანიზაციად მიიჩნევს, სადაც „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ დაუსადგურებია, მაშინ უდავო უნდა იყოს: **სოციალიზმი – ეს არის ახალი დროის, ანუ „ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“.**

მეტად საინტერესოა, თუ რომელი ეპითეტებით ახასიათებს ილია სოციალიზმს. ილიას აზრით, სოციალიზმი **„სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს;“ „ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით;“ „საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან;“ „სიცრუის მთქმელს** (ანუ სოციალიზმის მიმდევარს – ვ. გ.) **უფრო სთხრის და აუწმინდურებს“.**

„მესამე დასის“, „კვალისა“ და საერთოდ ქართველი სოციალ-დემოკრატების მომაკვდინებელი დახასიათება მოგვცა ილია ჭავჭავაძემ 1900 წელს დაწერილ პამფლეტში **„სიმვოლო სარწმუნოებისა“.** პამფლეტის გამოქვეყნებისაგან იმხანად ილიამ თავი შეიკავა. იგი პირველად დაწერიდან ოთხმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გამოქვეყნდა.[2] ქრისტიანების სარწმუნოების სიმბოლო, ანუ მრწამსი, თორმეტი მუხლისაგან შედგება. ილიამ ქართველი სოციალ-დემოკრატების – მესამედასელების სარწმუნოების სიმბოლოც

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 280.

[2] სიმვოლო სარწმუნოებისა, ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ნარკვევი დაურთეს **აპოლონ სილაგაძემ** და **ვახტანგ გურულმა,** თბ., 1997.

თორმეტ მუხლად წარმოადგინა. პირველი მუხლი ღმერთის ხსენების ნაცვლად კარლ მარქსის ხსენებით იწყება: „მრწამს ერთი მარკსი, ტომით ურიასტანელი, თავბრუდამსხმელი ყოველთა უმეცრებით-მოცულთა ჩჩვილთა და უპოვართა, მოჯადოებული სახელ-განთქმულისა გეგელის მიერ, მამა-შემქმნელი ყოვლისა მეცნიერებისა, არსისა და უარსისა“.[1] მეორე მუხლში უკვე ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, გიორგი წერეთელი და ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) იხსენიებიან: „და ერთი ოდენ ჭეშმარიტი მოციქული მისი (ე. ი. კარლ მარქსის – ვ. გ.) ჟორდანია, გურჯისტანელ მარკსად წოდებული, რომელი მარკსისაგან გამოვალს, მის მიერვე გაცოფებულ არს მსგავსად ჯიბლაძისა და მისთანათა, უარმყოფელი ყოველთა მეცნიერთა გარეშე მისსა, რომელი ჩვენის დასის თავად აღსაარებულ და ხელ-დასხმულ იქნა წინასწარმეტყველის გიორგის მიერ უწინარეს დაბადებისა მისისა, ჟამსა მას გოდებისასა, დასაფლავებასა ზედა ინგოროყვასასა“.[2] მეოთხე მუხლი, მართალია, ნოე ჟორდანიას ეხება, მაგრამ შესანიშნავად წარმოაჩენს ქართველი სოციალ-დემოკრატების ბუნებას: „რომელი ჟამსა ამას არა ჯვარცმულ არს, არცა ვნებულ და არცა დაფლულ მსგავსად წინამორბედისა მისისა, არამედ ჯვარმცმელ არს ყოველთა მათ, რომელნიცა არიან გარეშე ჩვენსა“.[3] მეათე მუხლში ქართველ სოციალ-დემოკრატთა „მრწამსი“ ამგვარი სარკაზმით არის გადმოცემული: „აღვიარებ ერთსა ოდენ მცნებასა გაჟორდანიებულის მარკსისა და გამარკსებულის ჟორდანიასასა მოსატევებელად ყოველთა ცოდვათა, ურიგობათა, უწესობათა და სულელობათა“.[4] მეთერთმეტე მუხლი ქართველი სოციალ-დემოკრატების ნატვრას წარმოადგენს: „მოველი

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, სიმვოლო სარწმუნოებისა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XV, თბ., 2007, გვ. 456.

[2] იქვე, გვ. 456.

[3] იქვე, გვ. 457.

[4] იქვე.

სასოებით დამხობასა ყოველთა წოდებათა და ეროვნებათა და უწინარეს ყოველთა გურჯისტანის განადგურებასაცა“.[1]

„სიმვოლო სარწმუნოებისა“ როგორც ფორმით, ისე შინაარსით უნიკალური მოვლენა იყო ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში. მცირე ზომის პამფლეტში ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად წარმოაჩინა მესამედასელების, ქართველი სოციალ-დემოკრატების ბუნება, მიანიშნა მათგან მომდინარე დიდ ეროვნულ საფრთხეზე.

§ 8. „იმიტომ, რომ ქართველია“ (ზღვარგადასული დიდი კაცები)

ვინ არის უფროსი:
რომელი ინაჯით-ზის
ანუ რომელი ჰმსახურებს?
***ლუკა,** 22, 27.*

ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი ერთ უღელს ეწეოდნენ. ერთმანეთის ფასიც კარგად იცოდნენ და ძალაც. ისიც კარგად უწყოდნენ, რომ მათი უთანხმოებით, მით უმეტეს, დაპირისპირებით, მტერი დაუყოვნებლივ ისარგებლებდა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტი თავიდან ვერ აიცილეს. უფრო მეტიც, იგი პიროვნების შეურაცხყოფაში გადაიზარდა და დიდად ავნო ქართულ საქმეს. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ორი დიდი მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე მაჩაბლის **ფორმითა და შინაარსით მიუღებელ გამოსვლებზე** ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, სიმვოლო სარწმუნოებისა. **ილია ჭავჭავაძე,** თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XV, თბ., 2007, გვ. 457.

გაზეთ „დროების“ 1877 წლის 16 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის წერილი: **„სირაჯი-პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში)“.**[1] მართალია, წერილში ილია ჭავჭავაძე ნახსენები არ არის, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სირაჯ-პოეტში ნიკო ნიკოლაძე სწორედ ილია ჭავჭავაძეს გულისხმობს.[2] ნიკო ნიკოლაძე ერთმანეთს უპირისპირებს ნიკოლოზ ბარათაშვილს (პოეტის ეტალონს) და ილია ჭავჭავაძეს (სირაჯ-პოეტს). თავის პოზიციას ნიკო ნიკოლაძე ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიმართვაში გამოხატავს. პრაქტიკულად, ყველა მიმართვა ილია ჭავჭავაძის განქიქებისათვის არის გამიზნული. აი, ერთ-ერთი მათგანი: „შენის სიკვდილის შემდეგ, ძმაო, ქვეყანა შეიცვალა და პოეტებმა „ჭკუა ისწავლეს“. – რისი „სხივიო“, სადაური გვირგვინიო, ჰფიქრობს დღევანდელი პოეტი: არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში, და თავის თავს კი არა არგოსო. ის დღეს იმას ცდილობს, რომ გზა თელილი, შენგან ნავალი თვითონ მოსვენებით გაიაროს, და სხვებისათვის კი დახშოს და გადაღობოს. აი, ძმაო, ამასავით უნდა გეცხოვრა და გემოქმედა, „ჭკუა რომ გქონოდა!“[3]

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ნიკო ნიკოლაძე ზოგადად პოეტებზე საუბრობს, თუმცა ცხადია, რომ „სხვებისათვის“ გზის „დამხშობსა“ და „გადამღობში“ ილია ჭავჭავაძეს გულისხმობდა. ქვემოთ ნიკო ნიკოლაძემ კიდევ უფრო აშკარად მიანიშნა ილია ჭავჭავაძეზე. აი, როგორ მიმართავს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს: „ჭკუა რომ გქონოდა, შენ დაი-

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე,** სირაჯი პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში). გაზეთი **„დროება“,** 1877, №18, 16 თებერვალი. **ნიკო ნიკოლაძე,** თხზულებანი, პროფ. დ. მ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, ტომი V, თბ., 1966, გვ. 51-56.

[2] ამ აზრს იზიარებდა პროფ. დავით გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძის თხზულების გამომცემელი.

[3] **ნიკო ნიკოლაძე**, სირაჯი პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში). **ნიკო ნიკოლაძე,** თხზულებანი, ტომი V, თბ., 1966, გვ. 53.

წყებდი შენს „კარიერას“ ლექსების წერით რომელიმე გამოჩენილი პოეტის კილოზე, და ექვს სიტყვას არ იტყოდი ისე, რომ შიგ „ჰოი მამულო, დაღუპულო“ არ გეხსენებია, ანა და არ გამოგეთქვა, რომ შენს მეტს მამული არავის უყვარს“.[1] აშკარად ილიაზე მიანიშნებს წერილის ეს ადგილიც: „მერე წამოიწყებდი ჟურნალის გამოცემას და მთელი წლის განმავლობაში ქვეყანას იმას უქადაგებდი, რომ თანამგრძნობელი არავინა გყავს, არც არავინ გეხმარება, და მარტო შენ სწევ ქვეყნის ჭაპანს“.[2] დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ ნიკო ნიკოლაძე, ამ შემთხვევაში, ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ გულისხმობდა, რომელსაც ილია ერთი წლის (1863 წ.) განმავლობაში სცემდა. 1864 წელს ილიამ ჟურნალის გამოცემა შეწყვიტა. ნიკო ნიკოლაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს ამჯერად ასე მიმართავს: „თუ დაინახავდი, რომ ჟურნალი შემოსავლიანი საქმე როდი ყოფილა, რომ ის მწერლისაგან წერის გარდა, ათასნაირ სხვა ჯაფას და ხარჯს თხოულობს, მაშინ, რასაკვირველია, ჟურნალს უკუაგდებდი და სხვა სამსახურში შერგავდი თავს, სადაც შენი მწერლობის რეპუტაცია ხეირიანს ადგილს გაშოვნინებდა“.[3] ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ნათელია: ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ დანიშვნას გულისხმობდა (1868 წ.). დუშეთიდან თბილისში ილიას დაბრუნებას (1873 წ.) ნიკო ნიკოლაძე ასე წარმოგვიდგენს: „მაშინ შენ შეუპოვრად გამოხვიდოდი საზოგადო სამსახურის ასპარეზზე, და საზოგადო სიკეთის სურვილი შენში იქამდე გაძლიერდებოდა, რომ შენ იკისრებდი იმისთანა საქმეს, რომლისთვისაც დამზადებული არ იყავი. მიიღებდი მაშინ დღეში ერთი საათი შრომისათვის დიდძალ სასყიდელს. დროც ბევრი გექნებო-

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე**, სირაჯი პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში). **ნიკო ნიკოლაძე,** თხზულებანი, ტომი V, თბ., 1966, გვ. 53.

[2] იქვე.

[3] იქვე.

და მაშინ და თავისუფლებაც. კუჭიც მაძღარი გექნებოდა და თვალიც“.[1] ამ შემთხვევაშიც დიდი გამჭრიახობა არ იყო იმის მისახვედრად საჭირო, რომ ნიკო ნიკოლაძე თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნაში ილიას მონაწილეობას გულისხმობდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიმართვაში ილიას მოღვაწეობის შემდგომ პერიოდს ნიკო ნიკოლაძე ასე წარმოგვიდგენს: „მაგრამ მაშინ დაინახავდი, რომ ნიჭიც, როგორც ყველაფერი ამ წუთიერ დედა-მიწაზე, წუთიერი და წარმავალი ყოფილა. მოინდომებდი ისევ წერას, მაგრამ ბევრი ოფლის ღვრისა და კვნესა-ტანჯვის შემდეგ დაინახავდი, რომ ვეღარაფერს გამოსწურავ შიგნით დამჭკნარ და გარედან ქონმოდებულ გულისგან. როცა კარგად დარწმუნდებოდი, რომ ათის წლის უაზრო ცხოვრებას მოუკლავს შენში გონების სიფხიზლე და ჭკუის ძალა, მაშინ ნაცნობს და უცნობს იმის შეჩივლებას დაუწყებდი, რომ საზოგადო სამსახური ერთ ფიორა თავისუფალ დროს არ გიტოვებს, და ეს გარემოება წერას გიშლის. დაე, უსაქმოდ დაიარებოდე დილიდამ საღამომდე, დაე, ნიადაგ გამართული გქონდეს პატიჟობა და სტუმრობა, და დილა-საღამოს ჭადრაკისა და ბანქოს თამაშში ატარებდე, შენ ნიადაგ ის უნდა იძახო, დრო არა მაქვს, ჯაფას ვერ უძლებო“.[2]

ნიკო ნიკოლაძის ცილისწამება ყოველგვარ ზღვარს გადადის, როცა ილიას ახასიათებს როგორც ხარბსა და გაუმაძღარ მოძალადეს: „მაშინ, ძმაო, შეგეძლებოდა ლაგამი აგეხსნა შენი ბუნებისა და სიხარბისათვის, და დაუფარავად გამოდგომოდი აქაური წუთიერი განძის ძიებას. ჩინებულად მოუვლიდი მაშინ შენს მამულს, და სხვისასაც ოსტატურად დაეპატრონებოდი. შენგან აღწერილ „საბრალო გლეხებს“ და

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე**, სირაჯი პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში). **ნიკო ნიკოლაძე,** თხზულებანი, ტომი V, თბ., 1966, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 53.

„უბედურ მუშებს“ ლაზათიანად დაბეგრავდი და მოსთოკავდი, რომ უადვილესად გამოგეწურა მათგან ნაშრომი“.[1]

ნიკო ნიკოლაძე ილიას განსაქიქებლად უკან არაფერზე იხევს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილიას შემოსავლის ნაწილს ღვინის გაყიდვის შედეგად მიღებული ფული შეადგენდა. ეს იმხანად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ღვინოს ყიდდა მემამულეთა უმრავლესობა. ეს ამბავი ნიკო ნიკოლაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიმართვაში ასეთი უკადრისი ფორმით წარმოადგინა: „შენ მოინდომებდი მიკირტუმ გასპარიჩების თვალშიაც ამაღლებას. ამისთვის შეაგროვებდი ალაზნის პირზე გლეხებისგან ბეგრად გამორთმეულ ღვინოებს, და ჩამოიტანდი ქალაქში, სადაც მათ გასასყიდად ღვინის მარანსაც გახსნიდი. გაკვირდებოდნენ მაშინ პოღოს არტემიჩები და პეტრუზ მინაიჩები და იტყოდნენ: „ვა, ეს პოეტი კი არა, მუცელი მუცელთაგან ჩვენთა ყოფილაო“.[2]

ნიკო ნიკოლაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს ასეთ ცინიკურ „რჩევას“ აძლევს: „გიჯობდა სირაჯ-პოეტად გამოსულიყავი დედიშენის მუცლიდან: მაშინ ჩვენებური, სირაჯული, ჭკუა გამოგყვებოდა, და შეიქნებოდი სიცოცხლეშივე ქებული, ამაღლებული და ჩასუქებული...“[3]

ილია ჭავჭავაძისთვის რომ ეკითხა ვინმეს, თუ რატომ იქცეოდა ასე უღირსად ნიკო ნიკოლაძე, ილია მშვიდად უპასუხებდა: **„იმიტომ, რომ ქართველია“.**

ნიკო ნიკოლაძეზე ბევრად შორს შესტოპა ივანე მაჩაბელმა. 1892 წელს, თბილისში, ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა წიგნი **„თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“.** წიგნი ავტორის მითითების გარეშე გამოვიდა, თუმცა იმთავითვე გახდა ცნობილი, რომ იგი **ივანე მაჩაბელს** ეკუთვნოდა.[4]

---

[1] **ნიკო ნიკოლაძე**, სირაჯი პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოში). **ნიკო ნიკოლაძე,** თხზულებანი, ტომი V, თბ., 1966, გვ. 55.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] **ივანე მაჩაბელი**, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა, ტფილისი, 1892

ივანე მაჩაბელი იძულებულია აღიაროს, რომ ილია ჭავჭავაძეს საზოგადოება აღმერთებს და ილიასთან პოლემიკაში ჩაბმული აუცილებლად დამარცხდება. ილიას ოპონენტი წერს: „მაშ რა თილისმით, რა ძალითა და მანქანებით ხდება, რომ არავითარი საზოგადო საქმე უჭავჭავაძეოდ არ დაიწყება? იმავე თილისმითა და ძალით, რა ძალითაც თაყვანისცემასა და პატივს არ აკლებს დიდხანობამდე ბრბო ერისა ერთხელ რაიმე გარეშე მიზეზის გამო ღმერთად მიჩნეულ კერპს“.[1]

ივანე მაჩაბელმა მიზნად დაისახა დაემტკიცებინა, რომ ილია ჭავჭავაძე შემთხვევით, არაკანონიერად იქცა ქართული საზოგადოების („ბრბოს“) კერპად. უფრო კონკრეტულად: ილია ჭავჭავაძე დაუმსახურებლად აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ, გაზეთი „ივერიაც“ რაღაც შემთხვევითობამ (იღბალმა) აქცია უპირველეს გაზეთად. ივანე მაჩაბელი იქამდეც კი მივიდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ქართველი ერის ინტერესების ღალატშიც კი დასდო ბრალი. ივანე მაჩაბელი არც მალავდა თავის განზრახვას. მისი მიზანი იყო დაემტკიცებინა ორი უმთავრესი რამ: ილია ჭავჭავაძე იყო ცუდი ბანკირი და კიდევ უფრო ცუდი რედაქტორი. ამაოდ დაშვრა ივანე მაჩაბელი. ეს, ალბათ, თავადაც კარგად იგრძნო, ამიტომ იყო, რომ გაბოროტებული ასეთ დასკვნას აკეთებდა:

„ვათავებთ და დასასრულს სრულის სიწრფელით ვეკითხებით ჩვენს თავს: რა გააკეთა თ. ჭავჭავაძემ რომელსამე საზოგადო ასპარეზზედ?

რა გააკეთა დრამატულ საზოგადოებაში?

სხვათაგან ჩინებულად დაწყებული საქმის უფროსობა ჩაიბარა, ამ უფროსობაში მოვლა-გაზრდის მაგივრად სიკვდილამდე მიიყვანა და მიმკვდარებული, სულით-მობრძავი სხვათა მიუგდო საპატრონებლად, – ეხლა თქვენ მოუარეთო.

---

[1] **ივანე მაჩაბელი**, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა, ტფილისი, 1892, გვ. 14-15.

რა გააკეთა „წერა-კითხვის საზოგადოებაში“?

არაფერი იმის მეტი, რომ ყოველსავე სასარგებლო აზრს და დაწყებულებას მუხლს უხუთავდა თავის მოუნდომლობით და გულ-ცივობით.

რა გააკეთა სათავად-აზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადებაში?

არაფერი, არაფერი, სრულიად არაფერი.

რად გარდაჰქმნა ქართული ყოველ დღიური გაზეთი?

უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდების თაბახად, რომელიც მხოლოდ თ. ჭავჭავაძის პირადს, დიაღ, ვიმეორებთ, პირადს ინტერესსა და წადილს ყურ-მოჭრილ მონასავით ემორჩილება.

დასასრულ, რა მიმართულება, რა გზა აჩვენა, – რა გააკეთა, ყოველ დასახელებულ საქმის მსაზრდოებელ ბანკში, რომლის მოთავედაც ის ითვლება დასაწყისიდამ დღემდე?

მთელის ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ვერ გაიცნო, ვერ შეითვისა ანბანიც კი ბანკის საქმისა, რომელზედაც ასე თამამად ჰქადაგებდა ბანკის კათედრიდამაც და „თავის“ გაზეთის ფურცლებზედაც“.[1]

ილიასთან ყველა პოლემიკაში სასტიკად დამარცხებული, გაბოროტებული ივანე მაჩაბელი მორალის კითხვით ასრულებს:

„ყოველის-ფერი მოთმინება, თუ გნებავთ, მიეტევება კიდეც საზოგადო მოღვაწეს: სიზარმაცეც, დროზედ უგულწრფელობაც, თვით თუნდ ისიც, რომ მოპირდაპირე ჰკიცხოს, ჰკილოს და ათასის კაცის წინაშე შეეკითხოს, გუშინ თქვენ უფრო ჭკვიანი იყავით, თუ დღეს უფრო ჭკვიანი ხართო (ესეც ალბად მაგალითია ზრდილობისა და „კაცებურის ღირსების გრძნობის პატივისცემისა“), – მაგრამ ის კი მიუტევებელი, მოუთმენელია, რომ კაცი ფეხ ქვეშა სთელავდეს სიმართლე-

[1] **ივანე მაჩაბელი**, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა, ტფილისი, 1892, გვ. 83-84.

საც და თავის ჭეშმარიტებასაც თავის ამომრჩეველთა წინაშე! იმ ამომრჩეველთა წინაშე, რომელთაც თავიანთ ბედი და უბედობა ამორჩეულის კალთაში გაუხვევიათ და ისე ბრმად და თვალახვულნი ენდობიან, რომ იმის პირიდამ ამოსული უმეცრება მეცნიერებად მიაჩნიათ, მრუდე აზრი და სიტყვა უმწვერვალეს მჭევრ-მეტყველებად, ხავს-მოკიდებული ოხუნჯობა დაუსრულებლის სიცილის წყაროდ, – დიაღ, ამისთანა დამყოლ, მინდობილ საზოგადოების აგდება კი, ვიმეორებთ, არც მოსათმენია და არც მისატევებელი“.[1]

ილიასათვის რომ ეკითხათ, თუ რატომ იქცეოდა ივანე მაჩაბელი ასე, „ხავს-მოკიდებული ოხუნჯობით“, ილია დინჯად, ღიმილით უპასუხებდა: **„იმიტომ, რომ ქართველია“.**

[1] **ივანე მაჩაბელი**, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა, ტფილისი, 1892, გვ. 85-86

თავი III. საქართველოს ხსნის გზა

§1. „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ (თავისუფლების უკვდავი იდეა)

ადრიდა ავად თუ კარგად
ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე
გვეყუდნეს, მით იყვის უკედ.
ილია

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ და უცხო სახელმწიფოების (ირანის, ოსმალეთის, რუსეთის) ხანგრძლივმა ბატონობამ, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის გადახდილმა უმძიმესმა ბრძოლებმა თავისი დაღი დააჩნია ქართველი ერის სულიერ ყოფას, ქრისტიანულ ზნეობას. შეიცვალა ქართველის ფსიქიკა. სწორედ ამიტომ პასუხი ილიასეულ კითხვაზე – **„რათა ვართ ესე?“** – ნაწილობრივ უკვე შეიცავდა პასუხს კითხვაზე: **რა უნდა ვიღონოთ, რომ ასე აღარ ვიყოთ?** 1860 წელს დაწერილ წერილში **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“** ილიამ თავისი ღვთაებრივი მისიის არსი ასე განსაზღვრა: **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას“.**[1]

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 17.

ქართველთა გაუცხოების საშიშროება რომ რეალობად არ იქცა, ეს როგორც წინა თავებშიც აღვნიშნეთ, ქართულმა ენამ და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაპირობა. პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად, ყველა ქართულ სამეფო-სამთავროში ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო, სალიტერატურო და სალიტურგიო (საღვთისმსახურებო) ენის ფუნქცია. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პირობებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ დაკარგა შინაგანი ერთიანობა. ეკლესიურმა ერთიანობამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა პოლიტიკური დაშლილობის უარყოფითი შედეგები.

ენის განსაკუთრებული დანიშნულება ქართველი ერის ისტორიაში და განსაკუთრებით იმჟამინდელი ქართველობის ყოფაში ილიამ ასე გამოხატა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. თავის უკომპრომისობაზე ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაში ილიამ ასე მიანიშნა: „სხვისა არ ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“.[1]

ყოველი სოციალისტური მიმდინარეობა თავის ერთ-ერთ უმთავრეს მისიად ათეისტური აზროვნების დამკვიდრებას მიიჩნევდა. კოსმოპოლიტები სწორად ვარაუდობდნენ, რომ უღმერთოთა საზოგადოება ადვილი სამართავი იქნებოდა. ათეისტური აზროვნება სწრაფად გავრცელდა და დიდი საფრთხე შეუქმნა საზოგადოებას. აი, ასეთ ვითარებაში, 1886 წლის 13 აპრილს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს. ამ პატარა წერილში მან შესანიშნავად

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 17-18.

გამოხატა თავისი რწმენა. მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს წერილიდან:

– „აღზდგა იგი ღმერთი, რომელმან გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული...“

– „აღზდგა იგი დევნული, ტანჯული, ვნებული ღმერთი...“

– „აღზდგა იგი მეუფეთ-მეუფე, რომელმან აღადგინა ღირსება ადამიანისა...“

– „აღზდგა იგი ნუგეშისმცემელი ღმერთი...“

– „აღზდგა იგი ყოველთა შემწყნარებელი ღმერთი...“

– „აღზდგა იგი ღმერთი მადლისა, სიყვარულისა და გაჭირვებულთა განკითხვისა, რომელმანც სიმშილი, წყურვილი, სიშიშვლე, სნეულყოფა, პყრობილება თვითეულის ადამიანისა თავის საკუთარ სიმშილად, წყურვილად, სიშიშვლედ, სნეულყოფად, პყრობილებად მიითვალა...“

– „აღზდგა იგი სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი...“

– „აღზდგა იგი კაცთა მხსნელი ღმერთი, რომელიც მის მიერ ხსნილთა კაცთავე განჰძარცვეს და ქლამანდი მეწამეული შეჰმოსეს, შესთხვაზეს გვირგვინიც ეკლისაგან და დაადგეს თავსა მისსა...“

– „აღზდგა იგი ჯვარცმული კაცთაგან კაცთმოყვარე ღმერთი, ღმერთი, ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, შენდობისა და მიტევებისა...“

– „აღზდგა იგი ღმერთი მკვდრეთით, რომელმანცა სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და განახლებულს კაცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა“.[1]

ილიას მხრიდან ეს იყო გამოწვევა იმ ძალებისა, რომელთაც სურდათ საზოგადოება ღვთის გმობის გზით წაეყვანათ, ხოლო ქრისტიანული ზნეობა დრომოჭმულად გამოეცხადებინათ.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ქრისტე აღსდგა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 544-546.

ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში ქრისტიანული სარწმუნოების, მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ როლზე წერდა ილია ჭავჭავაძე 1878 წელს ყოველკვირული გაზეთის **„ივერიის“** მოწინავე წერილში: „ჩვენ ვამბობთ ჩვენის მამა-პაპის სამღვდელოებაზედ, იმ დროის სამღვდელოებაზედ, როცა ღვთის მსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის მსახურიცა; როცა იგი ჭირში პირველი მეშველი იყო, უკეთესი მამა, გულშემატკივარი დამრიგებელი, მაღალი ზნეობის მაგალითი, გამკითხავი ყოვლის უძლურისა და დავრდომილისა, გამკიცხავი ყოვლის ბოროტისა უკაცურობისა, უშიშარი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, თავდადებული და თავგამომეტებული რჯულისა და ერისათვის“[1]. ილია ხაზს უსვამდა იმას, რომ „ჩვენი ისტორია სავსეა სახელოვანის მოღვაწეობითა და ნეტარხსენებულის სამღვდელოებისა“[2]. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკამ საქართველოში თავისი მძიმე შედეგები გამოიღო. ილია გულისტკივილით წერდა: „წარვიდნენ ის მამა-პაპანი და თან გაჰყვნენ ის სახელოვანნი ღვთის მსახურნიცა, რომელთაც საქართველოს გაქრისტიანების დღიდამ ამ საუკუნის (XIX საუკუნის – ვ. გ.) დასაწყისამდე ხელთ ეპყრათ ჩვენის ერის სწავლა და მეცნიერება. მწიგნობრობის, მეცნიერების, სწავლისა და განათლების დროშა მათ ეჭირათ ხელში და ამ გონებითს სიმდიდრეს ისე კი არ ეპყრობოდნენ, როგორც ძუნწი ფულსა, არამედ გულუხვად, თავდადებით ახმარებდნენ ერს, ავრცელებდნენ ყველგან, რაც კი ხელი და ღონე მიუწვდებოდათ“[3].

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სამღვდელოების სამსახური ქვეყნის წინაშე. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI. თბ., 1997, გვ. 171.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ქრისტიანული სარწმუნოების, მართლმადიდებლობის როლზე როცა საუბრობდა, ილიას ღრმად სწამდა სიბრძნე, რომელსაც იგი ამ სიტყვებით გამოხატავდა: „კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა“, რადგან თითოეული „ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიან“.[1]

ქართველი ერის ისტორიაში ქრისტიანობის როლს აანალიზებდა (აფასებდა), ჩერდებოდა ილია ჭავჭავაძე – 1889 წელს როცა წერდა: „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელი არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის სჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობას“.[2]

მამულის „პატრონობაზე“ ფიქრს, მამულის ხსნისა და აღორძინების გზების ძიებას შეალია ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი მოწამეობრივი სიცოცხლე. თავისი ნააზრევგანცდილი პირველად ქაღალდზე 1861 წელს გადაიტანა. **„მგზავრის წერილებმა“** დიდი საფიქრალი მისცა იმჟამინდელ ქართველობას, არანაკლები – ჩვენ, დღევანდელ ქართველობას. განსასჯელი ეყოფა მომავალ თაობებსაც. 1861 წელს დაწყებული ფიქრი 1907 წლის 30 აგვისტოს შეწყდა.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით. ტ. II, თბ., 1941, გვ. 542.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** აი, ისტორია. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 346.

რა აშფოთებდა მოწამეობრივი სიცოცხლის ბოლო წუთებში ილიას, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავები, ვბედავთ და ვფიქრობთ: **იქნებ ილია გრძნობდა, რომ მოახლებული იყო ჟამი „მგზავრის წერილებში“ აღთქმული იდეების აღსრულებისა. ათი წელი, ცხრა თვე და ოთხი დღე ქართველი ერი ილიას გარეშე მიდიოდა ილიას გზაზე.**

არჩევანი, რომელიც ილიას უნდა გაეკეთებინა, დიდ სიბრძნეს მოითხოვდა. ილიამ კარგად იცოდა, რომ ეს იქნებოდა საბედისწერო არჩევანი, რომელიც განსაზღვრავდა ქართველთა მრავალი თაობის ბედსა თუ უბედობას.

ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ მომავალმა ილიამ „რუსის პირდაუბანელი და თავდაუვარცხნელი“ „იამშჩიკი“ წარმოგვიდგინა. დაინახა თუ არა „იამშჩიკი“, ილიას მაშინვე ასეთი ფიქრი აღეძრა: „საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი“.[1]

ვინ არის რუსი მეეტლე? ესაა რუსეთის მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენის – გლეხობის – განზოგადებული ტიპი. ილია არ წერს, რომ ყველა რუსი გლეხი ასეთივე „უადამიანო და პირუტყვია“, მაგრამ იქვე საგანგებოდ გვაფრთხილებს: რუსი მხატვრების მიერ არარეალისტურად დახატულმა რუსულმა სამყარომ შეცდომაში არ შეგიყვანოთო, სინამდვილე სულ სხაა და იგი სავსეა ჩვენთვის ნაცნობი მეეტლისნაირი ადამიანებით! ეს მეეტლე კი არა მარტო „უადამიანო და პირუტყვი“, არამედ აგრესიული „პირუტყვია“. ეტლში ჩაჯდომისას ილიას მეეტლემ „ბღვერა დაუწყო“,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** მგზავრის წერილები. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 9.

ხოლო როცა ილიას გაეცინა, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი აგრესიული ბუნება:

„– თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო“.[1]

მეორე რუსი, რომელიც ილიამ წარმოგვიდგინა, მეეტლესთან შედარებით, გაცილებით მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია. ესაა რუსეთის არმიის ასეულის მეთაური, უმცროსი ოფიცერი (პოდპორუჩიკი). ილიასთან მოსაუბრე რუსი პოდპორუჩიკი ტიპია რუსეთის არმიის ოფიცრობისა. ამ კატეგორიის ხალხს სათანადო განათლება უნდა ჰქონოდა. ილიას და პოდპორუჩიკის საუბრიდან იკვეთება რუსი ოფიცრის თვისებები: გაუნათლებლობა, უმეცრება, სიბრიყვე, მედიდურობა და აგრესიულობა. რუსის ოფიცერსა და ილიას შორის ასეთი საუბარი იმართება:

„– ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

– მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

– ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

– იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო!... ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენელებ-

[1] **ილია ჭავჭავაძე,** მგზავრის წერილები. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 10-11.

შია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურის ენით რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით?“[1] და როცა პორუჩიკმა შეიტყო, რომ მისი მოსაუბრე მხოლოდ ნამდვილ გენერლებს გულისხმობდა, იხტიბარი არ გაიტეხა და ამაყად განაგრძო:

„– ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

– იქნება სამოცდაათი.

– შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი იქნება“.[2]

ილია არაფერს ამბობს (ვერ იტყოდა!) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეარსებათ ერთმანეთის გვერდით **რუს მეეტლეს, რუს ოფიცერსა** და **ლელთ ღუნიას**. პირველი, პრაქტიკულად, თავის პირუტყვს დამსგავსებული, გადაგვარებული აგრესიული არსებაა, მეორე – გაუნათლებელი, ბრიყვი, მაგრამ ამავე დროს ამპარტავანი და მედიდური; მესამე – სანთელივით წმინდა კაცი, სამშობლოს ბედზე მწარედ ჩაფიქრებული, ღვთისაგან ბოძებული ნათელი და დახვეწილი აზროვნების უნარით. დასკვნა ნათელია: **პირველი და მეორე ერთმანეთის გვერდით თავისუფლად იარსებებენ, ერთმანეთი თუ არ ეყვარებათ, გაუგებენ მაინც ერთმანეთს. მესამე პირველისა და მეორის გვერდით ვერ იარსებებს, თუ იარსებებს, ეს**

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** მგზავრის წერილები. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 19.

[2] იქვე.

სასჯელი იქნება მისთვის. ამიტომაა, რომ ილია ლელთ ღუნიას სასჯელისაგან განთავისუფლების გზას ეძებს. ამ გზაზე ილიამ „მგზავრის წერილების“ დასაწყისშივე, ვლადიკავკაზში, სასტუმროდან გამოსვლისას მიგვანიშნა:

„– როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

– ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

– რუსისა, – ვუპასუხე მე.

– მგონი არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

– არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რაიმე.

– მაგით დადის?! იმიტომ შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ“.[1]

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ **ეტლი (პოვოსკა) რუსეთია, ხოლო მისი იძულებითი მგზავრი – საქართველო.** მგზავრისათვის ეტლში ჩაჯდომა არავის უკითხავს. მან კარგად იცის, რა აუტანელიცაა ამ ეტლით მგზავრობა, მაგრამ იძულებულია, თავი ასე დაიმშვიდოს: „მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე“. ეს დიალოგი ფრანგსა და ილიას შორის აქ რომ დამთავრებულიყო, ლოგიკური არ იქნებოდა. კიდევ იყო რაღაც სათქმელი, რომლის გარეშე ილიას პოზიცია ვერ გამოჩნდებოდა. ფრანგი ილიას სიტყვებს ასე პასუხობს: „მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.“.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** მგზავრის წერილები. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 9-10.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავაანალიზებთ, ცხადი გახდება ილიას პოზიცია:

ეტლი – ჩამორჩენილი რუსეთი.

მეეტლე და ოფიცერი – ჩამორჩენილი რუსეთის ღვიძლი შვილები.

ეტლით მგზავრობა – აუტანელი და დამტანჯველი.

მგზავრი – ვითარებას იძულებით შეგუებული საქართველო.

ფრანგი – მგზავრის აუტანელი ყოფის შორიდან მაცქერალი ევროპელი.

ეტლით მგზავრობის პერსპექტივა – ცივილიზებული სამყაროსაგან ჩამორჩენა.

ილიამ ფრანგის უკანასკნელ სიტყვებს – **„იმიტომაც შორს არის წასული“** – არ უპასუხა. თუმცა ამაზე ცხადი პასუხი რაღა იქნებოდა. მეეტლემ ცხენებს შოლტი გადაუჭირა, „ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპად ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარაჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქით“. ეტლში ჩამჯდარი ილია, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავს იმშვიდებდა.

აი, ასე დაგვიხატა ილიამ რუსეთში საქართველოს ყოფნის გაუსაძლისობა და უპერსპექტივობა.

ლელთ ღუნიას სულაც რომ არ ეთქვა **„ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო“**, ისედაც ყველაფერი ნათელი იქნებოდა. ლელთ ღუნიას ურყევად სწამს: რუსეთის სამოცწლიანმა ბატონობამ ქართველებს სპარსეთისა და ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის სიმწარე დაავიწყა! **აშკარაა, იმ-ჟამინდელი ყოფა, მიუხედავად ქვეყნად მშვიდობის ჩამ-ოვარდნისა, ლელთ ღუნიას გაუსაძლისად ეჩვენება.** მას ისიც აფიქრებს, რომ თუ ადრე მტერი (სპარსეთი და ოსმალეთი) მტრად აღიქმებოდა, ახლა რუსეთი მტრად აღარ ითვლე-

ბა. რუსეთის მიერ მოტანილი მშვიდობა მოხევეს **„ცარიალ მშვიდაბად“** მიაჩნია. აშკარაა, რომ ლელთ ღუნია ამ „ცარიალ მშვიდაბას“ ომზე უარესად მიიჩნევს. მტერი და ომი მოხევეს არ აშინებს: „რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაშიც გვეყოფის“.[1] ლელთ ღუნიას რუსეთის მიერ მოტანილ „ცარიალ მშვიდაბის“ პერიოდში დაცემული ზნეობა ადარდებს: „აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის“.[2] მართალია, მშვიდობა დამყარდა, მაგრამ უზნეობა იქცა ყოველდღიური ცხოვრების ნორმად: „აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის“.[3] ფიზიკური სიკვდილის შიშით ზნეობრივ სიკვდილთან შეგუება ლელთ ღუნიას ვერ წარმოუდგენია. ამიტომაა, რომ კითხვაზე: რით იყო უწინდელი დრო, უწინდელი ყოფა უკეთესი? ლელთ ღუნია ყოველგვარი დაეჭვების გარეშე პასუხობს: **„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“.**[4]

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** მგზავრის წერილები. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 30.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

§ 2. „გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას“ (შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის)

თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება,
მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა
ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ.
ილია

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება **ქართული ეროვნული ცნობიერების** ჩაკვლა იყო. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ერის ასიმილაცია, საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. ქართული ეროვნული ცნობიერების ჩაკვლას რუსეთის საიმპერატორო კარი და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია კარგად გააზრებული გეგმით ცდილობდა. ეს გეგმა ითვალისწინებდა:

პირველი. ქართული ენის განდევნას დაწყებითი სკოლებიდან და გიმნაზიებიდან, სასულიერო სასწავლებლებიდან და სასულიერო სემინარიიდან, ე. ი. საერო და სასულიერო განათლების სისტემიდან. ქართველი მოზარდის განათლების ენა რუსული უნდა ყოფილიყო, სამყარო მას რუსული ენის საშუალებით უნდა შეეცნო.

მეორე. საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის (სასულიერო და საერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა, არქიტექტურა და სხვ.) სწავლების არდაშვება საერო და სასულიერო განათლების სისტემაში, მოზარდის ცნობიერებიდან ცნებების – „სამშობლოს ისტორია“ და „მშობლიური ლიტერატურა“ – წაშლა.

მესამე. ქართული ეროვნული ფასეულობების, სიწმინდეების დამცირება და აბუჩად აგდება, ქართველი ერის წარსულის, საქართველოს ისტორიის ისეთნაირად გაყალბება, რომ მასში მოზარდს საამაყო და მისაბაძი ვერაფერი დაენახა.

ილია ჭავჭავაძის ბრძოლა **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისათვის დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. **ილია უპირისპირდებოდა არა რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფო უწყებას ან თანამდებობის პირს, არამედ – იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკას.** როცა ცნობილმა ჟურნალისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ, იმპერატორ ალექსანდრე II-სთან დაახლოებულმა პირმა, რუსეთში ერთ-ერთი ავტორიტეტული გაზეთის "Московские Ведомости"-ს რედაქტორმა მიხეილ კატკოვმა თავის გაზეთში ქართული ეროვნული დროშის შეურაცხმყოფელი მასალა გამოაქვეყნა, ყველა მიხვდა, რომ ეს მხოლოდ გაზეთის პოზიციის გამოხატულება არ იყო. მიუხედავად ამისა, ილია არ შედრკა. პირიქით, თავის წერილში **„კატკოვის პასუხად"**, რომელიც 1882 წელს გაზეთ **„დროებაში"** გამოქვეყნდა, ილიამ სწორედ იმპერატორის ფავორიტი მიხეილ კატკოვი მწვავედ გააკრიტიკა. ილია წერდა: „ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას (ე. ი. მიხეილ კატკოვისას – ვ. გ.) ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველობისათვის და მის ეროვნების ღირსებისათვის. იგი ამბობს, რომ „სამშობლოს" წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო, და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიყიდონ, კარგს იზამენო".[1] მიხეილ კატკოვისათვის „მასხარა კაცის" წოდებას ყველა ვერ გაბედავდა. უფრო მეტიც, ილია ამაზეც არ შეჩერდა: „გაცვეთილის კაცისაგან (ე. ი. მ. კატკოვისაგან – ვ. გ.) ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას,

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** კატკოვის პასუხად. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 148.

რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის – არამც-თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, – იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრიცხოთ“.[1]

1881 წელს ილია ჭავჭავაძეს ცხარე პოლემიკა ჰქონდა კირილე იანოვსკისთან, რომელიც კავკასიის ოლქში განათლების საქმის ხელმძღვანელი (მზრუნველი) იყო. კირილე იანოვსკი აკნინებდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის როლს ქართველი მოზარდის განათლების პროცესში. ილია 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში – **„ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“** – არ დაეთანხმა კირილე იანოვსკის. ილიამ თავისი პოზიცია გაამყარა ცნობილი მეცნიერებისა და პედაგოგების მოსაზრებებით. ილია წერდა: „ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-ნმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ, შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“.[2] ილია კირილე იანოვსკის შეახსენებს, რომ თუ სკოლიდან დედაენა განიდევნა, „მაშინ სკოლა გონების

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** კატკოვის პასუხად. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 148.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით. ტ. II, თბ., 1941, გვ. 554.

გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა“[1]. ილია სვამს კითხვას: „და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“ ბოლოს ილია დაასკვნის: „ ... დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა“.[2]

დედაენის მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ ილია მსჯელობს სამშობლოს ისტორიის სწავლების მნიშვნელობის თაობაზე და ასეთ დასკვნას აკეთებს: „მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი – ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს, სცხოვრებს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე“.[3]

კირილე იანოვსკისთან პოლემიკა ილიამ ასე შეაჯამა: „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედვად – განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქვე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე სუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რაიმე“.[4]

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით. ტ. II, თბ., 1941, გვ. 554.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

კირილე იანოვსკისთან პოლემიკაში ილიას ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი ისიც იყო, რომ ილია არ უარყოფდა რუსული ენის სწავლების აუცილებლობას: „მართალია, ბ-ნი იანოვსკი რუსული ენის სწავლებას საერო სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობს, რომ აქაურებს ჰსურთო რუსული ენის ცოდნაო. ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისთვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება-გახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ“[1]. თუმცა იქვე ილია იმასაც აღნიშნავს, რომ კირილე იანოვსკისეული სასწავლო გეგმა, მათ შორის რუსული ენის სწავლებისა, ყოვლად მიუღებელია. **მოზარდმა ჯერ ქართული უნდა ისწავლოს, ხოლო შემდეგ – რუსული ენა, რუსული ენის შესწავლა ქართული ენის საფუძვლიან ცოდნას უნდა ემყარებოდეს.** ილიას დასკვნა ასეთია: „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მიუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს, ამ ორივე – სულ სხვადასხვა საგნის – შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორეს“[2].

სკოლის რუსიფიკაციის პირობებში ილიას პოლემიკა კირილე იანოვსკისთან მეტად აქტუალური გახლდათ, რადგან მისი მიზანი მომავალი ქართველის სწორი გონებრივი და სულიერი განვითარება და ჩამოყალიბება იყო. ილია სწავლების

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 560.

[2] იქვე.

კონკრეტულ სისტემასთან ერთად ძლიერ იდეოლოგიურ მანქანას ებრძოდა და ეს ბრძოლა წმინდა პედაგოგიური მნიშვნელობის გარდა, დიდ პოლიტიკურ ფასეულობასაც იძენდა. ქართული ეროვნული ცნობიერების დასამარებას სხვა ძალებიც ცდილობდნენ, საფრთხე სხვა მხრიდანაც მომდინარეობდა. XIX საუკუნეში რუსეთსა და საქართველოში გავრცელებული ყველა სოციალისტური მიმდინარეობა (ანარქიზმი, ნაროდნიკობა, სოციალ-დემოკრატია და სხვ.) ხალხის მასების „დაუფლებას" ესწრაფოდა. სოციალისტური იდეოლოგიის ადამიანთა ცნობიერებაში შეღწევა და დამკვიდრება კი წარმოუდგენელი იყო იქიდან **ეროვნული თვითშეგნებისა** და **ქრისტიანული ზნეობის** ამოძირკვის გარეშე. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები რუსმა ნაროდნიკებმა გადადგეს. მართალია, კოსმოპოლიტური შეხედულებებით ანარქიზმიც უხვად იყო გაჯერებული, მაგრამ ნაროდნიკობა ეროვნულობისა და ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) წინააღმდეგ ბრძოლის კარგი ორგანიზებითა და აგრესიულობით გამოირჩეოდა. რუსი ნაროდნიკების იდეური თანამოაზრეები იყვნენ ქართველი ნაროდნიკები, რომელთა დიდი ნაწილი (ივანე ჯაბადარი, ალექსანდრე ჩიკოიძე და სხვ.) კარგად იყო ცნობილი მთელს რუსეთში. სწორედ ეროვნებით ქართველმა, რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ივანე ჯაბადარმა იკისრა საქართველოში კოსმოპოლიტური იდეოლოგიის დამკვიდრების მისია. ივანე ჯაბადარმა გადაწყვიტა, ქართველი ერის ისტორიის ისეთი ინტერპრეტაცია მოეცა, რომ ქართველებს თავიანთი ისტორიით ვეღარ ეამაყათ. ასე დაიწერა ივანე ჯაბადარის „Письма о Грузии", რომელიც რუსულ ჟურნალში „Северный Вестник" გამოქვეყნდა 1889 წელს.

ივანე ჯაბადარი, არც მეტი, არც ნაკლები, ამტკიცებდა, რომ ქართველი ერი დაბერდა, ფიზიკური და სულიერი ძალისაგან დაიცალა და პერსპექტივა აღარ აქვს. ივანე ჯაბადარის

ეს უმთავრესი თეზისი ილია ჭავჭავაძემ ნაცარტუტად აქცია, დიდი დამაჯერებლობით უარყო. თავის ბრწყინვალე პუბ-ლიცისტური წერილების სერიაში **„აი, ისტორია“**, რომელიც 1889 წელსვე გამოქვეყნდა გაზეთ **„ივერიის“** მეთერთმეტე ნომერში, ილიამ დაასაბუთა, რომ ივანე ჯაბადარმა არ იცო-და არც საქართველოს და არც მსოფლიოს ისტორია. ილია წერდა: „რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სი-ბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისის, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბა-შის ეთიოპელისა და გვითხარით, ამაში რომელი ვიგულისხ-მოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამაში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სებერეს და სი-ყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდ-ნილს, და მეორე კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან“.[1]

ილიამ შესანიშნავად იცოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორია. ამიტომ მისი არგუმენტები მეცნიერულად სავსებით დასაბუთებულია: „თუ ბევრი მაგა-ლითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნი-ერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკ-ლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშინ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოწყდებიან. ეს შეიძლება მოხდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია,

[1] **ილია ჭავჭავაძე,** აი, ისტორია. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 316.

მაგრამ, თუ მოხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებრივი მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია".[1] ილიას საბოლოო დასკვნა ერთადერთი და კატეგორიულია: ერის სიბერე „უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის".[2]

ამ პრობლემაზე საუბრისას ილია საგანგებოდ ჩერდება ენის მნიშვნელობაზე: „ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე – იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია".[3] კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლა, ილიას აზრით, წყაროთა სიმცირის გამო ძნელდება. ამითაა განპირობებული ის, რომ უძველესი ისტორია „ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული".[4] მიუხედავად ამისა, ილიას სწამს, რომ „ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად".[5] ამ „გასაღებად" ილია **ენას** მიიჩნევს: „თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ".[6] ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასე ესმის ილიას: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგან უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** აი, ისტორია. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 316, 317.

[2] იქვე, გვ. 317.

[3] იქვე, გვ. 322.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მოასწავებს ერთობას კულტურისას“.[1] ყოველივე ეს ივანე ჯაბადარმა არ გაითვალისწინა და ამიტომ იყო, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის ინტერპრეტაციისას უამრავი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა.

ილიას „აი, ისტორიამ“ წარმოუდგენლად დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში. „აი, ისტორია“ საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დღესაც ეტალონად რჩება.

„აი, ისტორიის“ გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ, 1899 წელს, ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს კიდევ ერთ ბრწყინვალე ნაშრომს – **„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.** ეს იყო პასუხი სომეხი მეცნიერების მხრიდან საქართველოს ისტორიის წინასწარგანზრახულ უხეშ გაყალბებაზე. „ქვათა ღაღადი“ ქართველი ერის მძიმე მდგომარეობის დახასიათებით იწყება: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესმე ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობა-დაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირის-გამტეხნი, მხდალ-ლაჩარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი, რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თავისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ,

[1] **ილია ჭავჭავაძე,** აი, ისტორია. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 323.

ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არა უარესნი“.[1]

ილია შეშფოთებული იყო იმით, რომ ევროპაში ქართველების შესახებ სწორედ ყალბისმქმნელთა მიერ შეთხზული ამბები ვრცელდებოდა: „ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა-კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ. ასეთივე სახელი გაუთქვეს ქართველებს თვით რუსებს შორისაც“.[2]

ამის შემდეგ ილია გადადის სომეხი მეცნიერების მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბების საკითხზე. ილია აღნიშნავს, რომ სომეხი მეცნიერები „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთ-წოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით“[3]. ეს კიდევ არაფერი. ქართველების ასეთი ყოფის მიზეზი, სომეხ მეცნიერთა აზრით, სრულიად კანონზომიერი ყოფილა: „თითონ ეს „ვრაცები“ ვითარცა ერი არაფრად სახსენებელია, იმიტომ რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდაც ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავბედისა გაიგონ რამ. აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობისა და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარ-პატარა საბოსლეებიც-კი ვერ მოუხმარიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან“.[4]

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 417.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 417-418.

[4] იქვე, გვ. 418.

ილია აღნიშნავს, რომ მიზნის მისაღწევად სომეხი მეცნიერები არაფერს ერიდებიან, ყოველგვარ სიყალბეს სჩადიან: „...გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა და ყოველს ამათ თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა“.[1]

სომეხ მეცნიერთა „ღვაწლი“ რომ წარმოაჩინა, ილია სრულიად კანონზომიერად სვამს კითხვას: რა მიზანს ისახავენ ყალბისმქმნელები? მეტად საყურადღებოა მწერლის არგუმენტები ამ თვალსაზირისით. აი, ეს ადგილი „ქვათა ღაღადიდან“: „რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერ-კავკასიაში ერთად-ერთი სომეხი ერია, რომელიც ძველის-ძველადაც ყოფილა, დღესაც არის, და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისათვის, რადგანაც ისტორიულად დაამტკიცეს თავისი სულიერ-ხორციელი სიდიდე და ძალ-ღონე, თვისი შეურყევლობა და სიმაღლე ჭკუა-გონებისაო“.[2]

მორიგი კითხვა, რომელსაც ილია სვამს, ასეთია: ვინ იდგა ყალბისმქმნელების უკან, საიდან იმართებოდა მთელი ეს პროცესი? პასუხი, როგორც ყოველთვის, დამაჯერებელი და ყოველმხრივ გაწონასწორებულია: „ვისი უნარია ყოველივე ეს? ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 418.

[2] იქვე.

– მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის“.[1] ილიას სერიოზულად აფიქრებდა ერთი საკითხი: „მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდი ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა?“[2] ცოტა ქვემოთ ილია აგრძელებს: „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია – ვაჭრობა თუ ხვნა-თესვა – და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არა-მკითხე მოამბესავით მეტიჩრობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა. ერმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენლად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. კარგად იცის, რომ მატრაკვეცობა მისის ერთგვარ გუნდისა ვერაფერი თამასუქია არც ამისათვის, რომ ღირსება მის ქვეყანაში გაითქვას, არც იმისათვის, რომ სხვისა ავად ხსენებით, სხვა ერის ძაგებით იქ გამოინასკვოს, საცა არ არის“.[3] მწერლის ობიექტურ, მოუსყიდველ მზერას არაფერი ეშლება, ვისაც საქართველოს მტრობა გულში არ უდევს, იმას ილიაც პატივისცემით მოიხსენიებს.

ილია აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიის გაბიაბრუებასთან ერთად სომეხი მეცნიერები აიდეალებენ სომხეთის ისტორიას. ამ საკითხთან დაკავშირებით ილიას პოზიცია სრულიად გარკვეული და ცხადია: „...ჩვენ ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოვუჩხრეკთ, თუნდაც ცალიერი ბაქიაობა იყოს. თუ საქებ-სადიდებელი აქვთ რაიმე, ღმერთმა შეარჩინოთ. თუ არა აქვთ, ღმერთმა მისცეთ. ჩვენ მარტო

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 418.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 419.

იმას ვჩივით, რომ სომხის მაქებ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისაკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი".[1] – თავდამსხმელთა გულნამცეცობა უძლიერესი კონტრარგუმენტით ამხილა მწერალმა.

ილიამ წინასწარ იცოდა, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნაწილი, ე. წ. ლიბერალთა ერთი ჯგუფი (მათ შორის იყო გიორგი წერეთელიც), განგაშს ატეხდა და იკითხავდა: რას მოგვიტანს სომეხ მეცნიერთა მხილება? მათი აზრით, სომეხ მეცნიერთა მხილება დაძაბავდა ურთიერთობას ქართველებსა და სომხებს შორის. ილია მათ გასაგონად ამბობდა: „ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარებაა ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთ-მაქცობისა და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველი ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რისი მაქნისი-ღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დო-ყლაპია ლიბერალობა. მაშ, ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტისა, – იმისდა მიუხედავად, შფოთს ასტეხს, თუ არ ასტეხს, განა უწმინდესი, უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა".[2] ამ რიტორიკული შეკითხვის დასმით ილიამ თავისი უკომპრომისობა და მოუსყიდველი ობიექტურობა კიდევ ერთხელ გამოავლინა, წინააღმდეგ იმ „პოლიტიკოსებისა", შიშსა და სიმხდალეს წინდახედულებას რომ ეძახიან.

ამ საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ ილია იწყებს სომეხ მეცნიერთა სამოცწლიანი სიყალბის მხილებას. **„ქვათა ღაღადის" ეს ნაწილი, მიუხედავად პუბლიცისტური სტილ-**

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 420.

[2] იქვე.

ისა, მეცნიერული გამოკვლევაა, ურთულესი საკითხების პოპულარული ენით გადმოცემის ბრწყინვალე ნიმუშია. აშკარაა, რომ ილიას ღრმად და საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი სომეხ მეცნიერთა, ასევე მათი თანამოაზრე უცხოელ მკვლევართა ნაშრომები და ამ ნაშრომებში არსებულ სიყალბეს ამხელდა საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური წყაროების, ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა გამოკვლევების მოშველიებით.

„ქვათა ღაღადის“ დასასრულს ილია გულისტკივილით აცხადებს: „განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენის სახელის გატეხვით ნუ სცდილობენ თავიანთის სახელის კეთებასა და შემკობას“.[1]

„ქვათა ღაღადი“ მთავრდება მიმართვით სომხებისადმი: „ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“, – ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი“.[2]

ილიამ შეუძლებელი შეძლო: **უაღრესად რთულ ვითარებაში მისი წინამძღოლობით ქართველმა ერმა გააცნობიერა შელახული ეროვნული ღირსების აღდგენის აუცილებლობა.** ეროვნული ცნობიერება ისე განმტკიცდა, რომ 1918 წლისათვის ქართველი ერი მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ თავისი ბედი თავადვე განეგო. ამაში **„აი, ისტორიისა“** და **„ქვათა ღაღადის“** ავტორს ლომის წილი ედო.

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 479.

[2] იქვე.

§ 3. „წოდებათა დაუყოფლად“ (წოდებათა შერიგება)

მარტო თავისთვის ხსოვნა და
სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა
საურთიერთო ცხოვრებისა და
საცა ეგ ურთიერთობა არ არის,
იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.
ილია

„ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – ეს იყო ის დიდი იდეა, რომლის განხორციელებაც მთელი ერის გაერთიანებას, ქართველთა ერთად დგომას, ყველა წოდების (სოციალური ფენის) ინტერესთა შერიგებას მოითხოვდა. წოდებათა შერიგება, კლასთა თანამშრომლობა, რასაც მოგვიანებით არჩილ ჯორჯაძე **„საერთო ნიადაგზე“** დგომას უწოდებს, ადვილი მისაღწევი არ იყო. ეს პრობლემა მხოლოდ ქართველი ერის წინაშე არ იდგა, იგი ერთნაირად მტკივნეული იყო ყველა ერისათვის, თუმცა დიდი იმპერიების მიერ დაპყრობილი (კოლონიური) ერებისათვის წოდებათა შერიგება გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. ყოველ ეროვნულ სახელმწიფოში წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის პრობლემა ჩვეულებრივ დგას. მაგრამ ამ მტკივნეული საკითხის მოგვარებაზე იქ ქვეყნის ხელისუფლება ზრუნავს, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოხატავს (ან უნდა გამოხატავდეს) მთელი ერის, ყველა წოდებისა და კლასის ინტერესებს. ცხადია, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში უპირატესობა მქონებელთა კლასს (სოციალურ ფენებს) გააჩნიათ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება საერთო-ეროვნულ, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს უნდა იცავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავიდან ვერ აიცილებს დიდ სოციალურ დაპირისპირებას. ილიას დროინდელი ცივილიზებული მსოფლიო, კერძოდ,

დასავლეთ ევროპის ქვეყნები სწორედ ამ გზით მიდიოდ-ნენ. ევროპამ უკან მოიტოვა რევოლუციების გზით ქვეყნის შიგნით არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრის ეპოქა და სახელმწიფოში ერთი იდეა – ეროვნული იდეა – გახდა გაბატონებული. **წოდებრივ-კლასობრივი ინტერე-სების გამომხატველი ხელისუფლება ადგილს უთმობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გამომხატვ-ელ ხელისუფლებას.** ქართველი ერი ასეთ ერთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა. საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო, მას საკუთარი ეროვნული ხელისუფლება არ გააჩნდა და, აქედან გამომდინარე, არც წოდებათა შერიგებასა და კლას-თა თანამშრომლობაზე ზრუნავდა ვინმე. ცხადია, ეს ძალ-ზე აფერხებდა საერთო-ეროვნული იდეის გარშემო მთელი საქართველოს გაერთიანებას. უფრო მეტიც, რუსეთის საიმ-პერატორო კარი და კავკასიის კოლონიური ადმინისტრა-ცია ყოველნაირად აფერხებდნენ საქართველოში არსებული ყველა წოდებისა და კლასის შერიგება-შეთანხმებასა და ქარ-თველი ერის დარაზმვას ერთი იდეის გარშემო. **ქართველი ერის ერთობა დიდ საშიშროებას უქმნიდა რუსეთის იმპე-რიის ბატონობას საქართველოში.**

ვის უნდა ეზრუნა საქართველოში წოდებათა შერიგებასა და კლასთა თანამშრომლობაზე? ეს დიდი ეროვნული მისიაც ილია ჭავჭავაძემ იკისრა. ილიას სამი დიდი წინააღმდეგობა ჰქონდა გადასალახი: **პირველი**. საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მისი თანამდევი სოციალური პროცესები ქართველ ერში არსებულ სოციალურ ფენებს თავისთავად უპირისპირებდა ერთმანეთს; **მეორე**. რუსეთის საიმპერა-ტორო კარი, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია დაინ-ტერესებული იყო ქართველი ერის სოციალური პრინციპით გათიშვისა; **მესამე**. საკუთრივ რუსეთში ძალას იკრეფდა სოციალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირსახეობა – ნაროდნიკობა (ხალხოსნობა). ნაროდნიკები ყოველნაირად

ცდილობდნენ ქვეყანაში წოდებათა (კლასთა) დაპირისპირების გზით სოციალური ამბოხის (რევოლუციის) გამოწვევას. სოციალური დემაგოგიის გზით ერის გათიშვის ნაროდნიკულ იდეას მიმდევრები გამოუჩნდნენ საქართველოში. ცოტა მოგვიანებით სოციალური დემაგოგიის გზით ერის გათიშვის ტაქტიკას დაადგნენ რუსი სოციალ-დემოკრატები და მათი ქართველი თანამოაზრეები. ყოველივე ეს დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა საქართველოში საერთო-ეროვნული იდეის გაბატონებას.

წოდებათა შერიგების იდეითაა გამსჭვალული ილიას უკანასკნელი მოთხრობა **„ოთარაანთ ქვრივი“** (1887 წ.). მოთხრობაში ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის იდეის პრაქტიკულად განხორციელების ყველა სიძნელე კარგად არის ნაჩვენები. ილია „ოთარაანთ ქვრივამდე“ **„კაკო ყაჩაღითა“** (1860 წ.) და **„გლახის ნაამბობით“** (1862-1873 წწ.) მივიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ილიას კარგად ესმოდა წოდებათა შერიგების მთელი სირთულე. ყოფითი პრობლემები წოდებათა გათიშვასა და დაპირისპირებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე შერიგებას. ყოველდღიურობა ჩრდილავდა დიდ ეროვნულ იდეას. 1862 წელს ილიამ ასეთი სიტყვები ათქმევინა თავის ერთ-ერთ გმირს: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.“. (**„გლახის ნაამბობი“**). ოცდახუთი წლის შემდეგ კი ილიამ „ოთარაანთ ქვრივი“ დაწერა.

„ოთარაანთ ქვრივის“ ტრაგიკული ფინალის მიუხედავად, ილია ეროვნული თანხმობის, წოდებათა შერიგების იდეას უპერსპექტივოდ სულაც არ თვლიდა. 1888 წლის 2 ნოემბერს **„ივერიაში“** დაბეჭდილ მოწინავეში იგი ისევ უბრუნდება წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეას. „ივერიის“ ეს მოწინავე უსათაუროდ გამოქვეყნდა, ხოლო

ილიას თხზულებების კრებულებში დაბეჭდილია სათაურით – **„წოდებათა თანასწორობა“.** ილია პირველსავე აბზაცში მოკლედ აყალიბებს უმთავრეს იდეას: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისთვის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან“.[1]

ილიამ კარგად იცოდა, რომ წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ყოველდღიური ცხოვრება აღსავსე იყო სოციალური დაპირისპირების დამადასტურებელი ფაქტებით. სწორედ თავის ოპონენტთა საყურადღებოდ წერდა ილია: „ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელსამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შემობერვაზედვე დაიფუშება“.[2] ილიამ გარკვევით მიანიშნა, რომ წოდებრივი ინტერესების გამომხატველი სახ-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** წოდებათა თანასწორობა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბ., 1962, გვ. 165.

[2] იქვე.

ელმწიფო და ხელისუფლება თანდათან უთმობდა ადგილს საერთო-ეროვნულ სახელმწიფოს და მთელი ერის, ყველა წოდების ინტერესების დამცველ ხელისუფლებას: „ეხლა სულ სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრებაც მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისათვის უნდა ერჩოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს“.[1] ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული ეხებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და არა რუსეთსა და საქართველოს. რუსეთში და, ცხადია, მისი გავლენით საქართველოში, სოციალური დაპირისპირება სულ უფრო ძლიერდებოდა. ამას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკა და, მეორე მხრივ, სოციალისტური ორიენტაციის ძალების (ანარქისტების, ნაროდნიკების, სოციალ-დემოკრატების) ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომლის მიზანიც იყო სოციალური დაპირისპირების გაღრმავება და დიდი სოციალური ამბოხის გამოწვევა. საქართველოში შექმნილ ვითარებას ილია ასე ახასიათებს: „ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი თავად-აზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია და, როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითლის. ჩვენ-კი ვიტყვით, რომ მისი დღეგრძელობა, კეთილ-დღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭდიოს და ერთს წუთსაც გონებიდამ არ მოიშოროს, რომ თუ სხვანი კარგად იქნებიან, მარტო მაშინ იგიც კარგად იქნება. ჭეშმარიტსა და საბოლოო წარმატების სათავე აქა აქვს და თუ

[1] **ილია ჭავჭავაძე,** წოდებათა თანასწორობა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბ., 1962, გვ. 166.

ჩვენი თავად-აზნაურობა ყოველს თავის მეცადინეობას და მოქმედებას ამ მოძღვრებას შეუფერებს და ქვეშ დაუყენებს, სასახელო მიზეზს არსებობისასაც იპოვის“.[1] ილია ურყევად დგას იმ აზრზე, რომ წოდებათა შერიგების იდეის პრაქტიკულად განხორციელება თავადაზნაურობამ უნდა იდოს თავს, რადგან ქართული ეროვნული ბურჟუაზია ამ პერიოდისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა და მისი გამოჩენის პერსპექტივაც არ ჩანდა: „ეხლანდელს დროში მხოლობითი გზა წარმატებისა თავად-აზნაურობისათვის ის არის, რომ ყველას ერთად, გამოურჩევლად, გამოუკლებლად, მოზიარე ექმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნიერებდეო“.[2]

ყოველივე ზემოთ თქმული აუცილებელს ხდის კითხვის დასმას: თვლიდა თუ არა ილია წოდებათა შერიგების იდეას შესაძლებლად მომავალში მაინც? ამ კითხვის პასუხს „ოთარაანთ ქვრივის“ დასასრულს ვპოულობთ: „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს“.[3] ამ ნაპირებზე, გაღმა-გამოღმა, ქართველი გლეხობა და ქართველი თავადაზნაურობა იდგა.

თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო წოდებათა თანამშრომლობა, როგორ უნდა მომხდარიყო „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა, ილიას არ დაუკონკრეტებია. ამ იდეის პრაქტიკულად ხორცშესხმის გზები ცოტა მოგვიანებით არჩილ

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** წოდებათა თანასწორობა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბ., 1962, გვ. 166.

[2] იქვე.

[3] **ილია ჭავჭავაძე,** ოთარაანთ ქვრივი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 307.

ჯორჯაძემ დასახა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ **არა მარტო XIX საუკუნის 80-იან წლებში, არამედ XX საუკუნის დამდეგსაც წოდებათა შერიგებას, კლასთა თანამშრომლობას სულაც არ თვლიდნენ არარეალურად.**

§4. „ერთი გაპტყელებული და უშვერი ტყუილი“ (საქართველოს ისტორიის გამყალბებლები და მათი დამქაშები)

რამეთუ თითოეული ხჱ
თჳისისაგან ნაყოფისა საცნაურ არნ.
***ლუკა**, 6, 44.*

რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის ცნობილმა წარმომადგენელმა **ივანე ჯაბადარმა,** ფსევდონიმით **„Н. Д“.** ჟურნალ „Северный Вестник“-ში 1889 წელს **გამოაქვეყნა „Письма о Грузии“.** ივანე ჯაბადარის მიზანი ასეთი იყო: საქართველოს ისტორიას ისეთი ინტერპრეტაცია უნდა მისცემოდა, რომ ქართველ ერს თავისი წარსულით ვეღარ ეამაყა. ივანე ჯაბადარი დაასკვნიდა, რომ ქართველი ერი დაბერდა, ფიზიკური და სულიერი ძალისგან დაიშრიტა და პერსპექტივა აღარ აქვსო. ივანე ჯაბადარს 1889 წელსვე უპასუხა ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ბრწყინვალე წერილების სერიით **„აი ისტორია“**. ივანე ჯაბადარმა თბილისში გამომავალ გაზეთ „Новое Обозрение“-ში ორი წერილი დაბეჭდა: „Откритое послание ивериицам“[1] და „Поклонение современности и „археология“[2]. ივანე ჯაბადარი კოსმოპოლიტი იყო და საქართველოს ისტორიას სრულიად

[1] **Н. Д. [Иване Джабадари],** Откритое послание „ивериицам – газета „Новое Овозрение**,** 1889, № 1847, 2 мая, стр. 1-2, № 1850, 5 мая, стр. 1-2.

[2] **Н. Д. [Иване Джабадари],** Поклонение современности и археология – газета „Новое Овозрение**,** 1889, № 2008, 2 ноября, стр. 3.

გარკვეული პოლიტიკური მიზნით აყალბებდა (იმასაც ამბობენ, „Писма о Грузии“ ივანე ჯაბადარს არ დაუწერია, მისი მეუღლის დაწერილი იყოო). ამ შემთხვევაში ყველაფერი ნათელი და გასაგებია. გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ: რატომ დაუჭირა ზოგიერთმა ქართველმა მხარი ივანე ჯაბადარს? ნუთუ ილიასადმი ბოღმამ და შურმა დაავიწყა ამ ადამიანებს პატიოსნება და ღირსება?

1889 წლის 12 ნოემბერს გაზეთ „თეატრში“ დაიბეჭდა **„ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა“**, რომლის ავტორი იყო ვინმე **„სალმასტელი“**[1]**.** მიმოხილვა იწყება ივანე ჯაბადარისა და მისი ნაშრომის ქება-დიდებით: „რუსულ ჟურ. „Сев. Вест“.-ში იბეჭდება წერილი „Писма о Грузии“, რომლის ავტორი იკვლევს ჩვენი წარსულის ისტორიისა და ლიტერატურის ვითარებას. სრულიად ახალი და ნაყოფიერი აზრი ნაშრომისა უტყუარი გამომხატველია იმისი, რომ წერილების ავტორს შეგნებული აქვს თანამედროვე მეცნიერებაში შემუშავებული სოციოლოგიური კანონები და ამ უკვე შეძენილი საგზლით იგი შესდგომია ისეთ მძიმე საგანს, როგორიც არის ჩვენი გაურკვეველი და ბურუსით მოცული განვლილი ცხოვრება. ავტორი კრიტიკით ხელმძღვანელობს, სურს განცალკევებული ისტორიული მოვლენანი ქართველთა ცხოვრებისა სისტემაში მოიყვანოს და უჩვენოს იმის კავშირი იმ ხალხების ცხოვრებასთან, რომელნიც მაშინდელს კულტურას სათავეში უდგნენ და რომელთა გავლენა და ზემოქმედება ტონს და მიმართულებას აძლევდა მთელს აღმოსავლეთის დაწინაურებულ ერთა ყოფა-ცხოვრებას“.[2] ასე გადაუხადა სალმასტელმა მადლობა ივანე ჯაბადარს საქართველოს ისტორიის გაყალბებისათვის, ქართველი ერის დამცირებისა და აბუჩად აგდებისთვის. ვინ უფრო დიდი დამნაშავე იყო ქართველი

---

[1] **ს. სალმასტელი**, ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა, გაზეთი **„თეატრი“**, №39-40, 12 ნოემბერი, გვ. 5, 9.

[2] იქვე, გვ. 5.

ერის წინაშე, ქართველობადაკარგული, გადაგვარებული ივანე ჯაბადარი თუ მისი ქართველი მეხოტბე?

სალმასტელმა ივანე ჯაბადარისა და მისი ნაშრომის ქება-დიდება არ იკმარა და ილია ჭავჭავაძესაც შემოსწყრა „Писма о Грузии"-ის კრიტიკის გამო. სალმასტელი წერს: „და აი, სწორედ ამ დროს, როდესაც „Писма о Грузии"-ის ავტორი ასეთის კეთილშობილურისა და უმაღლესის აზრით დასწაფებია თავის აღრჩეულს საგანს „ივერიის" მოწინავე წერილების ავტორი (ილია ჭავჭავაძე – ვ. გ.) საშინელის უშვერის სიტყვებით ლანძღავს ნ. დ.-ს (ივანე ჯაბადარს – ვ. გ.).[1] სალმასტელი არად აგდებს იმას, რომ ივანე ჯაბადარი ქართველობას არწმუნებს: საქართველოს ისტორიაში საამაყო არაფერიაო. პირიქით, მადლობას უხდის ივანე ჯაბადარს: „მაგრამ თუ-კი ავტორის (ივანე ჯაბადარის – ვ. გ.) აზრით, ჩვენს ხალხს (ე. ი. ქართველ ერს – ვ. გ.) აქამდის თავისთავად დიდი რამ არა გაუკეთებია-რა და ერთად ერთი ჩვენი წარსული დიდების ძეგლიც (გულისხმობს „ვეფხისტყაოსანს" – ვ. გ.) თავისის შინაარსით სხვა ნიადაგიდამ ყოფილა ჩვენს ნიადაგზე გადმონერგილი და ისიც ურიგოთ, ამ გარემოების გამო მით მეტი შრომა და მით მეტი სწავლა გვმართებს, მით უფრო დასატუქსველი და შესაგინებელია ჩვენში წარსულით ტრაბახი...".[2] გაზეთ „თეატრის" იმავე ნომერში **ს. სალმასტელის** მეორე წერილიც დაიბეჭდა სათაურით **„ცხოვრების მოედანი".**[3] ილია ჭავჭავაძის მიერ ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ გამოსვლას ს. სალმასტელი ასე მოიხსენიებს: „დიაღ, დიდი ხანია, რაც ომი ასტყდა, და, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი დედაბერი „ივერიის" მამა-მთავარმა (ილია ჭავჭავაძემ – ვ. გ.) თავის დიაკვნებით დიდი წირვა-ლოცვა და პარაკლისი

---

[1] **ს. სალმასტელი**, ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა, გაზეთი **„თეატრი"**, №39-40, 12 ნოემბერი, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 5, 9

გადაიხადეს და დღესაც „ივერიიდამ“ გლოვის ზარის წკარა-წკური მოისმის“.[1] ყოველგვარ ზღვარს გადადის ს. სალმასტელი, როდესაც ილიას ასე იხსენიებს: „თვით მამამთავარი, ჯერ ისევ, როგორც ეტყობა, სამეცნიერო წიგნებში ღრმად გართულა, რადგანაც, ღვთის წყალობით მხოლოდ სიბერეში მოეცა შემთხვევა და გაჭირება შეისწავლოს ის, რაც სიყმაწვილეში ვერ შეიგნო; კიდევაც ბარაქალა იმის მხნეობასა და გამრჯელობას!“[2]

ილია ჭავჭავაძე სალმატელთან პოლემიკაში არ ჩაბმულა. სალმასტელისნაირი „წვრილფეხობისათვის“ ილიას არ ეცალა. **ივანე ჯაბადარის უკან დიდი ძალა იდგა, ეს ძალა ახალ განსაცდელს უმზადებდა საქართველოს. ილიაც ახალი, დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდა.**

§ 5. „ცხოვრება და კანონი“ (ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივა)

კაცს მაგოდენად ვერა შველის
თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა,
ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება
ყოველგვარის წარმოებისა,
თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი
და ცხადად განსაზღვრული არ არის
ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა.
ილია

ილია ჭავჭავაძის წერილების სერია საერთო სათაურით – **„ცხოვრება და კანონი“** – 1877 წლიდან 1881 წლამდე იბე-

---

[1] **ს. სალმასტელი**, ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა, გაზეთი **„თეატრი“**, №39-40, 12 ნოემბერი, გვ. 5.

[2] იქვე.

ჭდებოდა ჯერ გაზეთ **„ივერიაში“** (1877 წ.), ხოლო შემდეგ – ჟურნალ **„ივერიაში“** (1878-1881 წწ.). ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. ილიას სურდა, შეეფასებინა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა და ამოეცნო განვითარების პერსპექტივა.

ილია ნაშრომის დასაწყისშივე აყალიბებს უმთავრეს დებულებას. მისი აზრით, ვერანაირი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ვერანაირი ბუნებრივი სიმდიდრე ვერ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას, ეკონომიკურ აყვავებას, თუ საზოგადოებაში მოწესრიგებული არ არის სამართლებრივი ურთიერთობები: „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რაიმე ქვეყნიერებაზედ“.[1] იმავე აზრს ილია ქვემოთ აკონკრეტებს: „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაო განსაზღვრული ცხადად და აუცილებლად, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“.[2]

ილიას მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონით მოწესრიგება („კაცთა უფლებათა და მოვალეობათა“ განსაზღვრა) 1864 წლიდან ანუ ბატონყმობის გაუქმებიდან დაიწყო. **ილია ყმა გლეხისათვის მოქალაქის უფლების**

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ცხოვრება და კანონი. **ილია ჭავჭავაძე**. თხზულებათა სრული კრებული ათტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 8.

მინიჭებას დიდ ისტორიულ მოვლენად მიიჩნევდა. ამასთან ერთად, უარყოფითად აფასებდა იმას, რომ ყოფილმა ყმამ იმდენი მიწა ვერ მიიღო, რომ დამოუკიდებელ მეურნედ (ფერმერად) ქცეულიყო. რადგან გლეხს (მებატონისაგან გამოსყიდული) მიწა არ ჰყოფნიდა, იგი იძულებული იყო, ძალზე მძიმე საიჯარო პირობებით მიწა მემამულისაგან აეღო (მემამულისაგან იჯარით მიღებული მიწის საფასური ამ მიწაზე მოწეული მოსავლის ერთ მეოთხედს ან სამ მეოთხედს უდრიდა). ილია დარწმუნებული იყო იმაში, რომ მემამულესა და გლეხს შორის ამგვარი ურთიერთობა აუცილებლად შეაფერხებდა ეკონომიკურ პროგრესს. ილიას აზრით, მემამულესა და გლეხს შორის ბატონყმობის გაუქმების პროცესში ურთიერთობა ისე უნდა გარკვეულიყო, რომ ამ ორ სოციალურ ფენას შორის დაპირისპირებისა და უკმაყოფილების საფუძველი აღარ დარჩენილიყო. გლეხსა და მემამულეს შორის ურთიერთობის სამართლიანად მოწესრიგების გზა ილიას ასე წარმოედგინა: ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, რომ „მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრა“.[1] ილია წუხდა იმის გამო, რომ ხელისუფლება სხვა გზას დაადგა და „ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა – ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც“.[2] ილია არ მალავდა, რომ მემამულესა და გლეხს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არასწორად მოწესრიგდა და იგი აუცილებლად დიდ ზიანს მოუტანდა საზოგადოებას. **ილია ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უმ-**

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ცხოვრება და კანონი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ათტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 10.

[2] იქვე.

თავრეს შემაფერხებელ ფაქტორად ყოფილი ყმა გლეხის თავისუფალ ფერმერად ვერგადაქცევას მიიჩნევდა.

ილია საგანგებოდ ჩერდება მიწათსარგებლობის საკანონმდებლო ბაზის შემუშავების პროცესში ხალხის ფსიქოლოგიის, ხალხის ტრადიციებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობაზე. გლეხსა და მემამულეს შორის ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა (იჯარა), ილიას აზრით, იქნებ მისაღები ყოფილიყო რუსი გლეხისათვის და რუსი მემამულისათვის, მაგრამ საქართველოში იგი გაუმართლებელი იყო. ილია მსჯელობს გლეხსა და მემამულეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ და ასკვნის: „იქნება ამ ორს ჭკუაში მოსასვლელს საგანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი – არა მგონია. ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველწლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება“.[1] ილიას ისიც შეუნიშნავს, რომ რუსი „მუშაკაცი“ და ქართველი „მუშაკაცი“ განსხვავებული ფსიქიკის მქონენი არიან: ქართველი „მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა“[2]. ილიას ნაშრომიდან მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ცხოვრება და კანონი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ათტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 26.

[2] იქვე.

მიერ ზემოთ გაკეთებულ დასკვნას: **თავისუფალი ფერმერი და ფერმერული მეურნეობა ილიას სოფლად ეკონომიკური პროგრესის საფუძვლად მიაჩნდა.**

ილია გლეხისათვის მისაღები აგრარული საკანონმდებლო ბაზის შექმნას იმიტომ მოითხოვდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ **მიწა ქართველთა ხელში დარჩენილიყო.** იგი გრძნობდა, რომ ქართველ მემამულეთა დიდი ნაწილი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა და შემოსავლის უმთავრეს წყაროდ უძრავი ქონების გაყიდვას გაიხდიდა. ქართველ გლეხს იმდენი ფული არ ჰქონდა, რომ მემამულის მიწა ეყიდა. მყიდველი უცხოტომელი (ძირითადად, სომხური) ბურჟუაზია და რუსეთის ხაზინა იქნებოდა. სწორედ ამიტომ ილიას ერჩივნა, ბატონყმობის გაუქმების პროცესში გლეხს რაც შეიძლებოდა მეტი მიწა შეესყიდა, თუნდაც ხელისუფლებისაგან მიღებული სესხით. ეს მომავალში მნიშვნელოვნად შეამცირებდა უცხოტომელი ბურჟუაზიისა და რუსეთის ხაზინის მიერ მიწების შეძენას სოფლად.

ილიას აზრით, ქართველი გლეხი უნდა გამხდარიყო საშინაო აგრარული ბაზრის მთავარი მიმწოდებელი და საქართველოს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორი. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ილიას უსათაურო წერილები (მოწინავეები), დაბეჭდილი გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის 5-6 მარტსა და 1886 წლის 26 აპრილს. ეს წერილები ეხება კახეთში რკინიგზის მშენებლობის პერსპექტივასა[1] და საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას.[2]

გლეხური (ფერმერული) მეურნეობის აღორძინება, ქართული სოფლის ბატონ-პატრონად ქართველი გლეხის

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** კახეთის რკინიგზა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 414-419.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის საჭიროებანი. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 581-584.

გადაქცევა, სოფლის მეურნეობის პროდუქტით საშინაო და საგარეო ვაჭრობის ქართველი გლეხობის ხელში მოქცევა, აგრარულ ბაზარზე ქართველი გლეხის გაბატონება – აი, ილიას ეკონომიკური პროგრამის არსი.

ილიას, ცხადია, თუნდაც ევროპის ქვეყნების მაგალითზე, კარგად ჰქონდა გააზრებული საქართველოში ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრების გარდაუვალობა. 1886 წლის 27 თებერვალს გაზეთ **„ივერიაში“** დაბეჭდილ უსათაურო წერილში (მოწინავეში), რომელიც გერმანიას ეძღვნება, ილია წერს: გერმანიაში არსებული „წყობა დღევანდელის დღისა, წარმომდგარი 1848 წლის რევოლუციისაგან, ეგრეთწოდებული „ბურჟუათა“ წყობაა. ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა, რომელიც დღეს განაგებს თითქმის ყველგან შინაურ თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას, მოძრავის თავნისა და შეძლების პატრონების ნაწილია“.[1] ილია აღნიშნავს, რომ ბურჟუაზია ძალზე აქტიური ფენაა, ყველაფრის თავის ხელში ჩაგდებას ცდილობს: „საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ – ეგენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას – სულ ყველგან ეგენი არიან ობსავით მოდებულნი და რაც საიდამ გამორჩომაა – არავითარს შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ“.[2] ილია იქვე მიანიშნებს ერთ მეტად საყურადღებო მოვლენაზე, რომელიც ბურჟუაზიის ასეთ უზომო აქტიურობას მოჰყვა გერმანიაში: „რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი და იგი შეადგენს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატკივარსაც გერმანიისას“.[3]

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ბურჟუათა წყობა გერმანიისა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 399.

[3] იქვე, გვ. 399-400.

ილიას სწორედ ეს „სატკივარი“ აფიქრებდა. ეშინოდა, საქართველოში უკვე არსებულ ერთ სოციალურ დაპირისპირებას (მემამულესა და გლეხს შორის) მეორე არ დამატებოდა (კაპიტალისტისა და მუშისა). ილიას არანაკლებ აფიქრებდა ისიც, რომ ახალი დრო ყველგან ბურჟუაზიის ბატონობის დრო იყო – ერს სათავეში ბურჟუაზია ედგა. **საქართველში კი ეროვნული ბურჟუაზია არ არსებობდა და არც მისი ჩამოყალიბების პერსპექტივა ჩანდა.** ქონების გადანაწილების პროცესში, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქალაქად დაიწყო, უცხოტომელი (სომხური) ბურჟუაზია პირველობდა, კაპიტალის მფლობელი ის ხდებოდა. უცხოტომელი ბურჟუაზია კი ქართველი ერის წინამძღოლად ვერ გამოდგებოდა. ამ სავალალო პერსპექტივამ ილიას თვალი ისევ სოფლისაკენ მიაპყრობინა: **უცხოტომელი ბურჟუაზიის ძლიერების შეზღუდვა სოფლიდან, აგრარული ბაზრიდან მისი გამოდევნით უნდა დაწყებულიყო.** წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოტომელი ბურჟუაზია ქართულ სოფელსაც დაეუფლებოდა და, ამრიგად, ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გახდებოდა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კითხვაზე – ილია მომხრე იყო თუ არა საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისა? – ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: **პირველი**. ილია მხარს უჭერდა სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ჩამოყალიბებას და ქართველი გლეხის გადაქცევას სოფლის ბატონ-პატრონად; **მეორე**. ქალაქად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას ილია მხარს არ უჭერდა, რადგან ეს მთელი საქალაქო ცხოვრების უცხოტომელთა (ძირითადად, სომეხთა) ხელში ჩაგდების პროცესის მხარდაჭერა იქნებოდა; **მესამე**. სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების შედეგად მომძლავრებულ ქართულ ბურჟუაზიას (ფერმერებს) წინააღმდეგობა უნდა გაეწია

უცხოტომელი ბურჟუაზიისათვის, არ დაეშვა მისი შეჭრა სოფლად და, შეძლებისდაგვარად, შეეზღუდა იგი ქალაქადაც.

ილიას არასდროს, არც ბატონყმობის გაუქმებამდე და არც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეჭვქვეშ არ დაუყენებია ეკონომიკური და სოციალური პროგრესის (ე. ი. პოლიტიკური პროგრესისაც) საფუძვლად კერძო საკუთრების აღიარება. ილიას შეხედულება არ შეუცვლია არც მას შემდეგ, რაც 1905 წლის რევოლუციის პერიოდში სოციალისტური ორიენტაციის პარტიებმა კერძო საკუთრების მოსპობის ლოზუნგი წამოაყენეს. 1905 წელს ილია წერდა: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“.[1] ამასთან ერთად, ჯერ კიდევ 1886 წელს, ილია აშკარად არ თვლიდა სასურველად სახელმწიფოში მთელი საკუთრების თავმოყრას ბურჟუაზიის ხელში. ილია „კერძო კაპიტალთან“ ერთად „სახელმწიფო კაპიტალის“ არსებობის მომხრე იყო. ამ თვალსაზრისით სანიმუშოდ მას ოტტო ბისმარკის პოლიტიკა მიაჩნდა: „ჯერ ერთი, რომ „ბურჟუაზიას“, მეტად გაძლიერებულს და თითქმის სახელმწიფოს მფლობელს, მართლადა შეკრეჭა უნდა, თორემ მეტად თამამობს და საჭიროა დიდი სახსარი ძლიერებისა პატარად შეაკვეცოს; მეორეს მხრით, მუშათა გულს მოიგებს, რაკი სახელმწიფო ჩაიგდებს ხელში გამორჩომის წყაროს და, მაშასადამე, თვითონ სახელმწიფო აუჩენს მუშებს საქმესა და მესამეს მხრით – რაც გამორჩომა იქნება, სახელმწიფოს ერგება“.[2] ილიას სწორად მიაჩნია ის, რომ ოტტო ბისმარკმა რკინიგზაც სახელმწიფო საკუთრებად

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ნუთუ? **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. V. თბ., 1962, გვ. 212.

[2] **ილია ჭავჭავაძე,** ბურჟუათა წყობა გერმანიისა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 400.

აქცია, სახელმწიფო საკუთრებად აქცია ასევე თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ვაჭრობა. ოტტო ბისმარკის პოლიტიკის სოციალური მიზანი ილიამ ასე განმარტა: „რაკი მუშები ლუკმაპურის საშოვრად სახელმწიფოს მაყურებელნი იქნებიან, რაკი სახელმწიფო იქნება მათთვის საქმის ამჩენელი, საქმის პატრონი და ამ გზით სარჩო-საბადებლის მომწვდელი, მაშინ მუშები, ამრიგად სახელმწიფოსაგან დავალებულნი, ძალაუნებურად სახელმწიფოს დაემორჩილებიან, მიემხრობიან“.[1] ილია თვლიდა, რომ ამგვარი სოციალური პოლიტიკა შეზღუდავდა სოციალისტური პარტიების ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რადგან მუშების ნაწილი სოციალისტებს აღარ გაჰყვებოდა.

საინტერესოა, თუ რა ადგილი რჩებოდა ახალ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში ქართველ არისტოკრატიას – თავადაზნაურობას. ილია გრძნობდა, რომ ქონების გადანაწილების პროცესში, რომელიც ბატონყმობის შემდეგ დაიწყო, ქართული არისტოკრატია (თავადაზნაურობა) ქონებას დაკარგავდა და ბურჟუაზიის ხელში გადავიდოდა. ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერი იყო ყველა ერისათვის. საქართველოში შექმნილი იყო განსაკუთრებული ვითარება – ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ნაცვლად ყალიბდებოდა უცხოტომელთა (როგორც ვთქვით, ძირითადად, სომხური) ბურჟუაზია. **ქართული არისტოკრატიის (თავადაზნაურობის) მატერიალურ დაუძლურებას უცილობლად მოჰყვებოდა მისი ინტელექტუალური პოტენციალის შესუსტება და, ამდენად, ქართველი ერი ინტელექტუალური ელიტის გარეშე დარჩებოდა.** ჩვეულებისამებრ, სხვა ერებსა და სახელმწიფოებში ერის ახალი ინტელექტუალური ელიტა ახალი კლასის – ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან – ყალიბდებოდა. საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის

[1] **ილია ჭავჭავაძე,** ბურჟუათა წყობა გერმანიისა. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 401.

არარსებობის პირობებში არისტოკრატიული (თავადაზნაურული) პოლიტიკური ელიტის შემცვლელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ელიტა ვერ ჩამოყალიბდებოდა და იქმნებოდა იმისი საშიშროება, რომ ერი საერთოდ პოლიტიკური ელიტის გარეშე დარჩებოდა. სწორედ ამის გამო ილია ცდილობდა, თავადაზნაურობა ეხსნა სრული ეკონომიკური გაღატაკებისაგან, რათა მას ერის პოლიტიკური ელიტის როლი რაც შეიძლებოდა დიდხანს შეესრულებინა. მავანმა და მავანმა ილიას ასეთი პოზიცია „ფეოდალური წოდების", „თავადაზნაურობის", „გაბატონებული წოდების" ინტერესების დაცვად ჩათვალა და ილია რეაქციონერ მოაზროვნედ მიიჩნია. **სინამდვილეში ილია თავადაზნაურთა კლასს კი არ იცავდა, არამედ ქართველი ერის პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ძირითადად თავადაზნაურობის წოდებიდან გამოდიოდა და რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო ეროვნული მოძრაობის წარმატება.**

§ 6. „დევნული სიღარიბიდან" „ძლევამოსილ სიმდიდრემდე" (სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი)

დიაღ, მოწყალეო ხელმწიფენო,
ყოველთგან დევნულმა სიღარიბემ აქაც გვიჩვენა ჩვენ,
რომ იგი უფრო სულგრძელია ძლევამოსილს სიმდიდრეზედა!
ილია

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმებამ (1864-1865 წწ.), ამ მოვლენის უდავოდ დიდი პროგრესულობის მიუხედავად, ქართველი ერისათვის მეტად არახელსაყრელი პერსპექტივა შექმნა. **ქონების გადანაწილების დაწყებული პროცესი წარმოების მთავარი საშუალების (მიწის) დაკარგვით ემუქრებოდა ქართველ**

თავადაზნაურობას. ქონების გადანაწილების პროცესში არისტოკრატიის (თავადაზნაურობის) მიერ მიწის დაკარგვა თავის დროზე ევროპის ყველა ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. საქართველოს თანადროულად იგივე მოვლენები მიმდინარეობდა რუსეთშიც. ევროპაშიც და რუსეთშიც მიწა ახალი სოციალური ფენის – ფერმერების – ხელში გადადიოდა, ან რჩებოდა გაბურჟუებული არისტოკრატიის საკუთრებაში. **საქართველოში მთელი რიგი მიზეზების გამო თავადაზნაურობის მიწა გლეხური (ფერმერული) მეურნეობის სისუსტისა და ქართული ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის (თუნდაც ჩანასახოვან მდგმარეობაში არსებობის) გამო უცხოტომელი ბურჟუაზიის (ძირითადად, სომხურის) და რუსეთის სახელმწიფო უწყების (ხაზინის) ხელში გადადიოდა.** თუ პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში საქართველოს მიწა, ქართველთა მიწა უცხოტომელთა ხელში აღმოჩნდებოდა.

რა უშლიდა ხელს მიწის ძირითადი მესაკუთრის – ქართული არისტოკრატიის (თავადაზნაურობის) – გაბურჟუებას, ახალ კლასად ქცევას? ბურჟუაზიის მორალი ყველა ერსა და სახელმწიფოში, ყველა აღმსარებლობის ხალხში მიუღებელია არისტოკრატიისათვის, სამაგიეროდ მისაღებია მესამე წოდებისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველო, ჩვენი აზრით, რაიმე განსაკუთრებულ გამონაკლისს არ წარმოადგენდა, ანუ **„თათქარიძეობა“ არ წარმოადგენდა ქართული არისტოკრატიის უმრავლესობისათვის, თუნდაც რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, დამახასიათებელ ეროვნულ სენს.** ლუარსაბ თათქარიძე იყო არა ზოგადად, ქართველი არისტოკრატიის, თუნდაც XVII-XVIII საუკუნეების ქართული არისტოკრატიის, სახე, არამედ **რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში ფუნქციადაკარგული ქართველი არისტოკრატიის პირმშო – მეორე თუ მესამე თაობის წარმომადგენელი.** რუსეთის ხელისუ-

ფლებამ წინასწარგაზრახვით, ღონისძიებათა მთელი კომ-პლექსის წყალობით ქართველი ერის ცხოვრებაში ფუნქცია დაუკარგა არისტოკრატიას. ხსენებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ორი: სახელმწიფო მმართ-ველობაში არისტოკრატიის როლის მინიმუმამდე შემცირება და არისტოკრატიის ეკონომიკური დაუძლურება. **ლუარს-აბ თათქარიძე ამ სამოცწლიანი ექსპერიმენტის ნაყოფი იყო.** მართალია, თათქარიძეობა საყოველთაო სენი არ იყო, მაგრამ იგი მაინც შეიცავდა საშიშროებას. იმ სოციალურ გარემოში, ქონების გადანაწილების პროცესში ერთნაირად განწირულნი ჩანდნენ როგორც **ლუარსაბ თათქარიძე, და-ვით თათქარიძე, მოსე გძელაძე** („კაცია-ადამიანი?!“), ისე **არჩილი, კესო** („ოთარაანთ ქვრივი“). **ეპოქა სოლომონ ისა-კიჩ მეჯღანუაშვილისნაირ ხალხს უხსნიდა გზას.** რატომ? სოლომონ ისაკიჩს შეეძლო ბაზარზე წანწალით დაეგროვები-ნა ის ფული (პირველი კაპიტალი), რომელიც ქონების გადან-აწილების პროცესში მას ახალი ქონების (დიდი ქონების) ხელში ჩაგდების საშუალებას მისცემდა. ცხადია, ქართველი არისტოკრატია ამ გზით ვერ წავიდოდა. **თავადაზნაურო-ბას ჰქონდა მიწა, მაგრამ მიწა რომ კაპიტალად, ფულის შოვნის წყაროდ ქცეულიყო, ამისათვის საჭირო იყო ისევ ფული (პირველი კაპიტალი), რომელიც ქართულ არის-ტოკრატიას არ გააჩნდა.** ამასთან ერთად, ეს ფული ქა-ართველ თავადაზნაურობას დროზე უნდა ეშოვა, თორემ იმ მიწასაც დაკარგავდა, რაც ჯერ კიდევ რჩებოდა ერთადერთ იმედად. ამ, ერთი შეხედვით, გამოუვალ ვითარებაში ქარ-თულ სინამდვილეში დაიბადა **სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** შექმნის იდეა. ბანკის საწესდებო კაპიტალი ყმებისათვის მიწის მიცემის სანაცვლოდ მიღებული თანხი-დან შედგა. ასე შეიქმნა 1875 წელს **თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი,** ხოლო ცოტა მოგვიანებით – **ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო**

სათავადაზნაურო ბანკი. ბანკი ქართულ სინამდვილეში ახალი მოვლენა იყო. ილია ჭავჭავაძემ იმთავითვე იგრძნო, რომ ბანკის იდეას არასწორად გაიგებდნენ და პროგრესის გზად ჩაფიქრებული ეს დაწესებულება მალე თავის ძირითად დანიშნულებას ვეღარ შეასრულებდა.

1872 წლის ნოემბერში ილიამ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ბანკის მნიშვნელობის განმარტებას მიეძღვნა. ილიამ სიტყვა ასე დაიწყო: „1867 წელსა თავადაზნაურობამ გამოჰსთქვა სურვილი ბანკის დაწესებისა იმ აზრით, რომ დაიხსნას ჩვენი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. იგი აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდსულოვნებითა და ნაყოფიერებითა. ამა ძვირფასის აზრის გონიერებითსა შესრულებაზედ დამოკიდებულია ჩვენის ეკონომიურის მოღვაწეობის იგი განცხოველება და განძლიერება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენს ნივთიერ კეთილდღეობამდე და სიმდიდრემდე და ამის გამო ზნეობის სიკეთემდეცა“.[1]

ერის წინამძღოლობის ფუნქციას თავადაზნაურობა, ცხადია, ეკონომიკური გაღატაკების პირობებში ვერ შეინარჩუნებდა. ეკონომიკურ დეგრადაციას სულიერი და ინტელექტუალური დეგრადაციაც მოჰყვებოდა და ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის პირობებში ერი პოლიტიკური ელიტის გარეშე დარჩებოდა.

ილიას სერიოზულად აფიქრებდა ის გარემოება, რომ ბანკის შექმნის იდეას გამოეხმაურა და საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად თანხა გაიღო არისტოკრატიის შედარებით ღარიბმა ნაწილმა, მსხვილი მიწათმფლობელები (მემამულეები) კი თავს იკავებდნენ. ამ სამწუხარო მოვლენის შესახებ ილია აღნიშნავდა: „არ შემიძლიან, ბატონებო, არ

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა, თქმული სათავადაზნაურო კრებაში ბანკის მნიშვნელობის შესახებ. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 13.

მოგაგონოთ ის, რომ ამ დიდსულოვანთა და პატიოსანთა შემომწირველთა შორის უფრო მრავალი ღარიბია და მათ შორის, რომელთაც არ ისურვეს იმა მსხვერპლის მოტანა, უფრო ბევრნი – შედარებით მდიდარნი არიან“.[1] ამ მოვლენას ილია ასე ხსნის: „დიაღ, მოწყალეო ხელმწიფენო, ყოველთგან დევნულმა სიღარიბემ აქაც გვიჩვენა ჩვენ, რომ იგი უფრო სულგრძელია ძლევამოსილს სიმდიდრეზედა![2]“ ილიას ამ სიტყვებმა მსმენელი გამოაცოცხლა. ამის შემდეგ ილიამ ბანკის მნიშვნელობის ვიწროდ გაგების მომხრეთა საყურადღებოდ ხაზი გაუსვა ბანკის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას: „ჩვენ გთხოვთ, შევერთდეთ ერთის მშვენიერის და ჩვენდა ღირსეულის სურვილითა, რათა ერთმანეთს შევეწიოთ ერთმანეთის მსხვერპლის მოტანითა ჩვენის საყოველთაო კეთილდღეობისათვის. ვიქმნეთ ერთგულ და ერთსულ ჩვენის მრავალტანჯულის სამშობლოსათვის, რომელიც აყვავდება მაგ ერთგულობითა და ერთსულოვნობითა ჩვენის მიწადმოქმედთათვის, რომელთაცა კეთილდღეობაზედ დამყარებულია ყოველთა ქვეყანათა კეთილმდგომარეობა საზოგადოდ და ჩვენის ქვეყნისა საკუთრად ჩვენის შთამომავლობისათვის მაინცა, რომელიც ლოცვითა და კურთხევით მოგვიხსენიებს ჩვენ“.[3]

1875 წლის თებერვალში ილიამ ისევ წარმოთქვა სიტყვა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაზე. ამჯერად სიტყვა ბანკთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს ეხებოდა, უფრო ზუსტად კი – თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდებას. ბანკის წესდების განხილვამ გამოამჟღავნა მეტად არასასურველი

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა, თქმული სათავადაზნაურო კრებაში ბანკის მნიშვნელობის შესახებ. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 13.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 14.

ტენდენცია – ყველა ცდილობდა ბანკის წესდება საკუთარი ინტერესებისათვის მოერგო. ილია იუმორით აღნიშნავდა: „ბევრს ჩვენგანს ჰგონია, რომ ბანკი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი თვითეულთა პირთა სასარგებლოთ დააწესაო თავადაზნაურობამ. ამიტომაც ყოველ წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმებოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემ ბიძაშვილს თევდორესაო არაფერს არ გვარგუნებს ბანკიდამაო“.[1] თავადაზნაურობის ნაწილმა ბანკის დანიშნულება ვერ გაიგო და იგი ყოველდღიური საჭიროებისათვის ფულის იოლად შოვნის დაწესებულებად მიიჩნია. ამით შეშფოთებული ილია აცხადებდა: „ამ თვითეულთა პირთა სარგებლობაზედ აშენებულა ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მშიერნი ვართო, ბანკმა უნდა დაგვაძღოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო“.[2] ასეთ ადამიანებს ილია აფრთხილებდა: „არა, ბატონებო, ჩვენი ბანკი მშიერთ ვერ გააძღობს, მწყურვალს თულუხჩად ვერ გაუხდება“.[3] უფრო მეტიც: „ჩვენს ბანკს რომ ეგენი ეკისრნა, პირველი რომ ქვეყანას სიცილად არ ეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადაჰყვებოდა“.[4] ილია გარკვევით მიუთითებდა, რომ ბანკი, ცხადია, კონკრეტულ პიროვნებას ფულს ასესხებდა, მაგრამ ამ გზით ფულის მსესხებელი დიდს ვერაფერს მიაღწევდა. ილიას ბანკის დანიშნულება ასე წარმოედგინა: „შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითეულს ჩვენგანს ცალკე სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს, მე ვამბობ თვითეულს ცალკე. მაგრამ უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ესე იგი, იმით, რომ ფულს

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა, თქმული 3 თებერვალს თფილისის თავადაზნაურობის შესახებ. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 16.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ასესხებს, კაცის ამშენებელიც არის და დამღუპველიცა, ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს".[1] ილია ბანკის დანიშნულებას მხნე, ბეჯითი, გამრჯე და უნარიანი ადამიანების მიერ წამოწყებული საქმეების დაფინანსებაში ხედავდა: „ბეჯითობა კიდევ თითქმის ყოვლად შემძლებელია, ანგარიშიანია, იცის, რომ ფულს წინდაუხედავათ არავინ არ გაასესხებს, თუ ფულის დაღუპვა არ უნდა. ამისთანა კაცს იმ ბეჯითობასთან, იმ მხნეობასთან, იმ შეუწყვეტელ შრომის სურვილთან ოღონდ ფულის შოვნის გზა მიეცით და რაც უნდა ძნელი გზა იყოს, იგი ამ გზას უსათუოდ გადალახავს".[2]

თავის გამოსვლაში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნის მიზანი ილიამ ასე განსაზღვრა: „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდამ უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ, ჰყვირიან, მასვით და მაჭამეთო".[3]

ბანკის იდეა იმთავითვე დაეფუძნა უმთავრეს ეროვნულ იდეას – ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ეპოქაში თავადაზნა-

---

[1] **ილია ჭავჭავაძე,** სიტყვა, თქმული 3 თებერვალს თფილისის თავადაზნაურობის შესახებ. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 18.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 19.

ურობის გამოღვიძებას და მიწის უძრავი ქონებიდან (ვალის გასტუმრების საშუალებიდან) კაპიტალად გადაქცევას, მიწის გადაქცევას ფულის შოვნის წყაროდ. ამასთან ერთად, **ეს იყო ქართული მიწის ქართველთა ხელში შენარჩუნების ერთადერთი გზა.**

თავი IV. მოწამეობრივი ცხოვრების დასასრული

§1. „ჯვარს-აცუ, ჯვარს-აცუ ეგე!“ (სოციალ-დემოკრატების გამოლაშქრება)

და გამოითხოვდეს მას ჯვარ-ცუმად
***ლუკა,** 23, 23.*

XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულისა და 90-იანი წლების დამდეგიდან საქართველოში გავრცელებას იწყებს სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. 1892-1893 წლებში შეიქმნა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია **„მესამე დასი“**. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები (ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, კარლო ჩხეიძე, პეტრე გელეიშვილი და სხვ.) ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდებოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე „მესამე დასის“ შექმნას საშიშ მოვლენად მიიჩნევდა. ილიას აღელვებდა ისიც, რომ „მესამე დასს“ მფარველობდა ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორიც **გიორგი წერეთელი** იყო. მალე გიორგი წერეთლის გაზეთ **„კვალში“** (დაარსდა 1893 წელს) ქართველ სოციალ-დემოკრატთა წერილები გამოჩნდა (1897 წლის ბოლოს გიორგი წერეთელმა „კვალი“ სოციალ-დემოკრატებს გადასცა. 1898 წლის პირველი ნომრიდან „კვალს“ ნოე ჟორდანია რედაქტორობდა). ისეთი პოპულარული გაზეთი, როგორიც „კვალი“ იყო, დიდად უწყობდა ხელს ქართველ სოციალ-დემოკრატთა დამკვიდრებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

ილია ჯერჯერობით დუმილს არჩევდა. ილიამ კარგად იცოდა, რა ძალებიც იდგნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა უკან საქართველოს გარეთ, იცოდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის თაობაზე რუსეთსა და ევროპაში. ასე გაგრძელდა 1896 წლამდე.

1895 წლის იანვარში გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა **გიორგი წერეთლის** წერილი **„კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“.** ამ დროისათვის ილია და გიორგი წერეთელი უკვე უბრად იყვნენ. მიუხედავად ამისა, გიორგი წერეთელმა წერილში უდიერად მოიხსენია გაზეთ „ივერიის“ რედაქცია და ზოგადად „ივერია“. გარდა ამისა, მანვე „ივერიას“ ბრალი დასდო თავადაზნაურობის ინტერესების დაცვასა და იმაში, რომ თითქოს ქართველი ერის ცხოვრებაში თავადაზნაურობის გაბატონებული მდგომარეობა უნდოდა შეენარჩუნებინა.[1] გიორგი წერეთლის წერილის შემდეგ დაიწყო პირწავარდნილი ლაშქრობა „ივერიის“ წინააღმდეგ. ჯერჯერობით ილიას სახელის ხსენებისაგან თავს იკავებდნენ, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ლაშქრობით ილიას წინააღმდეგ შეტევა იყო წამოწყებული.

1895 წელს „კვალში“ დაიწყო **ნოე ჟორდანიას** ნაშრომის **„გაზ. „ივერია“ და ეროვნობა“** ბეჭდვა. ნოე ჟორდანიამ ნაშრომში იგივე აზრი გაატარა, რაც გიორგი წერეთელმა – ზემოხსენებულ წერილში. ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო მძაფრად შეუტია „ივერიას“. ნოე ჟორდანიას კრიტიკა ზერელეა, სამაგიეროდ, ნაშრომი აღსავსეა ცინიზმით. ნაშრომში ვკითხულობთ: „ერთი სიტყვით ყველა წინ-წაწეულ, გარეშე სახელმწიფოს მიერ დამონებულ ერებში, დასები ყოფილა და არის. მხოლოთ თბილისში ქართული გაზეთი „ივერია“ გამომდგარა და იძახის: „დასების არსებობა ჩვენს ბუნებრივ მოთხივნილებას არ შეადგენსო“. ჩვენ სულ ამას ვფიქრობთ,

---

[1] **გიორგი წერეთელი**, კვალის ორი წლის ნაღვაწი. გაზეთი **„კვალი“,** 1895, №5, 22 იანვარი, გვ. 10.

ვაი თუ „ივერია“ ამით მხოლოთ იმას გვეუბნებოდეს, „ყველამ „ივერიის“ თავი მოიბით და ჩვენ თანახმათ იფიქრეთო“. ამ შემთხვევაში „ივერია“ გამოდის გონების ინკვიზიციის მოძღვრათ, ეს-ღა აკლდა ჩვენ ობ-მოკიდებულ უაზრობას“.[1] ნოე ჟორდანია იმავე ტონით აგრძელებს: „რაკი ივერიამ ერთხელ აღიარა: არ არის საქართველო გარდა საქართველოსი და მისი ერთადერთი ორგანო „ივერიაო“, რასაკვირველია, ამით მან ბრძოლა გამოუცხადა ყოველი ახალი აზრის გაფურჩქვნას და შემუშავებას, მიმართულების და ცხოვრების ახალი პრინციპით გამოკვლევას“.[2]

1895 წელსვე ნოე ჟორდანიამ გაზეთ „ივერიის“ (ფაქტობრივად, ილია ჭავჭავაძის) კრიტიკას მეორე წერილი – **„მოამბე“, „ივერია“ და ეროვნება“** – მიუძღვნა. ეს წერილიც გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა. ცინიზმი ამ შემთხვევაშიც ნოე ჟორდანიას მთავარი იარაღია. „ივერიის“ მრავალგზის აბუჩად აგდება ნოე ჟორდანიამ ასე დაასრულა: „ივერია“ ქვეყანას „ნანინას“ უგალობებს. ქვეყანას კი მაინც არ სძინავს, ვითომ არც კი ესმის. ქვეყანა – ივერია გაზეთ – „ივერიას“ გაურბის. ესენი ცალ-ცალკე მიდიან და ჩვენც გზა დავულოცოთ“.[3]

ეს უკვე მეტის-მეტი იყო და ილიამაც სოციალ-დემოკრატთა გალაშქრებას საკადრისი პასუხი გასცა. 1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ **„ჯიბრაელის“** ფსევდონიმით დაიბეჭდა ილიას ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი **„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“**. სტატიამ პირდაპირ მიწასთან გაასწორა გიორგი წერეთელი და „მესამე დასი“. ილია სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას **„ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“** უწოდებს. წერილში ვკითხულობთ: „მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სი-

---

[1] **ნოე ჟორდანია**, გაზ. „ივერია“ და ეროვნობა. გაზეთი „**კვალი“,** 1895, №12, 12 მარტი, გვ. 6.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] იქვე, გვ. 12.

ბრძნეს კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით საბა ორბელიანის წიგნი სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და შხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული პატიოსან კაცისაგან. ის სიცრუე – კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს „მესამე დასის“ ჟურნალში, ბ-ნ გ. წერეთლის თავმოსაწონებელ „კვალში“, და რომელშიაც იგივე ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ-კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად“.[1]

ილია ჭავჭავაძის წერილს „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ გამოეხმაურა გიორგი წერეთელი. 1897 წლის აპრილში გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა გიორგი წერეთლის **„ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“.**[2] ამჯერად მას ზომიერებამ უმტყუნა და ცილისწამებაც იკადრა. გიორგი წერეთელი წერს: „მას აქეთ, რაც თქვენ საკუთარი ქართული ორგანო (იგულისხმება გაზეთი „ივერია“ – ვ. გ.) დააარსეთ, ვისაც კი გაუბედნია თქვენთან აზროვნებაში კამათი, ყველას ბლომად მოხვედრია თქვენ და თქვენ ამალათაგან მიერ შემზადებული ტალახი. ამ თქვენ მიერ გამონატყორცნილ ტალახს და ბეზღობას არ გადარჩენია არც ერთი ჩვენი ქართველი მოღვაწეთაგანი, რომელთაც ბედნიერება არ ჰქონებიან ზოგიერთი თქვენი მოქმედება მწერლობაში არ გაეკიცხათ და შესაფერად არ დაეფასებინათ“.[3]

გიორგი წერეთელმა ილია ჭავჭავაძეს ბრალი დასდო ქართველებსა და სომხებს შორის ეროვნული შუღლის

---

[1] **ილია ჭავჭავაძე**, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე. **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. II, თბ., 1941, გვ. 280.

[2] **გიორგი წერეთელი**, ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს. გაზეთი **„კვალი“,** 1897, №17, 20 აპრილი, გვ. 328-330.

[3] იქვე, გვ. 328.

ჩამოგდებაში. წერილში ვკითხულობთ: „ერთ დღეს სომხები ყბათ აიღეთ, იმათი ღირსება მიწასთან გაასწორეთ, მცარ-ცველები და კონტრაბანდისტები დაარქვით და მეორე დღეს საქვეყნოთ გამოაცხადეთ, რომ სომხები მაღალი კულტურ-ის ხალხიაო, მომჭირნე, მშრომელი, მკვიდრი ოჯახის მქონე, განათლების მოყვარე და სხვა და სხვა. თქვენ დალოცვი-ლო, თუკი ასეთები იყვნენ სომხები, ლანძღვას რაღას ემართლებოდით“.[1] ილიასადმი შურმა და ბოღმამ გიორგი წერეთელს ასეთი სიტყვებიც კი დააწერინა: „თქვენ კი, ბ-ნო ილია ჭავჭავაძე, ვითარცა მეთაურს, არ გეკადრებათ არც ურიგო ლანძღვა-გინება, არც ბეზღობით კუდის გამობმა. იცოდეთ, რომ საქართველოს ერი ბევრ თქვენ ღირსებას-თან არასოდეს არ გაპატიებთ იმ განხეთქილებას, რომელიც თქვენ დღეს ჩამოაგდეთ არამც თუ ჩვენსა და სომხებს შუა, არამედ თვით ქართველებს შორის“.[2]

სიტყვები, რომლითაც გიორგი წერეთელი წერილის ბო-ლოს ილიას მიმართავს, ცილისწამებადაც კი არ შეიძლება შეფასდეს, ეს რაღაც უფრო საძაგელია: „აბა, მიჩვენეთ, სად არიან ის წარჩინებულნი მოღვაწენი ქვეყნისა, რომელნიც დღეს თქვენ გარს უნდა გეხვიონ და თქვენთან ერთად ხე-ლიხელჩაკიდებული უნდა შეცქეროდენ დიდ ისტორიულ მოვლენას და მასში ეძიებდენ ქვეყნის ხსნის მომასწავებელი გარემოებათა. ისინი არიან ყოველგან და თქვენთან კი არა, იმიტომ რომ თქვენი გაამპარტავნებული თავმოყვარეობის გამო ყველანი შემოირეკეთ და დარჩით სულ მარტო“.[3] თვით გიორგი წერეთელი ამ დროისათვის „სულ მარტო“ სულაც არ იყო. მას გარს ეხვივნენ კოსმოპოლიტიზმის სენით შეპყრობი-ლი მესამედასელები და „მამულის, ენისა და სარწმუნოების“ გასანადგურებლად ემზადებოდნენ.

---

[1] **გიორგი წერეთელი**, ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს. გაზეთი **„კვალი“,** 1897, №17, 20 აპრილი, გვ. 328-329.

[2] იქვე, გვ. 330.

[3] იქვე.

* * *

1897 წელს ილია ჭავჭავაძეს სამოცი წელი უსრულდებოდა. მესამედასელებმა კარგად იცოდნენ, რომ ილიას გიორგი წერეთლისა და ნოე ჟორდანიას წერილებით ვერას დააკლებდნენ. სამოცი წლის იუბილე მთელი სისრულით წარმოაჩენდა ერის უგვირგვინო მეფის, ერის სულიერი მამის დიდებას. ამიტომ სოციალ-დემოკრატებმა ილიას სამოცი წლის იუბილეს ჩაშლა გადაწყვიტეს. ეს იყო მეტად ვერაგული გეგმა. მესამედასელები ილიას იუბილეს ჩაშლით ორი მიზნის მიღწევას ცდილობდნენ – ილიას ავტორიტეტის შელახვას და სოციალ-დემოკრატების ძლიერების დამტკიცებას.

ამ თარიღის დიდი ზარზეიმით აღნიშვნა ხელს არ აძლევდა კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო ფრთხილად მოქმედებდა – ხელისუფლება ოფიციალურად ილიას იუბილეს წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდა. სამაგიეროდ ღიად და თავხედურად მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატები: ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, პეტრე გელეიშვილი და სხვები. ასე დაემთხვა ერთმანეთს ორი ძალის – ხელისუფლებისა და „მესამე დასის“ – ინტერესები (მოგვიანებით ისინი ერთმანეთს გადააბრალებენ ილიას იუბილეს ჩაშლას).

ილიას იუბილეს ჩაშლა იყო პირველი დიდი წარმატებული აქცია, რომელიც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩაატარეს. მუშათა ჯგუფებმა სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით დააშინეს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, სტამბების მფლობელები, მუშები. დარბევით ემუქრებოდნენ მათ, ვინც ილიასადმი მიძღვნილ წერილს ან წიგნს დაბეჭდავდა. დააშინეს ცალკეული მოღვაწეები. თბილისის გარდა, იუბილეს ჩაშლისათვის დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ბათუმსა და ქუთაისში.

1898 წელს ცნობილმა მოღვაწემ **მიხეილ ნასიძემ** მოახერხა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ბროშურის – **„თ.**

ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“ – გამოცემა. ილიას გარშემო შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროზე მიუთითებს ისიც, რომ ბროშურა გამოვიდა ფსევდონიმით **„მე გახლავარ“.** მართალია, 1897 წელს ილიას იუბილე ჩაიშალა, მაგრამ ხმები დადიოდა, იუბილე 1898 წელს აღინიშნებაო. **ფილიპე მახარაძემ** სასწრაფოდ დაწერა და გაზეთ „კვალში“ დაბეჭდა რეცენზია მიხეილ ნასიძის ბროშურაზე. რეცენზიის სათაურია **„საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო)“.**[1] ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის განქიქების, ილიასა და მის თანამოაზრეთა აბუჩად აგდების, მიხეილ ნასიძის ბროშურის უპირობოდ დაწუნების შემდეგ ფილიპე მახარაძე დაასკვნის: „დროა ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და მართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რას აკეთებდენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ“.[2] ამ მცირე ნაწყვეტში დიდად მზაკვრული აზრია ჩადებული. ფილიპე მახარაძე აცხადებს, რომ საზოგადოებამ არ იცის, თუ რა ხდებოდა საქართველოში „ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ“, ცხადია, იგულისხმება, რომ არ იცოდა საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან 90-იანი წლების მიწურულამდე. ეს კი ის პერიოდია, როდესაც ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დიდ წარმატებებს მიაღწია, ბრძოლა ქართველობისა და საქართველოს გადასარჩენად წარმატებით მიმდინარეობდა. მიხეილ ნასიძე სწორედ ილია ჭავჭავაძის როლს წარმოაჩენდა XIX საუკუნის 60-90-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ფილიპე მახარაძე კი საქართველოს ისტორი-

---

[1] **ფილიპე მახარაძე,** საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვნა ბ-ნ მე გახლავარის წიგნაკის გამო), გაზეთი **„კვალი“,** 1898, №31, 26 ივლისი, გვ. 519-523.
[2] იქვე, გვ. 523.

იდან ილიას სახელის ამოშლას მიესწრაფოდა. ცხადია, მას ხელს არ აძლევდა მიხეილ ნასიძის ბროშურაში მოტანილი ფაქტობრივი მასალა და ავტორისეული დასკვნები.

მიხეილ ნასიძის ბროშურის კრიტიკა დასაწყისი იყო ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შემფასებელთა დევნისა. ფილიპე მახარაძე ამ საძრახის საქმეს ერთი წუთითაც არ ანებებდა თავს. 1898 წლიდან დაწყებული მან ბევრ მწერალს, პუბლიცისტს, ლიტერატურათმცოდნესა და ისტორიკოსს ჩაჩარა პირში ბურთი. ბევრმა ნაშრომმა ვერ იხილა დღის სინათლე. ასე გაგრძელდა 1934 წლამდე. **1934 წელს ფილიპე მახარაძის დაოკება იოსებ სტალინს მოუხდა, – ბელადმა პირადად მას და მის თანამოაზრეებს ერთხელ და სამუდამოდ აუკრძალა ილიას აუგად ხსენება.**

* * *

1899 წლიდან ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება **ნოე ჟორდანია**. გაზეთ „კვალის“ 1899 წლის 17 იანვარის ნომერში გამოქვეყნდა ნოე ჟორდანიას წერილი **„ადგილობრივი პრესსა წარსულ წელს“.** ნოე ჟორდანია გაუკულმართებულად წარმოადენს გაზეთ „ივერიის“ (ე.ი. ილია ჭავჭავაძის) პოზიციას და მიკერძოებული, ზერელე მსჯელობის შედეგად დაასკვნის: „ასეთია ჩვენი ერთათ ერთი ყოველდღიური გაზეთის ტრაგიკული მდგომარეობა და ეს უნდა გათავდეს ან სიკვდილით ან და განახლებით“.[1]

ნოე ჟორდანიას გიორგი წერეთელი წამოეშველა. 1899 წლის 31 იანვარს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა გიორგი წერეთლის წერილი – **„გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი“**. ამ უკანასკნელს ამჯერადაც უმტყუნა

[1] **ნოე ჟორდანია,** ადგილობრივი პრესსა წარსულ წელს, გაზეთი **„კვალი“,** 1899, №3, 17 იანვარი, გვ. 36.

ზომიერების გრძნობამ. წერილიდან აშკარად გამოსჭვივის უპატივცემლობა ილია ჭავჭავაძისადმი, ილიას მთელი მოღვაწეობის განქიქების ავადმყოფური სურვილი. გიორგი წერეთელი ილია ჭავჭავაძეს, როგორც მოაზროვნესა და მოღვაწეს, მიაწერს ბევრ უაყოფით თვისებას: „...მან (ილია ჭავჭავაძემ – ვ. გ.) შეითვისა აზროვნებაში შეუმცდარობის ფიქრი, მოკამათეთა უწყალო დევნა, ნამეტნურ მას აქეთ, რაც იგი შეიქნა საადგილ-მამულო ბანკში მილიონების მატრიალებელი“.[1] გიორგი წერეთელმა ილიას „ივერიაც“ ზედ მიაყოლა: „რაც ხასიათი პატრონს (ილია ჭავჭავაძეს – ვ. გ.) დასჩემდა ერთნაირი გარემოების წყალობით, იგივე ხასიათი შეითვისა მისმა ორგანომ „ივერიამ“, ესე იგი იმანაც აღიარა თავისი თავი შეუმცდარ რომის პაპათ. აი, აქედან აიხსნება ის განებივრებული კილო პოლემიკისა, ის გამედიდურებული სიამაყე და მაღლიდან ცქერა, ის უმართებულო, ყოველ ზნეობას, ზრდილობას და დარბაისლობას მოკლებული უშვერი ლანძღვა-გინება, რომლითაც ჰქეჯნის „ივერია“ „კვალს“ მის დაარსებიდანვე“.[2]

1899 წელს „მესამე დასი“ ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“ წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის დაწყებას გეგმავდა. სწორედ ამაზე მიანიშნებს გიორგი წერეთლის წერილის ერთი ადგილი: „და ჩვენ კი, გნებავთ, ათასობით გიჩვენებთ თ. ილ. ჭავჭავაძისა და მისი „ივერიის“ მიერ ჩადენილ ფანატიკურ მოქმედებებს, როგორც სიტყვით, ისე საქმით“.[3] გიორგი წერეთლის წერილს გაზეთ „კვალის“ რედაქტორმა ნოე ჟორდანიამ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენ ამას არას მივუმატებთ. მხოლოთ ცილის მწამებელ „ივერიას“ და მის „კარს“ მოვუწოდებთ საბუთით დაამტკიცოს ის, ჩვენი წერილები ვითომ სხვისი წერილების

---

[1] **გიორგი წერეთელი,** გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი, გაზეთი „**კვალი“,** 1899, №5, 31 იანვარი, გვ. 75.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 76.

განმეორება იყოს, რადგან ამას ახალმოდის მკლავაძე (ილია ჭავჭავაძეს უწოდებს – ვ. გ.) უსირცხვილოდ გაიძახის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გონებრივ სიღატაკესთან ერთად, ზნეობრივი სიღატაკეც აშკარა იქნება“.[1]

1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილიას წერილების სერია **„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.** ილიას ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, 1899 წლის 11 აპრილს გაზეთმა „კვალმა“ რუბრიკაში **„ახალი ამბები“** არარაობად გამოაცხადა ილიას ნაშრომი – ავტორს მეცნიერული დონე დაუწუნა.[2] ესეც ილიას წინააღმდეგ დაგეგმილი ლაშქრობის ნაწილი იყო.

* * *

1900 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა გიორგი წერეთელი. ილია გიორგი წერეთლის დაკრძალვას არ დასწრებია. ამ ფაქტმა უკიდურესად აღაშფოთა მესამედასელები. გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა გლეხმა **ვასილ კირვალიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ იგი ხალხის სახელით გამოდიოდა. გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა შენიშვნა, რომლის ავტორიც სვამდა კითხვას, თუ ვისი სახელით გამოდიოდა ვასილ კირვალიძე. „ივერიის“ შენიშვნასთან დაკავშირებით გაზეთ „კვალის“ 1900 წლის 19 მარტის ნომერში დაიბეჭდა იმავე ვასილ კირვალიძის **„მცირე შენიშვნა“.** შენიშვნის ავტორი მკვახე ტონით განმარტავდა, რომ იგი ასი კაცის სახელით (რწმუნებით) გამოვიდა გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე. ამის შემდეგ „მცირე შენიშვნაში“ მოდის, აშკარად, „კვალის“ რედაქციის მიერ ჩასწორებული (შეიძლება სულაც დაწერილი) ტექსტი: „მარა მაგათი (ილია ჭავჭავაძის და

---

[1] **გიორგი წერეთელი,** გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი, გაზეთი „**კვალი“,** 1899, №5, 31 იანვარი, გვ. 76.

[2] ახალი ამბები. გაზეთი **„კვალი“,** 1899, №15, 11 აპრილი, გვ. 237.

გაზეთი „ივერიის“ – ვ. გ.) აზრით ვინც ბანკირი და „აბლაკატი“ არ არის, კაციც არ არის!“[1]

ვასილ კირვალიძის წერილს ახლავს „კვალის“ რედაქციის მინაწერი. მინაწერში აღნიშნულია, რომ იმავე საკითხზე რედაქციამ მიიღო კიდევ რამდენიმე წერილი, რომელთაგან ერთს გაზეთი ხელმოუწერლად სთავაზობდა მკითხველს. წერილში დაგმობილია „ივერიის“ ორი პუბლიცისტის **„ჩიორასა“** (ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი) და **„ლალის“** (გიორგი ლასხიშვილის ფსევდონიმი) „უწმაწური ლანძღვაგინება“.[2]

ილია ჭავჭავაძისა და გაზეთ „ივერიის“ წინააღმდეგ დაგეგმილი ლაშქრობა გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა ნოე ჟორდანიას წერილების ვრცელი სერია საერთო სათაურით **„პრესა“**. ეს წერილები სათაურით **„ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“** 1900 წელსვე ცალკე წიგნადაც გამოიცა.[3] ნოე ჟორდანიამ შეფასება მისცა ქართულ პრესას და, ცხადია, მის ორ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს – გაზეთ „დროებას“ და გაზეთ „ივერიას“. ნოე ჟორდანიას შეფასება ასეთია:

– „მეფობა „დროებისა“ არის მეფობა პროგრესის; მეფობა „ივერიის“ არის მეფობა რეაქციის“;

– „ნათელ და სხივიან „დროებას“ ბნელით მოცული „ივერია“ მოჰყვა და ქართული აზროვნება ერთიანათ დააბნელა“.

– „ივერიამ“ უარჰყო პრესის ის იდეალი, რომელიც „დროებამ“ შეიმუშავა და მით უარჰყო საზოგადოთ თანამედროვე ევროპიული პრესა“;

– „ივერიამ“ დასცა საზოგადოთ ქართული სიტყვის მნიშვნელობა ჩვენში“;

---

[1] **ვასილ კირვალიძე,** მცირე შენიშვნა, გაზეთი **„კვალი“,** 1900, №12, 19 მარტი, გვ. 190.

[2] იქვე, გვ. 191.

[3] **ნ. ჟ. [ნოე ჟორდანია],** ქართული პრესა (გუშინ და დღეს), ტფილისი, 1900.

– „ივერიამ“, ამ ქართული პრესის მონოპოლისტმა, თვითონვე დასცა დროშა ქართული პრესის“;

– „ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლობით ყოველ მხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების“.[1]

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებათა შეფასებისას ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: „ჩვენ მათ აზრთან გვაქვს საქმე და არა მათ პიროვნებასთან. შეიძლება მოღვაწეს პირადათ დიდ პატივსაც ვცემდე, მაგრამ მის მოღვაწეობას არ თანავუგრძნობდე. ყველაზე მეტად ამ წერილებში შევეხეთ თ. ი. ჭავჭავაძეს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მეთაური იმ მოძრაობის, რომელსაც ჩვენ რეაქცია ვუწოდეთ, ის არის და განა შეიძლება მას არ შევხებოდით?“[2]

„კვალში“ ნოე ჟორდანიას წერილების ბეჭდვის პარალელურად გაზეთ „ივერიაში“ **„ახალმოსულის“** ფსევდონიმით დაიწყო ილიას საპასუხო წერილების ბეჭდვა (სულ დაიბეჭდა ოთხი წერილი)[3]. ცხადია, მესამედასელებმა მალე შეიტყვეს, და ამას დიდი მიხვედრაც არ უნდოდა, რომ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ილია ჭავჭავაძე წერდა. ნოე ჟორდანიას პოლემიკის უნარი და საპოლემიკო საკითხთა ცოდნა სასაცილოდ გამოიყურებოდა. ილიამ სოციალ-დემოკრატებს დაწყებული ლაშქრობის წარმატებით დასრულების იმედი გადაუწურა. ნოე ჟორდანია იხტიბარს არ იტეხდა და ილიას პასუხობდა წერილების ახალი სერიით – **„გზა-და-გზა“** (იბეჭდებოდა „პრესის“ პარალელურად).

მესამედასელებმა ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის თანადროულად დაიწყეს მათ მიერვე ორგანიზებული გამოხმაურებების ბეჭდვა. სოციალ-დემოკრატი

---

[1] **ნოე ჟორდანია**, პრესა, გაზეთი **„კვალი“**, 1900, №26, 25 ივნისი, გვ. 405-410.

[2] იქვე, გვ. 410.

[3] **ილია ჭავჭავაძე**, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 241-295.

გ. წულუკიძე „კვალის“ 1900 წლის 23 აპრილის ნომერში „ახალმოსულს“ (ილია ჭავჭავაძეს) ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენიებდა: „შესაძლებელი იქნება გამოიკვლიოს კაცმა, თუ რამ მიიყვანა ეს საცოდავი ადამიანი ამ გვარ სულიერ სიმახინჯემდის“.[1] „კვალის“ იმავე ნომერში ფსევდონიმით **„ი. ქ“.** დაიბეჭდა მოსკოველი სტუდენტის წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ნება მომეცით თქვენი ჟურნალის საშუალებით ვკითხო „ივერიას“ – მალე მოეღება ბოლო უწმაწურ, უზრდელ და სამარცხვინო წერილებს, რომლითაც ვიღაც „ახალმოსულმა“ გამოილაშქრა „ივერიის“ ფურცლებზე „კვალის“ და ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ“.[2] სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „გამოხმაურებებიდან“ აღსანიშნავია **„ასოთამწყობის“** ფსევდონიმით „კვალის“ 1899 წლის 30 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი. ავტორი ნოე ჟორდანიას ასეთ ორიგინალურ რჩევას აძლევს: „ჩემი აზრით, ძალიან შემცდარი ბრძანდებით ბ. ნოე, რომ აჰყევით ბ. ახალმოსულს და პოლემიკაში გაებით მასთან. ეს სამწუხაროა მით, რომ თქვენ ჰკარგავთ აგეთ ძვირფას დროს უნაყოფოთ, იმ დროს როცა საქმე მრავალ არს, ხოლო მუშა კი ყოვლად არა“.[3] ჟურნალ „მწყემსის“ 1900 წლის წლის 30 აპრილის ნომერში დაბეჭდილ შენიშვნაში ვკითხულობთ: „ჩვენს რედაქციას, მოუვიდა მრავალი წერილები, რომელშიაც ზიზღს უცხადებენ „ივერიას“, ახლათ მოვლენილს მწერალს „ახალმოსულს“ იმ სამარცხვინო პოლემიკისათვის, რომელსაც იგი უწევს ბ. ჟორდანიას“.[4]

მესამედასელების მიერ ორგანიზებული „გამოხმაურე-

---

[1] წერილები რედაქციის მიმართ, გაზეთი **„კვალი“,** 1900, №17, 23 აპრილი, გვ. 275.

[2] იქვე.

[3] **ასოთამწყობი,** წერილი რედაქციის მიმართ, გაზეთი **„კვალი“,** 1900, №18, 30 აპრილი, გვ. 289, 290.

[4] ახალი ამბები და შენიშვნები, ჟურნალი **„მწყემსი“,** 1900, №8, 30 აპრილი, გვ. 12.

ბები“ გაზეთ „კვალის“ სხვა ნომრებშიც დაიბეჭდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1900 წლის 30 აპრილისა (სამი გამოხმაურება) და 7 მაისის (ოთხი გამოხმაურება) ნომრები. 7 მაისის ნომერში ნოე ჟორდანიას მხარდასაჭერად გამოხმაურებები დაბეჭდეს: 1) ხარკოველმა სტუდენტმა კ. ი. ჯაფარიძემ, 2) მკითხველთა ჯგუფმა ჭიათურიდან: გ. ბერიძემ, ივ. ჯანელიამ, მ. კალანდაძემ, ნ. ჩიჩუამ, კ. კიკიანმა, რ. ჩიხლაძემ, დარ. მარაქველიძემ, ილ. კაკაბაძემ, კარპე მოდებაძემ; 3) 47 მკითხველმა (ხელმოწერების გარეშე); 4) მკითხველთა ჯგუფმა ქალაქ ბაქოდან – აბელ ენუქიძემ, ს. გველესიანმა, დ. ბაქრაძემ, ა. ობეროვმა, ი. წიკლაურმა, მ. ა. მაჩაბელმა, დ. პ. წერეთელმა, ე. გიორგობიანმა, პ. ქარსანაძემ.[1] მეორე გამოხმაურებაზე ხელმომწერი ცხრა მკითხველიდან ოთხი (ნ. ჩიჩუა, რ. ჩიხლაძე, ილ. კაკაბაძე, კ. მოდებაძე) უკვე იმხანად სოციალ-დემოკრატი იყო. მეოთხე გამოხმაურებაზე ხელმომწერი ცხრა კაციდან პირველი – აბელ ენუქიძე – ბაქოში მოღვაწე ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი გახლდათ. აქედან კარგად ჩანს, თუ ვისი ინიციატივით გროვდებოდა ნოე ჟორდანიას მხარდამჭრი ეს ე. წ. გამოხმაურებები. გაზეთ „კვალის“ 1900 წლის 25 ივნისის ნომერში დაბეჭდილი **„მცირე შენიშვნიდან“** შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭიათურაში ნოე ჟორდანიას პოზიციის გასამაგრებლად ხელმოწერები შეუგროვებია კარპე მოდებაძეს, თუმცა „კვალი“ ამ ფაქტს უარყოფდა.[2]

ნოე ჟორდანიამ იგრძნო, რომ ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკა მისთვის არასასურველ ხასიათს იღებდა, ვერც წერილების დამატებითი სერია „გზა-და-გზა“ და ვერც მესამედასელების მიერ შეგროვებული გამოხმაურებები მას ვერ შველიდა. 1900 წლის 17 აპრილს ნოე ჟორდანიამ წერილი

---

[1] წერილები რედაქციის მიმართ, გაზეთი **„კვალი“,** 1900, №19, 7 მაისი, გვ. 306-307.

[2] მცირე შენიშვნა, გაზეთი **„კვალი“,** 1900, №26, 25 აპრილი, გვ. 419.

გაუგზანვა „ივერიის“ რედაქციას. იგი ვარაუდობდა, რომ ილია წერილს არ დაბეჭდავდა, რაც ნოე ჟორდანიასთვის მეტად მომგებიანი იქნებოდა. ნოე ჟორდანია ხმაურს ატეხდა და ილიასა და „ივერიას“ კიდევ ერთხელ შეურაცხყოფდა, ხოლო წერილს „კვალში“ დაბეჭდავდა. ილიამ ჩანაფიქრი ამოიცნო და ნოე ჟორდანიას წერილი „ივერიაში“ 20 აპრილს გამოაქვეყნა. ნოე ჟორდანიას წერილი ახალს არაფერს შეიცავს – ისევ „ივერიისა“ და ილია ჭავჭავაძის უდიერი მოხსენიებაა.[1]

1900 წელსვე ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის პოლემიკა შეწყდა. პოლემიკა შეწყდა, მაგრამ დაზავება არ მომხდარა. მოკამათე მხარეებს ერთმანეთის მიმართ აზრი არ შეუცვლიათ.

§ 2. „მოვედით და მოვკლათ იგი“ (მოწამეობრივი ცხოვრების ბოლო წლები)

ზრახვა-ყვეს ურთიერთას და თქუეს:
ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ
იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკჳიდრებელი.
ლუკა 20, 14.

და იდგა ერი იგი და ჰხედვიდა.
ლუკა 23, 35.

1905 წლის იანვარში რუსეთში რევოლუცია დაიწყო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ფართო ასპარეზი მიეცათ, ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაცილებით ადვილი გახდა. ილიას სოციალ-დემოკრატიული პრესა გაუგონარ ჭორებს უვრცელებდა.

---

[1] **ნოე ჟორდანია,** წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ, გაზეთი **„ივერია“,** 1900, №84, 20 აპრილი, გვ. 2-3.

1905 წლის 13 მარტს **ფილიპე მახარაძის** რედაქტორობით გამომავალ სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ **„მოგზაურში“ „თაგუნას“** ფსევდონიმით დაიბეჭდა **შალვა შარაშიძის „ხმა იდუმალი“**. შალვა შარაშიძის მიზანი ილიას გაშარჟება იყო. სიუჟეტი ასეთია. „იდუმალი ხმა“ (რევოლუცია – ვ. გ.) დაჟინებით გაჰკივის: „სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!“ კითხვას: „ვის, ვის, ვის?“ „იდუმალი ხმა“ პასუხობს: „წოდებას, წოდებას, წოდებას!“ რეაქცია პასუხზე ასეთია: „როგორ თუ წოდებას? განა წოდება უნდა მოკვდეს? არა, არა, არა!“[1] „იდუმალი ხმა“ (რევოლუცია – ვ. გ.) მიმართავს ილიას: „სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია მშვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ქვია? ვისი მეთქი, გეკითხები? რატომ აწერე ისე ხელოვნურათ „ბატონების“ სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზად ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა?“[2] ბოლოს „იდუმალი ხმა“ ასე მიმართავს ილიას: „ნუთუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი!“[3]

რევოლუცია ძალზე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რათა ილიასათვის გლეხები დაეპირისპირებინათ, სოციალ-დემოკრატების ჩანაფიქრები გაბრიყვებული გლეხების მეშვეობით მოეყვანათ სისრულეში. 1905 წლის 13 მარტს ჟურნალ „მოგზაურში“ ხელმოწერის გარეშე დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა. მიმომხილველის მიზანი აშკარაა – ურთიერთობის დაძაბვა ილიასა და გლეხებს შორის. ჟურნა-

---

[1] **„თაგუნა“ [შალვა შარაშიძე]**, ხმა იდუმალი. ჟურნალი **„მოგზაური“,** 1905, №9, 13 მარტი, გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 132.

[3] იქვე.

ლი „მოგზაური“ შეუდგა ილიასათვის არასასურველი ხმების დაყრას. ყოველგვარი ჭორი სწრაფად ვრცელდებოდა, გლეხობას კი მისი შემოწმების არც სურვილი და არც საშუალება არ ჰქონდა. ილიასაც არავითარი საშუალება არ გააჩნდა წინ აღდგომოდა, შეეჩერებინა მის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანია. მიმოხილვაში ვკითხულობთ: „ამას წინეთ გაზ. „ივერიაში“ თ-დ ილია ჭავჭავაძის სიტყვები იყო მოყვანილი, რომელიც მან თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე წარმოთქვა და შემდეგ იმავე გაზეთის ფურცელზე თვით ილიას წერილი იყო დასტამბული. თავადი ჭავჭავაძე, ეს ჩვენი სასიქადულო პოეტი და მწერალი, თავად-აზნაურობას თურმე უმტკიცებდა, რომ გლეხების მოძრაობა მემამულეების ბრალი როდია, ამის მიზეზი სხვადასხვა გარემოებაა. სახელოვანი მწერლის აზრით, ქართველი გლეხებისათვის ხაზინას წაურთმევია მიწა და არა თავად-აზნაურობას, და ამიტომ ქართველი გლეხები ჩვენ მემამულეებს კი არ უნდა ებრძოლონო“.[1] თავად-აზნაურობის კრებაზე ილიას მიერ გლეხობის სასარგებლოდ ნათქვამი სიტყვა „მოგზაურმა“ გლეხობის საწინააღმდეგო აზრად წარმოაჩინა, გლეხობა დაარწმუნა, რომ ილია მათ სასიკეთოდ არაფერს იტყოდა. მიმოხილვა მთავრდება ასეთი სიტყვებით: „ბ-ნი ილია ჭავჭავაძე არ ცდება: ადვილათ და ტყუილა უბრალოდ იგი არავის დაუთმობს რასმეს. ამაში ეჭვი ჩვენ არასოდეს არ შეგვიტანია“.[2]

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილიას ცილი ბევრჯერ დასწამეს, ბევრი ჭორი გაუვრცელეს. ამ ფონზეც კი ამაზრზენი იყო ჟურნალ „მოგზაურის“ ცილისწამება. 1905 წლის 10 აპრილს ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა წერილი – **„საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“.**[3] წერილს ხელს

---

[1] ჟურნალ-გაზეთებიდან, ჟურნალი **„მოგზაური“,** 1900, №9, 13 მარტი, გვ. 132.
[2] იქვე, გვ. 133.
[3] **ვ. ნ. [ვასილ ნაცვლიშვილი],** საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება. ჟურნალი **„მოგზაური“,** 1905, №13, 10 მარტი, გვ. 209-211.

აწერს ვინმე **ვ. ნ.** როგორც შემდგომში გაირკვა ამ ინიციალებს ამოფარებული იყო ფილიპე მახარაძის ერთგული თანამოაზრე **ვასილ ნაცვლიშვილი**. ვასილ ნაცვლიშვილის მიზანი იყო ილია წარმოეჩინა, როგორც გლეხების შეუბრალებელი მჩაგვრელი, სასტიკი მემამულე. მთელი წერილი წარმოადგენს, თითქოსდა, ვიღაც გლეხების მონათხრობს მათ მიმართ ილიას არაადამიანური დამოკიდებულების თაობაზე. სინამდვილეში წერილში მოტანილი ამბები ვასილ ნაცვლიშვილს არ მოუპოვებია. ეს ჭორები, ალბათ, „მოგზაურის“ რედაქციაში შეთხზეს. ფილიპე მახარაძე სწორად ვარაუდობდა: წერილში მოტანილი ფაქტების სისწორეს არავინ შეამოწმებდა, ცილისწამება მიზანს მიაღწევდა.

1905 წლის 24 აპრილს ჟურნალ „მოგზაურში“ ფსევდონიმით **„ეშმაკი“** დაიბეჭდა **ნესტორ კალანდაძის „ძველი მობაასენი ახალ საგანზე“.** ეს იყო ილია ჭავჭავაძის გაშარჟების უსუსური მცდელობა. სიუჟეტი ასე ვითარდება: ვინმე **„მაჩაბლისტი“** (ე. ი. ილიას იდეური მოწინააღმდეგე), ბრალდებებს უყენებს ილიას, ხოლო ვითომდა ილიას თანამოაზრე, იცავს ამ უკანასკნელს. სინამდვილეში, ილიას „თანამოაზრე“ უფრო ამძიმებს „მაჩაბლისტის“ მიერ ილიასათვის წაყენებულ ბრალდებებს. ილიას დამცველი ბრალმდებელს („მაჩაბლისტს“) ასე მიმართავს: „შენი აზრით, ილიკომ იმიტომ დაამწყვდია გლეხები მიწურებში და იმიტომ ყავს ასეთ გასაჭირში, რომ მოთხრობების სიუჟეტი დაურჩეს და ახალ-ახალი ამბები დაწეროს გლეხ-კაცთა გაჭირვებაზე. შენ იმას ამბობ, რომ მეორე „გლახის ნაამბობი“ შეუძლია ახლა დაწეროს ილიკომ საგურამოელ გლეხთა ცხოვრებიდანო, ე. ი. „გლახის ნაამბობის“ შინაარსი ახლაც შეიძლება საგურამოელ გლეხთა ცხოვრებით შეამოწმოს კაცმაო“.[1]

---

[1] **ეშმაკი [ნესტორ კალანდაძე],** ძველი მობაასენი ახალ საგანზე. ჟურნალი „**მოგზაური“,** 1905, №15, 24 აპრილი, გვ. 325.

ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ვასილ ნაცვლიშვილის საზიზღარი პასკვილის ძირითადი ნაწილი გადაბეჭდა გაზეთმა „ივერიამ“, რომლის რედაქტორიც იმხანად **ფილიპე გოგიჩაიშვილი** იყო.

ილიამ ჟურნალ „მოგზაურის“ და, კერძოდ, ვასილ ნაცვლიშვილის ცილისწამებას უპასუხა ბრწყინვალე წერილით **„ნუთუ? (პასუხად მოგზაურის კორესპოდენციასა)“.** ილიას პასუხი „ივერიის“ 1905 წლის 5 მაისის ნომრის ცალკე ფურცლის (ჩანართის) სახით დაიბეჭდა. ილიამ „ნუთუს?“ დაბეჭდვისთვის რედაქციას ფული გადაუხადა. ამით რედაქციამ მოსალოდნელი გართულებების შემთხვევისათვის გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მოიხსნა. ფილიპე გოგიჩაიშვილმა ესეც არ იკმარა და „ნუთუ?“ რედაქტორის შენიშვნით დაბეჭდა. შენიშვნაში აღნიშნული იყო, რომ „ნუთუს?“ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებდა. ილიას „ნუთუს?“ მოჰყვა **ფილიპე მახარაძის** პასუხი. ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის 15 მაისის ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი – **„თავის მართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“**.[1] ფილიპე მახარაძის სტატია განმეორებაა ვასილ ნაცვლიშვილის წერილში მოტანილი ცილისწამებისა. ამასთან ერთად ფილიპე მახარაძე ბევრ ახალ ჭორსაც უმატებს და კიდევ უფრო ამაზრზენს ხდის თავის ვრცელ წერილს, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ავტორის მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა მიაყენოს ილია ჭავჭავაძეს, როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს.

ილიას ვასილ ნაცვლიშვილმაც უპასუხა. მისი წერილი **„პასუხად ილია ჭავჭავაძეს“** – ხელმოწერით **ვ. ნ.** ჟურნალი „მოგზაურის“ 1905 წლის 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა. წერილში უხვად გვხვდება ილიას შეურაცხმყოფელი სიტყვები. ვასილ ნაცვლიშვილი ილიას „ნუთუს?“ განქიქებას შეეცა-

[1] **ფილიპე მახარაძე**, თავის მართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს). ჟურნალი **„მოგზაური“,** 1905, №18, 15 აპრილი, გვ. 277-279.

და, შეეცადა გაექარწყლებინა ილიას პასუხში გატარებული აზრი. თუმცა შედეგი აშკარად საწინააღმდეგო იყო. წერილში ვკითხულობთ: „ამით ბატონმა ილიამ ერთხელ კიდევ მისცა საზოგადოებას საშუალება თავის სულიერი ავლადიდების გათვალისწინებისა. პასუხი მისი, ბრაზმორეული, მტყუანი კაცის ოინებს უფრო წააგავს, ვიდრე მართალი ადამიანის დინჯსა და დალაგებულ საკამათო პასუხს. მაგრამ ეს ხომ „არ ახალია, ძველია“ ილიას ოინბაზობაში“.[1]

ილია ჭავჭავაძის მიმართ ბინძური ცილისწამება გარკვეულწილად დააგვირგვინა ჟურნალ **„ეკალში“** დაბეჭდილმა მცირე ინფორმაციამ სათაურით **„საგურამო“.** აი, მისი ტექსტიც: „ილიკო ჭავჭავაძის მამულში გლეხებს ნება მისცეს მზის გულზე გამოჯდნენ და გათბენ. ტყიდან ფიჩხის გამოტანა ჯერაც აკრძალულია. თავადს ორმოცამდე საუკეთესო ჯიშის ძაღლები გამოუწერია ამერიკიდან“.[2]

საინტერესოა, ამ სტრიქონების დამწერმა სინდისის ქენჯნა თუ იგრძნო 1907 წლის 30 აგვისტოს, როცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი შეიტყო. იმ წუთს თუ დაფიქრდა მაინც: რას ერჩოდა ილიას?

---

[1] **ვ. ნ. [ვასილ ნაცვლიშვილი],** პასუხათ ილია ჭავჭავაძეს. ჟურნალი **„მოგზაური“**, 1905, №18, 15 აპრილი, გვ. 283.

[2] საგურამო, ჟურნალი **„ეკალი“**, №2, გვ. 7.

§3. საქართველოს მკვლელები (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა)

წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.
გალაკტიონი

ას წელზე მეტი გავიდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. საუკუნის მკვლელობის ისტორიაში ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოცული. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. 1907 წლის 30 აგვისტოდან ილიას მკვლელობის თაობაზე ხუთი ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ჭეშმარიტი მხოლოდ ერთი იყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ვერსიები.

პირველი ვერსია – მკვლელობა ძარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შექმნილა, მას წინასწარ ამზადებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილიას მკვლელობა ჰქონდა განზრახული.

1907 წლის 7 ივნისს საგურამოში, ილიას მამულში, ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს ილიას მოურავი **მოსე მემარნიშვილი**, მისი მეუღლე კი სასიკვდილოდ დაჭრეს (როგორც ჩანს, ყაჩაღებს ისიც მკვდარი ეგონათ). როგორც მოურავის, ისე ილიას სახლშიც, ვითომდა ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნის მიზნით, ყაჩაღებმა ყველაფერი გადაქექეს, წაიღეს კიდეც ზოგიერთი ნივთი. **მოსე მემარნიშვილისა და მისი მეუღლის დახოცვა არ იყო მკვლელობა ძარცვის მიზნით**. ამ მოვლენის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო ილიას მკვლელობა, ვითომდა, ძარცვის მიზნით, ხოლო **ორგანიზატორი ვარაუდობდა, რომ ორივე მკვლელობა (მოსე მემარნიშვილისა და ილია ჭავჭავაძისა) ერთმანეთს დაუკავშირდებოდა და ძარცვის მიზნით ჩადენილ დანაშაულად შეირაცხებოდა** როგორც 1907 წლის 7 ივნისს საგურამოში მოსე მემარნიშვილის საცხოვრებლის, ისე ილიას სახლის გაძარცვა. 30 აგვისტოს წიწამურთან

მოკლული ილიასა და მძიმედ დაჭრილი მისი მეუღლის გაძარცვა სიმულირებული იყო და ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. მავანმა და მავანმა იქნებ დაიჯერა კიდეც, რომ ილია ძარცვის მიზნით მოკლეს, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ძარცვა სიმულირებული იყო. 1907 წლის 1 სექტემბერს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „ძარცვა სიმულირებულია“ („грабеж симулирован“).[1] ცხადია, თბილისის სამხედრო გუბერნატორი კომპეტენტური ორგანოების დასკვნას ეყრდნობოდა. კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას, პირადად მეფისნაცვალს, თბილისის სამხედრო გუბერნატორს და სხვა თანამდებობის პირებს ხელს აძლევდათ ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია. ძარცვის შემთხვევაში მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობისას. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად **კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ უსუსურ ვერსიას მხარი არ დაუჭირა – ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია გამორიცხა**.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძარცვის მიზნით ილიას მკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ მეტყველებდა შემდეგი გარემოება. რა სიმდიდრე (ფული და ძვირფასი ნივთები) უნდა ჰქონოდათ ილიასა და მის მეუღლეს ეტლში? უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდება ყაჩაღებს შეეძლოთ, თუ ისინი ილიას არყოფნის დროს დაეცემოდნენ მის სახლს თბილისში ან საგურამოში. იმხანად ილიას სახლებს რაიმე განსაკუთრებული დაცვა არ ჰყავდა მიჩენილი და ყაჩაღებს ხელს ვერავინ შეუშლიდა, ისევე როგორც ვერავინ შეუშალა ხელი 1907 წლის 7 ივნისს.

---

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 42.

ბუნებრივად ისმის კითხვა: **თუ ყაჩაღებს ილიას მკვლელობის გარეშე, გაცილებით უფრო ნაკლები რისკის ფასად, უფრო მეტი ფულის შოვნა შეეძლოთ, ვიდრე იშოვეს დიდ რისკთან დაკავშირებული ილიას მკვლელობით, მაშ, რატომღა მოკლეს ილია?** ყაჩაღები არც ისე სულელები იყვნენ, რომ არ სცოდნოდათ: ილიას სახლის გაძარცვა თბილისში ან საგურამოში მათ უფრო ადვილად შერჩებოდათ, ვიდრე დღისით, მზისით ილიას მოკვლა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

მეორე ვერსია – მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლელობებმა და მათი მამულების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების“ თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების“ შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილოკავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს. ბევრ სოფელში პოლიცია და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლელობის მონაწილე ბევრი გლეხი სიკვდილით დასაჯეს, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი

სასოფლო რაიონებზე, ამოქმედდა სოფლის ადმინისტრაცია. მემამულეთა მკვლელობაში ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა). 1907 წელს, მით უფრო წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულის მკვლელობები ძალზე იშვიათი იყო. 1907 წლისათვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა. 1907 წელს ილიასა და გლეხებს შორის ურთიერთობა სერიოზულად არ დაძაბულა, რადგან ამის მიზეზი არ არსებობდა. მუქარის წერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და იმ პოლიტიკური ძალის მიერ იყო შეთხზული, რომელიც ილიას მკვლელობას გეგმავდა. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ზემოხსენებული პოლიტიკური ძალის მიერ იყო გავრცელებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: **თუ ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეთა მკვლელობები უკვე წარსულს ჩაბარდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დახსნის არანაირი ხერსაყრელი პირობა არ ჰქონდათ?** 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, კლავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხობა აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად იყო შეცვლილი. გლეხობა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ ილიას მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. ილიას რომ გლეხობის შიში ჰქონოდა, მას შეეძლო საგანგებო დაცვის თანხლებით ემგზავრა და მისი სახლებიც საიმე-

დოდ ყოფილიყო დაცული. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრს დაცვის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. მით უმეტეს, რომ თბილისსა და დუშეთის მაზრაში სამხედრო მდგომარეობა ვრცელდებოდა. **ილიას დაცვის აყვანა აზრადაც არ მოსვლია, რადგან მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გლეხები გზად ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ.** იმხანად გლეხები ილიას კი არა, თავისი სისასტიკით ცნობილ მემამულეებსაც კი ვეღარაფერს აკლებდნენ. თბილისის სამხედრო გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხობის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ გლეხები სოციალ-დემიკრატებმა წააქეზეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხერდო გუბერნატორი აღნიშნავდა: „предпологается, что князь убит местными крестянами подстрекательству социал-демократов“.[1]

აქვე გვინდა გავიმეოროთ ზემოთქმული: კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ხელს აძლევდა აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსია (ისევე, როგორც ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობისა). ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემთხვევაში.

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია უსაფუძვლოა.

მესამე ვერსია – მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი და მეორე ვერსიები – მკვლელობა ძარცვის მიზნით და მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე.

---

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 41-42.

მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და ძიების მცდარ გზაზე დაყენება.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს“ (1899 წ.). **ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხზველი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა.** ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით გამოძიების არასწორ გზაზე დაყენება მკვლელობის მონაწილის, ილიას მეეტლის, თედო ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში თედო ლაბაურმა მიღებული მითითების თანახმად, განაცხადა, მკვლელები სომხები იყვნენო („По виду мне показалось, что эти были армяне“)[1] მეტი დამაჯერებლობისათვის თედო ლაბაურმა აღნიშნა: მკვლელები რუსულად ლაპარაკობდნენ, ოღონდ სომხური აქცენტითო: „Мне слышалось, что эти люди говорили с таким акцентом, которым говорят по-русски армяне“.[2] მეორე დაკითხვისას, 1907 წლის 16 ნოემბერს, თედო ლაბაურმა თვითონვე უარყო ადრე მიცემული ჩვენება და განაცხადა: მკვლელები ქართველები იყვნენო[3]. ხმები სომეხი ტერორისტების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მხოლოდ თედო ლაბაურის ჩვენებიდან არ იღებდა სათავეს. ეს უკანასკნელი ვერსია სხვა წყაროებიდანაც ვრცელდებოდა. სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ვაჟა-ფშაველამ და ხალხს მოუწოდა, არ აჰყოლოდნენ პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ.

მეოთხე ვერსია – მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუ-

---

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 48.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 71-73.

ფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების მიერ). ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ვერსიამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მეორე სიცოცხლე შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. გაბატონდა შეხედულება იმის შესახებ, რომ „ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის მიერ მოსყიდულმა აგენტებმა“. საბჭოთა ისტორიოგრაფია ილიას მკვლელობის მიზეზად ასახელებდა: რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, გამოსვლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას. მოკლედ შევეხოთ ამ საკითხებს.

ილია რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. **სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მიუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია.** ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო იყო ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია. წლების განმავლობაში გრძელდება ის გაუგებრობა, რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ვითომდა ილიას გამოსვლის თაობაზე. იმხანად უამრავი რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი ითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

საქმე ეხებოდა არა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას (რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით), არამედ ხელისუფლების მიერ რევოლუციის პერიოდში დროებით შემოღებული სიკვდილით დასჯის საგანგებო (განსაკუთრებული) წესის გაუქმებას ანუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას. ილია იზიარებდა გამოჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა და იურისტების აზრს და ემზადებოდა კიდეც ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისათვის. მიუხედავად ამისა, **ილია სიკდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში არ გამოსულა და კიდეც რომ გამოსულიყო, ამაში ხელისუფლებისათვის საშიში არაფერი იქნებოდა** (სამხედრო ტრიბუნალების მოქმედება შემდგომში მართლაც შეჩერდა). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1905 წლისათვის კარგად იყო ცნობილი ილიას დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის იდეისადმი. საქართველოს ავტონომიის ილიასეული იდეა რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საშიშად მიეჩნია, მაშინ ილიას 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად არ აირჩევდნენ და საქმესაც არ გაირთულებდნენ. **ილია ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია, და კიდეც რომ დაეყენებინა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობის საფუძველი.**

დაბოლოს, რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწე ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო სისტემა. მაგრამ ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკოსი ვერასგზით ვერ გახდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ამას გამორიცხავდა საარჩევნო სისტემა. ამიტომ იყო, რომ

ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მეხუთე ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ (ვლადიმერ ლენინი, გრიგოლ ზინოვიევი და სხვ.), რომელიც იმხანად ემიგაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. რსდმპ თბილისის კომიტეტს ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა. ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. არც ერთი იმხანად რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

რსდმპ ხელმძღვანელობის მიერ ილიას მკვლელობა გულდასმით მომზადდა. ჩვენ მიერ ზემოხსენებული ოთხივე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით, მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით) სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს და ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან ავრცელებდნენ ხალხში. ილიას მკვლელობამდე დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ქართველი სოციალ-დემოკრატების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი მეუღლეც სოციალ-დემოკრატებმა

დაახოცვინეს. გამოძიებისთვის გიგლა ბერბიჭაშვილის, თედო ლაბაურის და სხვათა მიერ მიცემული ჩვენებებიც მეტწილად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ნაკარნახევი.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ეს ვერსია ოფიციალურად თბილისის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში. მასში ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით“ („предпологается, что князь убит местными крестянами подстрекательству социал-демократов“).[1] საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილიას მკვლელობასთან არანაირი კავშირი, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს – ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

დღეს ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. 1905 წლის გაზაფხულზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილიას სახელი გაუტეხეს და იგი ხელს ვეღარ შეუშლიდა მათი გეგმების რეალიზებას. 1905 წელს ილიამ ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის პარტიის შექმნა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატებმა ესეც თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რსდმპ ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საქართველოში მათი ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე უმნიშვნელო ძალად აქციეს.

2. 1906 წელს ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ხელმძღვანელობისთვის ეს მოწმენდილ ცაზე

---

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 41-42.

მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ილიას გარშემო თავს მოიყრიდა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ძალები. ავტონომიაცა და ავტოკეფალიაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. საქართველოს ავტონომიის მოპოვებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში დაიწყებოდა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. არ იყო გამორიცხული, რომ ილია ამჯერად მოახერხებდა მთელი ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი ლიბერალურ-დემოკრატიული (ცენტრისტული) პარტიის შექმნას. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანდა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების ხელსაყრელ შემთხვევას. ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა გაბატონებას რსდმპ ხელმძღვანელობა ვერასგზით ვერ დაუშვებდა. ილიას მკვლელობა ეროვნულ ძალთა დაქსაქსვისა და დასუსტების ერთადერთ საშუალებად მიიჩნიეს.

3. ილია შეიძლებოდა მოეკლათ თბილისშიც და საგურამოშიც, მგზავრობისას თუ შინ მყოფი. ამისთვის ქილერის ერთი მარჯვე გასროლა იყო საკმარისი. ამ გზით მკვლელობა რსდმპ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. ილია უნდა მოეკლათ გლეხებს და თანაც ისე, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების კვალი დაფარულიყო. მკვლელები აუცილებლად ადგილობრივი, ილიას ნაცნობი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ. ილია გლეხებს უნდა მოეკლათ, როგორც მემამულე, როგორც გლეხების მჩაგვრელი. ამით დაიფარებოდა პოლიტიკური მკვლელობა, მკვლელობა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა.

4. ილიას მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები: გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, თედო ლაბაური, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), გიორგი ხიზანიშვილი – მკვლელობაში იდეური მოსაზრებით არ მონაწილეობდნენ, ისინი

ილიას მოკვლას გარკვეული საფასურის მიღების სანაცვლოდ დასთანხმდნენ, ანუ ტიპური ტერორისტები იყვნენ. ტერორისტების იმედად მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ვერ იქნებოდა. მათ შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა (ასეთი შემთხვევები ბევრი იყო 1905-1907 წლებში). ილიას მკვლელობის დამკვეთსა და უშუალო ორგანიზატორს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ ილიას ეტლი ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს. დანარჩენი მარტო მოქმედი პროფესიონალი ქილერის საქმე იყო. ეს ქილერი ჩასაფრებული იყო. მან ზუსტად იცოდა, გლეხები ილიას ეტლს სად გააჩერებდნენ. გლეხებმა ქილერის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ილიას ეტლი გააჩერა. ილიას მცველის იაკობ ბითარიშვილის ეტლიდან გადახტომამ და ბუჩქებში გაქცევამ ტერორისტები დააბნია და შეაშინა. იაკობს შეეძლო მოხერხრბული საფრიდან შუა გზაზე მდგარი ტერორისტები ადვილად დაეხოცა. მთელი ყურადღება იაკობ ბითარიშვილზე იქნა გადატანილი. სწორედ ამ დროს გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა, ვიმეორებთ, მარტო მოქმედმა, ერთადერთი ტყვია გაისროლა. ილია სწორედ ამ ტყვიით არის მოკლული. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. სწორებ ამიტომაა, რომ ილიას სხეულში ტყვია შევიდა **მარცხენა იღლიის უკანა კიდესთან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მაცხენა ძუძუს დვრილისაკენ).**[1] ამიტომაა, რომ მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრის ხვრელი (გამავალი ნეკა თითისათვის), ხოლო მკერდზე

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 38-39; **გურამ შარაძე,** ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე. ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990, გვ. 321.

(მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმერტის სიგრძისა).[1] ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას – გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული **„ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე. ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიათ:“** 1907 წელს ჩატარებული ძიების მასალების მიხედვით, რომელიც დაადასტურა 1941 წელს ჩატარებულმა ძიებამაც, ილია მოკლული იქნა ეტლის წინ მდგარი ტერორისტების ჯგუფიდან გასროლილი ტყვიით. შეიძლება თედო ლაბაური და მკვლელობის სხვა მონაწილეები არც ცრუობდნენ, მათ, უბრალოდ, ვერც გაიგეს, ვის მიერ ნასროლმა ტყვიამ მოკლა ილია. ტერორისტებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის შესახებ, რომ იქვე ახლოს ქილერი იყო ჩასაფრებული.

5. ილიას მკვლელობის დამკვეთმა და მისმა უშუალო ხელმძღვანელმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს – საზოგადოება და გამოძიება დააბნიეს. ილიას მკვლელობა ისე ვერაგულად იყო მომზადებული და განხორციელებული, რომ დღეს მავანს და მავანს კვლავ სჯერა, რომ ილია გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოკლეს. კვლავ შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ილია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოიშორეს თავიდან.

ილიას მკვლელობის დამკვეთისა და მისი უშუალო შემსრულებლის (ტერორისტებს არ ვგულისხმობთ!) დადგენა ვერ შეძლო ორმა გამოძიებამ და ორმა სასამართლო პროცესმა. საბჭოთა მართლმსაჯულებამ ვერ გაბედა, სიმართლისათვის

---

[1] **გურამ შარაძე,** ილია ჭავჭავაძე, 1837-1907, ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე. ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990, გვ. 322-323.

ბოლომდე აეხადა ფარდა. ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა უწყის. მისი მსჯავრი უკვე კარგა ხანია აღსრულდა – ილიას მკვლელობის დამკვეთებსაც, მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებსაც და ტერორისტებსაც მიეზღოთ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება (1907-1909 წწ.) ვერ წარიმართა სათანადო დონეზე. ძიების უხარისხოდ ჩატარებამ გავლენა იქონია სასამართლო პროცესზე (1909 წ.) და, ცხადია, განაჩენზეც. ძიებამ და სასამართლომ ვერ მიაღწია უმთავრესს – ვერ გამოავლინა ილიას მკვლელობის დამკვეთი და ვერც მკვლელობის ორგანიზატორი. საუკუნის დანაშაულს არ მიეცა პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია. პასუხი ვერ გაეცა უამრავ კითხვას. დღეს, ილიას მკვლელობიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ძალზე ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, გამოიკვლიო და დაადგინო ის, რაც უნდა გამოკვლეულიყო და დადგენილიყო მკვლელობიდან რამდენიმე კვირის, თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში.

ილიას მკვლელობის მასალების მოკვლევით დაკავებული იყო რამდენიმე უწყება: 1) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, 2) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის ოხრანკა, 3) თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველო, 4) თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი (იგივე გენერალ-გუბერნატორი) და მისდამი დაქვემდებარებული დუშეთის მაზრის მმართველობა. უშუალოდ ძიებას აწარმოებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამძებრო ნაწილი (უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი

ილიაშენკო), თბილისის პოლიცმაისტერის სამძებრო ნაწილი (სამძებრო ნაწილის უფროსი ევტუშევსკი). ძიების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ილიას მკვლელობის თაობაზე ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა და ყველაზე კომპეტენტური იყო დუშეთის მაზრის უფროსი **ყარამან ფაღავა.** მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა საგურამოსა და მახლობელ სოფლებში. მაზრის უფროსს აგენტურის ფართო და კარგად ორგანიზებული ქსელი ჰქონდა, ინფორმატორები ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით, გლეხობაში. ყარამან ფაღავამ კარგად იცოდა, თუ ვინ არხევდა ხმებს, რომლის მიხედვითაც ილიას მალე მოკლავდნენ, იცოდა ისიც, თუ ვინ ამზადებდა ილიას მკვლელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიას მკვლელობიდან ორი კვირის თავზე ყარამან ფაღავასთვის მკვლელობის ყველა მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი. მან დეტალურად იცოდა მკვლელობის მომზადებისა და განხორციელების მთელი ისტორია. გასაგები მიზეზის გამო ყარამან ფაღავას არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა წიწამურთან ჩასაფრებული და დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ყარამან ფაღავა ილიას იმ გლეხების მოკლულად მიიჩნევდა, რომელთაც ილიას ეტლი გააჩერეს. **რაც მთავარია, ყარამან ფაღავამ იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა, ე. ი. ეს იყო მკვლელობა პოლიტიკური მოტივით.** იმ ადამიანებს შორის, ვინც ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა, რსდმპ რამდენიმე წევრი იყო, რსდმპ წევრი იყო ასევე თავდამსხმელთაგან ორი. ყარამან ფაღავა კატეგორიულად გამორიცხავდა ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიას (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, სომეხი ნაციონალისტების მიერ შეკვეთილი მკვლელობა).

ყარამან ფაღავას ილიას მკვლელობის საქმის ძიების უფლება არ ჰქონდა, მას მხოლოდ მასალების მოპოვება შეეძლო. ყარამან ფაღავას ვერსია დამაჯერებლად ეჩვენა თბილისის გენერალ-გუბერნატორს. 1907 წლის 1 სექტემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: 30 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა სროლის შედეგად მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია, კონდახის დარტყმით თავი გაუტეხა (თავის არეში ჭრილობა მიაყენა) თავადის მეუღლეს, ყველანი (ილია ჭავჭავაძე, მისი მეუღლე და ლაქია) გაძარცვეს. მეტად საინტერესო იყო ტელეგრამის დასკვნითი ნაწილი: **„სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“.**[1] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენერალ-გუბერნატორმა სახელმწიფო კანცელარიას ყარამან ფაღავას ვერსია აცნობა. ეს არც იყო მოულოდნელი. დუშეთის მაზრის უფროსი უშუალოდ გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა და გუბერნატორიც ყველაზე მეტად თავის ხელქვეითს ენდობოდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყარამან ფაღავამ მიზანს მიაღწია, – პეტერბურგს მისეული ილიას მკვლელობის ვერსია უცნობია.

მაინც რა გამომდინარეობდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 1 სექტემბრის დეპეშიდან? **1. ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ე. ი. მკვლელობის დამკვეთი იყო სოციალ-დემოკრატია, მაშასადამე, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა; 2) სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ად-**

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 41-42.

გილობრივი გლეხების ხელით განახორციელეს; 3) ილია ჭავჭავაძის, მისი მეუღლისა და ლაქიას გაძარცვა სიმულირებული იყო, მაშასადამე, მკვლელობა გლეხებს ძარცვის მიზნით არ ჩაუდენიათ.

ყარამან ფაღავას მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა: 1) მკვლელების (ტერორისტების) ვინაობა; 2) პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს; 3) პოლიტიკური ძალა, რომლის ნებითაც განხორციელდა ილიას მკვლელობა. ყარამან ფაღავამ ვერ დაადგინა და არც შეეძლო კონკრეტულად დაედგინა, სად გადაწყდა ილიას მკვლელობა და ვისი მითითებით მოქმედებდნენ თავდასხმის ორგანიზატორები, ანუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა. ეს უკვე ძიების საქმე იყო.

ყარამან ფაღავას მიერ მოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით გამომძიებელმა ილიაშენკომ მიაღწია იმას, რომ თედო ლაბაური 1907 წლის 16 ნოემბერს იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ: **გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) და ივანე (ვანო) ინაშვილი.**[1] მკვლელობის დამკვეთისა და ორგანიზატორების შესახებ თედო ლაბაურს არ შეიძლება რამე სცოდნოდა. ამის თაობაზე გამოძიებას ინფორმაცია სხვა ეჭვმიტანილებისაგან უნდა მოეპოვებინა, თუმცა ეს არ მომხდარა.

1907 წლის დეკემბრიდან ილიას მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფაღავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა, ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ საერთოდ მოაშორეს მაზრის მმართველობას. უფრო მეტიც, ყარამან ფაღავას

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 71-73.

დაჟინებული მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამოძიებას ხელში შერჩა ის ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და, მით უმეტეს, არც მკვლელობის დამკვეთზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო თვით კავკასიის მეფისნაცვლისთვისაც კი. რაც შეეხებათ თბილისის გენერალ-გუბრენატორს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსსა და თბილისის ოხრანკის უფროსს, ისინი თანამდებობრივად იყვნენ მოვალენი, დაეცვათ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ილიას მკვლელობის ვერსიებიდან კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა ვერსია – **მკვლელობა ძარცვის მიზნით.** უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც მისაღები იყო ვერსია – **მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე.** ყველაზე არასასურველი იყო ვერსია – **სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა ანუ პოლიტიკური მკვლელობა.** პოლიტიკური მკვლელობა სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ თბილისის გენერალ-გუბერნატორის უწყების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის კომპეტენტურობის საკითხს. რაც შეეხება მკვლელობას ძარცვის მიზნით, ან მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას თავის მართლების მეტ საშუალებას უტოვებდა. ყაჩაღთა ბანდის მიერ ძარცვის მიზნით ან გლეხების მიერ აგრარულ ნიადაგზე განხორციელებული მემამულის მკვლელობა, ცხადია, არ აღიქმებოდა ისე მწვავედ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძნობდნენ, რომ ძიებას შეეძ-

ლო მათი ვინაობა დაედგინა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული მოსაზრებით ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, თავიანთი მხრიდან, ცდილობდნენ კიდევ ერთხელ დაებნიათ გამოძიება. ასე გამოვიდა ასპარეზზე **ალექსანდრე გრეკოვი.**

1907 წლის 30 ნოემბერს ოზურგეთის სოფელ ნაგომრის მცხოვრებმა, სოციალ-დემოკრატებთან კავშირში მყოფმა ალექსანდრე გრეკოვმა თავისი ნებით მისცა შემდეგი შინაარსის ჩვენება: 1907 წლის ზაფხულში გურიაში, სოფელ ბახვში, სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ტერორისტული აქტის განხორციელება დაევალათ **ერმილე და კალისტრატე დოლიძეებს და ვინმე ბასილაშვილს.**[1] სოფელ ბახვში ჩატარებული კრების თაობაზე დაიწყო გამოძიება, თბილისიდან და საგურამოდან ყურადღება გადაიტანეს გურიაზე. შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი: 1908 წლის 19 აპრილს ალექსანდრე გრეგოვმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა: ბახვში არავითარი კრება არ ჩატარებულა, ყველაფერი მე მოვიგონეო.[2] **ბახვში კრება მართლაც არ გამართულა. სოციალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს: ძიება კვლავ აგრარულ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის ვერსიის დამუშავებას დაუბრუნდა.**

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ძიების მასალებს დაეყრდნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია არ მიეცა. რა თქმა უნდა, არც მკვლელობის დამკვეთი და მისი ორგანიზატორები დაუდგენიათ. ისიც კი არ გამოურკვევიათ, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს, ვინ ამზადებდა მათ

---

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 80-82, 85-86.

[2] იქვე, გვ. 95.

ტერორისტული აქტისათვის, ვინ მისცა გლეხებს დავალება, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს გზაზე უნდა დახვედროდნენ ილიას. გამომძიებელმა, მოსამართლემ და პროკურორმა თითქოს არ იცოდნენ, რომ ტერორისტული აქტი ხორციელ-დებოდა ასეთი სქემით: ტერორისტული აქტის დამკვეთი – ტერორისტული აქტის ორგანიზატორი – ტერორისტული აქტის უშუალო ხელმძღვანელი – ტერორისტები.

1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლომ **თედო ლაბაურს, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილს და ივანე (ვანო) ინაშვილს** ჩამოხრჩობა მიუსაჯა. განაჩენი აღასრულეს 21 აგვისტოს.[1] **გიგოლა მოძღვრიშვილი** ციხეში გარდაიცვალა. პავლე ფშავ-ლიშვილი (აფციაური) 1908 წლის 11 მაისს ციხიდან გაიქცა. ის 17 დეკემბერს პოლიციელებთან შეტაკებისას მოკლეს. **გი-გლა ბერბიჭაშვილის** კვალს პოლიციამ ვერ მიაკვლია. ჩანს, ის სოციალ-დემოკრატებმა საიმედოდ გადამალეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასა-მართლო (1907-1909 წწ) იყო არცთუ ისე კარგად დადგმუ-ლი სპექტაკლი. 1907-1909 წლებში წინასწარგანზრახვით, მცდარი ვერსიით, წარმოებული გამოძიებითა და სასამართ-ლოს მიერ იმავე მცდარი ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებით პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი კითხვა. გამომძიებლებმა (ილიაშჩენკო, ევტუშევსკი) მოწმეებს, ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს არ დაუსვეს ისეთი კითხვები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მათ მიერ მიცემული ჩვენე-ბებიდან. არ დაკითხულა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს გამომძიებლე-ბი შიშობდნენ **ფარდა არ ახდოდა სიმართლეს**. გამოძიებამ შეასრულა კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის დაკვე-თა – ილიას მკვლელობას პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლე-ლობის კვალიფიკაცია არ მისცა და, აქედან გამომდინარე,

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასა-ლები, თბ., 1938, გვ. 103-105.

არც მკვლელობის დამკვეთისა და არც მკვლელობის ორგანიზატორების დადგენა უცდია. მთელი ყურადღება უშუალოდ ტერორისტული აქტის (მკვლელობის) მონაწილეთა ვინაობის დადგენას დაეთმო. ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა გამოძიებასა და სასამართლოს. ის, რაც არ გაკეთდა 1907-1909 წლებში, ცხადია, ვეღარ გაკეთდებოდა მეორე გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს (1941-1942 წწ.). მით უფრო, რომ მეორე გამოძიებამ და სასამართლო პროცესმაც წინასწარგანზრახვით ისევ მცდარ ვერსიას დაუჭირა მხარი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942 წწ.). რუსეთის იმპერიის აღსასრულს (1917 წლის თებერვალ-მარტი) თითქოს ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით იმედები ვერ გაამართლა. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1918 წლის 26 მაისი) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა (ოზაკომი) და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917 წლის მარტი – 1918 წლის აპრილი), ისე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, საქართველოშიც დაუცველი და მოუვლელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დაწესებულებების არქივები. მასალების დიდი ნაწილი ან დაუდევრობით, ან შეგნებულად (პოლიტიკური მიზნით) განადგურდა. **ყველა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა მოესპო ისეთი საარქივო მასალა, რომელიც სახელს გაუტეხდა მას.** ასე განადგურდა მასალები თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკის, კავკასიის ოხრანკის, თბილისის პოლიცმაისტერ-

ის, დროებითი სამხედრო გუბერნატორების (გენერალ-გუ-ბერნატორების), მაზრების უფროსების, თბილისის საოლქო სასამართლოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს, თბილისის ოლქის პროკურორის, ქუთაისის ოლქის პროკურორის, კავკასიის სასამართლო პალატის, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს, თბილისის მეტეხის საპყრობილესა და სხვა საპყრობილეთა არქივებიდან. **შეგნებულად თუ შემთხვევით განადგურებულ საარქივო მასალათა შორის აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისა და სასამართლოს მასალები (1907-1909 წწ.).** ამ დანაკარგის ანაზღაურება დღეს უკვე შეუძლებელია.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიება საზოგადოების სრულიად ბუნებრივი მოთხოვნა იყო. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი. საბოლოოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ხელისუფლების აზრი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, ამიტომაც მკვლელობის საქმის გამოძიებას დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა ექნებოდა. მეორენი თვლიდნენ, რომ, მართალია, ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, მაგრამ მკვლელობის საქმის გამოძიებას შეიძლებოდა ჩრდილი მიეყენებინა ქართველი მენშევიკებისათვისაც, რადგან ქართველ მენშევიკთა ნაწილი იდეური თვალსაზრისით დაპირისპირებული იყო ილია ჭავჭავაძესთან და აქტიურად ებრძოდა მას. საბოლოოდ **ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სახელმწიფო ზრუნვის საგნად ვერ იქცა.** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მართალია, ილიას მკვლელობის თაობაზე მასალებს აგროვებდა, მაგრამ ეს საქმე მინდობილი ჰქონდათ არაპროფესიონალებს, მუშაობა წარმოებდა უსისტემოდ. საზოგადოებაში გავრცელდა ხმები,

რომ **კომისიამ მასალების რაღაც ნაწილი ან გაანადგურა, ან საგულდაგულოდ გადამალა.**

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. **დაიწყო ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი.** ილია გამოცხადდა „ფეოდალურ-მონარქისტული ნაციონალიზმის მამამთავრად“, „ხალხთა შორის ეროვნული შუღლის გამღვივებლად“, „თავადაზნაურობის ინტერესების დამცველად“. „ბატონყმობის იდეოლოგად“, „სასტიკ მემამულედ“, „სოციალური თანასწორობის მოწინააღმდეგედ“, „პროგრესის შემაფერხებლად“ და ა. შ. ილიას სულიერი მემკვიდრეობის უარყოფა მიმდინარეობდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის სულისჩამდგმელისა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორის **ფილიპე მახარაძის** ხელმძღვანელობით. აქვე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას: **ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა არ შეიძლება განვიხილოთ ფილიპე მახარაძის კერძო ინიციატივად. ეს იყო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება, ე. ი. სახელმწიფო პოლიტიკა.** სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს შორის 1921-1922 წლებში სხვადასხვა გარემოებათა გამო ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერი სერგო ორჯონიკიძე და საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი ფილიპე მახარაძე შეთანხმებულად ცდილობდნენ ილიას სახელის ამოშლას საქართველოს ისტორიიდან. ისინი **ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს აიძულებდნენ, XIX საუკუნის საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობის ისტორია ილიას გარეშე გაეაზრებინათ.** ამის მაგალითს იძლეოდა ფილიპე მახარაძე, რომელიც ილი-

აზე წინ დანიელ ჭონქაძეს აყენებდა. ვინც ამ უმსგავსოების წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, სასტიკად იდევნებოდა. ილია ჭავჭავაძეს ბევრი სხვა ვინმეც ებრძოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძის ნაწერებში აშკარად იგრძნობა ბიოლოგიური ზიზღი ილიასადმი. **საოცარია, მაინც რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფილიპე მახარაძის სიძულვილი ილიასადმი, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ებრძოდა მას, ჯერ ცოცხალს, შემდეგ მკვდარს.**

1921 წლიდან ფილიპე მახარაძე სისტემატურად აფერხებდა ილიას მკვლელობის თაობაზე მასალების მოძიებასა და გამოქვეყნებას. იბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც მხარს უჭერდა ოხრანკის მიერ ილიას მკვლელობის ვერსიას. ფილიპე მახარაძე ავტორების მიმართ მუქარასა და შანტაჟსაც არ ერიდებოდა.

ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფა ფილიპე მახარაძისა და „მისი რაზმის“ (ე. ი. ხელისუფლების) მიერ 1921 წლიდან 1934 წლამდე გაგრძელდა. ამ სამარცხვინო კამპანიას 1934-1937 წლებში ზღვარი დაუდო **იოსებ სტალინმა.**

1934-1937 წლებში ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების სასიკეთოდ კვლავ თავისთავად დასვა კითხვა: **ვინ მოკლა ილია?** XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის პასუხის ერთადერთი, ხელისუფლებისათვის მისაღები ვარიანტი ასეთი იყო: **ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოკლა ოხრანკამ.** დაიწყო ამ ვერსიის დამადასტურებელი მასალების მოძიება. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს იოსებ სტალინის დავალებით ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ავტორმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ შეძლო ხელისუფლების დაკვეთის შესრულება. მოძიებული მასალიდან აშკარა ხდებო-

და, რომ **ილიას მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ**, ოხრანკის კვალი არ დასტურდებოდა. 1938 წელს გამოიცა პაატა გუგუშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“.[1] მართალია, პაატა გუგუშვილი ილიას ოხრანკის მოკლულად მიიჩნევდა, მაგრამ ნაშრომიდან (გამოკვლევიდან და თანდართული დოკუმენტებიდან) აშკარა ხდებოდა, რომ **ოხრანკის მიერ ილიას მოკვლის ვერსია შეთხზული იყო, კვალი აშკარად სოციალ-დემოკრატებისაკენ მიდიოდა,** ასეთი შეუსაბამობა პაატა გუგუშვილს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა. კიდეც რომ გაჰპარვოდა, წიგნს ცენზურა არ გაუშვებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ წიგნში არსებული ეს „შეუსაბამობა“ იოსებ სტალინს სჭირდებოდა. ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერის დიდოსტატს ალბათ ამჯერადაც რაღაც მიზანი ამოძრავებდა. **იოსებ სტალინის ეს მიზანი იმდენად ვერაგული იყო, რომ ლავრენტი ბერიაც კი დაიბნა.** იოსებ სტალინისაგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიების დავალება რომ მიუღია, გაოცებულ ლავრენტი ბერიას უთქვამს: **ამ საქმეს რაღა გამოძიება უნდა? ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლელი ბელადს მოსკოვში ჰყავს თავისთან, მეორე კი მე მიზის თბილისშიო.** ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ლავრენტი ბერია **სერგო ორჯონიკიძესა** და **ფილიპე მახარაძეს** გულისხმობდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1934-1937 წლებში ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებამ, ილიას რეაბილიტაციამ ბუნებრივად დასვა კითხვა: ვინ მოკლა ილია? ხელისუფლებას სურდა თუ არ სურდა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. ეს კი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებას მოითხოვდა. ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სხვა მიზეზებმაც განაპირობა. უნდა ვივარაუდოთ, ილიას მკვლე-

[1] **პაატა გუგუშვილი,** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938.

ლობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი იოსებ სტალინს XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისთვის შექმნილი ვითარების გამო დასჭირდა. უფრო კონკრეტულად კი, იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორება სურდა. ძველი ბოლშევიკური გვარდია სერიოზულად ფიქრობდა იოსებ სტალინის სერგეი კიროვით ჩანაცვლებაზე. სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ (1934 წ.) ძველ ბოლშევიკებს იოსებ სტალინის შემცვლელის ძიებაზე ხელი არ აუღიათ. სერიოზულად იხილებოდა სერგო ორჯონიკიძის კანდიდატურა. თუ სერგო ორჯონიკიძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორობა დაუმტკიცდებოდა, ეს იოსებ სტალინის ხელში სერიოზული კომპრომატი იქნებოდა. თუმცა გარკვევით უნდა აღინიშნოს: იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორების სანაცვლოდ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ დაადანაშაულებდა, ასეთ ჩრდილს არ მიაყენებდა. გარდა ამისა, ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად აღიარებით საქმე არ დასრულდებოდა. ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა: ვისი დავალებით მოქმედებდნენ ისინი? მკვლელობის დამკვეთის ვინაობა თავისთავად ცხადი გახდებოდა. **უფრო სავარაუდოა, რომ იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას მართლაც მისცა მითითება ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა, მამხილებელი მასალების მოძიების თაობაზე, მაგრამ ეს მასალა გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, როგორც კომპრომატი სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ. ძიებას და სასამართლოს კი ოხრანკის ვერსია უნდა დაესაბუთებინა.**

ილია მკვლელობის საქმის ძიება გარკვეულწილად შეაფერხა ლავრენტი ბერიას მოსკოვში გადაყვანამ (1938 წ.).

ამით ისარგებლა ფილიპე მახარაძემ და კიდევ ერთხელ სცადა ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების შეფერხება. მალე ფილიპე მახარაძე მკაცრად გააფრთხილეს და ისიც იძულებული გახდა მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) მიიღეს. პირველი მოწმეები 1941 წლის იანვარში დაიკითხნენ. გიგლა ბერბიჭაშვილი პასუხისგებაში მისცეს 1941 წლის 14 ივნისს (ომის დაწყებამდე რვა დღით ადრე). ომის დაწყებამ გამოძიება ვერ შეაფერხა. 1941 წლის ნოემბრის ბოლოს გამოძიებამ საქმე გადასცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს. 1941 წლის 27 ნოემბერს შედგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამზადებელი სხდომა. სასამართლო პროცესი დაიწყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

ცხადია, 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებას შეეძლო გადაედო გამოძიება და სასამართლო პროცესი. მაგრამ, ჩანს, იოსებ სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს.**

და მაინც, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა. ყველა ჩვენება გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში (ოქმები, სტენოგრამები) იმ სახით შევიდა, როგორიც ეს ხელისუფლებას სურდა. დღეს შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა 1941 წელს ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ გამოძიებაც და სასამართ-

ლოც მივიდნენ დასკვნამდე: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით განახორციელა ოხრანკამ.**

1941-1942 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი, ისევე როგორც 30-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ილიას მკვლელობის თაობაზე მიმდინარე მასალების მოკვლევა, იყო დადგმული სპექტაკლი. რით უნდა დამთავრებულიყო ძიება და რა განაჩენი უნდა გამოეტანა სასამართლოს, წინასწარ იყო ცნობილი.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ 1907-1909 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, სიმართლის დადგენის თვალსაზრისით 1907-1909 წლების მასალები უფრო საყურადღებოა, ვიდრე 1941-1942 წლებისა. 1907-1909 წლების მასალებში მცირე დოზით, მაგრამ მაინც აისახა სიმართლე. 1941-1942 წლების მასალები ისეა გაყალბებული, რომ სიმართლის დასადგენად თითქმის მთლიანად გამოუსადეგარია. ილიას მკვლელობის ისტორიის შესწავლა სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფერხდება.

1941 წლისათვის ილიას მკვლელობის ორგანიზატორთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო ცოცხალი, მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან – აღარავინ, ილიაზე თავდასხმის მონაწილეთაგან (ტერორისტთაგან) კი – მხოლოდ გიგლა ბერბიჭაშვილი. რადგან ილია ოხრანკის მიერ მოკლულად უნდა გამოცხადებულიყო, ფილიპე მახარაძით გამოძიება და სასამართლო საჯაროდ ვერ დაინტერესდებოდა. რჩებოდა გიგლა ბერბიჭაშვილი. გადაწყდა: **ილია ჭავჭავაძის ფიზიკურ მკვლელად უნდა გამოცხადებულიყო ოხრანკის აგენტების მიერ დაქირავებული გიგლა ბერბიჭაშვილი, რომლის გასროლილმა ტყვიამაც სიცოცხლე მოუსწრაფა მწერალს.** რადგან მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ცოცხალი აღარავინ იყო ანუ აღარ იყვნენ ის ადამიანე-

ბი, რომელთაც ტერორისტთა ჯგუფი შეადგინეს და ილიას გზაზე ჩაუსაფრეს, ძიებასა და სასამართლოს არ გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ილიას მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები ოხრანკის აგენტები იყვნენ და ოხრანკის დავალებით მოქმედებდნენ. ძალზე გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად, ძალზე არადამაჯერებელი იქნებოდა, გიგლა ბერბიჭაშვილის ოხრანკის აგენტად გამოცხადება. გამოძიებასა და სასამართლოს ეს არც უცდია. სამაგიეროდ აუცილებელი იყო იმისი „დადასტურება“, რომ **გიგლა ბერბიჭაშვილი 1907 წელს არც რსდმპ წევრი და არც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმის“ წევრი და მეთაური ყოფილა, სოციალ-დემოკრატების დავალებით ტერორისტული აქტები არ განუხორციელებია, ხოლო 1921-1922 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მანდატი თაღლითობით მიიღო და პენსიაც თაღლითობით დაინიშნა. ყოველივე ამის „დამტკიცება“ გამოძიებამ და სასამართლომ „შეძლო“.**

თუ გიგლა ბერბიჭაშვილი არც ოხრანკის აგენტი ყოფილა და არც რსდმპ წევრი, მაშ, ვინ იყო იგი? ამ კითხვაზე გამოძიებას და სასამართლოს ასეთი პასუხი ჰქონდა მზად: **გიგლა ბერბიჭაშვილი იყო უიდეო, უზნეო, გახრწნილი, გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ოხრანკის აგენტებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.**

ასე იქცა გიგლა ბერბიჭაშვილი გამოძიებისა და სასამართლოსათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დაადგინა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა **(მკვლელობის დამკვეთი).**

2. მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ **(მკვლელობის ორგანიზატორი).**

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოხრანკის აგენტები **(მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).**

4. ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს **(მკვლელობის უშუალო მონაწილენი).**

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: **რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკველობის დამკვეთი) – ოხრანკა (მკვლელობის ორგანიზატორი) – ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები) – ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილენი).**

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად იცოდნენ ჭეშმარიტება, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ნებით განხორციელდა (**მკვლელობის დამკვეთი).**

2. მკვლელობა მოამზადა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (ის ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით **(მკვლელობის ორგანიზატორები).**

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები **(მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).**

4. მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელებმა შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელთაგან ორი რსდმპ წევრი და რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო **(ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის უშუალო მონაწილენი).**

5. გარდა ამისა, იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა გიგლა ბერბიჭაშვილმა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა მკვლელმა, რომელიც

ტერორისტთა ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს თავდასხმის ორგანიზატორებმა. ილიას მკვლელი ქილერის ვინაობის დადგენა ოხრანკის ვერსიის დადასტურებისათვის სულაც არ იყო საჭირო.

ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება და სასამართლო დიდი დარტყმა იყო ფილიპე მახარაძისათვის. თუმცა ის ამჯერადაც გადარჩა: **გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ოხრანკის ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებამ გამორიცხა ილიას მკვლელობის ორგანიზატორად ფილიპე მახარაძის მიჩნევა.** ფილიპე მახარაძეს აშკარად ბედი სწყალობდა! თუმცა ილიას მკვლელობის ორგანიზატორი სხვაგვარად ფიქრობდა: არავინ უწყოდა, რას გადაწყვეტდა, რას მოიმოქმედებდა იოსებ სტალინი, რა გაგრძელება ექნებოდა იმ ფარსს, რომელიც 1941-1942 წლებში გათამაშდა. ფილიპე მახარაძე ორჯერ (1907 წელსა და 1941 წელს) გადაურჩა სასჯელს. მესამედ ბედს აღარ მიენდო და საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი: **თავი ჩამოიხრჩო.**

ოფიციალური ცნობით, სერგო ორჯონიკიძე გულის დაავადებით გარდაიცვალა. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია იმის თაობაზე, რომ ის აიძულეს, თავი მოეკლა. მესამე ვერსიით სერგო ორჯონიკიძე კეფაში ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა საკუთარ ბინაში. ის მოსკოვში, წითელ მოედანზე კრემლის კედელთან დაკრძალეს. ოფიციალური ცნობით ფილიპე მახარაძე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მან თავი ჩამოიხრჩო.

იოსებ სტალინს არ უყვარდა ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. რა იყო ამისი მიზეზი, სამივემ კარგად უწყოდა. სამივემ საიდუმლო თან წარიტანა სამარეში.

* * *

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ორივე გამოძიებამ და ორივე სასამართლო პროცესმა (რუსეთის იმპერიის

ხელისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს) უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა. მათ შორისაა ტერორისტული აქტის განხორციელების საკითხი – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალები.

საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ილია 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურთან მოკლა ტერორისტთა ჯგუფმა. სოფელ წიწამურთან დათქმულ ნიშანზე თედო ლაბაურმა ეტლი გააჩერა და ფეხზე წამომდგარი ილია ერთ-ერთი ტერორისტის, კერძოდ, გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ ბერდანის თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ტყვია ილიას შუბლში მოხვდა. ამ ვერსიაში ბევრი რამ საეჭვოა. საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ:

1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტი

31 აგვისტო, 1907 წ. აქტი. მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფ. გურამიანთკარში, ქვემოთ აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის მეოხებით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

გარეგანი დათვალიერება

მიცვალებული (ცხედარი) ასვენია მაგიდაზე საკუთარ სახლში. აცვია რუხი ფერის ჟილეტი და შარვალი, ფერადი კვართი და თეთრი საცვალი, კისერზე გახამებული თეთრი საყელო, რომლის გარშემო დევს ბაფთა – გახსნილი ფერადი ბატისტის ყელ-სახვევი. მარცხენა ხელზე გახამებული მანჟეტი მოხსნილია, მარჯვენაზე მანჟეტი მოძრობილია და ჩამოკიდებულია საკინძის კვართზე. ფეხზე აცვია წინდები და დაბალყელიანი ჩექმები. ჟილეტი, კვართი და მანჟეტი გა-

სისხლიანებულია. სახეზე და შუბლზე სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულმკერდის ზედა ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევნები. მიცვალებული სწორი აგებულებისაა; მუცელი წინაა წამოწეული... სხეულის დანარჩენი ნაწილები სწორი აგებულებისაა.

გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამ-ჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხვრელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეო-რე – მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იღლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის. შუბლის მარცხენა ნახევარში აღინიშნება ოვალური ფორმის დაჟეჟილი ჭრილობა, დამავალი ძვლამდე, ოთხი სანტიმეტრის სიგრძის, ორი სანტიმეტრის სიგანის. აქ ძვალი ჩატეხილია და მარცხენა ნაწილით ჩაწეულია ქვემოთ. ჩატეხილი ძვლის უდიდესი დიამეტრი ერთნახევარი გოჯია, მოტეხილობის ზედა, მარცხენა და ქვედა კიდეები მდე-ბარეობს ქალას სარქველზე დაბლა, ხოლო მარჯვენა ნაწილი შეერთებულია ქალას სარქველთან, შეერთება არამტკიცეა, რის გამოც მოტეხილი ძვალი მოძრავია. კანის ჭრილობის კიდეები არასწორია, მოშავო ფერისაა და მშრალი. მის ქვეშ ძვალზე აღინიშნება გამოყოფილი სისხლის თხელი ფენა. მარჯვენა წარბს ზემოთ მდებარეობს მეორე დაჟეჟილი ჭრი-ლობა, ისეთივე ხასიათის, როგორიც პირველი. ეს ჭრილობა აღწევს ძვლამდე, მაგრამ ძვალი დაზიანებული არ არის. ამ ჭრილობის სიგრძეა სამი, სიგანე ერთი სანტიმეტრი.

სხვა დაზიანება სხეულზე არ არის. გვამური ლაქები და სხვა ნაადრევი გახრწნის ნიშნები არ აღინიშნება. გაშეშების კვალი ჯერ კიდევ შერჩენილია ხელებში...

შინაგანი დათვალიერება

გულმკერდის ღრუ. გულმკერდზე ცეცხლსასროლი ჭრილობის უბანში კანქვეშა ქსოვილი მოშავო ფერისაა გამონადენი სისხლისაგან. მარჯვენა მეხუთე ნეკნის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილი დამსხვრეულია. შემდეგ ტყვიამ გაიარა გულის პერანგში, გულის პარკუჭების ზედა ნაწილებში და მარცხენა ფილტვის ქვედა წილის გავლით გამოვიდა გარეთ მარცხენა იღლიის მიდამოში. გულის ორივე პარკუჭის კედლების ზედა ნაწილები გარდაქმნილია ნაფლეთებად. გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხელებულია და გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილებად, მარჯვენა პარკუჭის კედლის სისქის სამ მეოთხედს ცხიმი შეადგენს, მარცხენა პარკუჭის წინა კედელს მწვერვალთან ახლოს აქვს ხარის გამხმარი ტყავის სისქე, ის მკვრივია, მოთეთრო ფერისაა და წინ გამობერილია მცირედ. გულის კედლის ამ ნაწილზე თითის დაჭერით ეს უბანი ვარდება შიგნით და თითის აღებით გარეთ, როგორც რეზინის ბურთი. მიკროსკოპულად ანევრიზმული გამობერილობა მოგვაგონებს მკვრივ და დრეკად შემაერთქსოვილოვან წარმონაქმნს. მარჯვენა ფილტვის პლევრა შეხორცებულია გულმკერდის გვერდით კედელთან; მარცხენა მდებარეობს თავისუფლად. ორივე ფილტვის მოქნილობის და სიფაფუკის ხარისხი დაქვეითებულია, ჰაერით არ არიან გადავსებულნი. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილები სრულიად უჰაეროა, რის გამოც მათმა ქვედა კიდეებმა კანის სიმკვრივის ბრტყელი დანამატის სახე მიიღეს. ფილტვები განაკვეთზე მოთეთრო-მორუხო ფერისაა. გულმკერდის ღრუ შეიცავს დიდი რაოდენობით შედედებულ და თხიერ სისხლს. მუცლის კედელი შეიცავს ცხიმის სქელ შრეს. თავისა და მუცლის ღრუები არ დათვალიერდა, რადგან სიკვდილის მიზეზი ნათელია.

დუშეთის მაზრის ექიმი ***იაშვილი.***

გამომძიებელი ***ვ. ე. დილევსკი***

მოწმეები: სოფ. გურამიანთკარის მცხოვრებნი, გლეხები **სიმონ ჩიხაშვილი** და **ვასილ ნარიმანიძე**, ორივე წერაკითხვის უცოდინარნი.

მოსაზრება: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლნასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვითარდა ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად. ორი ჭრილობა, მდებარე თავის ქალას უთმო ნაწილში, მიყენებულია ბლაგვი საგნით. ერთი ამ ჭრილობათაგანი, რომელიც გართულებულია თავის ქალას ძვლების დაზიანებით, მიეკუთვნება მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებას; მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნოს მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს.

გარდაცვლილ ილია ჭავჭავაძეს გული და ფილტვები ჯანმრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარცხენა პარკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევრიზმულად. აღწერილობით ნაწილში მე დამავიწყდა აღმენიშნა, რომ მარცხენა პარკუჭის ენდოკარდი გასქელებულია, მორუხო-მოთეთრო ფერისაა, მკვეთრად გამოირჩევა მარჯვენა პარკუჭის ენდოკარდისაგან, უკანასკნელს აქვს ხორცის ფერი შესახედაობა. მარცხენა პარკუჭის ენდოკარდის ზედაპირი, ნახევარმთვარისებური სარქველები და აორტის შიდა გარსი გლუვია, ხორკლების გარეშე, ნახევარმთავრისებური სარქვლების ფუძეები გასქელებულია და მკვრივი. დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენოდა სამოცდაათი წლის მხცოვან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეძგერა კიდევ რამდენიმე თვეს ან წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის

დანამდვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი. თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული იქნა მისი მსახური, რომლის სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, სიდიდით ჰგავს ტყვიას, როგორითაც იტენება კაჟიანი თოფები. თავად ჭავჭავაძისა და მის მსახურისათვის ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებული ჭრილობების ხვრელები სიდიდით და ზოგიერთი სხვა თავისებურებებით დაახლოებით ერთნაირია. გვამების გაკვეთის პრაქტიკით ვიცით რა ბერდანით, ახალი ნიმუშის სამხაზიანი შაშხანით და უბრალო არასწრაფმსროლელი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა თავისებურებანი, მე ვვარაუდობ, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია უკანასკნელი სახეობის იარაღით.

დუშეთის მაზრის ექიმი *იაშვილი*".[1]

ილია ჭავჭავაძის სხეულის ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ილიას მარცხენა ნეკნის არეში (იღლიის ქვეშ) აქვს მცირე დიამეტრის ხვრელი, მკერდის არეში (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – დიდი ხვრელი. ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს წვრილ ხვრელს, სხეულიდან გამოსვლისას კი – გაცილებით დიდს. ამდენად, ექიმ იაშვილს უზუსტობა მოუვიდა. ილიასათვის წინიდან რომ ესროლათ, მაშინ მცირე ზომის ხვრელი მკერდის არეში ექნებოდა, დიდი ზომისა კი – იღლიის ქვეშ. გვამის გაკვეთის აქტში ყველაფერი პირიქითაა, ე. ი. ილიას ზურგიდან ესროლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ტყვია შუბლში არა აქვს მოხვედრილი. ეტლიდან გადმოვარდნის შემდეგ ილიას ერთ-ერთმა ტერორისტმა შუბლში ორჯერ ჩაარტყა შაშხანის ლულა იმ მიზნით, რომ დარწმუნებულიყო,

[1] **პაატა გუგუშვილი**, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, საგამომძიებლო მასალები, თბ., 1938, გვ. 38-41; **გურამ შარაძე**, ილია ჭავჭავაძე, 1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე. ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990, გვ. 320-322.

ილია მკვდარი იყო თუ არა. შუბლის არეში მიყენებული არც ერთი დარტყმა სასიკვდილო არ იყო. ექსპერტიზით ასევე დადგინდა, რომ ილია მოკლეს ტყვიით, რომელიც სხეულში შევიდა ზურგის მხრიდან (მარცხენა ნეკნებს შორის) და გამოვიდა მკერდში მარჯვენა მხარეს (ძუძუს დვრილთან). ისმის კითხვა: ვინ ესროლა ილია ჭავჭავაძეს? აშკარაა, რომ გასროლა იმ ტერორისტთა მხრიდან არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომლებმაც ეტლი გააჩერეს და გასროლის მომენტში ეტლის წინ იდგნენ.

შეიძლება თუ არა დადგინდეს იმ ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ილიას ზურგიდან ესროლა? იმხანად ტერორისტულ პრაქტიკაში ასეთი წესები მოქმედებდა: ყველა ტერორისტს ჰქონდა თავისი „ხელწერა“, ე. ი. ტერორისტი მსხვერპლს კლავდა მისთვის დამახასიათებელი გასროლით. ასეთი გასროლის ნიმუშები იყო: ერთი ტყვია კეფაში, ოთხი ტყვია ზურგში, ორი ტყვია მკერდის არეში, სამი ტყვია მუცლის არეში, ერთი ტყვია შუბლის არეში და ა. შ. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტერორისტი ერთი „ხელწერით“ მოქმედებდა. მაგრამ იმგვარი გასროლით, როგორითაც ილია მოკლეს (სხეულში მარცხენა ნეკნებს შორის შესული ტყვია გამოვიდა მკერდის არეში მარცხნივ, ძუძუს დვრილთან). იმხანად (1905-1907 წწ.) მხოლოდ ორი ტერორისტი სარგებლობდა ასეთი „ხელწერით“. ერთი მათგანი 1907 წლის აგვისტოსათვის ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა და საქართველოში გვიან დაბრუნდა. მეორე 1907 წლის იანვრიდან აგვისტომდე რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებული თბილისის, ქუთაისისა და ბაქოს გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების აგენტურული სამსახურის მასალების მიხედვით, არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, ბათუმში, ბაქოში და ბათუმი-თბილისი-ბაქოს მარშრუტით გადაადგილებისას ხშირად იკარგებოდა

ჟანდარმერიის თვალთახედვის არედან. ეს ტერორისტი შედიოდა იმ 50-55 ტერორისტის რიცხვში, რომელთაც, პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკოსთა დასკვნით, შეეძლოთ ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერორისტი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ილია მოკლა, ჟანდარმერიის თვალთახედვიდან გაქრა 1907 წლის 17 აგვისტოს. ამ დღეს იგი ჟანდარმერიის აგენტმა ბათუმის ნავსადგურში ნახა. ჟანდარმერიის თვალთახედვის არეში ტერორისტი კვლავ მხოლოდ 1907 წლის 21 დეკემბერს მოხვდა, ე. ი. ილიას მკვლელობიდან სამი თვისა და ოცდაერთი დღის შემდეგ. სავარაუდოა, ტერორისტმა „ფსკერზე ჯდომა“ გადაწყვიტა, ე. ი. გადაადგილებისა და ტერორისტული საქმიანობისაგან განგებ იკავებდა თავს. ეს ტერორისტთა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ისეთ მასალას, რომელიც ამტკიცებდეს, რომ საქართველოში იმავე „ხელწერით“ სხვა ტერორისტიც მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, კატეგორიული დასკვნის გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ზემოხსენებულ ტერორისტს, პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ უმტკიცდება. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია საფუძველი გამოაცალოს ჩვენს ვერსიას, რადგან 1907 წლის 17 აგვისტოდან 21 დეკემბრამდე პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ცნობა ტერორისტის შესახებ არ მოეპოვება, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა კი სწორედ ამ პერიოდში მოხდა.

* * *

მართალია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ჟენევაში, პარიზში), მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებუ-

ლი გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ქართველ საზოგადოებას, რომელიც წინ ვერ აღუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროებას – ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე. უფრო მეტიც, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიზლა – საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ ღმერთმა უწყის ჭეშმარიტება: **იქნებ ქართველთა განწყობილებამაც იქონია გარკვეული გავლენა ჟენევასა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ.**

* * *

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაში სადღეისოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

პირველი. ილიას მკველობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) მყოფმა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ (იმხანად ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები ერთ პარტიად იყო გაერთიანებული).

მეორე. ილიას მოკვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა მისი არჩევა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად (1906 წ.), ასევე ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მხარდაჭერა ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი და საერთოდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას და მისი განხორციელების შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცეოდა, რასაც ვ. ლენინი და მისი თანამოაზრეები ვერ დაუშვებდნენ.

მესამე. რსდმპ ხელმძღვანელობამ მკვლელობის დამკვეთის ვინაობის უკეთ დაფარვის მიზნით ილიას მკვლელობის ორგანიზება არ დაავალა რსდმპ თბილისის კომიტეტს (კომიტეტში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მოღვაწეობდნენ), რომელსაც ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია გააჩნდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (იგი ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ილიას მკვლელობის ორგანიზება დაავალა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს (არც ერთი მათგანი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა), რომელთაც მიღებული ინსტრუქციის თანახმად, საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ რსდმპ თბილისის კომიტეტი.

მეოთხე. ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის აუცილებელი ფული სოციალ-დემოკრატებმა საზღვარგარეთიდან შემოიტანეს, ექსპროპრიაციის გზით საქართველოში არ მოუპოვებიათ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ჟანდარმერიასა და ოხრანკას ეჭვი არ აეღო, ექსპროპრირებული ფულის კვალს არ გაჰყოლოდა და მკვლელობის ორგანიზატორები არ დაედგინა.

მეხუთე. ილიას მკვლელობის დამკვეთის დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტულ აქტამდე დაყარეს ხმები იმის თაობაზე, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, მკვლელობის დღიდანვე კი სოციალ-დემოკრატები ძალზე ოსტატურად ავრცელებდნენ სხვადასხვა ხმას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს ა) ყაჩაღებმა ძარცვის მიზნით, ბ) ადგილობრივმა გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე; გ) სომეხმა ნაციონალისტებმა ეროვნული შუღლის გამო; დ) რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით. სოციალ-დემოკრატებმა მკვლელობის დამკვეთის ვინაობა საბოლოოდ მაინც ვერ დამალეს, მაგრამ ილიას მკვლელობის პირველ დღეებში ხელისუფლება, საზოგადოება და ძიება სერიოზულად დააბნიეს.

მეექვსე. სოციალ-დემოკრატებს ილია შეეძლოთ მოეკლათ საკუთარ სახლში (თბილისში, საგურამოში) ან გზაზე, ეტლით მიმავალი. ამისათვის საკმარისი იყო ჩასაფრებული პროფესიონალი ქილერის ერთი გასროლა. ამ გზით განხორციელებული ტერორისტული აქტი სოციალ-დემოკრატებს ხელს არ აძლევდათ. ილია უნდა მოეკლათ ადგილობრივ გლეხებს აშკარა ყაჩაღური თავდასხმით, ხოლო მოკლული უნდა გაეძარცვათ. ეს მკვლელობის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემდა, გაევრცელებინათ ხმები, რომ ილიას ფიზიკურად გაუსწორდნენ ან ძარცვის მიზნით, ან აგრარულ ნიადაგზე.

მეშვიდე. დამკვეთისა და ორგანიზატორების დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტული აქტი შემდეგნაირად განახორციელეს: ადგილობრივმა გლეხებმა: **გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა), გიგლა (ლომა) ხიზანიშვილმა** 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურსა და სოფელ საგურამოს შორის (საგურამოდან ოთხ ვერსზე) თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის ეტლი გააჩერეს. ამაში ტერორისტებს დაეხმარა მათი თანამზრახველი, ილიას მეეტლე **თედო ლაბაური.** სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ გლეხებმა ეტლი გააჩერეს (ეს ფაქტი ძიებას კიდეც დაუდასტურეს თედო ლაბაურმა და ილიას მეუღლემ). მკვლელობის ორგანიზატორებს აფიქრებდათ ერთი გარემოება – გლეხები, რომლებიც ეტლს გააჩერებდნენ, პროფესიონალი ქილერები არ იყვნენ. ისინი დემორალიზებული, გადაგვარებული ადამიანები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა (არაპროფესიონალმა ქილერებმა) ფული აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში მემამულის მკვლელობა გადაიფიქრეს და მხოლოდ ძარცვით

დაკმაყოფილდნენ. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმისასაც. სწორედ ამიტომ ილიას ეტლის გაჩერების სავარაუდო ადგილზე მკვლელობის ორგანიზატორებს მზად ჰყავდათ დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერი (იგი ეროვნებით ქართველი იყო). გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ეტლი გააჩერა, ფეხზე წამომდგარ ილიას კი ზურგის მხრიდან, სავარაუდოდ, გზის მარცხენა ნაპირიდან, ესროლა ჩასაფრებულმა ქილერმა. ქილერმა ერთადერთი ტყვია გაისროლა. **ტყვია ილიას სხეულში შევიდა მარცხენა ნეკნების მხრიდან, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მარცხენა ძუძუსაკენ).** ცეცხლსასროლი იარაღით (ტყვიით) მიყენებული სხვა ჭრილობა ილიას სხეულზე არ აღმოჩნდა. ქილერის ჩასაფრების შესახებ არაფერი უწყოდა გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა, ქილერმა კი ზუსტად იცოდა, თუ სად გააჩერებდნენ გლეხები ეტლს. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას, მისი არსებობა არ შეუტყვია არც ძიებას და არც სასამართლოს.

თავი V. „ილიას მეორედ მოკვლის წადილი“ (ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის გმობა 1907 წლის შემდეგ)

§1. „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“ (ილიას უარმყოფელნი მისი სიკვდილის შემდეგ)

ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს,
რაჲთა ვერ იცნან იგი.
ლუკა *24, 16.*

1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე მოკლეს. დასრულდა წმიდა ილია მართლის ამქვეყნიური ცხოვრება. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ვარაუდობდა, რომ შეწყდებოდა წლების განმავლობაში მიმდინარე ბინძური ცილისწამებაც, ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა, ილიას გზის გმობა. სინამდვილეში ასე არ მოხდა. **იმ ძალას, რომელსაც ცოცხალი ილია ხელს უშლიდა, ხელს უშლიდა იგი სიკვდილის შემდეგაც.**

და გაგრძელდა ილიას უარყოფა, მისი გზის გმობა. ეს იყო ზნედაცემულ ადამიანთა ბრძოლა მოკლული ილიას წინააღმდეგ. **ეს ბრძოლა მით უფრო ამაზრზენი იყო, რომ ილიას უარმყოფელთა შორის ისეთი ადამიანებიც ერივნენ, რომლებიც ილიას იდეურ და ფიზიკურ მკვლელობაში მონაწილეობდნენ.** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ილიას უარმყოფელთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც 1907 წლის 30 აგვისტოს შემდეგ კიდევ უფრო გაბოროტდნენ. რა იყო ამის

მიზეზი? იქნებ ისიც, რომ ამ საცოდავებმა იგრძნეს: **ილია უკვდავებაში გადავიდა, მისმა უარმყოფელებმა და მკვლელებმა კი სამუდამო სატანჯველისათვის გაწირეს თავი.**

* * *

ილიას სიკვდილის შემდეგ მისი ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი დაიწყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის** გამოსვლით ილიას დაკრძალვაზე. გარდაცვლილის უდიერად მოხსენიება არ არის მიღებული, მით უფრო მიუღებელია აუგი კუბოს საფლავში ჩაშვებამდე ცოტა ხნით ადრე. კარლო ჩხეიძემ ეს მორალური ნორმაც დაარღვია და 1907 წლის 9 სექტემბერს სამგლოვიარო მიტინგზე ასეთი სიტყვებით მიმართა ილიას: „ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო ჩვენ ყველანი ერთნაირათ უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთნაირად ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუერთდებით ასეთების ქებათა ქებას...“[1] კარლო ჩხეიძის ეს სიტყვები სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში.

1907 წლის 28 სექტემბერს, ე. ი. ილიას მკვლელობიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, **ნოე ჟორდანია** წერს წერილს სათაურით **„ბნელი ძალები“.** ეს წერილი 1907 წლის 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთში **„ჩვენი გზა“.** წერილი ხელ-

[1] ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფილისი, 1907, გვ. 204-205.

მოწერილია ინიციალებით **ნ. ჟ.** თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ბნელ ძალებში“ ნოე ჟორდანია გულისხმობს ყველა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ მიმდინარეობას, რომლებიც ილიას მკვლელობაში პირდაპირ ან არაპირდაპირ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ადანაშაულებდნენ. ნოე ჟორდანია, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფს ილიას მკვლელობაში ქართველი სოციალ-დემოკრატების რაიმე ფორმით მონაწილეობას. მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოიხილავს ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი წაყენებულ ბრალდებას, ნოე ჟორდანია აღნიშნავს: „როგორც ვხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატიას. ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოც.-დემოკრატიის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუ აგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკი ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“.[1]

ნოე ჟორდანიას ფრაზა – „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“ – ასევე სამარცხვინო ლაქად რჩება ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ამ სიტყვებით ნოე ჟორდანიამ შთამომავლობის წინაშე თავის მართლების უფლება დაკარგა.

ნოე ჟორდანიას წერილი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. წერილი 1907 წლის 28 სექტემბერს დაიწერა და 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა. 1907 წლის 8 ნოემბერს ილიას

---

[1] **ნ. ჟ. [ნოე ჟორდანია],** ბნელი ძალები, გაზეთი **„ჩვენი გზა“**, 1907, №28, 9 ოქტომბერი, გვ. 2.

დაბადებიდან 70 წელი უსრულდებოდა. ასე დააფასა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა ილიას ღვაწლი მისი დაბადებიდან 70 წლისთავზე.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სიტყვა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე და ნოე ჟორდანიას ზემოხსენებული წერილი იმისი მაუწყებელი იყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ილიას წინააღმდეგ ბრძოლას მისი სიკვდილის შემდეგაც გააგრძელებდნენ.

1908 წელს გამოიცა **კონსტანტინე გვარამაძის** მიერ შედგენილი კრებული – **„სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა: ანუ დახასიათება მოკლეთ და მარტივათ“.** იუმორისტული ჟურნალი **„ეშმაკის მათრახი“** ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში შეეცადა სასაცილოდ აეგდო კონსტანტინე გვარამიძის ღვაწლი (თვით ავტორი და ნაშრომი), რაც, ცხადია, ილიას განქიქებას ისახავდა მიზნად. მართალია, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დაიბეჭდა ფსევდონიმით **„კენტი“**, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ თვით მასალა სოციალ-დემოკრატების მიერ იყო შეკვეთილი.[1]

ილიაზე შარჟების გამოქვეყნებას იუმორისტული (სახუმარო) პერიოდული გამოცემები შემდგომაც აგრძელებდნენ. 1908 წლის 31 აგვისტოს გაზეთ **„მათრახში“** ფსევდონიმით „მკით“ დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მასალა სათაურით **„ილიას ჭირისუფლები“.** ავტორი ცდილობს სოციალ-დემოკრატების გამართლებას და დასცინის მათ, ვინც ილიას მკვლელობას ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიაწერდა.[2]

ილიას წინააღმდეგ ლაშქრობას აგრძელებდნენ არა მარტო ქართველი სოციალ-დემოკრატები, არამედ სხვა მისი ძველი

---

[1] **კენტი,** ბიბლიოგრაფია, ჟურნალი **„ეშმაკის მათრახი“,** 1908, №35, 15 ივნისი, გვ. 6-7.

[2] **მკით**. ილიას ჭირისუფლები, გაზეთი **„მათრახი“**, 1908, №1, 31 აგვისტო, გვ. 5-7.

უარმყოფელნიც. 1908 წლის 16 ნოემბერს ჟურნალ **„საქართველოში“** დაიბეჭდა **იაკობ გოგებაშვილის** წერილი სათაურით **„ილიას მეორედ მოკვლის წადილი“.** მართალია, წერილი ერთი კონკრეტული პირის საქციელის შეფასებას ეხება, მაგრამ წერილიდან შესანიშნავად ჩანს ის ფსიქოლოგიური კლიმატი, რაც იმხანად სუფევდა საქართველოში. იაკობ გოგებაშვილი წერს: „ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ავაზაკებმა, არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, უფრო საზიზღარი, ვიდრე პირველი. ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სულიერს უკვდავებას, სულიერი მკვლელობები კი მეტ-ნაკლებობით ამართლებს ფიზიკურს მკვლელობას“.[1]

ილიას მკვლელობის შემდეგ ფილიპე მახარაძე ნაკლებად აქტიურობდა. როგორც ჩანს, იგი „მართალი“ და „უდანაშაულო“ კაცის პოზიციის დაჭერას ცდილობდა. თავი ისე მოჰქონდა, თითქოს საზოგადოების მიერ ილიას იდეური და ფიზიკური მკვლელობების ბრალდებები მას არ ეხებოდა. 1913 წელს ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ 21 და 28 აპრილის ნომრებში დაბეჭდილი ვრცელი წერილით **„მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!“** ფილიპე მახარაძემ თავის მართლება სცადა. წერილში უდავო ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული ყველა ის სიცრუე, რაც სოციალ-დემოკრატებმა ილიას შესახებ მისი სახელის გატეხის მიზნით 1905 წელს შეთხზეს. კერძოდ, ფილიპე მახარაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1905 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ ვასილ ნაცვლიშვილისა და თვით ფილიპე მახარაძის მიერ გამოქვეყნებული მასალა ცილისწამება არ ყოფილა.[2] იმავეს იმეორებს ფილიპე მახა-

---

[1] **იაკობ გოგებაშვილი**, ილიას მეორედ მოკვლის წადილი, ჟურნალი „**საქართველო“,** 1908, №9, 16 ნოემბერი, გვ. 4.

[2] **ფილიპე მახარაძე,** მეორე მხარესაც მოვუსმინოთ! **ფილიპე მახარაძე,** თხზულებათა კრებული, ტომი III, წერილები სხვადასხვა საკითხებზე, ტფილისი, 1926, გვ. 131-140.

რაძე ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ 1913 წლის 5 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში – **„უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს“.** ამჯერად ფილიპე მახარაძე „სახალხო გაზეთს“ პასუხობს. პასუხი ზერელე და ცინიკურია. წერილის ბოლოს თავის ოპონენტებს ფილიპე მახარაძე ასეთ რჩევას აძლევს: „ჩვენ ვურჩევთ „სახ. გაზეთის“ ვაჟბატონებს, წაბრძანდნენ ჩვენ სოფლებში, გამოიკვლიონ იქაური ვითარება და მაშინ დაინახავენ, რომ იქ კიდევ უფრო ბევრათ იმაზე უარესი ამბები ხდება, რომლებიც ხსენებულ კორესპოდენციაში (იგულისხმება ვასილ ნაცვლიშვილის კორესპოდენცია ჟურნალ „მოგზაურში“ – ვ. გ.) იყო აღწერილი“.[1] იქვე ფილიპე მახარაძე ბრძნულად დაასკვნის, რომ ილია „ბატონყმობის ნაშთების“ დამცველი იყო.[2]

ფილიპე მახარაძე შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან და ყველგან ილიას განქიქებას ცდილობდა. ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ 1913 წლის 12 მაისის ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი **„ივანე ჯაბადარის ხსოვნას“.** ავტორმა ილიასა და ივანე ჯაბადარის პოლემიკაც გაიხსენა: „ივ. ჯაბადარი შეუდრეკელი დარჩა: იგი ვერ მოურიგდა „ივერიას“ და ჩქარა მას და ჯაბადარს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, მაგალითად, ივ. ჯაბადარის „წერილები საქართველოზე“ „სევერნი ვესტნიკში“, ერთი მხრით, და „აი ისტორიის“ ავტორის (ილია ჭავჭავაძის – ვ. გ.) არა საკადრისი, ვიტყვით პირდაპირ, დემაგოგიური პოლემიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ მიმართული, მეორე მხრით“.[3]

---

[1] **ფილიპე მახარაძე**, უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს. **ფილიპე მახარაძე,** თხზულებათა კრებული, ტომი III, წერილები სხვადასხვა საკითხებზე, ტფილისი, 1926, გვ. 143.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 148-149.

***

1914 წელს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის, ილიას გზის გმობის მიზნით ახალი ლაშქრობა წამოიწყეს. ამჯერად ილიას ძველი უარმყოფელი **პეტრე გელეიშვილი** აქტიურობდა.

1914 წლის 19 აპრილის გაზეთ **„აზრში“** გამოქვეყნდა განცხადება. მასში აღნიშნული იყო, რომ 23 აპრილს ჭიათურის თეატრში **პეტრე გელეიშვილი** ქართულ ენაზე წაიკითხავდა ლექციას – **„ი. ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი“.** განცხადებასთან ერთად გაზეთმა გამოაქვეყნა პეტრე გელეიშვილის ლექციის „პროგრამმა“ (ძირითადი საკითხების ჩამონათვალი).[1] ჭიათურის გარდა პეტრე გელეიშვილმა ლექცია ქუთაისშიც წაიკითხა (გარდა ამისა, ლექცია წაიკითხა კიდევ რამდენიმე ქალაქსა და სოფელში). სოციალ-დემოკრატები ოსტატურად უზრუნველყოფდნენ პეტრე გელეიშვილს მსმენელთა აუდიტორიით.

1914 წლის 27 აპრილს ქუთაისში ილიას შესახებ ლექციის კითხვისას პატრიოტ ახალგაზრდათა ჯგუფმა ლექცია ჩაშალა, ხოლო თვით გელეიშვილი სცემეს.[2] ამ ინციდენტის შემდეგ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა პეტრე გელეიშვილს ქალაქ ქუთაისსა და გუბერნიაში ილია ჭავჭავაძის შესახებ ლექციის წაკითხვა აუკრძალა.[3]

1914 წელს ილიას შესახებ წაკითხული ლექცია პეტრე გელეიშვილმა თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით – **„ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი. ლექცია პეტრე გელეიშვილისა“**[4] ეს ნაშრომი (ლექცია) არ

---

[1] გაზეთი **„აზრი“,** 1914, №31, 19 აპრილი, გვ. 1.

[2] **პეტრე გელეიშვილი,** პრესა. გაზეთი **„აზრი“,** 1914, №50, 11 მაისი, გვ. 1-2; გაზეთი **„აზრი“,** 1914, №67, 3 ივნისი, გვ. 2.

[3] გაზეთი **„აზრი“,** 1914, №69, 5 ივნისი, გვ. 2.

[4] ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. ლექცია **პეტრე გელეიშვილისა,** თბ., 1914.

იმსახურებს დაწვრილებით განხილვას. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ლექციიდან:

– „ილიაზე წერა და ლაპარაკი დღეს მონოპოლიად გამხდარა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც თავის თავს მის მოწაფეთ და მის სულიერ მემკვიდრეთ აღიარებს“.[1]

– „მართალია, ჩვენ ილიას ვებრძოდით; მართალია, ჩვენ დღესაც ვებრძვით და ვეწინააღმდეგებით მის საზოგადოებრივ იდეალებს, მაგრამ ჩვენ მას მაინც დიდ პატივსა ვცემთ, როგორც დიდ პოეტს, როგორც ქართული ლიტერატურის დამამშვენებელ მწერალს, როგორც ქართული კულტურის დიდ მუშაკს“.[2]

– „ამნაირათ, ჭავჭავაძის საქართველოს სოციალური ფორმულა მარტივია: გუთანი და ხმალი და მათზე დაყენებული სამეფო გვირგვინი!“[3]

– „ერი, მთელი ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა! ეს არის ილიას სათაყვანო საგანი, მისი პოეზიის, მწერლობის და სიცოცხლის მიზანი; ეს არის მისი სიმბოლო სარწმუნოებისა. მაგრამ ერი ხომ ერთი დიდი ჩარჩოა, რომელშიც მოთავსებულია მისი სხვადასხვა ნაწილები, უჯრედები, სხვადასხვა წოდება თუ კლასები. როგორი განწყობილება არსებობს ამ სხვადასხვა ნაწილთა შორის? როგორ შეიძლება ყველა ამათი ერთ ჩარჩოში მოთავსება? ილიასათვის ეს კითხვები არ არსებობს, ის ყოველგან გვერდს უხვევს მათ. ის ფიქრობს მხოლოდ ქართველ ერზე და არა ამ ერის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებზე“.[4]

– „ჩატეხილი ხიდის“ გასამართლებლათ ილიას ერთ უდიდეს საშუალებათ მიაჩნდა უმაღლესი წოდების ისტორიული ნამსახურობის აღდგენა. ამიტომაც მას ისტორიისათვის

---

[1] ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. ლექცია **პეტრე გელეიშვილისა,** თბ., 1914, გვ. 1.

[2] იქვე, გვ. 2.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] იქვე, გვ. 36.

უნდა მიემართა; მაგრამ რა კი მან იქ ხესლაყრელი მასალა ვერ იშოვნა თავისი ერთხელ და სამუდამოთ გამომუშავებული აზრის დასამტკიცებლათ, ძალა-უნებურად მიჰყო ხელი წარსულის იდეალიზაციას. მან ხელი მიჰყო ქართველი მეფეებისა და უმაღლესი წოდების ხალხისათვის თავ-დადების გამოხატვას“.[1]

– „ქვეყანა ინგრეოდა (იგულისხმება 1905 წელს დაწყებული რევოლუცია – ვ. გ.) და ილია ელლინურის სიმშვიდით და აღუშფოთველობით მოითხოვდა თავის ერთხელ შემოღებული ბუღგალტერიის სისტემის დაცვას. გლეხები იბრძოდნენ ძველი ფეოდალური ვალდებულობის – ღალა-კულუხის მოსასპობლათ; ილია კი არა თუ ამ გადასახადების მოსპობასა და გლეხებისათვის ტვირთის შემსუბუქებას არ ფიქრობს, პირ-იქით ახალ ვალდებულებას აკისრებს – ბუღგალტერია კარგათ დამაყენებიეთ და მით შეძლება მომეცით ჩემი შემოსავლის რაოდენობა ვიცოდეო!“[2]

– „ილია ისეთ დროსაც კი, როგორიც იყო წარსული ბრძოლა (1905-1907 წლების რევოლუცია – ვ. გ.) გლეხებსა და მებატონეებს შორის, ვერ შერიგებოდა არა თუ ლაღა-კულუხის მოსპობის აზრს, ის ვერ შერიგებოდა იმ აზრსაც კი, რომ მის ბუღგალტერიის კარგათ დაყენების სურვილის განხორციელებას, რომელიც გლეხებისთვის სულაც არ იყო სავალდებულო, ეს უკანასკნელები ხელს არ შეუწყობდნენ“.[3]

– „ილიას ძველი საქართველო დამარცხდა... ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო.

ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგი ილიაც. ის ვერ შეურიგდა ამ დამარცხებას. ის, როგორც გმირი მეზღვაური, ბოლომდე დარჩა მის დასაღუპავათ განწირულ გემზე, მაშინაც კი, როცა იგი ყველამ მიატოვა განრისხებული ტალღების კერძათ.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. ლექცია **პეტრე გელეიშვილისა,** თბ., 1914, გვ. 50.

[2] იქვე, გვ. 84.

[3] იქვე, გვ. 84-85.

ილია დარჩა მარტოთ-მარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარის-კაცო და მარტოთ-მარტო დაიღუპა!“[1]

ასე შეაფასა პეტრე გელეიშვილმა ილიას ნააზრევი და ნაღვაწი, ასე გაიაზრა ილიას ადგილი საქართველოს ისტორიაში, ილიას მნიშვნელობა მომავალი თაობებისათვის.

***

ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, კარლო ჩხეიძის, პეტრე გელეიშვილის) ნაწერებიდან აშკარად გამოირჩევა ცნობილი სოციალ-დემოკრატის (ბოლშევიკის) **მალაქია ტოროშელიძის** ნაშრომი **„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“.** ეს წიგნი, ფსევდონიმით **„მ. ტ-ძე“**, 1914 წელს დაიბეჭდა სამტრედიაში.[2]

მალაქია ტოროშელიძეც სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ მისი კრიტიკა ზომიერია. ავტორი არ ცდილობს აბუჩად აიგდოს, განაქიქოს ილიას ნააზრევი და ნაღვაწი. ამასთან ერთად, მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძეს, საერთოდ სამოციანელთა თაობას და მთელ ეპოქას XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან XX საუკუნის დამდეგამდე, სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით აფასებს.

მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის 60-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული (სამოციანელთა) თაობის შეფასებისას სვამს კითხვას: „როგორ მოხდა, რომ მაშინდელმა თაობამ ალღო ვერ აართვა ცხოვრებას და გლეხობის სიკეთის მსურველი, მისი მხურვალე მოამაგე სრულებით დაშორდა მას თავისი პროგრამით. აქ ორი კითხვაა: რატომ ვერ გახდა ის გლეხობის იდეოლოგი

---

[1] ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. ლექცია **პეტრე გელეიშვილისა,** თბ., 1914, გვ. 50.

[2] **მ. ტ. – ძე [მალაქია ტოროშელიძე],** ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი, სამტრედია, 1914.

და რათ შეიქმნა ის უტოპისტური“.[1] ცხადია, ამგვარი პოზიციის გამოვლენის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა ველოდეთ ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებას. მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა თაობის სოციალურ ორიენტაციას ზოგადად ასეთ შეფასებას აძლევს: „თ.-აზნაურობიდან გამოსული, ჩვენი რიცხვით-მცირე ინტელიგენცია, ეკონომიური კითხვების გადაწყვეტაში სავსებით შეეთანხმა იმ კლასს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მისი, როგორც პროგრესული ძალის, მისია იყო“.[2] რა გამოდის? ილია და სამოციანელები მაშინ იქნებოდნენ პროგრესული მოღვაწეები, თუ თავადაზნაურობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლას ჩაუდგებოდნენ სათავეში? ესაა წმინდა სოციალ-დემოკრატიული დემაგოგია. მსოფლმხედველობრივად მცდარია მალაქია ტოროშელიძის კიდევ ერთი დასკვნა. ავტორის აზრით, ილია და სამოციანელები თავიდანვე **„ნაციონალისტურ ნიადაგზე“** დადგნენ. ცხადია, ეს მალაქია ტოროშელიძეს უარყოფით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ „ამ მომენტით (ნაციონალისტური ნიადაგით) თვალ საჩინოთ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ინტელიგენცია ვერ გახდა მებრძოლი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ“.[3]

მალაქია ტოროშელიძე ცდილობს გაარკვიოს: „საიდან წარმოიშვა და რას წარმოადგენდა ნაციონალური ნიადაგი?“[4] ამ მიზნით ავტორი უპირისპირებს საქართველოს ისტორიის ორ ეპოქას – XIX საუკუნის 30-40-იან წლებსა და XIX საუკუნის 60-იან წლებს. ნაშრომში ვკითხულობთ: „აიღეთ მეორე მხრით მაშინდელი პოეტების – ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერები: თქვენ იქ სანთლითაც

[1] **მ. ტ. – ძე [მალაქია ტოროშელიძე],** ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი, სამტრედია, 1914, გვ. 4.
[2] იქვე, 1914, გვ. 7.
[3] იქვე, გვ. 8.
[4] იქვე, გვ. 9.

ვერ იპოვით იმას, რაც შეადგენს მე-60 წლების ნაციონალისტების (მათ შორის ილია ჭავჭავაძის – ვ. გ.) სულსა და გულს. პირიქით, ნ. ბარათაშვილი მსოფლიო მოტივებით სულდგმულობს და არა ნაციონალისტურით. აშკარაა, მე-60 წლების ნაციონალიზმი, რომელიც შეიმუშავეს ამ ეპოქის მოღვაწეებმა და რომელიც ასე ძვალ-რბილში გაუჯდა ქართველობის ერთ ნაწილს, რომ უმისოდ ქართველობის არსებობა ვერც ახლა და ვერც უწინ ვერ წარმოუდგენიათ, ეს ნაციონალიზმი ქართველების თანდაყოლილი თვისება არ ყოფილა".[1]

საბოლოოდ, მალაქია ტოროშელიძე ილიას შემდეგ ბრალდებებს უყენებს:

1) გლეხობის ინტერესების უგულებელყოფა;

2) თავადაზნაურობის ინტერესების დაცვა, ბატონყმობის გაიდეალება;

3) ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგობა;

4) ზოგადსაკაცობრიო იდეების („მსოფლიო მოტივების") უგულებელყოფა.

§ 2. უარმყოფლობის უარყოფა (ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის გმობის დასასრული)

და გარდამოჰᲧსნა იგი
და შეჰმოსა მას არდაგი...
***ლუკა,** 23, 53.*

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში სრული პოლიტიკური თავისუფლება სუფევდა. რთული ვითარების მიუხედავად, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 80 და მკვლელობიდან ათი წლისთავის

[1] **მ. ტ. – ძე [მალაქია ტოროშელიძე],** ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი, სამტრედია, 1914, გვ. 9.

აღნიშვნას ხელისუფლება ვერ აკრძალავდა. ყველაფერი საზოგადოებაზე იყო დამოკიდებული, საზოგადოება კი გულგრილი დარჩა ილიას იუბილესადმი. მხოლოდ **კონსტანტინე გამსახურდია** გამოეხმაურა ამ მოვლენას. 1917 წლის 21 მარტს გაზეთ **„სახალხო ფურცელში“** ფსევდონიმით **კ. აბაშისპირელი** დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიას წერილის – **„ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე“** – ბეჭდვა. წერილის გაგრძელება 22 მარტის, ხოლო დასასრული 29 მარტის ნომერში გამოქვეყნდა.[1] 1917 წელს ჟურნალ **„განათლებაში“** დაიბეჭდა **არტურ ლაისტის „მოგონება ილია ჭავჭავაძეზე“.**[2] 1917 წელი არც ილია ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემით იყო ღირსშესანიშნავი. ამ წელს დაბეჭდილ ორ კრებულში (იხ: **გუთანი. ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი.** ქუთაისი, 1917; **ჩვენი ახალი მწერლობა.** წიგნი I. ქუთაისი, 1917) დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსი, პოემა და მოთხრობა. ეს იყო და ეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ხელისუფლებას სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ილიას თხზულებების გამოცემისთვის. სულ დაიბეჭდა ილიას რამდენიმე ლექსი, პოემა და მოთხრობა. ეს გამოცემებიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განახორციელა. აღსანიშნავია ის, რომ ამ წლებში ილიას ნაწარმოებები შეჰქონდათ სასკოლო სახელმძღვანელოებში (იხ.: **ქრესტომათია**. საშუალო სასწავლებლის I კლასის კურსი. ქუთაისი, 1918; **ქართული ქრესტომათია**. საშუალო სკოლის II კლასის კურსი. ქუთაისი, 1918; **ივ. გომელაური.** სკოლაში

---

[1] **კ. აბაშისპირელი [კონსტანტინე გამსახურდია],** ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე. გაზეთი **„სახალხო ფურცელი“,** 1917, №824, 21 მარტი, გვ. 2; №825, 22 მარტი, გვ. 2; №830, 29 მარტი, გვ. 2-3.

[2] **არტურ ლაისტი,** მოგონება ილია ჭავჭავაძეზე. ჟურნალი **„განათლება“,** 1917, №3, გვ. 177-179; №4-5, გვ. 241-247.

შესასწავლი ქართველი მწერლები. წიგნი მესამე. მეოთხე გამოცემა. თფილისი, 1920). 1918-1921 წლებში ქართველ ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს თავი არაფრით გამოუჩენიათ. მათ ნაშრომებში ილია კანტიკუნტად იხსენიებოდა. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **სილოვან ხუნდაძის** ღვაწლი.[1]

1918-1921 წლებში ილიას თხზულებათა გამოცემის სიმცირე და ილიასადმი მიძღვნილ გამოკვლევათა არარსებობა მხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირით ვერ აიხსნება. ყოველივე ამის მიზეზი ხელისუფლების გულგრილობაც იყო.

***

1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. ამიერიდან საქართველოში პირველკაცობდა ილიას უპირველესი უარმყოფელი, ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე**. ფილიპე მახარაძე ესწრაფოდა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის, ილიას გზის უარყოფა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანა.** ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

1921 წელს საქართველოში ილიასადმი მიძღვნილი არაფერი დაბეჭდილა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატმა (მენშევიკმა) **ივანე გომართელმა** „გამოიჩინა თავი“ და სულ სხვა პრობლემისადმი მიძღვნილ წერილში უდიერად მოიხსენია ილია.[2] 1922-1925 წლებში ფილიპე მახარაძის განზრახვას წინ აღუდგნენ და ილიას ღვაწლი მეტნაკლებად სრულად წარმოაჩინეს **ა. არსენიშვილმა**,[3] **კონსტანტინე**

---

[1] **სილოვან ხუნდაძე**, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, VI, ილია ჭავჭავაძე, ქუთაისი, 1919.

[2] **ივანე გომართელი**, გასული (1920 წლის) სიტყვაკაზმული მწერლობა. ჟურნალი **„ცისარტყელა“,** 1921, №14, გვ. 59-95.

[3] **ა. არსენიშვილი**, გამოგონილი საუკუნეები. გაზეთი **„ბახტრიონი“,** 1922, №1, 1 ივლისი.

გამსახურდიამ,[1] **პაოლო იაშვილმა,**[2] **გიორგი ლეონიძემ,**[3] **ვახტანგ კოტეტიშვილმა,**[4] **ტიციან ტაბიძემ,**[5] **სერგი გორგაძემ,**[6] **კონსტანტინე ჭიჭინაძემ,**[7] **რომანოზ ფანცხავამ**[8] და სხვებმა. უფრო მეტიც. 1924 წელს ჟურნალ „დროშის“ მეექვსე ნომერში ხელმოწერით **„იროდიონ სონღული“** დაიბეჭდა იროდიონ სონღულაშვილის მოთხრობა სათაურით **„ჰეროსტრატოსი“.**[9] დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ ავტორს ჰეროსტრატოსად გამოყვანილი ჰყავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე.

ფილიპე მახარაძის მისწრაფებას წინ აღუდგა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკი **სეით დევდარიანი**. 1922 წლის სექტემბერში საქართველოს ცენტრალური კოოპერაციული კავშირის ორგანოს, ჟურნალ **„კავშირის“** მე-15 ნომერში ფსევდონიმით **„ს“** დაიბეჭდა **სეით დევდარიანის** ვრცელი წერილი სათაურით – **„კაცია-ადამიანის მგოსანი ილია ჭავჭავაძე (15 წელიწადი სიკვდილის შემდეგ.**

---

[1] **კონსტანტინე გამსახურდია**, ილია ჭავჭავაძე. გაზეთი **„ლომისი“,** 1922, №3, 17 სექტემბერი.

[2] **პაოლო იაშვილი,** პოეტი საქართველოსი. გაზეთი **„ბახტრიონი“**, 1922, №1, 1 ივლისი.

[3] **გიორგი ლეონიძე,** ილია ჭავჭავაძე. გაზეთი **„ბახტრიონი“**, 1922, №10, 11 სექტემბერი.

[4] **ვახტანგ კოტეტიშვილი,** სიტყვის დაპყრობა. გაზეთი **„რუბიკონი“,**1923; №4; **ვ. კოტეტიშვილი,** ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი მე-II, ქუთაისი, 1925.

[5] **ტიციან ტაბიძე,** დადიზმი და ცისფერი ყანწელები. ჟურნალი „**მეოცნებე ნიამორები“,** 1923, №10; **ტიციან ტაბიძე**, ირონია და ცინიზმი. ჟურნალი „**მეოცნებე ნიამორები“,** 1923, №9.

[6] **ს. გორგაძე,** ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. მეორე საფეხური (1860-1875). ჟურნალი **„მნათობი“,** 1925, №3.

[7] **კ. ჭიჭინაძე,** ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა. ჟურნალი „**მნათობი“,** 1925, №5-6.

[8] **ხომლელი [რომანოზ ფანცხავა],** ქართული ლიტერატურა. ჟურნალი **„ახალი გზა“**, 1925, №16, №18, №20.

[9] **იროდიონ სონღული [იროდიონ სონღულაშვილი],** პეროსტრატოსი. ჟურნალი **„დროშა“,** 1924, №6, გვ. 3-5.

– 30 აგვისტო 1907-1922 წ.)“.[1] წერილის მეორე ნაწილი ჟურნალის მე-16 ნომერში დაიბეჭდა.[2] სეით დევდარიანის ნაშრომი დიდი დარტყმა იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების, როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკებისთვის. ცნობილმა მენშევიკმა, იმხანად ნოე ჟორდანიასთან მკვეთრად დაპირისპირებულმა და საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ოპოზიციაში მყოფმა სეით დევდარიანმა, ერთბაშად უარყო ის, რაც ქართულ სოციალ-დემოკრატიას (მენშევიკებს და ბოლშევიკებს) ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ დაეწერათ. ეს წერილი შემდეგში ძვირად დაუჯდა სეით დევდარიანს.

ფილიპე მახარაძის მარცხის მაუწყებელი იყო ისიც, რომ ქართველი მწერლების, ქართველი ინტელიგენციის თავგამოდების წყალობით დაიწყო მზადება ილია ჭავჭავაძის **„ნაწერების სრული კრებულის“** (ცხრა ტომად) გამოცემისათვის (ეს გამოცემა, სინამდვილეში, 1925-1929 წლებში ათ ტომად გამოვიდა). გამოცემის მომზადება დაევალა **პავლე ინგოროყვასა** და **ალექსანდრე აბაშელს.** 1925 წელს გამოვიდა მრავალტომეულის პირველი ტომი (ლექსები და პოემები).

ფილიპე მახარაძე მიზნის მიღწევისთვის ბრძოლას არ წყვეტდა. იგი შეუდგა თავისი ნაწერების მრავალტომეულის გამოცემას. სხვადასხვა ტომში შევიდა ავტორის მიერ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ 1898-1913 წლებში დაბეჭდილი წერილები, მათ შორის ჟურნალ **„მოგზაურში“** გამოქვეყნებული სამარცხვინო წერილი. ამასთან ერთად, ფილიპე მახარაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა თანამოაზრეები: **რაჟდენ კალაძე, პეტრე გელეიშვილი, პლატონ ქიქოძე, ბარონ**

---

[1] **ს [სეით დევდარიანი],** კაცია-ადამიანის მგოსანი ილია ჭავჭავაძე (15 წელიწადი სიკვდილის შემდეგ. 30 აგვისტო 1907-1922 წ.). ჟურნალი **„კავშირი“,** 1922, №15, 10 სექტემბერი, გვ. 26-32.

[2] **ს [სეით დევდარიანი],** კაცია-ადამიანის მგოსანი ილია ჭავჭავაძე (15 წელიწადი სიკვდილის შემდეგ. 30 აგვისტო 1907-1922 წ.). ჟურნალი **„კავშირი“,** 1922, №16, 1 ნოემბერი, გვ. 58-64.

ბიბინეიშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი და სხვ. ფილიპე მახარაძის „რაზმიდან“ ძალზე აქტიურობდა ორი ადამიანი, რომელთა ფსევდონიმები იყო **„ვ. ად–ლი“** და **„კ. ბ–ლი“.** ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი ლაშქრობა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა პირველმა „ბოლშევიკური კრიტიკის“ სუსხი სეით დევდარიანმა იწვნია. თბილისში მუშათა კრებაზე გამოსვლისას **მამია ორახელაშვილი** შეეხო სეით დევდარიანის ზემოთ ხსენებულ წერილს. ბოლშევიკმა ლიდერმა „ორიგინალური“ დასკვნა გააკეთა: სეით დევდარიანის მიერ ილია ჭავჭავაძის ქება-დიდება იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი ინტელიგენცია ვერ ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებასო, ნაციონალისტი მწერლის ქება საბჭოთა ხელისუფლების გაკიცხვას ნიშნავსო.[1] არანაკლებ „ორიგინალური“ დასკვნა გააკეთა რაჟდენ კალაძემ. მისი აზრით, „60-იან წლების „მოღვაწეებმა“ (მიაქციათ ყურადღება: რაჟდენ კალაძე სიტყვა მოღვაწეებს ბრჭყალებში ხმარობს – **ვ. გ.**) კიდევ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ერთი მხრით, მეორე მხრით, პოეტ აკაკის მგოსნობით საქართველოს მკვდარი პოლიტიკური მდგომარეობის ხელოვნურად „აღდგენა“ (სიტყვა აღდგენაც ბრჭყალებშია ნახმარი – **ვ. გ.**) სცადეს, რაღაცნაირი ნაციონალური ოპორტუნიზმით და ბიუროკრატიული ლიბერალიზმის იმედით. ქართველი ხალხის საზოგადოებრივათ წარმატების იმედი დამოუკიდებელი გზით უკვე დაჰკარგეს მათ და სასოწარკვეთილ პატრიოტულ გოდებას მიეცნენ“.[2]

დრო იხელთა პეტრე გელეიშვილმა. მან „ვიწრო ნაციონალიზმის“ იდეოლოგ ილია ჭავჭავაძეს ბრალი „მესამე დასის“

---

[1] **ს დევდარიანი,** ოქტომბერი და ინტელიგენცია. ჟურნალი **„მნათობი“,** 1924, №6, გვ. 225.

[2] **რ. კალაძე,** ეგნატე ნინოშვილის ისტორიული დანიშნულება და მისი პიროვნების მნიშვნელობა, ჟურნალი **„მნათობი“,** 1924, №7-8, გვ. 287-288.

მოსპობის მცდელობაში დასდო: „ქართულმა პრესამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მედგარი იერიში მიიტანა ამ ახალ მოვლენილ „დასზე“, იმ თავითვე დაუპირა მას გაქრობა... “[1]

დროდადრო ფილიპე მახარაძეც შეაშველებდა სიტყვას თავისი დროშის ქვეშ დარაზმულთ. 1926 წელს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე გამოსვლისას ფილიპე მახარაძემ ილიას და საერთოდ სამოციანელებს ასეთი ბრალდება წაუყენა: „ხალხის ინტერესები სინამდვილეში იმათ არ სწამდათ და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ქონდა“.[2]

***

1927 წელს ილიას დაბადებიდან 90 წელი სრულდებოდა. ქართველი მწერლები, ინტელიგენცია იუბილეს აღსანიშავად ემზადებოდნენ. ხელისუფლებამ მთლად ვერ წაუყრუა ილიას იუბილეს. 1927 წელს გამოიცა ილია ჭავჭავაძის **„ნაწერების სრული კრებულის“** მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ტომები. ფილიპე მახარაძე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტური გაშუქება. ყველაფერი მაინც ვერ გათვალა. ჯერ კიდევ 1926 წელს გამოიცა **კონსტანტინე კაპანელის** ნაშრომი **„ქართული სული ესთეტიურ სახეებში“,** რომელშიც ილიას შეხედულებათა შეფასებაცაა მოცემული.[3] მართალია, ავტორი გარკვეულწილად ქედს უხრის ეპოქას (ილია რევოლუციას უმღერდაო), მაგრამ, მთლიანობაში აღებული, ამ ნაშრომის

---

[1] **პეტრე გელეიშვილი,** ჩვენი ახლო წარსულიდან (მასალები „მესამე დასის ისტორიისათვის). ჟურნალი **„მნათობი“,** 1926, №8-9, გვ. 16-17.

[2] **ფილიპე მახარაძე,** მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები (სიტყვა, წარმოთქმული ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე). **ფილიპე მახარაძე**, თხზულებათა კრებული, ტომი V, სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა, ტფილისი, 1926, გვ. 242.

[3] **კონსტანტინე კაპანელი,** ქართული სული ესთეტიურ სახეებში, წიგნი პირველი, ტფილისი, 1926.

გამოქვეყნებით კონსტანტინე კაპანელმა ილიას იუბილეს წინ ხელთათმანი გადაუგდო ფილიპე მახარაძეს. მეორე სერიოზული დარტყმა ფილიპე მახარაძემ **სიმონ ხუნდაძისგან** მიიღო. 1927 წელს გამოიცა სიმონ ხუნდაძის მონოგრაფია **„სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში“.**[1] იმავე წელს დაიბეჭდა სიმონ ხუნდაძის მეორე გამოკვლევა – **„ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“,**[2] სიმონ ხუნდაძე, ცხადია, ანგარიშს უწევდა ეპოქას, პოლიტიკურ ვითარებას. მიუხედავად ამისა, ავტორმა შეძლო ობიექტურად წარმოედგინა ილიას მსოფლმხედველობის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. სიმონ ხუნდაძის ზოგიერთი დასკვნა ფილიპე მახარაძის პირდაპირ გამოწვევას ნიშნავდა.

ფილიპე მახარაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კონსტანტინე კაპანელისა და სიმონ ხუნდაძის ნაშრომების განქიქება გადაწყვიტეს. 1927 წელს ჟურნალ „მნთობის“ მეორე ნომერში ფსევდონიმით **„ვ. ად – ლი“** დაიბეჭდა რეცენზია სათაურით – **„როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია. – ამხ. ს. ხუნდაძის „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში“ გამოსვლის გამო“.**[3] რეცენზენტი სიმონ ხუნდაძეს ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ სამოციანელთა თაობის უსაფუძვლო აპოლოგეტობაში ადანაშაულებს.

კონსტანტინე კაპანელის ნაშრომის კრიტიკას მიეძღვნა ფსევდონიმით **„კ. ბ–ლი“** ჟურნალ **„პროლეტარულ მწერლობაში“** 1927 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული რეცენზია სათაურით – **„ილია ჭავჭავაძე, კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო–ლი (კ. კაპანელის „ქართული**

---

[1] **სიმონ ხუნდაძე,** სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი პირველი, ტომი მეორე, ტფილისი, 1927.

[2] **სიმონ ხუნდაძე,** ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, ტფილისი, 1917.

[3] **ვ. ად – ლი**. როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია. ამხ. ს. ხუნდაძის „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში“ გამოსვლის გამო. ჟურნალი **„მნათობი“,** 1927, №2, გვ. 240-246.

სული ესთეტიურ სახეებში“ გამოსვლის გამო)“.[1] რეცენ-ზენტი, ცხადია, არ ეთანხმება კონსტანტინე კაპანელს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შეფასებაში. არ ეთანხმება გაზეთ „კომუნისტში“ ვინმე **„მო – ლის“** მიერ გამოქვეყ-ნებულ რეცენზიასაც, რომელშიც კონსტანტინე კაპანელის წიგნი დადებითად არის შეფასებული:

„ვ. ად – ლი“-ისა და **„კ. ბ–ლი“-ის** რეცენზიებში, პრაქტი-კულად, ფილიპე მახარაძის, ანუ ხელისუფლების, პოზიციაა წარმოდგენილი. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ხსენებული რეცენზიებიდან.

„ვ. ად – ლი“ XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს, ასე აფასებს:

– „ილია და სხვები თავადაზნაურობის აპოლოგეტებად ბოლომდი დარჩენ. მათი მოღვაწეობა წოდებრიულ დაწესე-ბულებების გარშემო ტრიალებდა“.

– „ავტორი (ს. ხუნდაძე – ავტ.) ილიას მხატვრულ შემო-ქმედებაში ხედავს ბურჟუაზიულ რადიკალიზმს. ვფიქრობ, არც ეს აზრი არის მართალი. ილიას მხატვრულ შემოქმედებას ბურჟუაზიული რადიკალიზმისა არაფერი სცხია. არც „კაცია ადამიანი“, არც „გლახის ნაამბობი“ და თუნდაც არც „აჩრდი-ლი“ წოდებრიობის უარმყოფ ნაწარმოებათ ვერ ჩაითვლება“.

– „ილიას ჰუმანიზმი, რადიკალიზმი და ლიბერალიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ თავადსა და გლეხს შორის ადა-მიანური დამოკიდებულება ყოფილიყო და არა ბრძოლა და არა დაუნდობლობა და შუღლი“.

– „ილია ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე ზრუნავს და არა წოდებრიობის მოსპობაზე“.[2]

---

[1] **კ. ბ – ლი.** ილია ჭავჭავაძე, კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო – ლი (კ. კაპანელის „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ – გამოსვლის გამო). ჟურნალი **„პროლეტარული მწერლობა“,** 1927, №1, გვ. 109-115.

[2] **ად – ლი ვ.** როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია – ამხ. ს. ხუნდაძის „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში“ გამოსვლის გამო. ჟურნალი **„მნათობი“,** 1927, №2, გვ. 245.

„კ. ბ–ლი“ ილია ჭავჭავაძეს მთლიანად ფილიპე მახარაძის პოზიციიდან აფასებს:

– „მე-60 წლების მოღვაწეებს უდიდესი ამაგი მიუძღვით ქართველი ხალხის წინაშე... იმათი მოღვაწეობა მაშინდელ ხანაში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა... ეს იყო მანამდი, სანამ ისტორიის ასპარეზზე მუშათა კლასი გამოვიდოდა. ამის შემდეგ მათ მოღვაწეობას დაეკარგა პროგრესული ხასიათი, ვანაიდან ისინი ქვეყნის განახლებისათვის მოწოდებულ მუშათა კლასს კრიჭაში ჩაუდგნენ“.

– „ი. ჭავჭავაძე და საერთოდ მე-60 წლების მოღვაწეების პოლიტიკური კრედო რუსეთის ტახტის ლოიალიზმის იქით არ მიდიოდა“.

– „ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეები, უმთავრესად თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, იყვნენ, ასე ვთქვათ, თავადაზნაურობის წრეში მობუზღუნე შინა ოპოზიციონერები. ამგვარი იყო ილია ჭავჭავაძისა და ორბელიანების დავა“.[1]

1931 წელს ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით გამოიცა სამარცხვინო კრებული სათაურით – „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. სატიტულო გვერდზე კრებულის ავტორები ასეთი თანამიმდევრობით არიან ჩამოთვლილნი: დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე. კრებული „სახელმწიფო გამომცემლობამ“ გამოსცა.[2] მასში შემდეეგი მასალაა წარმოდგენილი:

1. **ფ. მახარაძე.** მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში (წინასიტყვაობა).

2. **პ. ქიქოძე** ვის ხელშია კლასიკოსები? (წერილის პირველი ვარიანტი დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალ „მნთობის“ № № 5-6-ში).

---

[1] **ბ – ლი.** ილია ჭავჭავაძე, კაპანელი და „კომუნისტის“ კრიტიკოსი მო – ლი (კ. კაპანელის „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ – გამოსვლის გამო). ჟურნალი **„პროლეტარული მწერლობა“,** 1927, №1, გვ. 111-112.

[2] **დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე,** ბრძოლა კლასიკოსებისათვის. ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1921.

3. **დ. ბენაშვილი.** დიალექტიური მატერიალიზმი თუ ექლექტიური იდეალიზმი.

4. **დ. ბენაშვილი.** ფილოსოფიური სქოლასტიკისა და ლიტერატურული მისტიციზმის წინააღმდეგ.

5. **დ. ბენაშვილი. შ. შავგულიძე, ფ. ნაროუშვილი, პ.ქიქოძე.** ბოლშევიზმი თუ სოციალ-ფედერალიზმი? (ეს წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 1931 წლის 27 სექტემბრის ნომერში).

6. **პ.ქიქოძე. დ. ბენაშვილი. ბ. მეუნარგია.** ფორმალიზმის, ესთეტობის და სოციალ-ფედერალიზმის რეციდივების წინაღმდეგ.[1]

კრებულის წინასიტყვაობაში ფილიპე მახარაძე აზოგადებს იმას, რაც კი ოდესმე ილია ჭავჭავაძის უარყოფის, მისი შემოქმედებითი ნაღვაწის გმობის მიზნით დაუწერია. აი, ზოგიერთი ადგილი კრებულის წინასიტყვაობიდან:

– „ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს ზოგიერთ ქართველმა პუბლიცისტმა თავადაზნაურთა წრიდან და შემდეგ სოცილ-ფედერალისტების პარტიამ (გ. მაიაშვილი, არ. ჯორჯაძე და სხვები) შეთხზეს ზღაპარი, თითქოს ისინი, ვინც ჩვენში, საქართველოში, პირველად განაცხადეს ენერგიული პროტესტი და აღიმაღლეს ხმა ბატონ-ყმური მონობის წინააღმდეგ, იყვნენ მესამოცე წლების მოღვაწენი, ეგრედ წოდებულნი – თერგდალეულები საერთოდ და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე. რა თქმა უნდა, აქ ჭეშმარიტების ნამცეციც არ იყო. მართალი იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვაჟბატონები, ყველანი წარჩინებული წოდების (ე. ი. თავადაზნაურობის) წარმომადგენლები, გაცნობილი იყვნენ იმ კამათთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს (მესამოცე წლებში) რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ირგვლივ. შეიძლება მესამოცე წლების მოღვაწეები რამოდენიმედ იზიარებდნენ რუ-

[1] **დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე,** ბრძოლა კლასიკოსებისათვის. ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1921.

სეთის განმანათლებლების (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და სხვ.) ზოგიერთ შეხედულებებს, მაგრამ რომ იმათ საჯაროდ არასოდეს გამოუცხადებიათ რაიმე პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, სანამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არსებობდა, ეს ურყევი ფაქტია“.

– „რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, ყველა მისი ნაწარმოების და ყველა იმ დოკუმენტების და მასალების მიხედვით, რაც მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება, მუდამჟამ ტიპიური თავადი და მემამულე იყო თავიდანვე და ბოლომდეც ასეთივე დარჩა“.

– „ი. ჭავჭავაძეს თავისი საკმარისად ხანგრძლივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ერთხელაც არ მოუცია ჩვენთვის საბუთი იმისთვის, რომ იგი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ან სიტყვით, ან კალმით. პირიქით, ამის საწინააღმდეგო მასალა მოიპოვება, რამდენიც გნებავთ, ისევე, როგორც აკაკი წერეთლის, ორბელიანების და იმ დროის სხვა მრავალი თავადაზნაურულ მწერლების შესახებ“.[1]

ილია ჭავჭავაძის ფილიპე მახარაძისეულ შეფასებას სავსებით იზიარებდა **პლატონ ქიქოძე.** კრებულში დაბეჭდილ წერილში: **„ვის ხელშია კლასიკოსები?“** – აი, რას ვკითხულობთ: „განა ნაციონალისტური სიბეცე არ არის, როდესაც დღესაც, თვით ილია ჭავჭავაძის თაობისა და ძველი ქართული ინტელიგენციის მიერ ჩაქსოვილი, მეფის ჩინოვნიკის გრ. ორბელიანის რეპუტაციის აღდგენას ცდილობენ“?[2]

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა კრებულში დაბეჭდილი წერილი – „ბოლშევიზმი თუ სოციალ-ფედერალიზმი?“ წერილის ავტორები არიან: **დიმიტრი ბენაშვი-**

---

[1] **დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე,** ბრძოლა კლასიკოსებისათვის. ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1921, გვ. 2-4.

[2] იქვე, გვ. 17.

ლი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე. აი, ზოგიერთი ადგილი წერილიდან:

– „ისტორიულად სადავო საკითხები გადასწყდა მარქსიზმის და მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ. დოკუმენტალურად იქმნა დამტკიცებული ის ფაქტი, რომ მესამოციანები არამც თუ ილაშქრებდნენ ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ, არამედ ცდილობდნენ მის გაუმჯობესებას. ფეოდალური ლიბერალების „რევოლუციონურობა“ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ფეოდალიზმის, ფეოდალური კლასის და მისი ინტელიგენციის გადარჩენის მიზნით ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის „შეგუებას“ ცდილობდნენ (სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პრაქტიკა სათავადაზნაურო ბანკის შექმნის სახით სწორედ ამ „შეგუების“ საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს). ქვეყნის ასეთ განვითარებას ლენინი ბურჟუაზიული განვითარების „პრუსიულ“ გზას უწოდებდა“.[1]

– „კაპიტალიზმის ასეთი „განვითარებას“ პრუსიაში (გერმანია) ჰქონდა ადგილი. ილია ჭავჭავაძის არჩილიც („ოთარაანთ ქვრივიდან“) ფეოდალური კლასის გადარჩენის მიზნით სწორედ ამ პრორუსულ გზით განვითარებისკენ მოუწოდებდა თავის „მოყვარეებს“, ვინაიდან, ილიასი არ იყვეს, არჩილიც „მოყვარეს“ (ესე იგი ფეოდალს) პირში უძრახოდა“.[2]

კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის, XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობისა და სამოციანელთა მარქსისტული შეფასების მიზნით არ გამოცემულა. ფილიპე მახარაძე, პლატონ ქიქოძე, დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი პირდაპირ მიწასთან ასწორებდნენ იმ ისტორიკოსებს

---

[1] **დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე,** ბრძოლა კლასიკოსებისათვის. ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1921, გვ. 79.

[2] იქვე.

და ლიტერატურათმცოდნეებს, პუბლიცისტებსა და მწერლებს, რომელთაც ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელების ობიექტურად შეფასება გაბედეს. კერძოდ, ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები თავს დაესხნენ **სიმონ ხუნდაძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე კაპანელს.** მათ არ დაინდეს არც ილია ჭავჭავაძის უფრო ადრინდელი დამფასებლები – **არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე** და სხვები.

კრებულის – „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ რედაქტორმა და ავტორებმა განგაშის ზარი ჩამოჰკრეს: გვიშველეთ! საბჭოთა ხელისუფლების მტრები ქართველ კლასიკოსებს რეაქციული მიზნებისთვის იყენებენო! მხოლოდ ჩვენ გვესმის მეცნიერულად, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი კლასიკოსებიო!

* * *

ილიას კრიტიკამ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობიდან „პოეზიაში“ გადაინაცვლა. 1932 წელს ჟურნალ **„პროლეტარული მწერლობის“** № 1-2-ში დაიბეჭდა ნაწყვეტი **ფრიდონ ნაროუშვილის** პოემიდან **„თავადი ი. ჭავჭავაძე“.** ფრიდონ ნაროუშვილი ვითომდა პარალელს ავლებს ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის. ილიას „ქვათა ღაღადი“ და საქართველო-სომხეთის ომი (1918 წლის დეკემბერი) ავტორს ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნია. აი, ეს „შედევრიც:“

„გული როგორ არ დაგიღონდება,
როცა მძვინვარებს შავი სახადი;
სომხებთან ომი მოგაგონდება,
როგორც აშკარა „ქვათა ღაღადი“.
იგი არ არის ისე წყვდიადი,
როგორც წარწერა ქვაზე ლურსმული,
იგი ღაღადებს ისე „დიადი“, –
როგორც ქართული, როგორც რუსული.
იგი არაოდეს არ იუფლება

გიპოტეზების გაუვალ ნისლით,
ვით ჟორდანიას ხელისუფლება
შეღებილია სომხების სისხლით.
ხოცვა-ჟლეტაში შენ თუ ერიე,
რაა, უარს თუ მაინც ვერ იშლი,
ფაქტების ხმალს ვერ მოიგერიებ –
ხმალზე მჭრელია მისი იერიში.
მთავრობა ომში წაგებულია,
მაინც მძვინვარებს შავი სახადი:
მორჩა, წაკითხულ-გაგებულია
ცხრაას თვრამეტ წლის „ქვათა ღაღადი“.
წამოდგა ნოე, როგორც ილია,
ფოილოს გაღმა მიწა-წყლის მდომი,
„დემოკრატიულ“ კავკასიაში
ჭავჭავაძური ატეხა ომი.
ხოცვის და სისხლის წყურვილი მყისვე
გამეფდა, როგორც შავი სახადი;
ომობდა ნოე სომხებთან ისე,
როგორც ილიას „ქვათა ღაღადი“.
დგამდა საზიზღარ ომს რეჟისორი,
ყავდა გვარდია და „მძიმე ჯვარიც“,
და შოვინიზმის ბებერი მძორით
სომხეთისაკენ დაიძრა ჯარი.
კაუცკის მიერ ნებადართული,
ვით ტრაგედია სისხლიან მკაში,
„ქვათა ღაღადი“ იქნა დადგმული
„დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში:
ყუმბარა გლეჯდა ხეს, თხრიდა მიწას,
ტყე მღელვარებდა ხოცვა-ჟლეტაში,
დახოცილ ტყეში ცხედრები იწვა
და პარლამენტში ისმოდა ტაში ...
მღერის გვარდია ... პრეზიდენტს ესმის
„დემოკრატიულ“ მთავრობის ლექსი.
ქადაგებს ნოე: „საომრად,
გმირო, ლაშქარი დასძარი,

„ქართველო ხელი ხმალს იკარ“ –
სომხებს დაეცი თავზარი!
სავსეა იმავ შხამით და გესლით
დაშნაკელების მთავრობის ლექსი.
და პრეზიდენტი იმავე ფერის
იმავ სიმღერას სომხურად მღერის:
ქალაქ ტფილისში თავს იკრავს
ჩვენი სამშობლოს საზღვარი;
სომეხო, ხელი ხმალს იკარ
„ვრაცებს“ დაეცი თავზარი ...
ზღვარი წალეკილ და წაშლილია,
როგორც ძმებს შორის სხვადასხვა ძეთა, –
ასე გადიქცა ნოეთ ილია
და ჟორდანია ჭავჭავაძეთა.[1]

* * *

ფილიპე მახარაძე თავისი შეხედულებების დამკვიდრებას სხვა გზებითაც ცდილობდა. 1933 წელს ჟურნალ **„მნათობის“** I-II ნომერში დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის თანამოაზრის **ალ. სულავას** ვრცელი ნარკვევი – **„ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი (მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის)“**[2] ავტორს მოსწონს ყველაფერი, რაც ფილიპე მახარაძეს ილია ჭავჭავაძის უარყოფის, ილიას ნააზრევის გმობის მიზნით დაუწერია.

ფილიპე მახარაძის შეხედულებას იცავდა **კ. მელაძე** 1933 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – **„გაკვრით კლასიკოსებზე“.** ავ-

[1] **ფრ. ნაროუშვილი,** თავადი ი. ჭავჭავაძე (პოემიდან). ჟურნალი **„პროლეტარული მწერლობა“,** 1932, №1-2, გვ. 148-149.

[2] **ალ. სულავა,** ფილიპე მახარაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი (მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის). ჟურნალი **„მნათობი“,** 1933, №1-2, გვ. 193-214.

ტორი ილია ჭავჭავაძის განქიქებასთან ერთად აკრიტიკებს სიმონ ხუნდაძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე კაპანელს, მიხეილ ზანდუკელს, რომელთაც არ გაიზიარეს ფილიპე მახარაძისეული შეფასება.[1]

არავინ იცის, კიდევ რას მოიფიქრებდნენ ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები. მათი პარპაში **იოსებ სტალინმა** აღკვეთა.

* * *

იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძე არ უყვარდა და ამას არც მალავდა, დასცინოდა კიდეც ძველ ბოლშევიკს, **„საშუალო დონის ლიტერატორს“** ეძახდა. იოსებ სტალინის მიერ ფილიპე მახარაძის ათვალწუნებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზთა შორის გამოვყოფთ რამდენიმეს: **პირველი.** ფილიპე მახარაძე, ისევე, როგორც ძველ ბოლშევიკთა თაობა, თვლიდა, რომ იოსებ ჯუღაშვილს ბოლშევიკური პარტიის წინაშე, რევოლუციის წინაშე მასზე გაცილებით ნაკლები დამსახურება ჰქონდა. წინათ ამას იოსებ სტალინი დიდ ყურადღებას არ აქცევდა. XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებიდან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ სტალინს უკვე ხელს აღარ აძლევდა ფილიპე მახარაძის მიერ საკუთარი დამსახურების დემონსტრირება, იოსებ სტალინთან შედარებით საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა. **მეორე.** იოსებ სტალინი ცდილობდა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი რაც შეიძლება წინ გადაეწია და იგი „მესამე დასთან“ (შეიქმნა 1892-1893 წლებში) დაეკავშირებინა. ი. სტალინის მისწრაფებას წლების განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ფილიპე მახარაძე. **მესამე.** იოსებ სტალინი ცდილობდა თავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისისა და ბათუმის ორ-

[1] **კ. მელაძე,** გაკვრით კლასიკოსებზე. ჟურნალი „**მნათობი“,** 1933, №11, გვ. 164-184.

განიზაციების ერთ-ერთ დამფუძნებლად და ხელმძღვანელად წარმოედგინა. ფილიპე მახარაძე ამასაც გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა. **მეოთხე.** იოსებ სტალინი ფილიპე მახარაძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ადანაშაულებდა და ხშირად არაორაზროვნად შეახსენებდა მას ამ დანაშაულს. **მეხუთე.** საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდში (1922 წ.) ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები (ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“) ღიად დაუპირისპირდნენ იოსებ სტალინს და ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მას.

1921-1931 წლებში იოსებ სტალინი ფილიპე მახარაძის ქმედებას ვერ აკონტროლებდა. ძველი ბოლშევიკი იოსებ ჯუღაშვილს არ ერიდებოდა და ხშირად განზრახ აღიზიანებდა კიდეც მას. ფილიპე მახარაძის პოზიციები შეირყა საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში **ლავრენტი ბერიას** მოსვლის შემდეგ (1931-1932 წწ.). თავდაპირველად ფილიპე მახარაძე არც ლავრენტი ბერიას უწევდა ანგარიშს. ფილიპე მახარაძემ ვ. ლენინის გარდაცვალების ათი წლისთავთან დაკავშირებით დაწერა ნაშრომი სათაურით – **„ათი წელი ულენინოდ“.** იოსებ სტალინის ნების თანახმად, ლავრენტი ბერიამ ფილიპე მახარაძე აიძულა ნაშრომისთვის სათაური შეეცვალა. 1934 წელს იგივე ნაშრომი ასეთი სათაურით გამოვიდა – **„ათი წელი ულენინოდ სტალინის წინამძღოლობით“.** ფილიპე მახარაძემ დათმო. სრული კაპიტულაცია ძველ ბოლშევიკს ჯერ კიდევ წინ ელოდა. მხედველობაში გვაქვს **საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა** (1934 წ.) და **ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილე** (1937 წ.).

* * *

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში იოსებ სტალინმა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მოიგო. 1927 წელს ლევ ტროცკი საკავ-

შირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის რიგებიდან გარიცხეს, ყველა თანამდებობა დაატოვებინეს და შუა აზიაში გადაასახლეს (1929 წელს ლევ ტროცკი ბასმაჩების დახმარებით საზღვარგარეთ გაიქცა). ეს იოსებ სტალინს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. საკავშირო კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სამხედრო უწყებაში, დიპლომატიურ კორპუსში იოსებ ჯუღაშვილს დიდი ოპოზიცია ჰყავდა. განსაკუთრებით საგანგაშო იყო ის, რომ იოსებ ჯუღაშვილს ოპოზიციაში ჩაუდგა ძველ ბოლშევიკთა, რევოლუციონერთა პირველი თაობის დიდი ნაწილი, მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. და ბოლოს, იოსებ ჯუღაშვილის პოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებოდა ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა. XX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგისათვის სრულიად ცხადი გახდა: **იოსებ სტალინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა.** 20-იანი წლების მეორე ნახევარში გატარებულმა რეპრესიებმა ოპოზიცია ვერ მოსპო. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინი პოლიტიკური კურსის შეცვლას არ აპირებდა, ოპოზიციის შენიშვნების გათვალისწინება აზრადაც არ მოსდიოდა. ერთადერთ გამოსავალს იგი რეპრესიებში ხედავდა, იმ რეპრესიებში, რომელთა მასშტაბი იმხანად მხოლოდ იოსებ სტალინს ჰქონდა წარმოდგენილი. პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო 1934 წლის დეკემბერში და მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა 1938 წლის გაზაფხულამდე. კულმინაციას 1937 წელი წარმოადგენდა. რეპრესიები შეეხო საბჭოთა კავშირის ყველა სოციალურ ფენას (ინტელიგენციას, მუშებს, გლეხებს), ყველა ეროვნების, აღმსარებლობისა და პროფესიის ადამიანებს, საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საბჭოთა

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სამხედრო უწყებას (წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს), დიპლომატიურ კორპუსს, თვით რეპრესიების გამტარებელ მთავარ დაწესებულებას – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (დახვრიტეს ორი სახალხო კომისარი – ჰენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი). ყველაზე მეტად დაზარალდა ინტელიგენცია.

ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ ჯუღაშვილს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე აუცილებლად სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ იგი დიდი და სახელოვანი ისტორიის, **დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის მემკვიდრე ერის შვილი იყო.** ყოველივე ეს უნდა წარმოჩენილიყო დიდი ოსტატობით, დამაჯერებლად. ამ შემთხვევაში ერთბაშად მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო რამდენიმე კარგად გააზრებული ღონისძიება, რომელიც ეფექტს მოახდენდა საბჭოთა კავშირშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც. ასე ჩაიფიქრა და განახორციელა იოსებ სტალინმა ოთხი დიდი ღონისძიება:

– საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა (1934 წ.);

– ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში (1937 წ.);

– შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავი (1937 წ.);

– ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი (1937 წ.).

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა (1934 წ.) და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი (1937 წ.).

* * *

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ყველა რესპუბლიკის

მწერალთა კავშირის სახელით გამოსულ მომხსენებელს უნდა მიმოეხილა მწერლობის ისტორია უძველესი დროიდან (ჩასახვიდან) XX საუკუნის 20-30-იანი წლების ჩათვლით. მსგავსი მოხსენების დაწერა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოხსენება ღირებული რომ ყოფილიყო, საჭირო იყო ლიტერატურათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ერთობლივი შრომა. მეორე სირთულეს ის წარმოშობდა, რომ მეცნიერული თვალსაზრისით თუნდაც უნაკლოდ შესრულებული მოხსენება შეიძლება მისაღები არ ყოფილიყო პოლიტიკური თვალსაზრისით. მწერალთა კავშირის ყრილობა დაიგეგმა და ჩატარდა როგორც პოლიტიკური ღონისძიება. ყრილობას **იოსებ სტალინი** დაესწრო.

1934 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ყრილობაზე საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა ცნობილი ბოლშევიკი **მალაქია ტოროშელიძე.** მალაქია ტოროშელიძეს, რომელსაც, ცხადია, იოსებ სტალინის ჩანაფიქრი არ ეცოდინებოდა, თავისი მოხსენების პირველ ვარიანტში დიდი ადგილი დაეთმო ქართული პროლეტარული მწერლობის, უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების გზის ჩვენებისათვის, შედარებით ნაკლები – ძველი და ახალი ქართული მწერლობისთვის. **მოხსენების ტექსტს წინასწარ გაეცნო იოსებ სტალინი. მან მ. ტოროშელიძის მოხსენება დაიწუნა.** მოხსენების ის ტექსტი, რომლითაც მალაქია ტოროშელიძე 1934 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ყრილობის წინაშე წარსდგა, როგორც სტრუქტურით, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, **იოსებ სტალინის შეხედულებათა გათვალისწინებითაა ნაკარნახევი, ყველა დასკვნა იოსებ სტალინს ეკუთვნის.**[1]

---

[1] **მალაქია ტოროშელიძე,** ქართული ლიტერატურა. მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს. ჟურნალი „**მნათობი“,** 1934, №7-8, გვ. 221-295.

იოსებ სტალინი განსაკუთრებით დაინტერესებულა მალაქია ტოროშელიძის მოხსენების იმ ნაწილით, რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებას ეხებოდა. ეს შემთხვევითი არ იყო. იმხანად იოსებ სტალინს უკვე გადაწყვეტილი ექნებოდა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის ფართოდ აღნიშვნა. ამიტომაა, რომ მალაქია ტოროშელიძის მოხსენების ეს ნაწილი თითქმის მთლიანად **იოსებ სტალინის შეხედულებას გამოხატავს.**[1] იგი მოხსენების დანარჩენ ნაწილებთან შედარებით მოცულობითაც თვალშისაცემად დიდია. მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს მალაქია ტოროშელიძის მოხსენებიდან:

– „არ შევჩერდებით XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა მწერლებზე და გადავალთ პირდაპირ 60-იანი წლების ეპოქაზე, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ეპოქის მწერლებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძე“.[2]

– „ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების უდიდესი ფიგურაა, რომელიც თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ძლიერ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე თვით უკანასკნელ ხანებამდე“.[3]

– „ამ ორი მომენტის – ეკონომიურის და ეროვნულის – მჭირდოდ გადაკვანძვა საფუძვლად უდევს ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას. იგი ნაციონალისტია, და როგორც ასეთი, ოპოზიციაში უდგას მთავრობას, რომელიც არ სცნობს არავითარ ნაციონალურს“.[4]

– „ი. ჭავჭავაძის შემოქმედებამ თავადაზნაურობას კი

---

[1] **მალაქია ტოროშელიძე,** ქართული ლიტერატურა, მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს. ჟურნალი **„მნათობი“,** 1934, №7-8, გვ. 246-255.

[2] იქვე, გვ. 246.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 248.

არ გაუწია სამსახური, არამედ თავადაზნაურობის მოწინააღმდეგეებს“.[1]

– „თუმცა ი. ჭავჭავაძე არ წარმოადგენს გლეხობის ინტერესებისთვის მებრძოლს, მაგრამ ის ღრმა სიმპათიით უყურებს, აიდიალებს მას, აწერს მას საუკეთესო თვისებებს და სთვლის მას ყველა სათნოების განსახიერებად“.[2]

– „რათა შევაჯამოთ ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურისთვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი კრძალვით უყურებს და მის შესაფერისად მაღალ პრინციპულ სიმაღლეზე აჰყავს ყოველი საკითხი, რომელსაც ეხება. ლიტერატურული ასპარეზი ი. ჭავჭავაძემდე თითქმის არ არსებობდა. წინანდელი ეპოქის მწერლობისთვის ლიტერატურა ან უბრალო თავშესაქცევი იყო (მაგალითად, საქეიფო ლექსები), ან პოეტის პირად განწყობილებათა გამოხატულება, რომელიც უნდა გაეზიარებინა მის რამდენიმე ახლობელ მეგობარს. ი. ჭავჭავაძისთვის კი ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოღვაწეობაა და ამ დარგში იგი ფრიად სასტიკია და მომთხოვნი, როგორც თავის, ისე სხვებისადმი“.[3]

ილიას მსოფლმხედველობის შეფასებისას მალაქია ტოროშელიძის მიერ გაკეთებული ყოველი დასკვნა მიმართული იყო ფილიპე მახარაძისეული შეფასებების გასაბათილებლად აცამტვერებდა ყოველივე იმას, რაც ფილიპე მახარაძემ ილიას წინააღმდეგ დაწერა ორმოცი წლის განმავლობაში. ეს კარგად იგრძნო ფილიპე მახარაძემ.

მალაქია ტოროშელიძემ, ცხადია, მოხსენება რუსულად წაიკითხა. იმავე 1934 წელს მოხსენება ცალკე წიგნად გამოი-

---

[1] **მალაქია ტოროშელიძე,** ქართული ლიტერატურა, მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს. ჟურნალი **„მნათობი“,** 1934, №7-8, გვ. 252.

[2] იქვე, გვ. 254.

[3] იქვე. გვ. 255.

ცა მოსკოვში[1]. ესეც იოსებ სტალინის გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.

* * *

1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი დიდი ზარზეიმით აღინიშნა. ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ 1934 წელს მომზადდა.

1937 წლის 9 მაისს გაზეთ **„კომუნისტში“** დაიბეჭდა ოფიციალური მასალა – **„ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის“.** ამ მასალიდან მკითხველმა შეიტყო, რომ საქართველო სსრ სახალხო კომისართა საბჭომ (მთავრობამ) მიიღო დადგენილება ილია ჭავჭავაძის იუბილეს აღსანიშნავად. იქვე ჩამოთვლილი იყო დაგეგმილი ღონისძიებები.

1937 წლის 10 ივნისს გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“** გამოქვეყნდა ცნობა თბილისში, მწერალთა სასახლეში, ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმის გამართვის თაობაზე.

გაზეთები **„კომუნისტი“**, „Зария Вастока“ და **„ლიტერატურული საქართველო“** სისტემატურად აშუქებდნენ ილიას იუბილესათვის მზადებას და საიუბილეო ღონისძიებებს როგორც თბილისში, ისე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. 1937 წლის 22 აპრილს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ ილია ჭავჭავაძის საღამოები გაიმართა **მოსკოვსა და ლენინგრადში**. 1937 წლის 31 ივლისს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ წერდა, რომ **მოსკოვში,** ვ. ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში, მოეწყო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი გამოფენა. 1937 წლის 29 მაისს გაზეთ „Правда“-ში დაიბეჭდა მასალა სათაურით: „Юбилейнная декада И. Чавчавадзе в Грузии“.

---

[1] **М. Торошелидзе,** Грузинская литература. Доклад на первом всесоюзном съезде советских писателеи. Издательство „Художественная литература,“ Москва, 1934.

1937 წელს საიუბილეოდ გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად). პირველი ტომი (პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელის რედაქციით) „ქართული კლასიკური მწერლობის“ სერიით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებული (შალვა რადიანისა და ალექსანდრე აბაშელის რედაქციით). 1937 წელს ცალკე გამოცემებად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებულები: „ლექსები და მოთხრობები“, „თხზულებანი“, „მოთხრობები“, „რჩეული ლექსები და პოემები“. რუსულად ითარგმნა და გამოიცა კრებულები „Избранное“ და „Стихи и поэмы“.

ილიას დაბადებიდან 100 წლისთავს გამოეხმაურა მრავალი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **ივანე ჯავახიშვილის** ნაშრომი **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**[1]. იგივე ნაშრომი გაზეთ „კომუნისტის“ 1937 წლის 6 ივლისის ნომერშიც დაიბეჭდა. დუმილს ინარჩუნებდა დამარცხებული ფილიპე მახარაძე. მის თანამოაზრეთაგან ზოგიერთმა ძველ ბელადს უღალატა და ილიას ქებადიდება დაიწყო. ფილიპე მახარაძე მიხვდა, რომ დამარცხდა და დანებდა. ცუდ დღეში იყო ძველი ბოლშევიკი: **გუმანით გრძნობდა, რომ მას ალბათ მალე სხვა, უფრო დიდი განსაცდელი, ელოდა.** საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობასა (1934 წ.) და ილიას იუბილეს (1937 წ.) შორის განვლილმა დრომ ფილიპე მახარაძე დაარწმუნა: **იოსებ სტალინი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებას დაიწყებდა**...

[1] **ივანე ჯავახიშვილი,** ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 1937, II, გვ. 1-14.

* * *

ასე დასრულდა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის, ილიას გზის გმობის სამარცხვინო ისტორია. დაფარული მაინც გაცხადდებოდა, მაგრამ ალბათ უფრო გვიან, გაცილებით გვიან. 1934-1937 წლებში კი, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა მოსკოვში ხელისუფლებისათვის დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლა მიმდინარეობდა, ილიას თავის უფლებებში აღდგენა, ილიას სულიერი მემკვიდრეობის ობიექტურად წარმოჩენა თითქოს აუხსნელ მოვლენას წარმოადგენდა. სინამდვილეში ყველაფერი ლოგიკური, კარგად გააზრებული გახლდათ. საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა იყო ის დიდი საგანძური, რომელიც იოსებ სტალინს მორალურ უფლებას აძლევდა ზემოდან დაეხედა თავისი იდეური და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის, დიდი და პატარა „ბელადებისთვის“ და ამაყად ეთქვა: **„რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“** (**მათე,** 22,14).

ღვაწლის შეფასებისათვის

ძნელია იპოვო სიტყვები ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის სრულყოფილად შესაფასებლად. უკვე თქმულიდან ილიას ღვაწლს ყველაზე სრულად გამოხატავს ეპითეტები: **„ერის სულიერი მამა“; „საქართველოს უგვირგვინო მეფე“...** და რა დასანანია, რომ ილიას თანამედროვე ქართველობამ ვერ იგრძნო ერის სულიერი მამისა და საქართველოს უგვირგვინო მეფის მადლი. ილიას სახელი ასოცირდებოდა დიდი მწერლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის (თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარის, რედაქტორის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის), სახელმწიფო მოღვაწის (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრის) სახელთან. **ერის სულიერ მამად და საქართველოს უგვირგვინო მეფედ ილია სიცოცხლეში არავის მიუჩნევია.** ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს არც მისი მკვლელობა აღუქვამს ერის სულიერი მამისა და საქართველოს უგვირგვინო მეფის მკვლელობად. **ვაჟა-ფშაველამ** სცადა ერის გამოფხიზლება. მან ყველას დაასწრო და ილიას ღვაწლი მოკლედ, მაგრამ ზუსტად შეაფასა. ვაჟა-ფშაველა წერილში **„ვერ მოჰკლეს“** ილიას სწორედ ერის სულიერ მამად და საქართველოს უგვირგვინო მეფედ წარმოგვიდგენს. ვაჟამ ქართულ სინამდვილეში ილიას ღვაწლის დაფასებისას პირველად იხმარა სიტყვები: **„მამა“** („ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას?“), **„ქართველთათვის თავდადებული“** („ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი ... ქართველთათვის თავდადებულს“), **„ერთად-**

ერთი ბურჯი“ („იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით?“), **„პირველი ადამიანი“** („ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს პირველი ადამიანი“). დაბოლოს. ილიას დიდი ღვაწლი ვაჟა-ფშაველამ ორიგინალურად გამოხატა შემდეგი მეტაფორით: **„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენ“.**

ვაჟა-ფშაველას პათოსს ბევრი არ იზიარებდა – **ვაჟასნაირი კაცების სიმცირე იგრძნობოდა მაშინ საქართველოში!** თუმცა მთავარი მაინც მოხდა. იმ შავბნელ ეპოქაში ვაჟა-ფშაველამ გარკვევით თქვა: **ილია ღვთისა და ერისათვის მსახურების ეტალონი იყო.**

ბოლოსიტყვა

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიამ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო დაიპყრო – ერთიანი საქართველო უკვე სამას წელზე მეტი ხნის წინ გაქრა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს კუთხეები (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, სვანეთი, აფხაზეთი და ა. შ.) ერთმანეთისაგან გაუცხოებულიყო და **„საქართველოს“** ცნება გამქრალიყო; ქართველი ერი დაშლილიყო სხვადასხვა ხალხებად („იმერლებად“, „მეგრელებად“, „აჭარლებად“, „თუშებად“, „სვანებად“ და ა. შ.) და **„ქართველის“** ცნება გამქრალიყო; ენის, ტერიტორიის, რელიგიისა და კულტურის ერთობის დარღვევის შედეგად გამქრალიყო **ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება.**

ამის საწინააღმდეგოდ 1917-1918 წლებში აღდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, გაიხსნა ქართული (თბილისის) უნივერსიტეტი და აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ეს სამი მოვლენა – **რელიგიური**, **კულტურული** და **პოლიტიკური** – დაეფუძნა იმას, რომ რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ ქართველთა შეგნებაში უმტკივნეულოდ გაცნობიერდა ერთიანი ქართულის, ერთიანი საქართველოს გამომხატველი ცნებები:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;
საქართველოს ეროვნული ყრილობა;

საქართველოს ეროვნული საბჭო;
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;
ქართული უნივერსიტეტი.

ვინც ერი გამოაფხიზლა, საკუთარი თავი შეაცნობინა, გათითოკაცებული ქართველობა გააერთიანა, რწმენა და ეროვნული თვითშეგნება დაუბრუნა, ღმრთისა და სამშობლოს სამსახურში ჩააყენა, თავად ნახევარი საუკუნე მოწამის ცხოვრებით იცხოვრა და მოწამებრივად აღესრულა, საქართველოს ისტორიაში ასე მოიხსენიება: **წმიდა ილია მართალი.**

პირთა საძიებელი

ა

აბაშელი ალექსანდრე 205, 225
აბაშისპირელი კ. (კონსტანტინე გამსახურდიას ფსევდონიმი) 202
აბაშიძე კიტა 214
ალექსანდრე II (რუსეთის იმპერატორი) 89
ალექსიევ-მესხიევი სარდიონ 33
არდაზიანი ლავრენტი 35
არსენიშვილი ა. 203
არჩილი 46, 122, 213
აქსაკოვი კონსტანტინე და ივანე 41

ბ

ბაგრატიონი 9-12
ბარათაშვილი ნიკოლოზ 70-73, 200, 201
ბარათოვი გიორგი 33
ბასილაშვილი 166
ბაქრაძე დ. 141
ბენაშვილი დიმიტრი 206, 210-213
ბერბიჭაშვილი გიგლა 157-159, 164, 167, 174-177, 179, 188, 189
ბერია ლავრენტი 171-173, 177, 218
ბერიძე გ. 141
ბიბინეიშვილი ბარონ 205, 206
ბითარიშვილი იაკობ 159
ბისმარკი ოტტო 118, 119
გამსახურდია კონსტანტინე 202, 203

გ

გელეიშვილი პეტრე 63, 128, 133, 196, 199, 205, 206
გვარამაძე კონსტანტინე 193
გველესიანი ს. 141
გიორგი 46, 47
გიორგობიანი ე. 141
გოგებაშვილი იაკობ 5, 38, 194
გოგიჩაიშვილი ფილიპე 146
გომართელი ივანე 61, 62, 203
გომელაური ივ. 202
გორგაძე სერგი 204
გრეკოვი ალექსანდრე166
გუგუშვილი პაატა 172

დ

დავითაშვილი შიო 44-46, 48
დევდარიანი სეით 204-206
დილევსკი 181
დობროლიუბოვი ნიკოლოზ 212
დოლიძე ერმილე 166
დოლიძე კალისტრატე 166

ე

ევტუშევსკი 162, 167
ელბაკიძე ალექსი (ლავრენტი არდაზიანის ფსევდონიმი) 35
ენუქიძე აბელ 141
ერისთავი რევაზ შალვასძე 32-34, 77

ვ

ვაჟა-ფშაველა 153, 227, 228

ზ

ზანდუკელი მიხეილ 217
ზინოვიევი (რადომისლსკი) გრიგოლ 156

თ

თათქარიძე ლუარსაბ 121, 122
თევდორე 125

ი

იანოვსკი კირილე 90-92
იაშვილი (ექიმი) 181, 182
იაშვილი პაოლო 204
ილიაშენკო 162, 167
ინაშვილი ივანე (ვანო) 164, 167
ინგოროყვა პავლე 205, 225

კ

კაზლოვი (კოზლოვი) 32, 33, 77
კაკაბაძე ილ. 141
კალანდაძე მ. 141
კალანდაძე ნესტორ 145
კალაძე რაჟდენ 205, 206
კაპანელი კონსტანტინე 207-209, 214, 217
კარენინა ანა 47
კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე 53, 89
კეზელი დავით (სოსლანი) 43, 46-48
კესო 46, 122
კიკიანი კ. 141
კილასონია ბ. 160
კირვალიძე ვასილ 137, 138
კიროვი სერგეი 173
კოტეტიშვილი ვახტანგ 204, 214, 217

ლ

ლაბაური თედო 153, 157, 158, 160, 164, 179, 188
ლავუაზიე 192
ლაისტი არტურ 202
ლასხიშვილი გიორგი 138
ლელთ-ღუნია 87
ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერ 156, 186, 213, 218
ლეონიძე გიორგი 204
ლუკა (ბიბლ.) 32, 35, 44, 69, 108, 128, 142, 190, 201

მ

მათე (ბიბლ.) 226
მაიაშვილი (ზდანევიჩი) გიორგი 211
მარაქველიძე დ. 141
მარქსი კარლ 68
მაჩაბელი ივანე 55, 69, 73-76
მაჩაბელი მ. ა. 141
მაჩაბელი მიხეილ 55
მახარაძე ფილიპე 63, 128, 133-135, 143, 145, 146, 156, 165, 166, 170-175, 177, 178, 187, 188, 194, 195, 199, 203-214, 216-218, 223, 225

მემარნიშვილი მოსე 148, 156
მესხი სერგეი 38-40, 42
მეუნარგია ბ. 211
მოდებაძე კარპე 141
მოძღვრიშვილი გიგოლა 158, 164, 167, 188

ნ

ნარიმანიძე ვასილ 182
ნაროუშვილი ფრიდონ 206, 210, 211, 213
ნასიძე მიხეილ 133-135
ნაცვლიშვილი ვასილ 145, 146, 194, 195
ნეკრასოვი ნიკოლოზ 212
ნიკოლაძე ნიკო 39-42, 49, 69-73
ნიკოლოზი 125
ნინოშვილი (ინგოროყვა) ეგნატე 63, 68

ო

ობეროვი ა. 141
ორახელაშვილი მამია 206
ორბელიანები 210, 212
ორბელიანი გრიგოლ 212
ორბელიანი სულხან-საბა 60, 64, 66, 130
ორჯონიკიძე სერგო 156, 165, 166, 170, 172, 173, 177, 178, 187, 188

პ

პეტრე 125
პეტრიაშვილი ვ. 38

ჟ

ჟორდანია ნოე 49, 50, 59-61, 63, 68, 128-130, 133, 135, 136-142, 157, 191-193, 199, 205, 214-216

რ

რადიანი შალვა 225

ს

სალმასტელი ს. 109-111
სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი 122
სონღულაშვილი ეროდიონ 204
სოსია 46
სტალინი (ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონის ძე) 135, 157, 171-174, 177, 178, 217-222, 224-226
სულავა ალ. 216

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 148
ტაბიძე ტიციან 204
ტოლსტიო ლევ 47, 48
ტოროშელიძე მალაქია 199-201, 221-223
ტროცკი (ბრონშტეინი) ლევ 219

ფ

ფანცხავა რომანოზ 204
ფაღავა ყარამან 162-164
ფურცელაძე ანტონ 36, 37
ფშავლიშვილი (აფციაური) პავლე 158, 164, 167, 188

ქ
ქანანოვი ნ. 38
ქარსანაძე პ. 141
ქიქოძე პლატონ 205, 210-213

ღ
ღოღობერიძე ბესარიონ 38, 39

ყ
ყიფიანი დიმიტრი 69

შ
შავგულიძე შალვა 206, 210, 213
შარაშიძე შალვა 143
შიშკოვი ალექსანდრე 41
შოთა რუსთაველი 220

ჩ
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 212
ჩიკოიძე ალექსანდრე 93
ჩიჩუა ნ. 141
ჩიხაშვილი სიმონ 182
ჩიხლაძე რ. 141
ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) 128, 191, 199
ჩხოტუა დავით 38, 39

ცა
ცაგარელი ალექსანდრე 38
ცხაკაია მიხა 128

წ
წერეთელი აკაკი 39, 69, 206, 212
წერეთელი ეფთვიმე 34
წერეთელი გიორგი 34, 37, 39, 48-55, 63-66, 68, 128-133, 135-138
წერეთელი დ. პ. 141
წიკლაური ი. 141
წულუკიძე გ. 140

ჭ
ჭავჭავაძე ალექსანდრე 200
ჭავჭავაძე ილია 5-7, 9, 13-22, 24-67, 69-86, 88-92, 94-120, 123-179, 182-218, 220, 222-227, 228, 230
ჭიჭინაძე კონსტანტინე 204
ჭონქაძე დანიელ 171

ხ
ხელაძე 73
ხიზანიშვილი გიორგი (ლომა) 158, 167, 188
ხონელი ილია 55
ხუნდაძე სილოვან 203
ხუნდაძე სიმონ 208, 214, 217

ჯ
ჯაბადარი ივანე 93, 94, 96, 108-111, 195
ჯავახიშვილი ივანე 225
ჯანელია ივ. 141
ჯაფარიძე ბესარიონ 38, 39
ჯაფარიძე ი. 141
ჯიბლაძე სილიბისტო 63, 68, 128, 133
ჯორჯაძე არჩილ 61, 62, 107, 108, 202, 211, 214
ჯორჯაძე ბარბარე 33

სარჩევი

წინასიტყვა 5

თავი I. ილიამდელი საქართველო.....7

თავი II. ილიას თანამედროვე საქართველო 19

§ 1. „რათა ვართ ესე?“ (ქართველობაში ფეხგადგმული სენი) 19

§ 2. „საკვირველი კაცია ქართველი“
(ახალი ქართული სალიტერატურო ენის მოწინააღმდეგენი)..... 32

§ 3. „პირველი ქვა ... ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი“
(„საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ არაკეთილმოსურნენი)..... 35

§ 4. „კეთილი არა გვწამს, სული და გული ამოგვშრობია“
(დიდი იდეის მესაფლავენი).....44

§ 5 „ქართული პროგრესი“ (პარტიებად დაშლის სენი) 48

§ 6. „მე ბევრი რამ კარგი მჭირს“ (უარმყოფლობა საქართველოში).....54

§ 7. „ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (სოციალიზმის ბუნება).....63

§ 8. „იმიტომ, რომ ქართველია“ (ზღვარგადასული დიდი კაცები).....69

თავი III. საქართველოს ხსნის გზა 77

§ 1. „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“
(თავისუფლების უკვდავი იდეა) 77

§ 2. „გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას“
(შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის).....88

§ 3. „წოდებათა დაუყოფლად“ (წოდებათა შერიგება) 102

§ 4. „ერთი გაპტყელებული და უშვერი ტყუილი“
(საქართველოს ისტორიის გამყალბებლები და მათი დამქაშები).....108

§ 5. „ცხოვრება და კანონი“
(ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივა) 111

§ 6. „დევნული სიღარიბიდან“ „ძლევამოსილ სიმდიდრემდე“
(სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი).....120

თავი IV. მოწამეობრივი ცხოვრების დასასრული 128
§ 1. „ჯვარს-აცუ, ჯვარს-აცუ ეგე!“
(სოციალ-დემოკრატების გამოლაშქრება) 128
§ 2. „მოვედით და მოვკლათ იგი“
(მოწამეობრივი ცხოვრების ბოლო წლები) 142
§ 3. საქართველოს მკვლელები (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა) 148
თავი V. „ილიას მეორედ მოკვლის წადილი“
(ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის გმობა 1907 წლის შემდეგ) 190
§ 1. „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“
(ილიას უარმყოფელნი მისი სიკვდილის შემდეგ) 190
§ 2. უარმყოფლობის უარყოფა
(ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის გმობის დასასრული) 201
ღვაწლის შეფასებისათვის 227
ბოლოსიტყვა 229
პირთა საძიებელი 231

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი

სოფო კობიაშვილი

ვლადიმერ პერანიძე

ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა **არტანუჯი**

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.

☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.

www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge